



ჩვენი მწერლობა


გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

22 თებერვალი 2013

№4(186)

შეიშას ჰინის ესეი
ამბავი ერთი პრემიისა
იოსიფ ბროდსკის ლექსები
დავით წერედიანის პარაპეტი
ჯარჯი ფხოველის ჩანაწერები
ელგუჯა ბერძენიშვილის მოთხრობა
რევაზ სირაძის უკანასკნელი რეცენზია
რობერტ ფიშერის უსამშობლობა
დესნას ფსიქოლოგიური ნოველა
ევროპული რანგის შემოქმედი
ზურაბ ხასაიას ლექსები
მარტოობის 2555 ღამე



შინაარსი

სალალოპო	2	მურმან ბულათურქია ამბავი ერთი პრემიისა
მსარკას-ინტერვიუ	6	ბადრი გაგნიძე „ყველასი მჯარა პირველ ტყუილამდე“ (მომზადა ნატა ვარადაძე)
გამოსმაურება	7	ეთერ ბერიაშვილი იმა ყმისა საღაოკა... (სათაური მცირე პერიფრაზით და ნაგვიანევი გამოსმაურება)
პროზა	8	ელგუჯა ბერძენიშვილი ქმნილია
პოეზის ერთი ლექსი	18	დავით წერეთლიანი პარაპეტი
პოეზია	19	ზურაბ ხასაია მთის მოტივები და სხვა ლექსები
უსტოთის ცხოვრებიდან	22	შეიმას ჰინი მოსტონი
სილუაბი	24	ეკა ბუჯიაშვილი მარტოოკის 2555 ლამე (ზაურ წაქაძე)
ღიალოგი	26	ოცნებად — ვაჟასაული გუნება (მაკა ჯიბლაძეს ესაუბრება ხათუნა გოგალაძე)
მოსაზრება	28	მერაბ გველესიანი შტრიხი წმინდა სამეკის გაგებისათვის (ანუ რა დავუპირისპიროთ შემოტევას)
როგორ ვაითხოვოთ კლასიკას	30	ბადრი დანელია ადვილ ნუ იტყვიტ ვაჟაზა
აირველი შთაგაქფილება	35	როინ ჭიკაძე მწერალ ცირა ყურაშვილს!
წამი პატარა ქალაქი	36	თუთა ბებია ევროპული რანგის შემოქმედი (თელავური დღიურიდან)
კრიტიკა	40	მარინე ტურავა სამმოგლო არასოდეს არ არის ქველოდური (ნინო გუგუშვილის პროზაული კრებულები „ფეისკონტროლი“ და „ცაცია“)
ფიქრები	42	ჯარჯი ფხოველი ხელის-გულის ანაგაქდაბი
ღაუვიწყარი სახელები	45	ლია კარიჭაშვილი „მე მზასა დავუღამდები“ (რევაზ სირაძე)
	45	ლალი ურდულაშვილი მზისა და ვაზის კალიტ ადვინილი (როსტომ ჩხეიძის რეცენზიის — „ჩამავალი მზე კავკასიონზე“ — გამოძახილი)
	46	რევაზ სირაძე, ივანე ამირხანაშვილი სიბრძნე და სიკაითე სინანულიანნი (ლაურა გრიგოლაშვილის „დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანნი“)
ახალი წიგნები	48	როსტომ ჩხეიძე როპერტ ფიქრის უსამმოგლოა
პოეზიის ვერიღიანები	53	იოსიფ ბროდსკი ჩრდილში მჯდომარე
უსტოური ნოველა	58	ალექსანდრე დესნა საკონტროლო ფსიქოლოგიაში
ნაქვესები	61	მასვილსიტყვაოკის ნიმუშები
მოზაიკა	63	ნაჯახითაც ვერ ნაშლიო

ორკვირეული ყურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96_20_62

რეკლამა – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 92) 25_94_94

ფაქსი: (995 322) 96_20_62

E_mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: მუზა

ირაკლი შუბაშიკელის კომპიუტერული გრაფიკა

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 8 მარტს



მურმან ბულათურქია

ამბავი ერთი პრემიისა

თუკი გნებავთ, ზუსტად და დანვრილებით იცოდეთ, ვინ იყო კინტო და ვინ იყო ყარაჩოღელი ანუ რაოდენ დიდი განსხვავებაა მათ შორის (უფსკრული, უძირო უფსკრული!), ხომ გახსოვთ, ნურვინ გარევეთ ერთმანეთში — ამიტომაც უნდა მოისმინოთ დიდებული ქართველი პოეტის იოსებ გრიშაშვილის ნაუბარი.

დიახ, დიახ, არ დაგჭირდებათ ქექვა ენციკლოპედიებისა, ქართული იქნება თუ ამერიკული, არ არის საჭირო ინტერნეტში შესვლა-გამოსვლა, გუგლისა და იაჰუს ლაბირინთებში წონიალ-პრონიალი, საკმარისია ხელში აიღოთ იოსებ გრიშაშვილის საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ (დანერილია 1926-1927 წლებში, პირველად გამოქვეყნდა 1929 წელს. შეტანილია პოეტისა და მკვლევარის თხზულებათა სრული კრებულის მე-3 ტომში, თბილისი — 1963), მონახოთ იქ ქვეთავი, სათაურად „კინტო და ყარაჩოღელი“, წაიკითხოთ და თქვენ გახდებით მფლობელი უნიკალური ინფორმაციისა, რომელსაც სხვაგან ვერსად წააწყდებით, ძალიანაც რომ მოინდომოთ.

ასე რომ, ათიოდე მოგონებისა და ათიოდე სტატიის გაცნობას გადაურჩებით. გრიშაშვილი გარჯილა თქვენს სამსახურად და ფრიად საინტერესო ნარკვევით შეუვსია XIX საუკუნის საქართველოს ეთნოგრაფიისა და ქართული მწერლობის ისტორიის ფურცლები.

აი, რას წერს იგი: „კინტო და ყარაჩოღელი სხვადასხვა ჯურის ხალხია. კინტო — გაქსუებული, დაღლარა, თახსირი, თვალმანკიერი და გულხენეში; ყარაჩოღელი — დარბაისელი, გულმართალი, პატოსანი, რაინდი. ჩაცმულობითაც განსხვავდებიან [ამას მოსდევს დეტალური აღწერილობა მათი სამოსელისა]... ყარაჩოღელის ხმა ტკბილია და შთამბეჭდავი, კინტოს ხმა — ხრინწმოკიდებული და ხმელი. ყარაჩოღელის მიხვრა-მოხვრა მტკიცეა, კინტოსი — ოკრობოკრო. ყარაჩოღელი თვითონ ქმნის სიტყვის შედეგებს, კინტო — ამ სიტყვებს ამახინჯებს. ყარაჩოღელი შეფრფინვით შეჰლალადებს თავის სატრფოს: შენ არ-ზრუმის ცისკარი ხარ, გულნარა, მანათობლად აღმომხდარი, გულნარა! კინტო კი თავისი ოჯახსაც არ ინდობს: ჩემი ცოლი ანანა ხან მადლევს და ხან არა! ყარაჩოღელის მუსიკა დუდუკია, კინტოსი — არლანი“.

აღნიშნულ ქვეთავში ავტორი იმონებს ცხოვრებისეული სინამდვილიდან აღებულ პანია ეპიზოდს, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორი ემხისა და ლაზათის კაცი იყო ძველი თბილისის ყარაჩოღელი:

„ყარაჩოღელთან მიდის ქალბატონი, რომელსაც თან ლამაზი ქალიშვილი ახლავს. რაღაცის ყიდვა უნდათ.

- რა ღირს, შვილო, ეს საქონელი?
- რვა აბაზი.

- ექვს აბაზად არ შეიძლება?
- ეგ ქალი შენი რა არის, დედი?
- შვილია, შვილო!
- შეიძლება!“

იოსებ გრიშაშვილის დასახელებული ნაშრომის ზემოხსენებულმა ქვეთავმა შეაფერადა თვალში საცემი თეთრი ლაქა ჩვენი წარსულის რუკაზე, მაგრამ რათ გინდა! თამამად შეიძლება გავიმეოროთ ანტონ კათალიკოსის უსამართლო ვერდიქტი, ვეფხისტყაოსნის ავტორს რომ გამოუტანა: „ამაოდ დაშვრა, სანუხ არს ესე“.

ვგონებ, გრიშაშვილიც ამაოდ დამშვრალა.

ძალზე სწყინდა გულანთებულ პოეტსა და დაუზარებელ მკვლევარს, რომ ვერაფრით ვერ შეანჯღრია ქართულ ცნობიერებაში ჩაჭედული სტერეოტიპი კინტოსა და ყარაჩოღელის სრულ იგივეობაზე.

ვითომც არაფერიო, ერთმანეთში ურევდნენ (და, ვაგლახ, დღესაც ურევენ) ამ ორ ფენომენს, ერთს რომ თეთრი ფერი დაჰკრავს და მეორეს — შავი. დიახაც წუხდა, რომ ერთი და იგივე ეგონათ კინტო და ყარაჩოღელი, როგორც კვახი და გოგრა, ბია და კომში, პაპა და ბაბუა...

არა და არაო! — გმინავდა მკვლევარის სული. მაგრამ რას გააწყობდა, როდესაც გამოუცდელ მკითხველს ვინ ჩივის, უაღრესად განსწავლული და ხემწიფისტოლა პირნიც მხარს უჭერდნენ უსაფუძვლო ტრადიციას. მოსკოვში მწერალთა საკავშირო შეკრებაზე მოხსენებით გამოსული მაღალჩინოსანი რუსი პოეტი ქართულ პოეზიაში კინტოების გადაჭარბებულ ასახვას გამოხდდა და უმცროს ძმებს მოუწოდებდა, მოეშვით ძველი თბილისის უარყოფით პერსონაჟებს, თანამედროვეობას და ახალი ეპოქის გმირებს უგალობეთ, ახალგაზრდებსაც და ძველგაზრდებსაც ცხოვრების მაგალითადა ისინი დაუსახეთო.

კინტო სხვაა და ყარაჩოღელი სხვაო — შფოთავდა გასუსულ დარბაზში მჯდომი გრიშაშვილი, მაგრამ უფროს ძმას ხმამაღლა როგორ შეეპასუხებოდა, მართალი არა ხარო. გვერდით მყოფ კონსტანტინე გამსახურდიას ჩურჩულით გაუზიარა თავისი გულისტკივილი. იმანაც ჩურჩულითვე უპასუხა: კინტო და ყარაჩოღელი ჩემთვისაც ერთი და იგივე არისო.

ნეტავი ეს არ წამოსცდენოდა!

მაშ შენ ჩემი „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ არ წავიკითხავსო? — მწარედ აღმოხდა ძველი თბილისის ტრუბადურად ნოდებულ პოეტს. არაო, არ წამიკითხავსო, — აუღელვებლად და მედიდურად აუნყა გამსახურდიამ. გაგულისებულმა გრიშაშვილმა ნიშნისმოგებით მიუგო: მაშ თუ ეგრეა, მე შენი დავით აღმაშენებელი არ წამიკითხავსო. ხედავთ, თავისი ხელით გამოიჭრა ყელი და ქართული პროზის დიდოსტატმაც დაუყოვნებლივ მიახალა პირში: ეჰ, ჩემო სოსო, შენ თუ დავით აღმაშენებელსა და კინტოებს შორის განსხვავებას ვერ ამჩნევ, რა უნდა გელაპარაკო?!

კოლხური კოშკის ბინადარი, მართალია, ცამდე მართალი ბრძანდებოდა, თავისი პატარა სიმართლე ხარფუხელ ოსტატსაც ჰქონდა და ბრძოლის ველიდან სამარცხვინო გაქცევას არ აპირებდა. მაგრამ ვის დაკარგვიხარ! ქედმაღალმა კოლეგამ აღარ იკადრა ეგ ზომ ბალღურ პაექრობაში ჩაბმა, თორემ ეტყოდა პოეტი და მკვლევარი: ისტორიას ორივე ეპიტნავენა — სახელოვანი მეფეც და უსახელოდ

შთენილი კინტო თუ ყარაჩოლედი. თუკი წარსულის შეცნობა გნადია, ერთიც უნდა იცოდე და მეორეც. ისტორიისათვის შენი „დავით აღმაშენებელი“ და ჩემი „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ ტოლნი და სწორნი არიან, ბიბლიოთეკის თაროზე ერთიმეორის გვერდიგვერდ ეკუთვნით ყოფნაო. დასასრულ, სახელგანთქმული ბერძენი ბრძენის სიტყვებსაც დაიმონებდა: ისტორია იმის ისტორიაა, უფლისწულსაც გვაცნობდეს და მათხოვარსაცო.

არავინ, არავინ გამოქომაგებია ძველი თბილისის ტრუბადურს. კოლეგების გულგრილობით გაღიზიანებული გრიშაშვილი პესიმისტურად შენიშნავდა: „რა სამწუხაროა, რომ თბილისის წარსულზე უცხოელმა ორიენტალისტებმა უფრო მეტი იციან, ვიდრე ჩვენ, თბილისის შაერთი გამოზრდილებმა!“

ეგებ იმითლა ინუგეშებდა თავს, რომ სამეცნიერო კვლევა-ძიება მისთვის იყო ის, რასაც ევროპაში ეძახიან „ენგრის ვილინოს“ ანუ იმ გარემოებას, როცა XIX საუკუნის გამოჩენილი ფრანგი მხატვარი ჟან ოგიუსტ დომინიკ ენგრი დროდადრო ვილინოს დაკვრით იქცევდა თავს და მშვენივრადაც გამოსდიოდა.

ერთ კარგ რითმაში არ გავცვლი მე ამდენ გამოკვლევებსაო, — ლექსად აცხადებდა თავის შემოქმედებით მანიფესტს პოეტად დაბადებული იოსებ გრიშაშვილი. იგივე შეეძლო წარმოეთქვა გიორგი ლეონიძესაც, ასევე საუცხოო ლიტერატურულ-ისტორიული გამოკვლევების ავტორს. დიახ, უწინარეს ყოვლისა, ისინი პოეტები იყვნენ და ქართული კულტურის ისტორიაში სწორედ პოეტებად იხსენიებენ, თუმცა ქართველ მკვლევართა დასსაც ამშვენებს მათი სახელები.

იოსებ გრიშაშვილს ხალხიც აფასებდა და ხელისუფლებაც. ის იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახალხო პოეტი.

ერთხელაც იმ შავბნელი ეპოქისათვის ფრიად მნიშვნელოვანი პატივი დასდეს და 1946 წელს საბჭოეთის უმაღლესი საბჭოს (ასე ერქვა მაშინდელ პარლამენტს) დებუტატობის კანდიდატთან საზეიმო შეხვედრაზე სწორედ გრიშაშვილს მიანდვეს ლექსით შეგებებოდა ძვირფას სტუმარს. სიმებს ცეცხლი ეკიდება, ამ სიხარულს ნეტავ რა სჯობს, შენ საღამი, შენ დიდება, შენს ჩამოსვლას გაუმარჯოს! — ასე მიმართა ღვანდომოსილმა ქართველმა პოეტმა „ქართველი ხალხის საამაყო შვილად“ ნოდებულ კაცს, დღევანდელ რუსეთში „დიდებული მენეჯერი“ რომ შეარქვეს და ვინ იცის, ეგებ ხვალე წაგვართვან კიდევ და თავის საამაყო შვილად გამოაცხადონ.

იმხანად მოკავშირეთა მიერ ოკუპირებული გერმანიიდან ნეიტრალურ შვეიცარიაში გახიზნული გრიგოლ რობაქიძე ამუნათებდა გრიშაშვილს და მეტაფორებს უწუნებდა: ბერიას ბრძანებით მტკვარი აღმა არ წავაო. და-

ლოცვილს ისე უკვირდა ქართველი პოეტის მეხოტბეობა (ქართველი კაცის მისამართით!), თითქოს თავად უარესი ხოტბა არ შეუსხამს ჰიტლერისათვის (რომელსაც მარტოდენ ბებია ჰყავდა ქართველი — ჩვენებური ლეგენდის თანახმად). სწორედ ამგვარი თავგამოდების ნაყოფი იყო, რომ სწორუპოვარი ქართველი მწერალი და მოაზროვნე იძულებული გახდა, ერთი ემიგრაციიდან მეორე ემიგრაციაში გადაბარგებულიყო.

ერთი სიტყვით, ჩვენს დაუვიწყარ სოსოს საბჭოთა ჩინ-მენდლები არ აკლდა, მაგრამ იყო ერთი ჯილდო, რომელიც ყველა მწერალსა თუ მსახიობს, ფიზიკოსსა თუ ქიმიკოსს, ბალერინას თუ ბალერონს, ექიმსა თუ ინჟინერს — ყველას, ყველას, ყველას, ვინც კი თავისი შრომითი მიღწევებით საგრძნობლად გამოირჩეოდა სხვა მშრომელთაგან, ყველას ეოცნებებოდა და ეზმანებოდა დღისით თუ ღამით.

ეს იყო ჯილდო, რომელსაც დღევანდელ ენაზე სსრკ სახელმწიფო პრემიას უწოდებენ, თავის დროზე კი სტალინური პრემია ერქვა. როგორც დღეს ჩვენში ნობელის პრემიას ელტივან, იმ წყეულ წარსულში ასეთივე მაგნიტური მიზიდულობა ჰქონდა სტალინურ პრემიას, ოღონდ განსხვავება ისაა, რომ მაშინდელი ლტოლვა უფრო ნაყოფიერი გახლდათ. სტალინური პრემია ქართველ პოეტთაგან პირველმა გიორგი ლეონიძემ მიიღო 1941 წელს, მერე — სიმონ ჩიქოვანმა 1947 წელს (ამბობენ, გალაკტიონიც არ იტყოდა უარს და საამისოდ ძალიანაც ირჯებოდაო). რიგში

იოსებ გრიშაშვილი

აბაშიძენი იდგნენ, ერთმანეთზე უკეთესნი. პერსექუტივაში გრიშაშვილის სეხნია ყელყელაობდა, მკითხველებში პოპულარობას რომ ეცილებოდა უფროს იოსებს.

მაგრამ გრიშაშვილი ისეთი პოეტი იყო, რომ თვით გალაკტიონი, თვალშეუნვდენელი მწვერვალი ქართული პოეზიისა, ვიდრე გაგალაკტიონდებოდა, მოგესხნებათ, გრიშაშვილს ჰზაძავდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ — მისი გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. ეს ესახელებოდა გრიშაშვილს. უტყუარი გუმანით იყო დაჯილდოებული განგებისგან. თხუთმეტი წლის ყმანვილში მომავალი ცეკვის ჯადოქარი ვახტანგ ჭაბუკიანი რომ ამოიცირო, განა პოეზიაში უფრო არ გაუმართლებდა? ხმა სუფლიორი, თავის დროზე, რაღაცას ჩასწურჩულებდა და აუხდა წინათგონობა, აუხდა! გალაკტიონმა საკმაოდ მალე მოიხადა საყმანვილო სენი. ყელში უკვე ულიტინებდა საკუთარი ხმა და მერე როგორი ხმა!

ხოლო ქართველ მკითხველთა ფართო წრისათვის, კარგახანს, ყველაზე საყვარელ პოეტად მაინც გრიშაშვილი რჩებოდა. ძვირფასი ამანათივით ხელიდან ხელში გადადიოდა და გადმოდიოდა სოსოსეული მარგალიტები: რა კარგი ხარ, რა კარგი! შუშპარა და მქექვარე, როცა მოკვ-



ვდე გენაცვა, ძეგლად გადამეფარე... მითხარ, მითხარ, ეგრე მალე, ვარდო, ფერი რად იცვალე?! ... ჩავაქრე სანთელი, ოთახში ბნელოდა და გული დაგული გელოდა, გელოდა!

კითხვით ხომ ტკბილად კითხულობდნენ და ბევრითად იზეპირებდნენ, მუსიკაც რომ კარგად ესადაგებოდა! ლექსად მკითხველს ეამებოდა და სიმღერად — მსმენელს.

არავის უზიარებდა თავის იდეალს გულისნადებს. არავის შესჩიოდა, მაგრამ ისედაც ხვდებოდნენ, რა ნესტ-რით იყო ნაჩხვლეთი. რა საიდუმლო ეგ იყო, რომ ვერ მიმხვდარიყვნენ. რა მიხვედრა მაგას უნდოდა!

ზოგი ერთგვარ თანაგრძნობას უცხადებდა, ზოგიც კოლეგებს უქილიკებდა. რეფრენი ასეთი ჰქონდათ — სად შენი და სად იმათი ლექსები... უტიფრად ქირქილებდნენ: მაგანის ლექსები რუსებმა თარგმნეს და ხელთ ბლოკის ლექსები შერჩათო. მეორესაც გადასწვდებოდნენ: მაგის ლექსებს რომ კითხულობ, ცხვირში ხაშისა და ხაშლამის ოხშივარი გეცემო. მესამეს ვილა დაინდობდა, უდიერად უბნობდნენ: გული როდი კარნახობს ლექსებს, ცარიელი ტვინის ჩყლეტაა, ნაძალადევ და ნაწვალე სტრიქონებს ოფლის სურნელი ასდითო.

ვითომდა გული შესტკიოდათ, თანაგრძნობას უცხადებდნენ და ზოგჯერაც პირში მიახლიდნენ ხოლმე: ამას მისცეს, იმას მისცეს, ხვალე ამასაც მისცემენ და იმასაც, შენ რატომ არ გაძლევენ, მთავრობას თვალში ეპატარავებიო?

არაო, თავს ისაწყლებდა ჭეშმარიტად სახალხო პოეტი, მკითხველის სიყვარულით მთვრალი — მე როგორ მომცემენ პრემიას, ჩემი ლექსები კამერულ ლექსებად მონათლესო. სინანულით წარმოთქვამდა ლამის ნახევარი საუკუნის წინათ გულიდან ამოხეთქილ პიკანტურ სტრიქონებს, კინტოსაც რომ შეეფერებოდა და ყარაჩოღელსაც: ოქროს ფეხი, ოქროს ფეხი, ოქროს ფეხი ქალწულისა... ანდა: მკერდექვეშ გულის ნაცვლად შენი ოქროს ფეხი მისვენია... ან კიდევ უფრო ჟრუანტელის მომგვრელი, სატრფოს რომ ევედრებოდა: ოდეს მოვკვდე, ჩემს საფლავზე ძეგლად დადგი შენი ფეხიო...

ეს რა ეშმაკმა და ქაჯმა დამაწერიანა, ამაში პრემიას ვინ მომშავებსო? სად ეს ლექსები და სად სტალინური პრემიაო?!

არა, საპრემიო პოეზიას როდი გაურბოდა, იმ ასპარეზზეც იღვწოდა. აბა რა უნდა ექნა, თავისი ქვეყნის ღვიძლი შვილი იყო, თავისი დროის ერთგული მსახური და ერთი რუსი პოეტისა არ იყოს, მასაც შეეძლო ეკითხა მომავლის მსაჯულთათვის: აბა მითხარით ვინმე ისეთი, ვინც არ აქებდა, არ ადიდებდაო.

მაგრამ „დიდება ბელადს, ვინც კრემლის ცაზე“ იჩრდილებოდა იმ ძველისძველი, გაუხუნარი და დაუფინყარი „ოქროს ფეხით“ თუ „კოხტა და ფაქიზი ნარგიზით“.

მკითხველს დიასაც ისინი უფრო ახსოვდა, უფრო ეამებოდა, ნაზი და ზღვისფერი თვალები ერჩინა კრემლის ვარსკვლავებსა და რუსთავის ფოლადს.

თავად პოეტისთვისაც რომ გეკითხათ, ხვალ წარღვნა რომ დაატყდეს ქვეყნიერებას, რომელ ლექსებს გადაარჩენდი — პრერევიოლუციურს თუ პოსტრევიოლუციურსო, ალბათ, პირველს ამჯობინებდა. იმ პირველ ეტაპზე უფრო ორიგინალურიც იყო, არავის არ ჰგავდა. მომდევნო ეტაპ-

ზე კი სხვებთან მსგავსებას ძნელად გაექცეოდა კაცი. „დიდება ბელადს, ვინც კრემლის ცაზე“ — ამას და ამგვარს სხვებიც წერდნენ, არანაკლები ალტაცებით და წარმატებით.

განა რა არის დასაძრახი იმაში, რომ სწყუროდა ჯილდო. ენადა, რომ დაეფასებინათ მისი ნიჭი და გარჯა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ნეტა რა გასაკვირია! აგერ, თვით ბორის პასტერნაკი, „რუსული პოეზიის სინდისად“ ნოდებულები კაცი, მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული შემოქმედი, მომავალი ლაურეატი ნობელის პრემიისა, გულნატკენი შესჩიოდა ბობოლა პარტფუნქციონერს, დაჯილდოებულთა ასაკიან სიაში რაღა მე გამომტოვეთო? უფრო მეტიც — მოურიდებლად ემუქრებოდა: უზენაეს ქურუმთან ხომ არ გიჩივლოო?! (საქმე ის გახლავთ, რომ ეს ხდება 1939 წელს, როდესაც ჯერ არ დაბადებულიყო სტალინური პრემია და ორდენი უპირველეს პატივად ითვლებოდა).

დღენიადაგ ჩასჩინებდნენ გრიშაშვილს: პრემიას რატომ არ გაძლევენ, როცა მთელ ქვეყანას უყვარხარო. ჰოდა, აეკვიტა ეს გამოთქმა, ძვალ-რბილში გაუჯდა. ძალზე ბევრს იტყვდა იგი — მარტივი, უბრალო, გაზაფხულივით ნრფელი და ზაფხულივით მწველი.

თვალწინ წარმოესახა პატარა გორელი ბიჭები, ჩვენი უკვდავი „დედა-ენა“ რომ ჰქონდათ გაჩრილი ქამარში და ლიხაზვიდან მონაბერი ნიავი შუბლზე ელამუნებოდათ. ისიც ასეთი იქნებოდა მაშინ, ვერავინ იტყოდა, ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, რომ მშობელი დედის ერთადერთი ნუგეში და იმედი ასე შორს გაფრინდებოდა.

და გაჩნდა პოეტის გულში მომხიბლავი სიუჟეტი, თუ როგორ ეხმიანებოდნენ პატარა გორელი გოგო-ბიჭები იმ კაცს, ოდესღაც პატარა გორელი ბიჭი რომ იყო და მერე ლექსიც დაინერა: „მთელ ქვეყანას უყვარხარ... ჩვენ სად უნდა გეძიოთ?! რა იქნება, ძვირფასო, ერთხელ გორსაც ენვიო. ნუთუ არ გენატრება ის ადგილი, ის მხარე, სადაც ფეხი აიდგი, სადაც გულით იხარე?“

ვინ წარმოიდგენდა, რომ ქალწულის ოქროს ფეხისა და ბროლივით გულმკერდის თავგადაკლული ტრფიალი ოდესმე ამგვარ ლექსს დაწერდა?!

„დიდ სტალინს პატარა გორელებისგან“, — ასე მოხდენილად დაარქვა ამ ლექსს და თარიღიც მიაწერა: 1945 წლის 21 დეკემბერი. დაბადების დღე მიულოცა ომგადახდილს.

ამ ერთი ლექსით ყველას გაასწრო, ყველას აჯობა, ჩინიანთაც და უჩინოთაც. ბოლოს და ბოლოს, საცა სამართალია, მარტო ამ ლექსში ეკუთვნოდა სტალინური პრემია.

მოსახდენიც მალე მოხდა.

სახელოვან ქართველ კინორეჟისორს მიხეილ ჭიაურელს მართლაც რომ ჩეჩივით ჰქონდა მოვალთათვის სანატრელი და საოცნებო, მრავალთათვის მიუწვდომელი სტალინური პრემია. იმხანად უკვე ხუთგზის ლაურეატი გახლდათ და მეექვსეც, რა დასამალია, უკვე ჯიბეში ეგულეობდა — გრანდიოზულ „ბერლინის დაცემას“ იღებდა და ბერლინის ამღებს ვინ დაუჭერდა ჯილდოს? (კონსტანტინ სიმონოვს უნდა დავენიო და მერე გაუხსნრო კიდევაცო. დაწვით კი დაენია, ბერლინი რომ აიღო, მაგრამ გასწრება ვინ დააცალა! საბედისწერო 1953 წელს ბელადის

მაჯისცემასთან ერთად შეწყდა მისი საკავშირო კარიერაც. შერისხეს სტალინის უზომო სიყვარულის გამო და სვერდლოვსკის დოკუმენტურ ფილმთა სტუდიაში უკრეს თავი რეჟისორის ასისტენტად!).

ჭიაურელს არაერთხელ მოსჩვენებია ძველი ძმაკაცის უთქმელი ამონაკენისი: აბა მე ვინ მაღირსებს მაგ მაღალ ჯილდოს, ძველი თბილისის ტრუბადური შემარქვეს, თუმცა ხომ დავწერე — ძველი თბილისო, გტოვებ, ნახვამდის-მეთქი.

ერთხელაც, ერთ მშვენიერ დღეს, ჭიაურელი სწორედ „ბერლინის დაცემის“ სცენართან დაკავშირებით ეთათბირებოდა სტალინს (ახლანდელი გამოთქმით — ფილმის პროდიუსერს) და ხელსაყრელ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა?!

აი, რას ვკითხულობთ მიხეილ ჭიაურელის გამოუქვეყნებელ მოგონებებში (სტილი დაცულია):

„ერთ დიდ საქმეში მომიხდა დახმარება ჩემი სოსოსი და მის წინაშე მე პირნათლად ვარ. ბევრმა კარგად იცის, რომ ვიყავი სტალინის პრემიის კომიტეტში. სოსო იყო წარმოდგენილი საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ სტალინის პრემიაზე. ოპოზიცია დიდი ჰყავდა ხელმძღვანელობაშიც. მიაჩნდათ, რომ ის არის პოეტი-აშიკი, რომ ის უფრო ლამაზ ქალებზე სწერდა ლექსებს. მეც ვხედავ, რომ აბრკოლებენ ამ კაცს. მე მქონდა შემთხვევა, მელაპარაკნა მთავარმმართველთან ჩვენი ქვეყნისა. შევხვდი და ძალიან სამწუხაროა-მეთქი, რომ აი ამ პოეტს გრიშაშვილს არ უჭერენ-მეთქი მხარსა. — ჰო, კაცო, წარმოიდგინე შენ, რომ მე დავინტერესდი და ასეა ესო. მაგისი „თბილისის ბოგემა“ ნავიკითხე და მომეწონაო. თურმე საოცრად მოსწონებია ეს პოემა. მაშინ მახლობლად ჰყავდა მეგობარი, თანამებრძოლი აბელ ენუქიძე. უცნაური ბრძოლა იცოდა ამ ცხოვრებულმა კაცმა: — ნავიკითხე, აბელ, შენო? — ნავიკითხეო. — შენ არ მიაქციე ყურადღება, იქ რომ განსხვავებაა კინტოსა და ყარაჩოლელს შორისო? — როგორ არ მივაქციეო. — ჰოდა, ჩემი შეხედულებით, შენ კინტო ხარ და ყარაჩოლელი მე ვარო. ვუამბე ეს სოსოსს. — აუ, შენ გენაცვალე, როგორმე ეს დაწერე ან სადმე თქვიო. რა თქმა უნდა, ახლა ვიძახი. მე არც ვაცეი, არც ვაცხელე და ზოგიერთი ლექსი ნავუკითხე მას“ (როგორ ფიქრობთ, პატარა გორელების შემონათვალს არ ნავუკითხავდა გულის გასახარებლად?).

ჭიაურელი, ჩანს, არ სცოდნია გრიშაშვილის ზემოხსენებული გამოკვლევა. აგერ ამბობს, სტალინს საოცრად მოსწონებია ეს პოემაო. პოეტად იცნობდა თავის ძველის-ძველ ძმაკაცს და სტალინმა „თბილისის ბოგემა“ რომ ახსენა, ჭიაურელმა იფიქრა, გრიშაშვილის რომელიღაც პოემას გულისხმობსო.

სტალინი, ალბათ, მიხვდებოდა ამას, მაგრამ თავის ფა-

ვორიტს ასე იოლად როდი გაიმეტებდა... ეტყოდა: ტიხონოვმა რომ არ იცის, სულაც არ მიკვირს. მაგას საქართველო, ეტყობა, მარტო ხვანჭკარა და ხაჭაპური ჰგონია, მაგრამ შენი მიკვირს და უფრო მეტად კიდევ ჩვენი კონიასი გამკვირვებია, მაგ დალოცვილსაც არა სცოდნია, კინტო ვინ არის და ყარაჩოლელი ვინაო.

თქვენ უსათუოდ იტყვით, საიდან უნდა სცოდნოდა სტალინს, საბჭოთა მწერალთა საკავშირო შეკრებაზე ტიხონოვმა ქართულ პოეზიას კინტოებით გატაცება რომ უსაყვედურა ანკი ის საიდანღა დაესიზმრებოდა, გრიშაშვილმა რომ შეიცხადა, მაგას კინტო და ყარაჩოლელი ერთმანეთში ერევა და მერე გამსახურდით ამ სიტყვა რომ მოუჭრა ალელვებულ პოეტს, კინტო და ყარაჩოლელი მეც ერთი და იგივე მგონია, შენი წიგნი კი არ წამიკითხავს, ვერ მოვიცალეო.

თქვენი გამკვირვებია! სტალინს რომ ზუსტად და სიტყვასიტყვით ეცოდინებოდა, ნებისმიერ შეკრებაზე რას ამბობდნენ, მწერლები იქნებოდნენ თუ კონდიტრები, აბა რა გასაკვირია?! განა ტყუილად ჰყავდა ამდენი შტატიანი თუ უშტატო მსტოვარი? როგორც ავი ენები ამბობენ, ისიც კი იცოდა, ქმარი ლოგინში რომელ უცხო ენაზე ეჭიკჭიკებოდა ცოლს ანუ რომელი იმპერიალისტური სახელმწიფოს ჯაშუში ბრძანდებოდა.

სტალინს რომ ნაკითხული ჰქონია მისი გამოკვლევა, ეს ფაქტი, იოსებ გრიშაშვილს, ალბათ, არანაკლებ ეამაყებოდა, ვიდრე სანუკვარი სტალინური პრემია, რომელიც 1950 წელს მიანიჭეს.

გული სიამით ევსებოდა, თავი სამოთხეში ეგონა. ღმერთო დიდებულო, ამას რას მოგესწაროო. იმ ზეკაცს, კრემლის ცაზე უკვდავ ვარსკვლავად რომ ბრწყინავს და ელავს, ვისაც ყველაფერი ეკითხება დედამინის ერთ მეექვსედზე და ყველაფერს კითხულობს, თურმე „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ ნავუკითხავს და კარგადაც ახსოვს (ლამის ოცი წლის შემდეგ!) — რა განსხვავებაა კინტოსა და ყარაჩოლელს შორისო (სხვათა შორის, სტალინის პირად ბიბლიოთეკაში ინახება კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებლის“ პირველი ტომი, გამოცემული თბილისში გაგანია 1942 წელს, რომელიც აჭრელებულია შენიშვნებით ქართულსა და რუსულ ენებზე).

გულში გულიანად ეცინებოდა გრიშაშვილს: აგერ, კონიამ თავად აღიარა, შენი ბოჰემა არა მაქვს ნაკითხულიო. გალაკტიონიც, ალბათ, იმავეს იტყოდა. გოგლაც, სიმონიც, ირაკლიც და გრიშაც... ამათ, ჩემმა სულიერმა ძმებმა ვერ მოიცალეს ჩემი წიგნის წასაკითხად და იმან, ყველაზე მოუცლელმა მოიცალაო.

უხაროდა, სულითა და გულით უხაროდა ეს დაუჯერებელი ზღაპარი. ათას საუცხოო რითმაშიც კი არ ვაცვლიდა ამ უხილავ ჯილდოს, ყველა პრემიას რომ სჯობდა —



მიხეილ ჭიაურელი

ბადრი გაგნიძე

„ყველასი მჯერა პირველ ტყუილამდე“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებულ მდგომარეობა?

— როდესაც სიკვდილიც სანატრელი გაგიხდება.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— „საქართველო უპირველეს ყოვლისა!“

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— აკეთო ის, რაც გიყვარს, ანუ შენი პროფესიით ირჩინო თავი.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ოტელო — „ოტელოდან“, დათა თუთაშხია — „დათა თუთაშხიდან“.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟი?

— ზეზვა და მზია, ჩვენი უძველესი წინაპრები. ჩემი აზრით ყოველ ქართულ (და არაქართულ) ოჯახში პირველი ჭიქით მათი სულის მოსახსენიებელი უნდა შეისვას (ფეხზე ადგომით).

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— კი, იყო! სახელს ვერ გაგიმხვლთ.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— არ ყოფილა! კარგად მახსოვს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— პრინციპულობას.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ბედნიერების განცდას იმით, რომ ქალია.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე მომხიბლავი?

— სიყვარული.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— ხატვა, ვალების გასტუმრება (როცა ვახერხებ, ძალიან ბედნიერი ვარ ხოლმე).

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

— არავინ!!! სანამ საკუთარ თავს კარგად არ გავიცნობ. იქნებ რა „საგანძურია დამარხული“ ჩემში?

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— ყველასი მჯერა პირველ ტყუილამდე.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— გულწრფელობა.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ალბათ ის, რომ თავი უნაკლო მგონია.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ბედნიერებაა, როცა სხვისი ბედნიერება შენი უბედურება არ არის.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— პარლამენტი ქუთაისში რომ გადააქვთ. კიდევ კარგი პრეზიდენტის რეზიდენცია მაინც გვრჩება თბილისელებს, თორემ ისიც რომ გადაეტანათ, მაგალითად ოზურგეთში, მერე გენახათ თქვენ!

— როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?

— ყველა ისეთია, როგორიც უნდა რომ იყოს.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— მე მხატვარი ვარ. აი მაგალითად, რას იტყოდა კომპოზიტორი კითხვაზე: თქვენი საყვარელი ნოტი? ან მწერალი შეკითხვაზე: რომელი ასო უფრო გიყვართ?

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— გვირილა. ჯერ ერთი — ლამაზია, მეორე — სამკურნალოა, და მთავარი, ის ერთადერთი ყვავილია, რომელიც შეუცდომლად გიპასუხებთ კითხვაზე: ვუყვარვარ? თუ არ ვუყვარვარ?

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ინდაური საცივში.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— სულხან-საბა.

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გალაკტიონი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— დეზდემონა — „ოტელოდან“, კიკუ — „დათა თუთაშხიდან“.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ლტოლვილები, რომლებიც გმირულად უძლებენ გარეულ თუ შინაურ მტრებს.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— მაია წყნეთელი, რომლის სკულპტურა „ამშვენებს ტრიუმფალურ თაღს“ წყნეთში.

— საყვარელი სახელები?

— ოჯახებს ნუ დამანგრევენებთ.


— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— ფასულობათა გადაფასებას, ანუ როცა თითქმის გავლილი გრიბი ისევ შემოგიბრუნდებათ უარესი ფორმით.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ეგ ის ბებიაქალია, რომელმაც ლენინის დედაც, ამშობიარა.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?



— მხოლოდ მხატვრულ ფილმებში, მაგალითად „სპარტაკი“.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— დადებითად ვაფასებ პარლამენტში „კოაბიტაციის“ ნიშნებს და იმედი მაქვს ვეტოს დაძლევის გარეშე, ალბათ შეძლებენ ჩვენი პარლამენტარები შეთანხმებას იმ პრობლემასთან დაკავშირებით, როგორც „ზუსუსებიანი“ პრეზერვატივებია.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— მუსიკალური. ძალზე მიმიძიმს უნიჭობა ამ სფეროში.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— ჯანმრთელი, მდიდარი და 105 წლისა.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— როგორც ამინდის პროგნოზი — ცვალებადი მოლ-რუბლულობა, უნალექოდ.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ყველანი ვცოდავთ! ერთი შეცდომა (გააჩნია) ყველას ეპატიება, მაგრამ მეთვრამეტე?!..

— თქვენი დევიზი?

— კბილი კბილის წილ! მიუხედავად იმისა, რომ სულ სამი კბილილა დამრჩა.

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ვინც მოვიდა გაუმარჯოს!!! ოღონდ... 46 წლის შემდეგ (რა თქმა უნდა, თუ ღმერთს არ მოებზრდება ჩემი ლოდინი და...).

ბამოხმასურება

იმა ყმისა სადაობა...

(სათაური მცირე პერიფრაზით და ნაგვიანავი ბამოხმასურება)

დამეთანხმებით, ყველა ღირებული მხატვრული ნაწარმოები იმ მიზნით იქმნება, რომ ადამიანის „ტვიხსა და გულს მოძრაობა მისცეს, ფეხი აადგმევიწოს“ (ილია). ყველაზე მეტად კი ეს „ვეფხისტყაოსანზე“ ითქმის, რომლისკენაც უნდა მივმართოთ „თვალი გულისა და ყური გულისა“ (ილია). წიგნზე, ამოუწურავი ფიქრისა და ინტერპრეტაციის საშუალებას რომ აძლევს მკითხველს. ამისთვის კი, პირველ რიგში, პოემის შინაარსში კარგად გარკვევა საჭირო. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ალექსანდრე ელერდაშვილის წერილის „იყო არაბეთს როსტევიან?“ („ჩვენი მწერლობა“, №12, 2012) ერთი ფრაგმენტი, რომელშიც ავტორი საუბრობს იმაზე, რომ ავთანდილი „ძალიან უცნაური „არაბია“. მომყავს ეს მონაკვეთი მთლიანად:

„ა) ავთანდილი გულანშაროსკენ რომ მიცურავს, მოგეხსენებათ, გზაში გადაეყრება ვაჭრებს, რომლებსაც დაეხმარება მეკობრეთაგან თავის დახსნაში. იმ ვაჭრებმა ავთანდილს თავი ასე გააცნეს

გარდახდა. ჰკადრეს: ჩვენ ვართ მობალდადენი ვაჭარნი, მაჰმადის სჯულის მჭირავნი, აროდეს გვისმან მაჭარნი“. (1040)

ბალდადელი ვაჭრები არ იცნობენ ავთანდილს, ესე იგი ავთანდილი არ არის ბალდადელი არაბი.

ბ) ეს ვაჭრები მოდიოდნენ ეგვიპტიდან.

თქვა: „ქარავანი ეგვიპტით გამოვემართეთ ერთა, ზღვასა შევედით ტვირთულნი ლართა მრავალ-ფერთა“. (1042)

ეგვიპტიდან ნამოსული ვაჭრები არ იცნობენ ავთანდილს, ესე იგი ავთანდილი არ არის ეგვიპტელი არაბი.

წერილის მოხმობილ ფრაგმენტში, კერძოდ, ბ) პუნქტში, დაშვებულია ფაქტობრივი უზუსტობა. ბალდადელი ვაჭრები, რომლებზეც ა) პუნქტშია საუბარი, სულაც არ მოდიან ეგვიპტიდან. ეგვიპტელი ვაჭრები ისინი არიან, რომლებიც უკვე შევიდნენ ზღვაში და მეკობრეებმა ყველა ამოხოცეს, მხოლოდ ერთი მათგანი გადარჩა სასწაულებრივად, ამიტომაც უკვირს: „კიდე ცოცხალ ვარ მე ბარე?!“

ავთანდილი ხვდება და ესაუბრება მხოლოდ ბალდადელ ვაჭრებს, რომლებიც მეკობრეების შიშით ზღვაში ვერ შესულან. ეგვიპტელ ვაჭრებთან კი არაბ რაინდს არ უსაუბრია. ბალდადელ ვაჭართა უზუსტესი, უსამი, უამბობს მათ შესახებ — თუ როგორ ნახეს ზღვის პირას „კაცი უსულოდ მდებარე“, რომელიც უსამს (და არა ავთანდილს) უყვება: „ქარავანი ეგვიპტით გამოვემართეთ ერთა“. სწორედ ეს ეგვიპტელი ვაჭრები შევიდნენ ზღვაში „ტვირთულნი ლართა მრავალ-ფერთა“, თორემ მობალდადენი ვაჭარნი“ ზღვის პირას დგანან და არ იციან, რა ქნან.

ვერცა ვდგათ, ვერცა წასრულვართ, ღონე ნაგვსვლია რჩომისა.

ასე რომ, ბალდადელი ვაჭრები სხვანი არიან, ეგვიპტელი — სხვანი. ამიტომ არასწორია ბ) პუნქტში გამოთქმული მოსაზრება, რომ „ეს ვაჭრები (ანუ ბალდადელი — ე.ბ.) მოდიოდნენ ეგვიპტიდან“. შესაბამისად, ბ) პუნქტის დასკვნაც — „ეგვიპტელი ვაჭრები არ იცნობენ ავთანდილს“ — მცდარია, რადგან მათ არაბი სპასპეტი საერთოდ არ უნახავთ.

P.S. არ ვიცი, ღირდა კი ამ ფაქტზე ყურადღების გამახვილება? უბრალოდ, როგორც მკითხველს, გული დამწყდა ასეთი აშკარა უზუსტობის გამო.

ეთერ ბერიაშვილი

ელგუჯა ბერძენიშვილი

ქმნილება

(მითუაა)

ასე, საჭრეთელს შეუძლია სულ სხვა მისნობა,
რომ ჩვენ სიცოცხლეს მიანიჭოს მარადისობა;
და როს სხეული ხრწნადობისთვის შეემზადება,
შენ, ქვადეცეული, გააგრძელებ დროში მგ ზავრობას
და ქმნილებაში ჩაძერწილი შენი ხატება
ჩვენს სიყვარულზე მოუყვება შთამომავლობას.

მიქელანჯელო ბუნაროტი. სონეტები.*

კვიპროსის ღვთაებრივი კუნძული, ზღვის ბნელ წიაღიდან რომ ამოზიდულა ღმერთების ნებით და თავისი უბადლო სიმშვენიერით ძალუქმად იზიდავს მოგზაურთა გულს, უხსოვარ დროიდან წმინდა ადგილად იყო მიჩნეული. ასე ითვლებოდა არა მხოლოდ მისი ზღაპრული სილამაზის და სიმდიდრისათვის, არამედ იმიტომ, რომ მის მახლობლად აბორგებულ ზღვის ტალღებიდან, ახლაც რომ აწყდება კლდოვან ნაპირებს, ოდესღაც ზღვის ქაფისაგან შობილა სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე.

იმ დიად წამიდან, როცა ტალღებით ზეატყორცნილმა, კრთომით აახილა თვალნი და იხილა მზით გაბრწყინებული ქვეყანა, იგემა გაჩენის მადლი და ზვირთებზე ნებიერად გადანოლილმა ღმილი შეაგება მზეს, სამყაროს მოეფინა სიყვარული! მოკვდავთა გულები აღივსნენ ნეტარებით და თვით უკვდავი ღმერთები დაემონნენ მკერდსავეს ქალღმერთის უძლეველ ნებას.

სიყვარულმა პირველად ამ მიწაზე დაადგა ფეხი. აქ დაინურა ოქროსფერი თმა ზღვით გამოსულმა და კეფაზე აიგრავნა მძიმე ნაწნავებად. ზღვიდან ამოჰყვა მას თვალების სილურჯე და მარადი მღელვარება. აი, ამ პირველქმნილ სიყვარულით კურთხეულ კუნძულზე ცხოვრობდა სახელოვანი მეფე და მოქანდაკე პიგმალიონი. იგი იყო არესისა და აპოლონის მსახური, ერთნაირად პატივს დებდა მხვილსა და საჭრეთელს, ომში შემმართველი და უშიშარი, ხელოვნებაში უბადლო ოსტატი.

თუმცა მოირების განჩინებით სამეფო გვირგვინი ედგა ჭაღარა თავზე, სვიანად განაგებდა კვიპროსს და — ღმერთების სწორად მიჩნეულს — სვებედნიერს უწოდებდა ერი, სახელოვანი მეფე პიგმალიონი ეულად გრძნობდა თავს. მარტოხელა იყო იგი, რამეთუ მეფე იყო, მარტოხელა იყო იგი, რამეთუ ხელოვანი იყო, თუ უბრალოდ ვიტყვით ამ ამაღლებულ სიტყვას, მარტოხელა იყო იგი, ისევე, როგორც ყველა, რამეთუ ადამიანი იყო. ქვეყნად არავინ გააჩნდა, მეუღლე მას არ ჰყავდა და არც მემკვიდრე რჩებოდა. ნუხდნენ კვიპროსელები, მათ საყვარელ მეფეს დედოფალი რომ არ უმშვენებდა მხარს და უძეოდ უნდა გადაგებულყო. წარჩინებულთა ასულნი ნატრობდნენ პიგმალიონთან სარეცლის გაზიარებას, მაგრამ პიგმალიონს ამის წარმოსახვაც კი ზარავდა. ქორწინებაზე რომ ჩამოუგდებდნენ სიტყვას, მეფე განრისხდებოდა, ქალის ხსენება არ უნდოდა, სძულდა ეს თმაგრძელი და ჭკუამოკლე არსებანი, ქა-

ლუნდაური შექმნილიყო. იმ ერთი საბედისწერო დღის შემდეგ, როცა ერთხელ სიყრმისას, დიონისოს დღესასწაულზე იხილა ამ „ცოდვის შვილთა უზნეობანი“ (როგორც გვამცნობს ოვიდიუსი), როცა თმაკულულა ასულნი შვებისა და თრობის ღმერთისა, ურცხვად სთავაზობდნენ თავიანთ ხორცსავეს სხეულებს და ღვინითა და ვნებით მთვრალნი მრუში სიცილ-ხარხარით მიაცილებდნენ მათ მკლავებიდან თავდახსნილსა, შემდრკალსა და შეშინებულს. ამის შემდეგ შეურაცხყოფილსა და დამცირებულს ქალებისაკენ აღარ გაუხედავს და სამუდამოდ შესძავებოდა მათი გასაგისი, თუმცა მარტოობით გულგასენილს ნიადაგ სწყუროდა სიყვარული. ის მუდამ ამაღლებულ, წმინდა სიყვარულს ელტვოდა, დიაცთათვის კი სულერთი იყო მონა თუ კეთილშობილი, ოღონდ დაეცხროთ თავიანთი მცხუნვარე ვნებანი. ერთ დღეს პიგმალიონი იმასაც მიხვდა, რომ რასაც იგი გულით დაეძებდა, ვერასოდეს ამქვეყნად ვერ ჰპოვებდა.

„რა უფერული და უხეშია ცხოვრება, — ფიქრობდა იგი, — რა მაღალია ხელოვნება, სადაც მეფობს მშვენიერება! რომელიც არსად ისე არ ცხადდება, როგორც მარმარილოში“.

ქანდაკება იყო მისი საყვარელი საქმე, ხელოვნების ყოველ დარგთა შორის ქანდაკებას ანიჭებდა პირველობას და ისე ღრმად ჩაძირულიყო შემოქმედებაში, ისე თავდავიწყებით შრომობდა შთაგონებული, რომ ქალებზე საფიქრალი დროც კი არ რჩებოდა. ყველაფერი ავიწყდებოდა, როცა გამოსაქანდაკებლად ლამაზ ტანს მოკრავდა თვალს, ანდა მარმარილოს ვეება ზოდს დაინახავდა. პიგმალიონი ჩაიკეტებოდა სახელოსნოში და აქანდაკებდა ჰელადის უკვდავ ღმერთებს, უწყვეტად გაისმოდა ჩაქურჩის კაკუნი, კვიპროსელები იტყოდნენ ხოლმე: „ჩვენი მეფე კვლავ აპოლონს ემსახურებაო“. მოქანდაკე გამუდმებით ებრძოდა მარმარილოს ლოდებს, ხოლო როცა სისხლისფერ ტოგას ააფრიალებდნენ ომის დაწყების ნიშნად, მოქანდაკე საჭრეთელს გვერდზე გადადებდა, მახვილს შემოირტყამდა და წარუძღვებოდა კვიპროსელებს მტერთან შესაბამელად. „ჩვენი მეფე კვლავ არესის მსახურია“, ყიოდნენ მებრძოლნი, როცა სამომად ამხედრებულ პიგმალიონს თვალს მოჰკრავდნენ.

კვიპროსელებს უყვარდათ თავიანთი მამაცი მეფე, მეფეც სიყვარულს მიაგებდა მათ, მაგრამ მისი სიყვარულის ჭკმარიტი საგანი მშვენიერება იყო.

* * *

ერთხელ პიგმალიონი სანაპიროზე განმარტოებით იჯდა. ვეება მენამული დისკო ტორტმანით ეშვებოდა ზღვაში, მას უყვარდა მზის ჩასვლის მზერა. ზღვა ღელავდა. აბორგებული ტალღები თეთრქაფიან ენებით ხარბად ლოშინდნენ კლდოვან ნაპირს და უკუქცეულნი რეცხდნენ ოქროსფერ ქვიშას. უეცრად პიგმალიონმა მისკენ მომავალი თეთრად შემოსილი ყმანვილი ქალები შენიშნა. ტალღები იშლეებოდა და, ქვიშას თხლად გაკრული, ფეხქვეშ ეფინებოდა გოგონებს, გაუხდელად ებანავათ და სველ ტანს მიკრული სამოსი ცხადად აჩენდა მათი სხეულის სილამაზეს. მოქანდაკე ხარბად შესცქეროდა მათ მოქნილ ტანებს, პიგმალიონმა თვალის ერთი შევლებით უმაღვე გამოარჩია მხიარულ გოგონებში ერთი ულამაზესი ქალწული, რომელსაც სისველით დამძიმებული ოქროსფერი ნაწნავები აევრავდა კეფაზე. ის სულ ბოლოს მიჰყვებოდა ტოლებს და როცა გაუსწორდა განმარტოებულ მოქანდაკეს, მომღიმარმა ქალმა გამოიხედა მისკენ ზღვისფერი თვალებით, პიგმალიონს

* იტალიურიდან თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

გული შეუქანდა, აი ის, ვისაც მთელი ცხოვრება დაეძებდა. მან იგრძნო მისი სხეულის სინაზე, წამით გაკრთა მოქანდაკის თვალთა წინაშე სამოსჩამოცილებული შიშველი ტანი. ჯერ არნახული მშვენიერება მიაბიჯებდა ოქროსფერ ჩარეცხილ ქვიშაზე. როცა ისინი თვალს მიეფარნენ, პიგმალიონი მუხლებზე დაეცა და ოქროსფერ ქვიშაზე აღბეჭდილ ნატერფალებს ემთხვია, ყოველ ნაბიჯს კოცნიდა ვით მშვენიერების ანაბეჭდებს.

ვინ იყო ეს თამამშვენიერი ქალწული? — მხოლოდ უკვდავი ქალღმერთი თუ იქნება ასეთი სრულქმნილი — ფიქრობდა პიგმალიონი. მოქანდაკეს აღედრა სურვილი ეს ქალწული გამოექანდაკებინა. ის აჩქარებული ნაბიჯებით გაუყვა ნავსაყუდელისაკენ, იმ დღეს პიგმალიონი როდოსიდან მარმარილოს ზოდს მოელოდა.

პიგმალიონმა ნააედრალ ზღვაში თეთრაფრიანი ხომალდი შენიშნა, ხომალდი მაგნოლიის გამლილ ყვავილს მიაგავდა. როდოსის მარმარილოს ზოდი, პიგმალიონს ზღვისპირა სახელოსნოში მიართვეს და, როცა ლოდი წამოაყენეს და პიგმალიონი მარტო დატოვეს, მოქანდაკე ფრთხილად მიუახლოვდა მარმარილოს ზოდს და დაეტოლა, მიეზმანა და გაიხარა, ლოდი და პიგმალიონი ტოლები აღმოჩნდნენ. ისიც, ვისი სუნთქვაც ესმოდა ლოდიდან, მისი ტოლი იქნება, მისი სწორფერი და, მან ხმამალა განაცხადა: თქვენ არ იცით, ამ ლოდიდან ვინ მოველინება ქვეყანას, ყველანი მუხლს მოიდრეკთ მისი მშვენიერების წინაშე.

პიგმალიონი შეუდგა ქმნილების გამოქანდაკებას, იგი დიდხანს აღარ დაუნახავთ კვიპროსელებს. საჭრეთელზე კვერის ცემის ხმა კი უწყვეტად გაისმოდა.

როგორც ზღვის აქაფებულ ტალღებს, კლდეებს რომ შეაწყდებიან და თეთრ შეფეხვად ცაში აჭრილნი ცვივიან დაბლა, ისე ცვიოდა როდოსის მარმარილოს ზოდს თეთრი ნაფშვენები და იატაკს ხმაურით ეფინებოდა. მკლავმაგარი მოქანდაკე მოუღლედა შრომობდა. აპოლონი იყო მისი ღმერთი, ის მიუძღოდა — ნათელი და მზიური, მუდამ ზომიერი, ჰელადის სულის მატარებელი, აპოლონს თუ არა სხვას ვის მიეკუთვნებოდა მოქანდაკე? იგი იყო ჰარმონიის მომნიჭებელი, მუდამ ნათელი და ფხიზელი და არა გაღეშილი როგორც დიონისე, რომელიც თაყვანს სცემდა მუსიკას და, უსაზომო შვებით შეპყრობილი, ხარვივით ბლაოდა ღვინისაგან ზღვარსგადასული.

მარმარილოს ზოდის სიღრმიდან მოესმოდა საწყალობელი ხმით ვედრება. ის ხმა საჭრეთელის წკრიალთან შე-

რული და ჩაქურის ცემასთან ერთად გაურკვევლად ისმოდა. ხმა შეეღას ითხოვდა, როცა მოქანდაკემ შემოაცილა ზოდს ზედმეტი მარმარილო, ხმა უფრო ახლოს და უფრო ხმამალა მოესმა ზოდის სიღრმიდან: „ამომიყვანე სამზეოზე, ჩემო შემოქმედო, ჩემო ღმერთო!“

პიგმალიონმა ნაპერწკლები გააყრევინა ქვას და ჩასძახა ლოდს: „ჩემი მარჯვენა იღვნის მშვენიერებისათვის. სულ მალე იხილავ ქვეყანას და ქვეყანა იხილავს ჯერ არნახულ მშვენიერებას“.

კვიპროსის მოველინა სასწაული. ეს იყო პიგმალიონის ქმნილება. ვით კვიპრიდა, თეთრქაფად ქცეულ ტალღებიდან ამომავალი, ისე იშვა იგი როდოსის ქათქათა მარმარილოდან. ქმნილებით აღტაცებულმა კვიპროსელებმა „მომლიმარი ქალწული“ შეარქვეს პიგმალიონის შედევრს. არცერთ ქანდაკებას არ მიუნიჭებია ასეთი სიხარული მოქანდაკისათვის.

კვიპროსელები უწყვეტად მოედინებოდნენ პიგმალიონის ქმნილების სანახავად. სახელოსნოში დაზგაზე იდგა ქანდაკება: ნორჩი ქალწული ნაზად მომლიმარი, თითქოს ეს-ესაა ამოსულიყო ზღვიდან. ტანს აკრული გამჭვირვალე სამოსი ხელშესახებად გამოეკვეთა ოსტატს, სიღბო და სითბო მიენიჭებინა ცივი ქვისათვის, ქანდაკება ყოველი მხრიდან ჰარმონიული იყო და ხილვისთანავე თვალში ეცემოდა მნახველს მისი მშვენიერება, რომელიც არსად ისე არ სახიერდება, როგორც ქანდაკების ხელოვნებაში. ქვაში ცოცხლობდა მომლიმარი ქალწული. მშვენიერების სამყოფელი მარმარილოა. პიგმალიონი თვალს ვერ წყვეტდა თავის ქმნილებას, რომელიც ცოცხალივით შეჰყვარებოდა.

კვიპროსში ხმა დავარდა: ჯერ არგაგონილი და ჯერ არსმენილი! კვიპროსელები ჩურჩულებდნენ გაუგონარ ამბავს, მწერელთ ტყვედ შექმნილა პიგმალიონი, საკუთარი ხელით გამოჩორკნილი მარმარილოს ქმნილება შეჰყვარებიაო. ეს ამბავი სასახლის მონებმა გამოიტანეს და ქვეყანას მოსდეს. ერთმა მონამ თქვა: „ჩემი ყურით გავიგონე და ჩემი თვალთ ვნახე, ქვის ქალს რომ ეფერებოდა და ეჩურჩულებოდა — მე უშენოდ ვერ ვიქნებო, და ქვითინებდა მეფე, მუხლებზე ეცემოდა და ფხეებს უკოცნიდა ქვის ქალს“. ყველამ ირწმუნა მეფის ერთგული მონის ეს უცნაური ნათქვამი.

პიგმალიონი კიდევ უფრო დამარტოხელდა, ის გამოუტყდა თავს, რომ მომლიმარი ქალწულის გარეშე ველარ



მხატვარი ზურაბ ნიყარაძე

იცოცხლებდა: „რას ვაქნევ ჩემს მეფობას, დიდებულებას, ოქროს გვირგვინს, სახელსა და დიდებას, თუ ჩემი მომლიმარი ქალწული გვერდით არ მეყოლება, იგი, ვისაც მთელი ცხოვრება დავეძებდი.“ — რა მშვენიერი ხარ, ნახად მომლიმარი, რატომ არ ამოიღებ ხმას, ო, როგორ მწყურია მომხვიო ეგ თეთრი მკლავი და მითხრა: მიყვარხარ, ჩემო შემქმნელო ღმერთო.

ქვის ქალი სდუმდა, მაგრამ პიგმალიონს ესმოდა მისი გულისცემა, მისი სუნთქვა. უძლეველ გრძნობით გულშემდრულმა მოქანდაკემ ერთხელ შესძახა ქალწულს, ხმა ამოიღო (ასე შესძახა სხვა დროში და სხვა ქვეყანაში სხვა მოქანდაკემ თავის სრულქმნილ ქმნილებას და ჩაქუჩი ესროლა, არა ქალწულს, არამედ მოხუცს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მშვენიერება ასაკით არ იზომება).

— შენ გარდა არავინ მყავს ქვეყანაზე, შენ ხარ ჩემი იმედი — ეწურჩულებოდა პიგმალიონი მდუმარე ქმნილებას, — ო, როგორ მინდა გავიგო შენი ხმა, ნეტა როგორი ხმა გაქვს? — ხშირად ესაუბრებოდა, სააღერსო სიტყვებს ეუბნებოდა, ხანდახან გაიჭრებოდა ველად მეფე პიგმალიონი, დაკრეფდა ყვავილებს, ფერხითი უფენდა „მომლიმარ ქალწულს“.

ლამაზ ყელიზე ზღვის ღრმის მძივი შეაბა. თავისი ხელით ასხმული, ზღვისპირად ქვიშაზე ტალღების გამოირიყული, მაგრამ ამო იყო მისი მოლოდინი. ქალწული სდუმდა. მხოლოდ ილიმოდა, თითქოს არსებობის საიდუმლოს მალავდა და არ აცხადებდა. ხანდახან ეს ღიმილი შეაკრთობდა ხოლმე. ეჩვენებოდა, რომ მომლიმარი ქალწული დასცინოდა. მაშინ პიგმალიონი ატირდებოდა ხოლმე და ევედრებოდა ქმნილებას, ხმა ამოეღო. „ღმერთებო, ეს რა ნამეკიდა, იქნებ ამისხნათ მშვენიერების დაფარული საიდუმლო“. ღმერთებიც სდუმდნენ, მაშინ პიგმალიონი ნატრობდა სიკვდილს, ბევრჯერ ნაიღო მარჯვენა მახვილისაკენ, მაგრამ ეცოდებოდა მომლიმარი ქალწული, მისი მართო დატოვება.

პიგმალიონის ქმნილების ამბავი მთელ ჰელადას მოეღო. მზისქვეშეთში არ შექმნილა მსგავსი რამ, არცერთ მოქანდაკეს არ გამოუქანდაკებია ასეთი სილამაზის სხეული, ჰელადის სხვადასხვა მხრიდან ჩამოსულნი მოხიბლულნი ბრუნდებოდნენ შინ. ქმნილების ხილვით გაბედნიერებულნი აქებდნენ და ადიდებდნენ პიგმალიონის გასაოცარ ოსტატობას.

ყველა, ვინც კი თვალს მოჰკრავდა ქმნილებას, აღტაცებული რჩებოდა და ხაროლად მისი ხილვით, მხოლოდ შემომემედი იყო სევდიანად. ველარ შორდებოდა თავის ქანდაკებას. დღისით იჯდა ქმნილების წინაშე და შესცქეროდა, ღამით კი სიზმრად ნახულობდა, სიზმარი ბედნიერებად ქცეოდა, მდუმარე ქალწული სიზმრად ამეტყველდებოდა ხოლმე, ეფერებოდა მოქანდაკეს და სასიყვარულო სიტყვებს ეწურჩულებოდა. ნამოიჭრებოდა გაღვიძებული პიგმალიონი, სიზმრად დანყებულ საუბარს აგრძელებდა ცხადში, მაგრამ ქალწული სდუმდა და მხოლოდ ილიმებოდა.

პიგმალიონი გრძნობდა, რომ მოირბოდა უჩვეულო ბედისწერას უმზადდებდნენ. შემკრთალი, შიშლეული მოქანდაკე ესიტყვებოდა თავის ქმნილებას: „აჰა სამზეოზე ხარ! მე გშობე შენ, მე გიხსენი ქვის სიმძიმისაგან, შენ მშვენიერი ხარ და როგორ იქნება არ მიყვარდე? მე ნამეკიდა სიყვარული, მაგრამ შენ უგრძნობელი ქვა ხარ, გულცივი, უკარება. შენ მხოლოდ სდუმხარ და ილიმი, მე კი ვგრძნობ შენს სისხლის ჩქეფას, შენი ნორჩი გულის ძკერას, რატომ ხარ ჩემგან

ასე შორს, როგორ მწყურია შენთან შერწყმა და თუნდაც ქვად ქცევა, რა მშვენიერი ხარ, ქვაში რომ ასეთი ცოცხალი ხარ, სიცოცხლეში რა იქნები?

ერთხელ პიგმალიონს ქანდაკების სანახავად სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტეც ესტუმრა. პიგმალიონს იმედი მოეცა. როცა ქალღმერთმა თვალი შეავლო ქანდაკებას და აღტაცებით აღმოხდა: „ჰოი, უკვდავო ღმერთებო, მოდი და იხილეთ, რა ძალი შესწევს მოკვდავთა მარჯვენას. ახლა მივხვდი, ხელოვანი რატომ უტოლებენ თავს უკვდავ ღმერთებს“. აფროდიტემ შეხედა მომლიმარ ქალწულს და სინანულით წარმოსთქვა: „ეს მშვენიერი ქალწული აქ უნდა იდგეს გაქვავებული და მინაზე ლალად დააბიჯებდეს ჯოჯოხეთიდან ამოსული პერსეფონე? შეხედეთ რა მომხიბლავად ილიმის, თითქოს ცოცხალია!“

პიგმალიონი დაემხო აფროდიტეს წინაშე და ათრთოლებული ხმით შეევედრა: კიპრიდა შთაბერე შენი უკვდავი სული და გამიცოცხლე ქმნილება, რომ ცოლად დავისვა. ო, კიპრიდა, შენზე ღრმად ვინ ჩანვდება კაცის გულს, სხვამ ვინ იცის სიყვარულის ტანჯვანი შენზე უკეთ: მე იგი მიყვარს, მე მას კვიპროსის დეოფლად ვაგხვდი, ოქროს გვირგვინს დავადგამ და მარად დავრჩებით შენი თაყვანისმცემელი და ჩვეთან ერთად მთელი კვიპროსი. ჰადესად ჩასვლა სანატრელი გამხდომია. მე შემეყვარა ჩემი ქმნილება, გვედრები, გამიცოცხლო იგი.

— ქვა გავაცოცხლო? — აღმოხდა აფროდიტეს.

— მარმარილო! — თქვა პიგმალიონმა.

— მე არასოდეს გამიგია ასეთი ამბავი — კაცს შეუყვარდეს ქვა. ასეთი რამ მხოლოდ მითებში თუ შეიძლება მოხდეს. ჩემი მოვალეობაა წყვილების გულთა ანთება, სიყვარულის გაღვივება. მე ქვას პირველად ვხვდები. მე შემძრა ქანდაკების მშვენიერებამ, მე მესმის შენი, პიგმალიონ, შენ კი არადა, მეც აღმეძრა ნყურვილი, ვიხილო ცოცხლად მისი ნაზი ღიმილი.

— ო, კიპრიდა, ვის გმორჩილებენ უმძლავრესი ღმერთებიც კი, შემომხედე მე, კვიპროსის მეფეს, შენც ხომ კვიპროსელი ხარ, შემიბრაღე, ძლიერია შენი ცეცხლოვანი ვნება, ის ქვასაც კი გავაცოცხლებს.

აფროდიტემ დახედა მის ფერხითი გართხმულ ჭლარა პიგმალიონს, შეებრაღა იგი და უთხრა: პიგმალიონ, სულ მალე გაცოცხლებული ქმნილება ხელს გამოგინვდის!

აფროდიტე თვალს მიეფარა თუ არა, პიგმალიონი ოქრომჭედელთან გავარდა და შეიძინა უძვირფასესი კამეა, რომელზედაც გამოსახული იყო ქაფისაგან შექმნილი ქალღმერთი, ის ნიჭარაზე იდგა და ტალღები ხმელეთისაკენ მიაცურებდნენ. პიგმალიონმა სანიშნე ბეჭედი სათუთად შეინახა ტოგის ჯიბეში და შინისაკენ ნაბიჯს აუჩქარა. „მე მინდა მის გაცოცხლებას დავესწრო, მინდა გავიგო, სად იწყება სიცოცხლე და როგორ გაცხადდება ის“.

იდგა პიგმალიონი თავისი ქმნილების წინაშე წითელი ვარდით ხელში და მოუთმენლად ელოდა მდუმარე ქალწულის გაცოცხლებას.

უცნაური პაემანი დაეთქვა განგებას. თვალწინ ედგა იგი, ვისაც ელოდა. ამ მოლოდინში გრძნობდა პიგმალიონი, რა მართო იყო ქვეყანაზე. ქალის მეტი რა იყო, ოღონდ კი მათ მხარეს მიეხედა. ვინ ეტყოდა უარს მეფეს? მაგრამ ისი-

ნი, ვინც პირველსავე ღამეს ურცხვად გაშიშვლდებიან ხოლმე და უცხო კაცის მკერდზე უდარდელად მიიძინებენ, პიგმალიონს სძულდა, დასანახად არ უნდოდა, ისინი მუდამ შიშს ჰგვირდნენ პიგმალიონის ნაზ სულს. ომში უაბჯროდ შესვლა ერჩივნა, მათ გვერდში ნოლას.

პიგმალიონისათვის ყოველი ქალი უზნეო იყო ბუნებით-ვე, მაგრამ იგი, ვისი მოლოდინით სული ელეოდა, არაბუნებრივი გახლდათ და ამიტომაც ზნეობრივი ქალი უნდა გაჩენილიყო. ის იყო არა მუცლით, არა ცხრა თვის ნეტარი მოლოდინის შემდგომად ნაშობი (რასაც ერთი ბნელი ღამის სიამტკბილი უდევს საფუძვლად), არამედ წმინდა ზეთაგონებითა და შემოქმედებითი ორსულობით ჩასახული და ნაშობი, რომელსაც ამაზრზენი კვილი და სისხლიანი ტანჯვა-ვაება როდი ახლავს, არამედ ფიქრი, სიჩუმესა და სიმარტოვეში ქმნადობა, ძიება და გამოკვეთა მშვენიერებისა საკუთარი მარჯვენით, იმ მარჯვენით, რომელსაც შეეძლო შეექმნა უნაზესი მომღიმარე ქალწული და ამავე დროს ფიცხელ ომში შუა გაეპო ცხენმხედარი.

ვისაც ელოდა, უნდა ყოფილიყო სწორედ ისეთი, როგორც მას სურდა, მთელი ცხოვრება რომ ოცნებობდა ისეთი ქალი. ერთგული და მისთვის თავგანწირული. ან სხვაგვარი როგორ იქნებოდა მისი ხელით გამოძერწილი? მოქანდაკე თვალს არ აშორებდა ქმნილებას, შიშობდა არ გამოპარვოდა გაცოცხლების წამი, რომელიც შესძრავდა ცივ ქვას.

* * *

როგორ იჩენდა ცივ ქვაში სიცოცხლე თავს? რა იყო ის, სიცოცხლის ნიშანი? მარმარილოს ქმნილება სიცოცხლის ნიშანყალს არ ავლენდა. პიგმალიონმა ფრთხილად მოისინჯა უბეში გადანახული ნიშნობის ბეჭედი, გული უცემდა მღელვარებით, ვარდი — განვდილი მკლავით — შორს ეჭირა, რათა ერთი ფურცელიც არ ჩამოვარდნილიყო. პიგმალიონი შესცქეროდა ქმნილებას და ფიქრობდა: განა როცა პირველად მოზილა თიხა, იცოდა, რომ ტალახისაგან მისი მეუღლე შეიქმნებოდა მისივე მარჯვენით? რა შეუცნობელია წუთისოფელი. პიგმალიონმა თავი დახარა და ვარდი დაყნოსა, მისი მეუღლის სურნელება ეცა, როცა თავი ასწია, შეკრთა, ქალწული მისკენ იმზირებოდა. პიგმალიონის თვალწინ ხდებოდა უცნაური ფერისცვალება, უჩინარი ფუნჯი ყოველ ნაკვთს ბუნებრივ ფერს ადებდა და ცხოველმყოფელი ფერთამეტყველებით აცოცხლებდა ქმნილებას. მაგრამ ის სდუმდა. ჯერ უძრავად იდგა. ჭეშმარიტ სიცოცხლისთვის საკმარისი არ იყო მხოლოდ ფორმა და ფერი. მამ რა იყო იგი? მოძრაობა? ხორცი? სული? პიგმალიონის გული გამალებით სცემდა იდუმალის გაცხადების მოლოდინში. ქალწულის მარმარილოს თეთრი ღანკები ვარდისფრად აყვავდა, მჩქეფარე სისხლი შხუილით მოაწყდა უფერულ ბაგეებს და აენტენებ ბრონეულის ყვავილისფრად პანია მომღიმარი ბაგეები, რომლებიც სულ მალე წარმოსთქვამდნენ სიტყვას. პიგმალიონმა იგრძნო, როგორ შევისო ქალის ტანი იდუმალი სასიცოცხლო წვენი, იხილა, როგორ აყვავდნენ უბინო, მკვრივი ძუძუთა კერტები ღვინისფრად, მოქანდაკე გრძნობდა ქალწულის სხეულის თრთოლვას და მარმარილოს სიღრმიდან ნორჩ გულისცემას, სისხლს ამოჰქონდა ლოდის სიღრმიდან ეს გულისცემა და ის ნაზად ფეთქავდა ქალწულის მომღიმარ ქორფა ბაგეებზე.

შორს აღარ იყო წამი, როცა სიცოცხლე თავის თავს გამყლავნებდა, ცხადს გახდიდა იმ შეუცნობელ საიდუმლოს, ალბათ რისთვისაც ვჩნდებით ქვეყანაზე.

უეცრად ქმნილება შეირხა, ქალწულმა წამნამები დააფახულა ზედიზედ და მრუმედ მოელვარე დიდრონი ზღვისფერი თვალეი მინათა პიგმალიონს, ასე უმზერდა მდუმარედ. „ვერ მცნობს“ — გაიფიქრა პიგმალიონმა და ცივმა ოფლმა დაასხა, „ვაითუ აგრერიგად შობილმა საერთოდ ვერ მიცნოს“ — გაიფიქრა შემკრთალმა, მაგრამ უმაღვე მიხვდა, რომ ახალშობილი ქალწული ჯერ კიდევ არ იყო გამორკვეული მარადიულ ძალისაგან, ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებულიყო გრძელი და ბუნდოვანი სიზმრიდან და ვერ მიმხვდარიყო, მარადიულ უძრავ ყოფიდან მიწყვი მდინ დროში რომ ამოეყო თავი, მაგრამ მისი ნორჩი გული უკვე მიითვლიდა დასაზღვრულ დროის დინებას, მის უბინო გულში რომ დაძრულიყო — თავისი სიკვდილ-სიცოცხლით, ტანჯვა-წამებითა და სიხარულებით. მან არ იცოდა, რომ მზისქვეშეთში დაბადებული უკვე მოკვდავი იყო და სიკვდილის ხელში გახლდათ. გაქვავებული იდგა პიგმალიონი გაცოცხლებული ქმნილების წინაშე. განვდილ მარჯვენაში შერჩენოდა ნითელი ვარდი. მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა და, როცა ქალწულის თვალთა ჭრილი ცრემლით აკამკამდა და წამნამებს გამოკიდული დიდრონი, გამჭვირვალე ცრემლები მოწყდნენ, პიგმალიონი წამით ჩასწვდა სიცოცხლის არსს, ცხოვრების დაფარულ საიდუმლოს, ცხელ ცრემლში იყო ის მოქცეული და შემოქმედის გული ალივსო კიდემდის სიყვარულით. ქალმა ნაზად გაუღიმა.

მომხიბლავი სინაზით გამოუწონდა თეთრი ხელი, პიგმალიონმა ნიშნობის ბეჭედი ჩამოაცვა თითზე და გულში უწონდა გალათეა.

„ჩემო ძვირფასო გალათეა, ამოილე ხმა, რატომ დადუმებულხარ? მე მინდა გავიგონო როგორი ხმა გაქვს. თქვი რომ გიყვარვარ, თქვი: „მე შენ მიყვარხარ, ჩემო შემქმნელო, თქვი, ნუ დუმხარ, აბა, გაიმეორე! მე შენ მიყვარხარ“.

— მშია! — წამოიძახა უსუსური, ბავშვური ხმით ქალწულმა. დაფრთხა პიგმალიონი, ამაზე არასოდეს უფიქრია. აკანკალბულ ხელით ვარდი გაუწონდა, გალათეამ გამოსტაცა ვარდი ხელიდან და შავ თმაში ჩაიმაგრა. ფეხი გადადგა თუ არა იატაკზე, უეცრად შეკვივლა და იქვე ჩაიკეცა. მიეჭრა პიგმალიონი: რა დაგემართა ჩემო ძვირფასო...

— როგორ შეიძლება ასეთ ჭუჭყში ცხოვრება? — თქვა წკრიალა ხმით გალათეამ და თეთრი ფეხი გაუშვირა მის წინ ჩაჩოქილ პიგმალიონს.

როცა პიგმალიონმა შიშველი ფეხისგულიდან ფრთხილად ამოაძრო მარმარილოს ნეტიანი ნატეხი და ვარდისფერი ტერფიდან ალისფერმა სისხლმა გამოყოხა, პიგმალიონი სამუდამოდ დარწმუნდა, რომ მის გვერდით სისხლით და ხორცით სავსე ქალი იდგა და მას ეკუთვნოდა. პიგმალიონმა მიიზიდა გალათეას სათუთი სხეული (ოდესღაც მის მიერ გამოძერწილი) და ყურში ჩაესმა ტკბილი ჩურჩულით ნათქვამი: „მე შენ მიყვარხარ, ჩემო შემოქმედო!“ ისინი, ერთმანეთს მიკრულნი, ია-ვარდით მოფენილ სარეცელისაკენ წავიდნენ.

* * *

აქ მთავრდება, უფრო სწორად, აქ ამთავრებენ ძველი ბერძნები პიგმალიონის გასაოცარ ამბავს, ისინი ია-ვარდით მორთულ სარეცელზე მიატოვებენ შეყვარებულებს, ალბათ ნეტარი სიამტკბილობა რომ არ დაურღვიონ და თხრობას

წერტილს დაუსვამენ. ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით და თბობას განვაგრძობთ, პირველი ღამის შემდეგ იწყება ნამდვილი ცხოვრება, რაც ჩვენი თბობის საგანს შეადგენს და რაზეც ძველი ბერძნები სიტყვას არ ძრავენ, არაფერს არ გვამცნობენ პიგმალიონისა და გალათეას მომავალზე, თუ რა თქმა უნდა, არ ვიგულისხმებთ ძუნუნ ცნობებს, ისიც ზოგადად ნათქვამს, ქორწინების შემდეგ ბედნიერად ცხოვრობდნენ სიკვდილამდე და მათი ცხოვრების გზა ია-ვარდით იყო მოფენილი, რაც ფრიად საეჭვოა და იქამდე სიმართლით მოთხრობილ ამბავს დამაჯერებლობას ართმევს.

ძველი ბერძნები მუდამ ამბალეებულსა და მშვენიერს ეტრფოდნენ, სინამდვილე კი მუდამ გვერდზე რჩებოდათ, ჩვენ კი სწორედ სინამდვილე გვანტერესებს, სახელოვანი მეფისა და მოქანდაკის სახის სისრულისათვის, რადგანაც მშვენიერება დღეს მკაცრმა სიმართლემ შეცვალა. ჩვენც მთელი სიმართლით მოვიყვებით პიგმალიონის ამბავს, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, ისე, როგორც მოხდა, ისე, როგორც იყო სინამდვილეში. დროის სიშორე ხელს ვერ შეგვიშლის, რადგან ძველი ბერძნები დიდად არ აქცევდნენ ყურადღებას ჟამის დინებას და, მუდამ ანმყოში მყოფნი, პინდარეს თქმისა არ იყოს, ყოველი ნუთის ამონურვით ტკბებოდნენ. ჩვენ სანინალმდეგო აზრი გვაქვს დროის შესახებ, მის უღმობელ მდინარებაზე, რასაც პიგმალიონის ქალარაც გვიდასტურებს, მაგრამ ახლა, ბერძენთა მსგავსად, ჩვენც ნუ მივაქცევთ ყურადღებას დროს და უხსოვარ ჟამს დაგდებულ სიტყვას მივუბრუნდეთ, მითუმეტეს, რომ არავითარი სხვაობა არ არსებობს და ვერავითარი დრო ვერ მეფობს, როცა ამბავი ეხება სიყვარულს, მშვენიერებას და, რაც მთავარია, ადამიანთა გულებს.

მას გავაგრძელოთ პიგმალიონისა და გალათეას სიყვარულის ამბავი.

* * *

მეფური ქორწილი გადაიხადა ხელმწიფემ. ზეიმობდა კვიპროსი. ერი ადიდებდა ღმერთებს, მეფე პიგმალიონს და მის მშვენიერ მეუღლეს, ბრწყინავდა ოქროსგვირგვინისა-ნი დედოფალი. მის მშვენიერებას შეტრფოდა მთელი კვიპროსი. დედოფალს ზაფრანისფერი პეპლოსი ემოსა, შავად მოელვარე თმაში ენთო ნითელი ვარდი.

ამბობდნენ, გორგონას ვინც თვალს მოჰკრავდა უმალ ქვად გადაიქცეოდა, ხოლო ვინც გალათეას შეხედავდა ზღვისფერ თვლებში, უმალვე გული შეეძვროდა და სიყვარული წაეკიდებოდა მის მჭვრეტელს.

ნეფე-დედოფალი სუფრის თავში ისხდნენ. სტუმრები სხვადასხვა ქვეყნიებიდან გაოცებულნი ამბობდნენ: რა დედამ შობა ასეთი სილამაზეო. პიგმალიონის გული სიამაყით ივსებოდა. „კურთხეულ იყოს ნეფე-დედოფალი!“ გაისმოდა ყოველის მხრიდან. გალათეამ გააოცა მექორწილენი თავისი არამინიერი სილამაზით, არაამქვეყნიური მშვენიერებით, ხმამაღლა გაიძახოდნენ: ნუთუ ეს ღვთაებრივი სილამაზის ქალი დედის საშოდან არის შობილი? კვიპროსელებმა უცნობ ქალღმერთად მიიღეს დედოფალი. ამ სილამაზის შექმნაში ღმერთების ხელი ურევიაო — ამაცობდა ამის გამგონე მოქანდაკე. განსაკუთრებით ქალის მკერდი და მკლავები მოსწონდათ. მართლაც გასაოცარი სილამაზისა იყო გალათეას თეთრი მკლავები და მკერდი, თითქოს როდოსის მარმარილოდან გამოკვეთილი.

გალათეა ყველას უღიმოდა, ხარობდა, ხალისიანად კისკისებდა, შეჰხაროდა ცასა და მიწას, ზღვასა და მზეს.

პიგმალიონი მოწყენით იყო. ნიავეით დაჰქროდა ჩურჩული სუფრაზე, ყველას გულით ეწადა გაეგოთ მეფის მოწყენილობის ამბავი. ღრმად ჩაფიქრებული მდუმარედ იჯდა და ჩასცქეროდა ღვინით სავსე თასს. პირქუში, მხრებანურული და მწუხარე.

გალათეას საპატივცემულოდ ცხენოსნობაში შეჯიბრი გაიმართა. გამოვიდნენ შიშველი, მოკლე ტოგებმოსხმული ჭაბუკები, ფიცხლად მოახტნენ უბელო ცხენებს და ველური ყიფინით მოსწყვიტეს ადგილიდან. ამ სანახაობით ალტაცებულ გალათეას ველარ აჩერებდნენ, ხტოდა, ტაშს უკრავდა, ყურისწამლებად წიოდა, როცა ცხენოსნები ჩამოიქროლებდნენ.

გამარჯვებულ მხედარს, გაოფილ თმახუჭუჭა ქერა ჭაბუკს, გალათეამ შეუშკო თავი დაფნის გვირგვინით და ოქროს თასით ღვინო მიართვა, როცა ჭაბუკმა თასი დაცალა და ცაში აისროლა დაცლილი სასმისი, გალათეამ მარჯვენა აუნია და წკრიალა ხმით ხმამაღლა განაცხადა: „ამ ჭაბუკის მკერდს ჭეშმარიტად ღირსია პიგმალიონის საჭრეთელის“ — ალტაცებულ გალათეას სიტყვა შეაწყდა, როცა მისი მზერა მეფის მწყრალ გამოხედვას გადააწყდა და შეკრთა.

— რაზედ მოგიწყენია, მეფეო? — ჰკითხა პიგმალიონს და გვერდით მიუჯდა. მეფემ უპასუხოდ დატოვა იგი, არც კი გაუგია ქალის შეკითხვა, მძიმე ფიქრებში ჩაძირულიყო, მწუხარება ჩაღვროდა ღრმად ჩამჯდარ მსხვილ თვლებში და მდუმარედ წრუპავდა ღვინოს ოქროს თასიდან.

— იმხიარულე, ჩემო გალათეა! — აღმოხდა პიგმალიონის, — ახლა ფერხისა გაიმართება, შენც ჩაერთე ფერხულში, იცეკვე და იმხიარულე! — მეფე გაოგნებული იჯდა და გასცქეროდა მზის ჩასვლას, — წაღი, გალათეა, გაისეირნე შენს მეგობრებთან ერთად, ნუ გაფიქრებს, რომ მოწყენილი ვარ, ეს შენ არ გეხება, ყველაფერში მე მიმიძღვის ბრალი.

— რა ბრალი? — ჰკითხა გალათეამ.

— აჰ, ჩემო გალათეა, შენ ვერასოდეს ვერ გაიგებ ჩემს ამბავს. თუ გინდა გამახარო, იგი ჰქმენ, რასაც გეუბნები.

დედოფალმა მოიხადა ოქროს გვირგვინი და რამდენიმე მეგობარ გოგონასთან ერთად შეერია ღვინით ახალისებულ ხალხს. მექორწილენი თასების აწვეით ხვდებოდნენ მოსეირნე დედოფალს, გალათეას ყურადღება მიიპყრო ხელოვანთა ჯგუფმა, ისინი გაცხარებული კამათობდნენ და ამ კამათში პიგმალიონიც ახსენეს, გალათეა ყვავილის სურნელოვან ბუჩქთან შედგა, ვითომ ყვავილებს ყნოსავდა, მაგრამ სინამდვილეში ყურს უგდებდა მოკამათეებს.

— მე ვიცი, რაც ანუხებს მეფეს, — ამბობდა ჩურჩულით ამფორების მომხატავი შემთვრალი მხატვარი, — გაცხადდა ის, რასაც პიგმალიონი სიამოვნებით დამალავდა, რომ შეეძლოს.

— რა არის იგი? — ეკითხებოდა მოხუცი მოქანდაკე.

— მე ვეუბნებოდი პიგმალიონს, შენს ქმნილებას ცალი ფეხი მოკლე აქვს-მეთქი. მას არ სჯეროდა ჩემი ნათქვამი და მიმტკიცებდა, ხელოვნების ქმნილებას ტკაველით ნუ ზომავო, ხელოვნება სხვაა და სინამდვილე სხვაო. ხელოვნების ქმნილებაში შეიძლება ეს დარღვევა სასარგებლოც კი იყოს ქმნილების ჰარმონიულობისთვისო, — უპასუხა მხატვარმა.

— კი მაგრამ, განა ჩვენს დედოფალს ჰარმონიულობა აკლია? — ჰკითხა მოხუცმა მოქანდაკემ.

— როცა ზის, მაშინ კი, მაგრამ როცა დადის, კოჭლობს და მიკვირს, როგორ ვერ შენიშნეთ მოქანდაკემ მისი ნაკლი, ამით რა უნდა ვიფიქროთ, თუ არა ის, რომ პიგმალიონი პროპორციებს ვერ ფლობს, აი მისი მწუხარების მიზეზი.

— მაგრამ შენი მწუხარების მიზეზია შური! — შემოსაბრა ყვავილის ბუჩქიდან გალათეამ, — ერთი შეხედვით, ვის უტოლებს თავს ეს ქოთნების მხატვარი. მე იმიტომ დავდევარ კოჭლობით, რომ წვეტიან მარმარილოს ნაფშხვენზე დავეკარი ფეხი. თუ გულით გსურთ დარწმუნდეთ ჩემს სიმართლეში, აჰა იხილეთ, — გალათეამ სწრაფად წაიძრო ფეხიდან სანდალი და აწეული ფეხი ზედ ცხვირწინ მიუტანა მხატვარს. კაბა დაცურდა და გამოჩნდა შიშველი ფეხი. მხატვარს ენა ჩაუვარდა და დადუმდა. ხოლო იქ მყოფთ ირწმუნეს გალათეას სიმართლე და ყველამ აღიარა მოქანდაკე მეფის გასაოცარი გრძნობა პროპორციისა.

გამოვიდნენ ველის ყვავილებით თავდამშვენებული ქალ-ვაჟნი. აწკრიალდა სალამური და აქუხდნენ დაფდაფები, მკლავები გადახვიეს ერთმანეთს მროკავებმა, მკერდგანიერმა ხუჭუჭა ჭაბუკმა, დაფინს გვირგვინით რომ ჰქონდა შუბლი დამშვენებული, ხელი სტაცა მაჯაში გალათეას და ფერხულში ჩააბა. აცეკვდნენ, აძღვრდნენ ნორჩები. ყველამ შენიშნა, რომ გალათეას თეთრი ხელი ცხენოსნობაში გამარჯვებულ ჭაბუკის მხარზე ედო და ჭაბუკს ზედმეტად ახლოს მიჰქონდა გალათეას სახესთან ხუჭუჭა თავი. მსუბუქად მიმოქროდა გალათეა, თმებაშლილი, მარწყვივით პანია პირს აბჩენდა და წკრიალა ხმით მხიარულად კისკისებდა.

მეფე ღვინით სავსე ოქროს თასს დასცქეროდა. იდაყვებით მაგიდას დაყრდნობილი, მხრებანურული, გაქვავებული იჯდა სუფრის თავს მარტო და ხანდახან დაღრეჯვით თავისთვის იცინოდა უხმოდ.

ფერხულში ჩაბმული გალათეა ნიავევით მიქროდა. თმას მიაფრიალებდა, მოკვდავთათვის ღმერთების წყალობას უტოლდებოდა გალათეას სურნელოვან ნაწნავთა სახეზე შეხება. ყველას გალათეას გვერდით უნდოდა ყოფნა, მასთან მკლავებგადაჭდობილი ცეკვა, ყველა მას უღიმოდა, შეფრფინვით შესცქეროდნენ ციდან ჩამოფრენილ მშვენიერებას. ახალისებული გალათეა უეცრად შეკრთებოდა, აშლილ თმას გაისწორებდა, წრეში ჩადგებოდა და მალულად გახედავდა მჭმუნვარე მეფეს.

ქორწილმა მთვარის ღამეში შეაღწია.

გალათეამ ოქროს გვირგვინი დაიდგა თავზე და პიგმალიონს შეევედრა:

— მეფეო, ნუ ხარ მონყენილი, დღეს მეშვიდე დღეა ჩემი გაჩენის დღიდან და შენ ერთხელ არ მომფერებიხარ!

მეფემ ამოიგმინა. აქ მოხდა მოულოდნელი და ზარდამცემი რამ, მეფემ დახრილი თავი ასწია, თითქოს საშინელ სიზმრიდან გამოფხიზლდაო — ყველაფერი ჩემი ბრალია! — აღმოხდა ხმამაღლა და აჰკრა ღვინით სავსე თასს ხელი. მთელს სუფრაზე გადააქცია ღვინო, თითქოს უეცრად შენიშნა, რომ ღვინოში შხამი ერია. მეფემ ქორწილი მიატოვა. მექორწილენი ხმაგაკმენდილნი მიაყოლებდნენ მზერას პირქუშ და წარბშეკრულ მეფე პიგმალიონს და ვედრებით შესცქეროდნენ გალათეას. წამოეწია მეფეს გალათეა. მხარზე შეახო თეთრი ხელი, შემობრუნდა მეფე, თითქოს ველარ სცნობდა ქალს, მერე თითქოს მიხვდა და გაახსენდაო, საჩვენებელი თითი ამოსდო ნიკაპქვეშ, თავი აუწია თმაჩამოშლილ გალათეას, ჩააშტერდა მთვარისაგან შუქ-

ნაკრთომ ლურჯ თვალეში და უეცრად საშინელი ხარხარით მოიშორა ქალი და ორივე ხელი ისეთი ძალით შემოიკრა თავში, ოქროს გვირგვინი უღრიალით გაგორდა მიწაზე.

* * *

მზემ განაახლა ტაძრის ფრონტონზე ღმერთებისა და ტიტანთა ომი. ჩვენც განვაახლოთ თხრობა და თვალი მივადევნოთ გულში იდუმალ ზრახვით და ხელში ვარდების თავიგულით ტაძრად მიმავალ პიგმალიონს.

ქორწილის მერე გაღიმებული მეფე აღარავის უნახავს, სფინქსის გამოცანად იქცა ქორწილში მეფის საქციელი. კაციშვილმა არ იცოდა, რა ნაეკიდა, ყველამ ახსოვდა ოქროს გვირგვინის უღრიალი. ნეტა რა შეჭირვებია მეფეს, აღარ უცინის პირი, ვაგლახად დაღრეჯილი დადის ზღვის პირას და თავისთავს ხმამაღლა ელაპარაკება, ეს საიდუმლო მხოლოდ მეფემ იცოდა, ის ჩვენ არ ვიცით, მაგრამ იმედია მალე შევიტყობთ, როცა ნანატრი შეხვედრა მოხდება ტაძარში, თუ რა თქმა უნდა უარს არ ეტყვის მიღებაზე აფროდიტე. აი, ნელა აუყვავა მარმარილოს კიბეებს და ბაქანზე შეჩერდა.

მის შესახვედრად გამოემართა შაოსანი ქურუმი ქალი. მცურავივით მოიკლაკნებოდა და მოსრიალებდა ფეხშიშველი მარმარილოს იატაკზე.

პიგმალიონმა შეხედა მის წინაშე გარინდებულ მისან ქალს. შავად შესუდრულიყო მისანი, შავი თმა შავი გველით გაეკრა და ზედ შუბლზე გამონასკული შავი უნასი თავადერილი ასისინებდა ორკაპ ენას. მისან ქალს სურს ფოთლებით შებურული კვერთხი ეკავა, ცალით ოქროსფერი შავად დაწინკლული პანთერას ბოკვერი. მისანმა ქალმა ჩურჩულით ჰკითხა გველის ენაზე, უნასმა ყურში ჩასჩურჩულა პასუხი. მისანმა შეიხსნა შუბლზე გამონასკული უნასი და შავი გველი ჩასრიალდა მის უბეში. ქალი გაქვავებული იდგა, ბნელი თვალეები უელვარებდა. მისანმა გადასცა პიგმალიონს გველის ნათქვამი: „აფროდიტე თანახმაა შეხვედრაზე, ქალღმერთი განრისხებულია“.

* * *

პიგმალიონი დაემხო აფროდიტეს წინაშე და სპილოსძვლის ტახტზე მჯდარ ქალღმერთს ფერხით ვარდების თავიგულით გაუფინა.

— ო, ღმერთებს შორის უმშვენიერესო, ჩვენო კიპრიდა...

— რა გნებავთ, — მრისხანედ შესძახა აფროდიტემ.

პიგმალიონს ელდა ეცა. მერე ძალი მოიკრიბა და ჰკითხა განრისხებულ აფროდიტეს: კიპრიდა, რით დავიმსახურე თქვენი მრისხანება?

— თუნდაც იმით, რომ უარყოფ სიყვარულს, მითხარი, პიგმალიონ, რას მაცოცხლებინებდი ქვის ქმნილებას, თუ ცოცხალს ახლოს არ გაეკარებოდი, ქალი გიზის მხესავით და მიტი რალა სათხოვარი გაქვს, რა მოხდა, რაშია საქმე, რატომ ტანჯავ ქალს?

— ყველაფერს წვრილად მოგახსენებთ, თუ მომისმენთ, სულ სხვაა ჩემი სათხოვარი, თქვენ არ იცით მთავარი!

— ვიცი, გალათეამ ყველაფერი მითხრა.

— როგორ? გალათეამ საიდან იცის, საიდან გაიგო, მე არავისთვის მითქვამს.

— ვის უნდა ეთქვა? თვითონ უკეთ არ იცის? — უპასუხა აფროდიტემ შემკრთალ პიგმალიონს.

— რა იცის ამ ნორჩმა არსებამ, მე ცივი ნიავს არ ვაკარებ და ბავშვით ვუვლი. მეტი რაღა უნდა გავეუკეთო.

— უნდა ასწავლო სიყვარული. შორით ბნელას სიხარული არ მოაქვს, მას შენგან აკლია ალერსი, სურს გვერდით მოგიწვეს და იგემოს შენი ალერსი, რაც ძალიან აკლია. პიგმალიონ! ახლოს მოიწი და ყური მათხოვე, რაღაც უნდა გკითხო. პიგმალიონი წამოდგა, მიუახლოვდა აფროდიტეს, ის გადმოიხარა სპილოსძვლის ტახტიდან და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა პიგმალიონს. — არა! იყვირა განწირული ხმით პიგმალიონმა — ეგ როგორ მოგივიდათ თავში, ეგ როგორ გაიფიქრეთ?

— მაშ სხვა რა უნდა მეფიქრა, სწორედ მაგაზე გიჩივის შენი მშვენიერი გალათეა.

— მშვენიერი იყო, ახლა ის მხოლოდ ქალია.

— და მერე როგორი ქალი! რატომ დადუმდი, პიგმალიონ, რა ენა ჩავივარდა, შენ კი არა, ოლიმპის ღმერთებსაც ემართებათ ეგ ამბავი. ეგ მე მკითხე. ნუ გეშინია, ასეთი მამაცი მეფე ომში, უძლური შექმნილხარ უნაზესი ქალწულის წინაშე, ნუ გრცხვენია (აი, განითლდი კიდევაც). ვის არ მოსვლია მარცხი, მერე ისეთ მგრძნობიარე კაცს, როგორიც შენ ხარ, ქვა რომ შეგიყვარდა სიგიჟემდე, და რა მოგივიდოდა, გაცოცხლებული მშვენიერების წინაშე?

— ოოოო, — ამოიგმინა მეფე პიგმალიონმა და მალულად მოინმინდა ცრემლი, — სულ სხვაა ჩემი სატკივარი, ყოველივეს წვრილად აგისხნით, თუ მომისმენთ.

— ბრძანეთ, — თქვა მთქნარებით აფროდიტემ და პიგმალიონმა მოუთხრო თავის გასაჭირი სიყვარულის ქალღმერთს.

— კიპრიდა, თქვენ გელაპარაკებათ არა კვიპროსის მეფე პიგმალიონი, არამედ მთელს ქვეყანაზე უბედური კაცი, რომელმაც დაკარგა უკვდავი ქმნილება და ამით მისივე უკვდავება. მე უდიდესი შეცდომა მომივიდა, როცა გთხოვე ქმნილების გაცოცხლება, სასწაული მოხდა, მაგრამ გაცოცხლებით მოკვდა ქმნილება, ის აღარ არის ისეთი მშვენიერებით მოსილი, როგორც როდოსის მარმარილოში. ის ახლა მხოლოდ ქალია.

— რას უნუნებ ამ ქალს, შენ გავიწყდება შენი ჭალარა, ის კი ქორფაა, ვით დილის ვარდი მზის სხივებით გაფურჩქნული.

— მე უკვდავი ვიყავი, როცა გვერდით მედგა უკვდავი ქმნილება, მე იგი უნდა მეჭვრიტა მხოლოდ, მე კი ჩვეულებრივი მოკვდავით ნავეპოტინე სიცოცხლეს, მეც მომინდა ადამიანური სითბო მარტოხელას, მომინდა მისი თეთრი, როდოსის მარმარის მკლავების მოხვევა სინამდვილეში, ო, რა ვიცოდი მაშინ, რომ ვიღუპებოდი. როცა ხელოვანი კაცად იქცევა, იქ ხელოვანს ბოლო ელება. მე ეს მომივიდა, მე კაცად ვიქეცი.

— მე კი მგონია, კაცობა დაკარგე, მაგრამ ნუ გეშინია, — ჩაიციინა აფროდიტემ

— შემობრალე, კიპრიდა, ეს რა დამემართა, დავიღუპე და გალათეაც დავღუპე. ჩემი ხელით შექმნილი მშვენიერება მოვსპე და ხელთ შემრჩა ქალი. სად ჩემი მშვენიერი ქმნილება და სად გაცოცხლებული.

— სად ცივი ქვა და სად ცეცხლად ქცეული სიყვარულის ვნება, — თქვა აფროდიტემ.

— ის ცივია ახლაც, — თქვა პიგმალიონმა.

აფროდიტე: „ნუ დავაგინწყდება მისი წარმომავლობა“.

პიგმალიონი: „თქვენ რომ ქვა გგონიათ მისი წარმომავლობა, სინამდვილეში ჩემი ნათელი გონებაა იგი“.

აფროდიტე: „ცივი გონება“.

პიგმალიონი: „მიუხედავად ცივი გონებისა, მე არ უნდა ნამკიდებოდა სიყვარული. ეს მოკვდავთა საქმეა. მე კი ხელოვანი ვარ“.

აფროდიტე: „და თავი უკვდავი გგონია?“

პიგმალიონი: „მე უკვდავი ვიყავი და იგი დავკარგე. და რისთვის? — რომ ხელთ შემრჩენოდა მოკვდავი ქალი?“

აფროდიტე: „რას უნუნებ ამ მშვენიერ ქალს? მიპასუხე!“

პიგმალიონი: „უპირველესად იმას, რომ მან დაკარგა მშვენიერება სიცოცხლით! ის აღარ არსებობს ჩემს თვალში.“

აფროდიტე: „დაბრმავებულხარ, საბრალო პიგმალიონ, ის წინა გყავს და ვერ ხედავ! მოკლედ, მითხარი რა გინდა, რისთვის შენუხებულხარ, ზეციურ სილამაზის ქალი გაჩუქე და კიდევ რა გაქვს სათხოვარი, უმადურო.“

პიგმალიონი: „დიახ, ის გაცოცხლდა, მოხდა სასწაული. ჩემს თვალში ის სიმახინჯედ იქცა.“

აფროდიტე: „მე მივხვდი, ხელოვანო, შენთვის სიცოცხლეს უცხო ხილია“.

პიგმალიონი: „სიცოცხლეს სხვაა და ხელოვნება სხვა. მშვენიერება ქვაში ცოცხლობდა. ჩემს გალათეას ორი ტოლი და მრგვალი ძუძუები მალლა აზიდული ედგა.“

— მარმარილო ხომ არ ჩამოეკიდება ტყელაპივით? ცოცხალ გალათეას კი ორივე ძუძუ გვერდზე აქვს გაბზეკილი. მისი ტანი? ო, რა მშვენიერი იყო ქმნილების ტანი, მისი მხრების დახრილობა, მისი სინორჩით აყვავებული მეკრდი, ფართე მუცელი, ო, რა მუცელი ჰქონდა ჩემს მარმარილოს ქალწულს, რა რბილად და შეუმჩნეველად გადადიოდა ერთმანეთში მუცლის კუნთები, ისეთი მომხიბლავი სინაზით, ისეთი ჰარმონიულობით, როგორც კითარაზე ალებული აკორდი, რომელიც თრთის და ცახცახებს მომხიბლავ ჰანგად გახშიანებული, რა ლამაზი იყო მისი ჭიპის ღრმული, რა რბილად ჩაზნექილი, სინამდვილეში კი გეგონება ჭიპლარი ტლანქად მიანყვიტეს ბებიაქალებმა და უხეიროდ გადანასკვეს. რომელი ერთი ვთქვა, რაც შეეხება ქალში ყველაზე საიდუმლო და უაღრესად ქალურ ნაკვთს, რომელსაც აქიმნი თქვენს სახელს უწოდებენ...
— მართლა? პირველად მესმის, არ ვიცოდი, რომელია ის! — ნამოიძახა გაოცებულმა აფროდიტემ და სინითლემ გადაკრა.

— ეს გახლავთ აფროდიტეს ბორცვად ნოდებული, ბოქვენის სიმფიზი. ესაა ულამაზესი ნაკვთი ქალის სხეულში.

— სად ჩემი, მე მიწოდდა მეთქვა, სად ჩემი ქმნილების-მეთქი და სად გაცოცხლებულის ლაჯვებში გამოჩრილი ბუჩქნარი, ჩიტის მიტოვებულ ბუდეს რომ მიაგავს. კიპრიდა, თქვენ ხომ ნახეთ ჩემი ქმნილება, ხომ გახსოვთ მომღიმარი ქალწულის სრიალა ზურგი, ლამაზი ღარი ზურგზე, გლუვი, აბა, ახლა აუსვით ხელი, ტანში ცივად გაცვრით, ისე მოსდებია ზურგს მკვახე ატამივით ბუსუსები. სად არის მშვენიერება როდოსის ქათქათა მარმარილოსი? სად დაიკარგა? სულ სხვაა მშვენიერების სამყარო და სულ სხვაა — სიცოცხლისა, უდიდესი შეცდომა უნდა გამოვასწოროთ, აი, ჩემი თხოვნა რა არის.

— მოქანდაკე, ნუთუ არ იცი, რამხელა მნიშვნელობა აქვს ხელოვნებაში მასალას? თქვენ, მოქანდაკეებს, მრავალფერი მასალა მოგეპოვებათ, გაქვთ როდოსის მარმარილო, პიროსის მარმარილო და სხვა ურიცხვი ჯგომის მარმარილო სხვა და სხვა კუნძულისა. მთელი ჰელადა მარმა-

რილოდაა ცქეული, თქვენ გაქვთ სპილოსძვალი, ბრინჯაო, ჩვენ, ღმერთებს კი, უბრალო მოკვდავთა შესაქმნელად ერთადერთი მასალის გარდა არაფერი გაგვაჩნია, ესაა ძვლები, სისხლი და ხორცი. სიცოცხლე ეს გახლავთ.

— სიცოცხლის მოთხოვნა შეცდომა იყო!

— შეცდომაა, რომ ქალწულს უყვავის ნორჩი მკერდი და ელის ხელის შეხებას, შეცდომა ისაა, ჩემო ხელოვანო, ცოცხალს რომ აქვავებთ და ამით კლავთ სიცოცხლეს, ესაა თქვენი ხელოვნება.

— ო, არა, — ნამოიძახა პიგმალიონმა, — ამაზე ვერ დაგეთანხმებით, მზისქვეშეთში ყველაფერს თავის ადგილი აქვს, ადამიანები მინაზე ცხოვრობენ, ცხოველები ტყეებში, ღმერთები ოლიმპოზე. ყველაფერს ცაში თუ ცის ქვეშ თავისი ადგილი აქვს მიკუთვნებული. მშვენიერებას, რომლის მსახურიც მე ვარ და უიმისოდ ამაოა ჩემი სიცოცხლე, თავისი სამყოფელი მოეპოვება ხელოვნებაში. მშვენიერებას რა უნდა სიცოცხლეში, რომ გადმოსულა ქვიდან და დააბიჯებს მინაზე. ის თავის სამშობლოს უნდა დაუბრუნდეს, რათა იცხოვროს თავისი ჭკმარიტი ცხოვრებით. ეს მარმარილო გახლავთ!

— ო, აფროდიტე! — ტირილი წასკდა პიგმალიონს. — ჩვენო კიბრიდა, მხოლოდ შენ შეგიძლია კვლავ მოახდინო სასწაული. შენ შთაბერე სული ქმნილებას და აქციე ხორციელ ქალად, შენვე უნდა გააქვავო იგი!

შეკრთა აფროდიტე და გაკვირვებულმა ჰკითხა მის წინაშე მუხლებზე მდგარ მეფეს: მომჩვენა თუ მართლა თქვი? შენ არ იყავი, ასე დაჩოქილი რომ მთხოვდი ამას წინათ, გამიცოცხლე ქვა, ცოლად მინდა დაეისვაო, ნუთუ მართალია ის, რაც მომესმა? ნუთუ შენმა ბაგეებმა წარმოთქვეს? შენ მოირებს შეუპყრიხარ და გონება აურევიათ შენთვის, იმდენს იზამ, ისე აჭიანურებ დროს და ალოდინებ გალათეას, სანამ ოლიმპოს არ მისწვდება მისი მშვენიერების ამბავი. არ შეიძლება ერთხელ მაინც არ ჩამოიქროლოს თავისი ფრთამაღლი ფეხებით ჰერმესმა და არ აიტანოს ოლიმპოში ქალის ენითუთქმელი სილამაზე. მაშინ, ვაი, საბრალო პიგმალიონ, შენ დაუდგები წინ სისხლიან არესს? ანდა შენ ჩამოიცილებ ცბიერ ჰერმესს? თუ გგონია, პიგმალიონ, არესის მერე, — თქვა სიცილით აფროდიტემ, — შენი გალათეა ახლოს გაგიკარებს? მაინც სხვა ძალა აქვს ღვთიურობას, გახსოვდეს.

— ამ საქმისათვის ღვთიურობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ფერიები ამბობენ, ასე უხვად რომ არიან ტყეებში დასახლებულნი და მწყემსის ბიჭებთან მეგობრობენ.

— რა ვქნა, პიგმალიონ აღარაფერი ეშველება ამ საქმეს, უნდა შეეგუოთ გარდუვალობას, როგორც სიკვდილს ეგუებით მოკვდავნი.

— ვერასოდეს სიკვდილს ვერ შევეგუები, მე უკვდავება მწყურია, აქედან ფეხს არ მოვიცილი, სანამ ჩემსას არ მივალწევ. მე, რომელმან შეექმენი უკვდავი ქმნილება, თქვენ გააცოცხლეთ ქვა და გაცოცხლებული ლალად დააბიჯებს მზის ქვეშ, ხარობს სიცოცხლეს და პეპლებს დასდევს ქალი, რომლის მსგავსიც არ შობილა ქვეყანაზე, იცოდე, კიპრიდა, მას ადვილად გავიმეტებ, ადვილად გავწირავ. ფეხით წავალ და ავალწევ ოლიმპოს, გამოვითხოვ ომის მრისხანე ღმერთს, თქვენს არესს, და მოვახსენებ: კვიპროსში დაიბადა ქალი, სწორფერი ომის ღმერთისა, შენია იგი, შენ გიცდის-მეთქი, ასე ვეტყვი.

აფროდიტე გველნაკბენივით წამოიჭრა სპილოსძვლის ტახტიდან განრისხებული, აქ პირველად გაიგონა პიგმალი-

ონმა ქალღმერთის ღვთიური კვილი, მეხის გავარდნას მიაგავდა. პიგმალიონს თავზარი დაეცა და დაემხო მის წინაშე.

— ცბიერო მოკვდავო, შენ ვერ გაბედავ მაგას, ან იქნებ არ გსმენია, რა ნაჰკიდა ძევსმა ერთ ჭაბუკს. ეს დიდი ხნის წინათ მოხდა:

ერთხელ, როდესაც ბუნების ნიაღში მე და არესი ვსიამოტკბილობდით, არესმა გუშაგად ერთი ყმანვილი დააყენა, რომ შეეტყობინებინა ჩვენთვის უცხოთ გამოჩენა. ხვევნაკონისას გონებას ვკარგავდით. ჭაბუკმა დაივიწყა თავისი მოვალეობა, არც ვამტყუნებ, იგი მოხიბლა ჩემი ტანის ჭვრეტით, თვალს ველარ წყვეტდა ჩვენს ალერსს და ვნებით დაბრმავებულმა ვერც კი შეატყო, როგორ ნაგვასწრეს და ნამოგვადგენ თაგზე. ძევსმა ჭაბუკი დასაჯა, მამლად აქცია და ის მთელი დღე და ღამე ყოვის, აფრთხილებს ყველას, მაგრამ უკვე გვიანაა. იცოდე, პიგმალიონ, უარესი დღე მოგელის, თუ ჩაიდენ მაგ სისულელეს და ენას კბილს არ დააჭერ, ნითელი ბიბილოთი დაგიმშვენებ თავს და იყივლე დილოდან სალამომდე, უხმე შენს დაკარგულ გალათეას, რას გაიგებს მარმარილოში ჩაკირული?

— ო, ნუ მაშინებ, კიპრიდა, რა შემაჩერებს, სიკვდილით მაშინებ? სიკვდილი ჩემთვის ხსნაა, ისეთ დღეში ვარ, დავკარგე უკვდავება... დავკარგე ქმნილება, ტანჯვით შექმნილი, განა სიკვდილით შემაშინებ, როცა უკვე მკვდარი ვარ?

— ო, მოკვდავთა ცბიერო მოდგამე! ყოველგვარ სისაძაგლეს უნდა ელოდონ ღმერთები თქვენგან, გინდ უბირი იყოს და გინდა მეფე. თქვი, პიგმალიონ, რა გსურს, რას მევედრები!

მუხლებზე მდგარი პიგმალიონი გაიმართა, ტაძარში დავანებულ სიჩუმეში გაისმა მისი თავზარდამცემი თხოვნა: მოკალი გალათეა, აქციე ქვად, — კვლავ გაისმა ქალღმერთის კვილი. განრისხებული წამოიჭრა, ფეხი ჰკრა ვარდების თაიგულს და ჭაღარა თავზე გადააყარა პიგმალიონს.

— ჰოი, ოლიმპოს ღმერთებო, — გაჰკიოდა ცისკენ ხელგანვდილი აფროდიტე, — ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა, ო, პიგმალიონ, შენ ყოფილხარ ქვა, ცივი ლოდი, გულქვა, ვის მოკვლას ითხოვ, მე, სიყვარულის ღმერთმა, მოვკლა ცინცხალი სიცოცხლე, ვისაც სიყვარულით სული შთაბერე და სიხარულით დააბიჯებს მინაზე? და მერე ვინ მთხოვს ამას, ვინც შექმნა ქვაში ულამაზესი ქალწული?

პიგმალიონი არ განძრეულა, ოდნავადაც არ შერხეულა, იდგა მუხლებზე გაქვავებული და უთხრა აფროდიტეს:

— გამიცოცხლე ჩემი გალათეა, ჩემი უკვდავი შედეგრი, ჩემი მომღმირი ქალწული. ნაიღეთ თქვენი სული და დამიბრუნეთ ჩემი უსულო ქმნილება, ნაიღეთ მისი სხეული და ხორცი და დამიბრუნეთ როდოსის მარმარილოდ გარდაქმნილი თავის ალაგას, სადაც ადგილია მშვენიერების. მშვენიერების საძირკველი სიკვდილი ყოფილა. მე ჩემი უკარებლობით შეეუწარჩუნე მომავალ ქმნილებას უბინოება და სინმინდე. აღარაფერი არ დაუშავდება, როცა იგი დაბრუნდება მარმარილოში, ერთი ნაკანრიც კი არ დაემჩნევა და ისეთივე იქნება, როგორიც იყო. ნაიყვანეთ ეგ ფერხორციანი, ლამაზი და დამიბრუნეთ მარმარილოს უკვდავი ქმნილება.

პიგმალიონი მის წინაშე მუხლებზე იდგა, ჭაღარა თავზე ვარდის კოკრებგადაფრქვეული, აფროდიტე ვერ აცხრობდა მრისხანებას და აძაგებდა მოკვდავთა მოდგმას: „არ არსებობს ადამიანზე ცბიერი არსება, თვით უკვდავი ღმერთებიც კი მათთან შედარებით გულუბრყვილო ბალები არიან. ბოროტების თესლი ღვივის თვითეულში. პანდორამ

ვერ დააკლო ვერაფერი და მე რას გავხდები. მე სიყვარული ვარ. ჩემი საქმეა წყვილთა გულების ანთება, შებინდებისას ხომ ხედავთ, როგორ ენთებიან ცაზე ვარსკვლავები — ეს მე ვარ, მე ყოველ ღამით ვანთებ სიყვარულის ცეცხლით ნორჩ გულებს, ახლა ამდენ დროს რომ ვხარჯავთ უნაყოფო ყბედობით, იქ უთვალავი გული მელოდება, მე ნაკვიდებ ხოლმე წყვილებს სიყვარულს, შენ კი, ხელოვანო, მხოლოდ შენ თავზე ფიქრობ — როგორ გახდება მოკვდავი უკვდავი, თუ მის გულში არ გიზგიზებს სიყვარულის უშრეტი ცეცხლი? ეჰ, პიგმალიონ, ბოლოს ყველაფერს მიხვდები და მე, სიყვარულის ქალღმერთი, გირჩევ, დაბრუნდი შინ და ვარდებით მოფენილ სარეცელზე მიუწევი შენს ულამაზეს გალათეას და გამოიყენე წუთისოფლის წამი.

— არა! — შესძახა პიგმალიონმა.

— მაშინ იყავი და უყურე შენს ქვაქცეულ გალათეას. იყოს ნება შენი, ის დაგიბრუნდება ისევ ისე უცვლელად, როგორიც იყო, ოღონდ გალათეა უნდა იყოს თანახმა.

პიგმალიონმა თვალეპში ცრემლი მოიწმინდა და ჩაილაპარაკა: „ის თანახმაა“. როცა ყვავილებით სავსე ჭადარა თავი ასწია, რათა მადლობა ეთქვა ქალღმერთისათვის, დანახა ცარიელი, მიტოვებული სპილოსძვლის ტახტი ნელა ირწეოდა: „ჰმ! გაპარულა ქაფისაგან შობილი ქარაფშუტა.“

* * *

ბინდმა გაყარა ტაძრის ფრონტონზე ღმერთებისა და ტიტანთა ომი.

პიგმალიონმა დატოვა ტაძარი. იგი გახარებული მიიქაროდა შინსაკენ.

გახარებული პიგმალიონი გარბოდა ქმნილების აღდგენის სანახავად. „ნაადი, შენი თვალით იხილე გალათეას სიკვდილი, აღარ დაგინახოს ჩემმა თვალებმა, აღარ გაბედო ჩემთან რაიმეს თხოვნა, თორემ იგემებ არესის მკვლავის ძალას შენს კისერზე! მე შენ შეგაჩვენე, არ არსებობს ამაზე სასტიკი სასჯელი, როცა საკუთარი თვალთი იხილავ საკუთარი ნანდაურის სიკვდილს“. ხმა ზეციდან თანდათანობით მიწყდა, ზეცის სიღრმეში ჩაიკარგა, მაგრამ პიგმალიონმა მაინც ასძახა ზეცაში აჭრილ აფროდიტეს; „კიბრიდა, შენი წყევლა ჩემთვის დალოცვაა“. პიგმალიონმა წაიქარა გალათეასთან შესახვედრად. ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა გახლდათ. ლელავდა პიგმალიონი, მას უნდა დაეყოლიებინა გალათეა უკვდავების დაბრუნებაზე, რაც გალათეას სიკვდილს მოასწავებდა. რომელი ნორჩი ქალწული დათანხმდებოდა სიკვდილს?

როცა აქლოშინებული პიგმალიონი შინ შევარდა, გალათეამ შეიკვლა. მონა ქალებმა, რომლებიც ნელსაცხებლით ზელდნენ გაშიშვლებულ გალათეას, მიატოვეს პირისპირ შეყრილნი და სასახლეც დატოვეს. — გალათეა! — გაისმა პიგმალიონის ათრთოლებული ხმა, — ჩემო საყვარელო გალათეა, გილოცავ უკვდავების მოპოვებას, მშვენიერების აღდგენას, ჩემს თავსაც ვულოცავ სახელის დაბრუნებას მშვენიერი ქმნილების აღდგენით. მეც აღვადგები, გალათეა! ჩვენ უკვდავი ვართ.

— მე არ მინდა უკვდავება! ერთი მზიანი დღე მიჩვენე ნია! მე სიცოცხლე მიყვარს, ვერ გამოვივა, ამ მშვენიერ წუთისოფელში კიდევ რა მშვენიერებას დაეძებთ.

— ეტყობა თავზე, საჭრელზე ჩაქურის ცემამ დადი დაგასვა, უკვირდები, რას ლაპარაკობ, გესმის, რაზე ამბობ უარს? შენ ხომ არ გავიწყდება, ვინ იყავი? — ჰკითხა პიგმალიონმა.

გალათეამ კითხვა შეუბრუნა: ვინ ვიყავი?

პიგმალიონმა მიუგო: ტალახი, თიხა, დინგელი, მარმარილო.

გალათეამ ამოიოხრა: ო, ნეტავ იმ დროს, არა მესმოდა სიყვარულისა.

— და შენ უკვდავი გაგხადე ჩემი მარჯვენით, მაგრამ შეცდომა მომივიდა პირწმინდად ადამიანური და შენი გაცოცხლება ვთხოვე აფროდიტეს.

— შენი შეცდომა შენვე გამოასწორე, რა გინდა ჩემგან!

— განა ამისთვის არ ვარ მოსული? უნდა მოვილაპარაკოთ, აფროდიტე თანახმაა, შენც უნდა შეიგნო, რომ ყველაფერი შენზეა დამოკიდებული, აფროდიტე თანახმაა თუ შენ იქნები თანახმა ჩემი თხოვნის აღსასრულებლად! მე ვუთხარი აფროდიტეს, რომ შენ თანახმა ხარ, და დამყაბულდა.

გალათეა დუმდა. პიგმალიონი განაგრძობდა: ჩემი შეცდომა მოკვდავის სისუსტეა, მაგრამ მოქანდაკეს სძლია მეფემ, მეც ხომ ადამიანი ვარ, ვეღარ გავუძეღ თეთრ მკვლავთა მშვენიერებას, ბედნიერად ვგრძნობდი თავს, როცა წარმოვიდგენდი, მკლავს რომ მხვევდი და მეუბნებოდი ჩურჩულით: „ჩემო შემქმნელო, ღმერთო, მე შენ მიყვარხარ“.

ამქვეყნად ვერანაირი ბედნიერება ვერ შეედრება იმ სიამოვნებას, რასაც შენი მარჯვენით შექმნილი ქმნილება მოგანიჭებს. მე ვიხარებ. კაცმა სძლია ხელოვანს და დაგულუპე შენც და ჩემი თავიც. საკუთარი ხელით მოვსპე უკვდავი ქმნილება და ჩვენ უკვდავების სანაცვლოდ მოვიპოვეთ წუთისოფელი, რომელიც წარმავალია და უხანო!

— ჰოი, რა მშვენიერია წუთისოფელი! მზე, მთვარე, ვარსკვლავებით, ჭიამაია, გვირილა, ყვითელი პეპელა, ფრთებს რომ აფახულებს ნახად, იცი ერთხელ რა მიჩურჩულა პეპელამ? ასე მითხრა: იციო, მე ერთი დღე ვცოცხლობო, თქვენთვის ის ერთი წამია, მაგრამ მე მყოფნის ეს ერთი დღე, რომ სიცოცხლით დავთვრეო. მანვე მიაშობო ვარდის ამბავი:

ვარდი მხოლოდ ერთხელ იფურჩქნება, როცა კოკორი გადაიშლება და დამათრობელ სურნელს აფრქვევს. მერე ჭკნება და კვდება, რადგანაც ვარდისთვის სურნელეება სიცოცხლის არსი, მოკვდავთათვის რა იქნება ის? ხომ არ შეიძლება კაცი იმისთვის ჩნდებოდეს, რომ მოკვდეს. მე მივაგენი პეპლის შეგონების იღუმალ შინაარსს, რომ ჩვენი სურნელეება სიყვარულია, სინორჩე და სიჭაბუკე, დანარჩენი ყველაფერი მოგონილია.

— პიგმალიონ, გთხოვ მაჩუქო ერთი მზიანი დღე წუთისოფლისა, ვიდრე სამუდამოდ დავტოვებდე მას, ნავალ, გამოვემშვიდობები სამზეოს.

„გაპარვას აპირებს“ — გაიფიქრა პიგმალიონმა და შეეცადა მთელი სიღრმით დაემტკიცებინა გალათეასთვის, რა ცრუ იყო წუთისოფელი და რა ამაღლებული და მშვენიერი ხელოვნების ქმნილება.

— მე ხომ უნდა ვიცოდე, რაში გჭირდება ერთი დღე. ვინ იცის, რა შეგემთხვეს, შეიძლება ფეხი წაიკრა და დაეცე, რაიმე დაიზიანო, ხომ დაემჩნევა იგი ქმნილებას, ან თვალი შეახიო ეკალს, ან ვინმე გაღეშის გადაეყარო და ძუძუზე გიკბინოს, ხომ დავილუპეთ, ქმნილებაზე რომ აღიბეჭდება! ჩვენთვის ახლა მთავარია სიფრთხილე — პანია განაკანრიც კი დაემჩნევა როდოსულ, უფაქიზეს მარმარილოს, ასე რომ, ერთი მზიანი დღე სახიფათოა. რას მეტყვი, გალათეა, მოუთმენლად მოველი შენს პასუხს.

— პიგმალიონ, ჩემო შემქმნელო, ვიდრე საბოლოო პასუხს გავცემდე, მინდა შეგახსენო არცთუ შორეული წარსული. მე ქვა ვიყავი. მარმარილოს ლოდი, თეთრი არარა. როცა შენ ჩემზე მუშაობას შეუდექი და ჭექა-ქუხილი ამიტეხე მარმარილოს ზოდს შერთულს, რომელსაც მხოლოდ შენ მხედავდი, მე ქვის გულში დამალული მოთმინებით მოველოდი დაბადებას, ქუხდა და ჭექდა ჩემს თავზე საჭრეთელი და ჩაქუჩი, ცვიოდა ზოდს ნატეხები ხმაურით, ნაპერწკალს აფრქვევდა საჭრეთელი, იფრქვეოდა მარმარილოს ნაფშვენები და მე მარმარილოს ლოდში ჩავისახე. მესმოდა ჩემი უკვდავი ღმერთის მქუხარება, ვგრძნობდი როგორ ვიძვი ცივ, გაყინულ არარადან, როგორ შემომეგზვნო ცეცხლი სიცოცხლისა, მესმოდა შენი მძლავრი გულისცემა, ბაგაბუგი, სისხლის ჩქეფა და შხუილი. არ ვიცოდი, რა ხდებოდა ჩემს თავზე, მაგრამ ვხვდებოდი, რომ სასწაულში ვმონანილებოდი. ვილაღ მქმნიდა. შთაგონებით, დაუოკებელი სურვილით და, რაც მთავარია, სიყვარულით! და აი ამოვყავი თავი შენი მარჯვენის წყალობით, სადაც ყველაფერი მშვენიერია. და მე ის უნდა დაგტოვო არა უკვდავების სურვილით, არამედ შენი სიყვარულით, რათა შენ მოგანიჭო ბედნიერება.

— გალათეა, ჩემო მშვენიერო, ყველაფერი შეუმჩნეველი ამბით დაიწყო, რომლის აღმოჩენამაც თავზარი დამცა, სიკვდილის შიში მაშინ გამიმძაფრდა, როცა შენს შავ თმაში ერთი ღერი თეთრი ბენვი შევნიშნე. ეს ხომ იმ ბაბაჭუა ფეიქრის ოინებია, ეს ხომ სიკვდილმა დაიწყო ქსელის გაბამეთქი და ელდა მეცა. ნუთუ ჩემი გალათეა განწირულია დასალუპავად? მე შიშლული ავტირდი მწარედ, ნუთუ სინორჩით გაფურჩქნული გალათეა უამთავლად უნდა შეჭამოს? წარმოსახვით ვხედავდი, როგორ ჭკნებოდა და კვდებოდა ქორფა ქალწული. და აი აქ, მივხვდი ჩემს დანაშაულს, რის გამოც სასტიკად დავისაჯე იმით, რომ მშვენიერების მსახური მშვენიერების მკვლელი აღმოვჩნდი. მაგრამ შენი თავგანწირვის წყალობით, რაშიც ეჭვი არ მეპარებოდა, შენ მომავალო, ჩემო უკვდავო ქმნილება, მიხსენი მე და შენი თავგანწირვითა და სიყვარულით მომანიჭე უკვდავება!

— მე არ ვიცი, რა არის უკვდავება, ჩემთვის უკვდავებაა სიცოცხლე. შენ, მეფეო, ხელოვანი ხარ, მხოლოდ საკუთარ თავის მოყვარული, მარტოხელა, საბრალო წარცისი, არასოდეს განგიცდია სიცოცხლის წყურვილი, ბედნიერებით გულისძგერა, შენ ლანდთა საუფლოში ხარ მეფედ, სადაც ყველა გემორჩილება და შენს ნებაზე ძვრნავ მათ. მაგრამ სიცოცხლეში, რომელიც მე მიყვარს და მახარებს, შენ არ გიდევის ნილი, რადგან გაშინებს ის და სიკვდილის შიშით უკვდავებას ებლაუჭები. ჩვენი სურნელებაა სიყვარული. სიცოცხლის მარადიულ მჩქეფარებაში და რადგან მე სიყვარული ვარ, შენი გულისათვის, ჩემო შემოქმედო, კვლავ ვიქცევი ქვად. მე მიყვარს სიცოცხლე და არა უკვდავება. სიცოცხლე ცეცხლია და, პიგმალიონ, შენ აქრობ მას. დაილუპები შენ ჩემი დალუპვით — აი რა დარდი მიმყვება ქვაში. ცხოვრება ჩვენი ნება კი არ არის, არამედ ღმერთების წყურვილია. მოირათა განჩინება გარდაუვალად, დე მოსახდენი მოხდეს. მე მზადა ვარ.

— საიდან იცი, ჩემო პატარა, ასეთი სიბრძნე?

— მე თუ არ ვიცი, იმან ხომ იცის, ვინც ჩვენს ძველ, მშვენიერ მითს კლავს და ხელმეორედ გვქმნის დროის მიხედვით?

— ო, ეგ ალბათ მეც შემეხება და მოუთმენლად ველი, როგორ გარდაიქმნება ჩემი ბედი, ჩემი და შენი მომავალი როგორი იქნება ამ მითუკაში.

* * *

პიგმალიონი გალათეას ამზადებდა სასიკვდილოდ. გალათეა ზაფრანისფერი პეპლოსით შემოსილიყო, და დაბალ კვარცხლბეკზე შემდგარიყო.

— ო კარგია, — შესძახა პიგმალიონმა, — როგორ დამასხვრე ასე ზუსტად შენი დგომა, ოლონდ ოდნავ წინ წადგი ფეხი, ძალიან კარგია, აი ეგრე, ფეხისგულში განაკანრი აღარ გამოჩნდება. ახლა ხელი ნახად მიიფარე მკერდზე, ნახავ, ეგ გვერდზე გაბზეკილი ძუძუები როგორ დამრგვალდება, რა სილამაზედ იქცევა მარმარილოში.

— მე ველარაფერს ვნახავ, მხოლოდ სხვები მნახავენ, — სანყალობელი ხმით ჩაილაპარაკა გალათეამ და დაუმატა, — სხვები და შენ.

— თავი ოდნავ მოატრიალე ჩემკენ და გაიღიმე. შენ ხომ უკვდავებაში შედიხარ, ო, ასე, ჩემო მშვენიერო გალათეა, — სამარისებურ სიჩუმეში გაიწკრიალა ოქროს კამეამ, ის პიგმალიონის ფეხებთან დაეცა, — ქანდაკებას ყოველივე ზედმეტი უნდა ჩამოცილდეს! გალათეა, ეგ წითელი ვარდიც მოიხსენი, იმიტომ, რომ ის შენი გაჩენის პირველივე წუთში მე მოგართვი, ასე რომ, ქმნილებას არ ეკუთვნის, ის სიცოცხლისუამინდელია და წარმავლობას მიგვანიშნებს თავისი ჭკნობით.

პიგმალიონმა უკან დაიხია, ნატყორცნი ვარდი ჰაერშივე დაიჭირა და მხოლოდ ღერო შერჩა ხელთ, ვარდის დამჭკნარი ფურცლები მის ფეხთან წინ დაცვივდა. ბეჭედი და გამხმარი ღერო უბეში შეინახა. პიგმალიონმა თვალები მოჭუტა, როგორც ამას მხატვრები აკეთებენ, რათა მთლიანობაში დაინახონ თავიანთი ქმნილება, პიგმალიონი გვერდზე თავგადახრილი, შორიდან შესცქეროდა და ჭყრეტდა მომავალ ქმნილებას. — კარგია! — თქვა ხმამალა და გაიფიქრა: ყველაფერი მზადაა, მხოლოდ სიკვდილი არ ჩანს, იგვიანებს, სიკვდილი, რომელიც სიცოცხლიდან აღადგენს უკვდავ ქმნილებას.

სიკვდილი უჩუმრად შემოპარულიყო და ფეხის ტერფებიდან შედგომოდა გალათეას. თეთრი სიკვდილი მუხლებამდე მისწვდებოდა და ნელ-ნელა მიიწვედა ზევით. აღარ იძვროდა გალათეა, აღარ ისმოდა მისი ნაზი სუნთქვა, არც ვნებიანი ნესტოები უთრთოდა სუნთქვისას, აღარ იგრძნობოდა სისხლის ჩქეფა, ფერი იცვალა გალათეამ. აღარ იძვროდა ქვადქცეული ქალწული, მაგრამ ჯერ კიდევ ფეთქავდა სიცოცხლის ნაპერწკალი, გალათეამ უკანასკნელად გადმოხედა პიგმალიონს კამკამა მრუმე ზღვისფერი თვალებით, რომელსაც ცრემლები მოწყდნენ, გალათეამ უკანასკნელად გაუღიმა მის წინაშე მუხლებზე დავარდნილ პიგმალიონს, მოქანდაკე ფიცხლად წამოიჭრა და ავარდა კვარცხლბეკზე, მოეხვია გალათეას, თითქოს სურდა სიკვდილის ბრჭყალებიდან გამოეხსნა, არ გაეტანებინა. გაშმაგებით დააცხრა მომლიმარი ქალწულის ბაგეებს, მაგრამ მშვენიერება უკვე აღმდგარიყო და ცივ ქვის ბაგეებს ემთხვია.

მის წინაშე იდგა როდოსის მარმარილოში გამოკვეთილი, შინმოზრუნებული მისი უკვდავი ქმნილება. მომლიმარ ქალწულს აწ ველარასოდეს შეეხებოდა სიკვდილის მსახვრალი ხელი. გალათეა იღიმებოდა და ეს ღიმილი იყო უკვდავი. უკვდავი იყო მისი შემქმნელი მოქანდაკე, რომელიც აღტაცებას ვერ მალავდა და მღელვარებით ეჩურჩულებოდა ქმნილებას: აი, კვლავ გიხილე გალათეა, მე გიხსენი წარმავლობისაგან. სიკვდილით გიხსენი სიკვდილისაგან, შენ ახლა ცოცხალი ხარ, იმიტომ, რომ შენს სამყოფელში ხარ, შენ საკუთარი თვალთი იხილავდი, როგორ დაჭკნებოდა შენი სილამაზე, შენი ქალწულური აყვავებული გულმკერდი.

დაგცივებოდა შენი სადაფივით მოელვარე კბილები და მუქლურჯი თმა შეგექმნებოდა ქალარა. შენ ისევ ისე მშვენიერი ხარ, დაუბრუნდი შენს მარადიულ სამშობლოს მარმარილოს. შენ მშვენიერი ხარ, გალათეა, იმიტომ, რომ ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი აქვს, მხოლოდ მე ვერ ვპოვე ადგილი ქვეყანაზე და რა ვქნა უშენოდ მარტო შთენილმა?

* * *

მოკვდა გალათეა და იშვა მშვენიერება. მარმარილოში გაცოცხლებული ქმნილების სანახავად დაიძრნენ კვიპროსის ყოველ კუთხიდან, კუნძულებიდანაც კი მოცურავდნენ ხელოვნების მოყვარულნი. ქმნილებით აღტაცებულნი ითხოვდნენ „მოძლიმარი ქალწული“ გამოეტანათ სახელოსნოდან და დაედგათ თვალსაჩინო ადგილას, მაგრამ მეფე პიგმალიონმა ბრძანა, ვიდრე მე ცოცხალი ვარ, გალათეა ჩემ გვერდით იქნებაო. სასახლის მსახურებმა გამოიტანეს ამბავი, მეფე დღე და ღამე არ შორდება ქმნილებას, მის სიახლოვეს ზის იატაკზე და ხანდახან ქვითინიც კი ისმისო. პიგმალიონი მართლაც ვერ ტოვებდა მარტო ქმნილებას, ხელში დამჭკნარი ვარდის გამხმარი ღერო შერჩენოდა. ქმნილება სდუმდა. პიგმალიონი საკუთარ თავს ესაუბრებოდა, ხან თავს ასწვებდა და ქმნილებას ესიტყვებოდა:

— ჩემო შორეულო გალათეა, მას შემდეგ, რაც ერთმანეთს დავშორდით, შორიდან მესმის შენი ხმა, წინააღმდეგობელი ძალით მეზიდება ის ხმა შენსკენ, შენს გაქვავებულ, დადუმებულ ბავთაგან მესმის შენი ხმოება, ო, ტკბილო გალათეა, როგორ დაგივინყო. ვაჰმე, რა ძნელი ყოფილა უშენოდ ჩემი სიცოცხლე, ჩემს გულს გაეყარა სიხარული, დავმარტოხელიდი, მე უშენოდ ვერ ვიქნები, სიკვდილის იმედილა მაქვს, ის დამხსნის მუხთალ წუთისოფელს და სიკვდილი შეგვყრის ერთად, მუნ განახავ, ჩემო სანატრელო!

პიგმალიონმა ამოიღო უბის ჯიბიდან კამეა, დიდხანს დასცქეროდა თმაგრაგნილ აფროდიტეს, ფართე ნიჟარაზე მდგარს.

— ჩემი ხელით გაგიკეთებ თითზე ამ ბეჭედს! — თქვა პიგმალიონმა, ნამოდგა, მახვილი მიიბჯინა მკერდზე და ზედ ნამოევო. ითქრიალა სისხლმა და მოქანდაკეს — ამონთხეულ სისხლთან ერთად — აღმოხდა: გალათეა, ჩემო სიცოცხლებო!

კვდებოდა პიგმალიონი ქმნილების ფერხთით სისხლის გუბეში გართხმული, ქმნილება კი ილიმებოდა და გასცქეროდა აბორგებულ ზღვას, ხმაურით რომ აწყდებოდა კლდოვან ნაპირებს, ისევ ისე, როგორც უხსოვარ დროს, როცა ქაფისაგან შობილმა ქალღმერთმა ღიმილი შეაგება მზეს და ქვეყნიერებას მოეფინა სიყვარული.



დავით წერეთლის ლექსი ინდივიდუალური ელემენტებისგან შედგება, მისი ყველა დეტალი შინაგანი აუცილებლობიდან ამოდის, შინაწესის ბუნებრივ განვითარებას მიჰყვება, როგორც აზრის მოძრაობის დიალექტიკური შედეგი. საინტერესოა ისიც, თუ როგორ აღწევს პოეტი გამოსახვის ზღვრულ, მარგინალურ სიმაღურეს.

ჩვენი აზრით, აქ მოქმედებს სიმფონიის პრინციპი. სიტყვა ქმნის რაღაც მუსიკალური ტონის მსგავს ვიბრაციას, რომელიც მკითხველის სულში აღწევს და იქ იწვევს იდენს პროვოცირებას. ესე იგი, ბგერა ქმნის აზრს.

მაგალითად, ლექსი „პარაპეტი“. ეს არის კომპოზიცია, რომელშიც თავმოყრილია მნიშვნელობათა მრავალგვარობა. ლექსში

ნაწილაკებად იშლება საგნები, სიტყვები, ბგერები, ბნეარები. ერთი მეხედვით, არ ჩანს მთლიანობა, წესრიგი, მონაცვლეობა, არის მხოლოდ დნობა, ქრობა, მიწავლეება. წუთები, საათები, დღეები, ფიქრები, განცდები ერთ მასად ღვებება და ტკვილის აირად იფრქვევა. უცებ მნიშვნელობათა თუ მნიშვნელობათა „განუშვადებელი“ მასიდან იბადება წესრიგი, მკაცრი თანმიმდევრობა, რომელსაც აყურადებ, გესმის, მაგრამ ვერ გადმოცემ, რადგან შეუძლებელია პოეტური მუსიკის გადმოცემა სიტყვებით.

ს ი ტ ბ უ ნ ბ რ ნ * ნ ე რ ე ჯ ი ა ნ ი ზ ა ე ი

კარგი, ჩამოგხსნდეთ, დავიჯეროთ, შორია ისევ, ნახვენო პწკარო, სიხარულო არაფრის თქმისავ. ჯამდება ნისლი — ხელი შუბლზე — ქარი კი ფანტავს. რას ფანტავს ქარი? ნატისუსალს, ყვაების ყრანტალს. ისე თვალბუნდად საცნობია, რაც გარე გვერტყა, კაცი რომ უჯრებს ამოქეჟავს, უსაგნოდ მჯდარი, და ძველ ფურცელზე დაბნეული დასცქერის ერთხანს ოდესღაც ძვირფას, დღეს სავსებით უაზრო თარიღს.

თამაშობს ხსოვნა, მაცოცხლებელ შხამს აცლის ნანახს. ბავშვობის ქუჩას — ვერის დაღმართს — ხედებს და ხიდებს (თითქოსდა კვლავაც აქ არ იყვნენ) წარსულში გმანავს, დასტებად აწყობს, დავინყების ლურსმანზე ჰკიდებს. (რა მოგიბრუნოს? დახვერტილი მამის ლოდინი? წლები, ვით წლები — ონკანიდან ჟანგის ხროტინი?) დაკრთის, თამაშობს, რაც მისია, ყრის უთარილოდ, იმას გასტირის, რაც არასდროს მისი არ იყო.

მთელი მერმისი ხელთუპყრობი ფლობა-არფლობით, ქარბორბალებით, ოქროვანი თევზის ფარფლებით, წარსულში გვიდევს, დალაგებულ-დარჩეულია. იცანი? — ვერა, ჩემს ანმყოზე არ ჩაუვლია. მაინც თვალდათვალ შემიძლია ავეკეცო ფრთხილად ის ქალაქები, ის ღრუბლები, ფთილა და ფთილა. სახლი დგას ერთი... ლანდხედებით, ბნელსაცავებით... სარკმელი დარჩა მოღებული, ისე წავედით...

ჰკითხავ, ნუ ჰკითხავ, რად იღები, რად არ იღები, სხვა სადგურები მიიწნევა, სხვა თარიღები. ალბათ იმისთვის, ბოლო ნამზე, პწკართა ლივლივით, ნასიზმრეჯია, ნამზეჯია, ნაქარალია, ამოცურდეს და გაიშალოს წყლის ყვაილივით, — აქ არ არიან, არ არიან, აქ არ არიან... ავდგეთ, ავიძრათ, წელი წვიმა ჭორფლავს ქვაფენილს. სარკმელი დამრჩა... არაფერი, არც არაფერი...



ვერც კი წარმოიდგენ, რომ ამ უაღრესად პოეტური ხილვების ავტორი ფილოსოფოსია — ზურაბ ხასაია, სწავლული, ესეისტი, კრიტიკოსი, რომელსაც არაერთხელ დაუმტკიცებია, თუნდაც ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე, რომ შესანიშნავი მოაზროვნე და ანალიტიკოსია. მისი კრიტიკული ოპუსების სიღრმე და მასშტაბები თითქოს ძალზე შორს არის პოეტიზირების საცდურისაგან, მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ სიღრმე და მასშტაბები გვიბიძგებს ირაციონალიზმის სადგურისაკენ, პოეზიის ალტჰეიმი მიწისაკენ.

მოდი, ვაღიაროთ, ბოლოს პოეტები ფილოსოფიაში მიდიან, ფილოსოფოსები კი — პოეზიაში. ისე კაცმა რომ თქვას, არსადაც არ მიდიან, ერთ სივრცეში ტრიალებენ, ერთ განზომილებაში, უბრალოდ, განსხვავება ის არის, რომ ფილოსოფოსი დუმს, პოეტი ლაპარაკობს.

ფილოსოფიიდან პოეზიამდე იგივე მანძილია, რაც კულისებიდან სცენამდე. რადიარდ კიპლინგის ნაბაძვით რომ ვთქვათ, ფილოსოფოსი ფილოსოფოსია, პოეტი პოეტია და ისინი ერთმანეთს ხვდებიან, სადღაც, ავანსცენაზე. ოღონდ ფილოსოფოსობა დასასრულის გამართლებაა, პოეტობა კი უსასრულობის დასაბუთება. დაახლოებით ისე, როგორც ზურაბ ხასაიას ლექსშია: „მე უნდა გაქვრე, ოღონდ სამუდამოდ. ხოლო თუ მოვალ, მხოლოდ სამუდამოდ“.

ეს ცხოვრება ხომ გამუდმებული სვლა არის, მაგრამ, მიუხედავად იმისა, პოეზიაში არ მიდიან, პოეზია მოდის პოეტებთან.

ზურაბ ხასაია
დიდი ზაფხული

1.
ისევე აქ დამხვდა ჩემი ყრმობის დიდი ზაფხული,
მზე ცეცხლად სკდება, მენატრება საფლავი გრილი.
გადაუფრინა ქორის ლანდმა საცოდავ მხარეს.
მიედიანება მტვრიან გზებზე მზე დამდაგველი.
ბუხრის ნანგრევთან
საკუთარ ტანს
აგროვებს გველი.

2.
გამოიხედე, დედავ, დამჭკნარ ბალახებიდან,
სიზმარში ჩაფლულ თხმელებიდან,
ამ ადუღებულ ქვებიდან,
ჩემი ყრმობის ნანგრევებიდან,
გაცრუებულ იმედებიდან...

შენ ნუ შეჰკივლებ ჩემს დანახვაზე!
მე გაქრობისთვის მოვემზადე,
დედამიწიდან გადავიხვეწე.

რა დარჩა ჩემგან?
— უხილავი, სპეტაკი ალი!
ვინ მოიგონა ეს წყურვილი, ეს ხეტიალი?

მეც შემეპარა სოკოსა და ნიჟარის ძილი...
გამოიხედე, დედავ, დამჭკნარ ბალახებიდან.

3.
ეს ხომ სიმინდის ყანებია!
ამ ლურჯ ყანებში
იჩეკებიან, იზრდებიან მზის წინილები,
ძველი კოლხეთის ფასკუნჯები.

დგას უცნაური მოლოდინი,
პეპლები სცვივა ზაფხულის დღეს,
სდის ტკბილი ოფლი გაქვავებულ ცხენს.

მაგრამ სულ ახლოს, შუკის გადაღმა,
უნატიფესი ბამბუკები სიგრილეს თხზავენ.
შორს, მთაზე ბრწყინავს ზამთრის ნატეხი
სიცხიან ბავშვის სიზმარივით...

რატომ მიყვარდა ამ ყანების უმწეო რხევა?
კვლავ ცოცხალი ვარ, გრძელდება ტანჯვა —
ცა ვერ იცილებს დედამიწას.
დგას უცნაური მოლოდინი.

4.
ვიყავ წარმართი,
თაყვანს ვცემდი კავკასის ქედებს —
ცის სარკეებში აკამკამებულ
მარადიულ სიმინდის ზოდებს.

კავკასიონი — სიამაყე თვალუნვედნელი!
ეზიზღებოდა მას სულწასულ მოკვდავთა ბორგვა,
ცოდვით და ტანჯვით დანყველილი წუთისოფელი.

არა, შავი ზღვა არ მოსწონდა —
თავისი დაი ტყუპისცალი,
ბნელ უფსკრულებზე გათხოვილი,
მინყივ მბორგავი,
არაფრისთვის მემამბოხე,
გულუხვი და ცბიერი მდედრი,
დაუმცხრალი წვეთი სიგიჟის...

კავკასიონი — ჩემი წმინდა, ცივი ღვთაება...
და გული მაინც წუთისოფლის ქსელში გაება.

მზე დაბლა იწევს, ზღვის კედელზე თავს მიაყუდებს,
ეაღერსება კავკასიის ლალ-იაგუნდებს.

5.
მასსოვს გოგონა,
მზის სხივებისგან მოქსოვილი —
ჩემი ცხოვრების მარადიულ დილის ფრაგმენტი,
წყაროს წყალში აყრუოლებული სიხარული,
ნახევრად ცხადი, ნახევრად სიზმარი.

ამოდიოდა ყოველ დილით
უხვად დაცვარულ ჰორტენზიის ლურჯ ყვავილიდან,
ამსუბუქებდა დედამინას ანგელოსის ხმით,
მზიანი სუნთქვით,
მარულის გრძელ წამწამებით.
სალამოთი კი ისე ნაზად უერთდებოდა
აქაურ სევდას,
ამ ვარსკვლავიან სინყნარებს...

და შეერია ჩემს ძნელ ცხოვრებას,
დანყევლილ ლექსებს;
იქნებ უშველოს თავის მგოსანს —
აჩრდილების მწყემსს,
იზოვოს მისი უმწეო ხელები,
ქარში გადაყრილი...

6.
მგონი, ვიღვიძებ ათასწლოვან ძილიდან, ნარი!
მე უნდა გავქრე, ოღონდ სამუდამოდ.
ხოლო თუ მოვალ, მხოლოდ სამუდამოდ
და მხოლოდ შენთვის, ფირუზების ზღვავე,
აღვინებულ მზის საბუდარო!

7.
ამ მინდვრებს იქით ზღვა თავის თავს ეთამაშება,
განა ზღვა არი, ღამეები ეხეტებიან.
ახლოა ჟამი, უცნაური გაქრობა მინდა...

ცის დასალიერს ახატია ჯვარცმული ჩიტი,
ძლივს რომ მოფრინავს უსასრულო დავინყებებიდან...

2006

გემის მოლოდინი

წვიმს ზღვის ქალაქში
და ქარიც ტოკავს,
ცისფერ სართულზე კვლავ — ბოროდინი.
რალაც ანუხებს სულს არისტოკრატს
და მაღალ გემის ჰკლავს მოლოდინი.

მე დაგახვედრებ ტანს,
ჯვარზე ვნებულს,
დაღრეჯილობას ბებერი ლომის,
ჩვენს საქართველოს,
განახვერებულს,
და ასეთ მოკლულ დღეს შემოდგომის.

გადარჩა მხოლოდ ზმანება ჩემი:
ის შორეული, ლურჯი ედემი...
მე შევერევი მუსიკის ზვირთებს
და დედამინის ფერფლზე ვეცემი.

2003

მთის მოტივები

1.
— ნეტა რა უყვარს კაი ყმას?
— მტრისაკე ცხენის გელვება;
მამაპაპური ქარქაშით
გორდაის ამოელვება.
ვეფხის ნაფხაჭნი კლდეები,
ცაზე არწივის ჩრდილია;
ჯეილობაში სიკვდილი
და წინაპრებთან ძილია.

2.
კავკასიის მწვერვალები
მზემან მოაირისაო;
ცაზე ჭარბობს ვარდისფერი
შენი გულისპირისაო.
ყრმობიდან რომ მინათებენ,
შენთა თვალთა ელვებია.
რა ტყუილად გელოდები,
ცხენი მომიგელვებია.
შემოდგომა იწურება,
მალე თოვლსაც დადებსაო.
ტრიალებენ ყვავ-ყორნები,
მზეზე ჰფენენ დარდებსაო.

3.
ვაჟკაცი ვაჟკაცს ებრძოდა —
მეხი მეხს ემტერებოდა.
შორს ქალი ფანდურს დაჰკვნესდა
და ყელი ეღერებოდა.
ვაჟკაცი ვაჟკაცს მაუკლავ,
ლურჯაი ყალყზე დგებოდა...
ამოდიოდა ყინვარით,
მზე ვეფხვებს ეფერებოდა.

2002

დაბადება

მე დავიბადე გაზაფხულის რძიან ღამეში
და ვარსკვლავებმა გადასძახეს ერთმანეთს რალაც,
რალაც ეტკინა დედამინას,
ზეცას,
გაზაფხულს...
ქვეყნიერებას ის ტკივილი ანუხებს ახლაც.

იდგა მაისი, არყოფნიდან როცა დავეშვი,
ამწვანდებოდა ნიაგ-ქარიც,
თოლიაც,
ტალღაც...

მე დავიბადე გაზაფხულის ზღვიან ღამეში
და ვარსკვლავებმა გადასძახეს ერთმანეთს რალაც...

2002

ეს მართლა ხდება?

მზემ სილურჯეში ჩაუშვა რქები,
დასრულდა ქროლვა,
ალარ ვიჩქარი...
მემილიონედ ვჩნდები და ვქრები,
ზღვაც მიდი-მოდის, როგორც სიზმარი.

ტყეს შეერია ცისფერი ჩიტი,
ასეთი ნაზი, ასეთი მშვიდი.

დღეც გადაფრინდა.
გული ღონდება...
ეს მართლა ხდება, თუ მაგონდება?

2004

მოსკოვური სიმღერა

*Москва слезам не верила,
верила любви.
რუსული ხალხური*

ის ყინვა მახსოვს, ის ფერია,
ის წინათგრძნობა ავი,
როს რიაზანის თოვლს შეერია
კახური საფერავი.

გვიყვარდა კენესა ლერწმის ლეროთა,
ნამი უცნაურ რულის;
მოსკოვს ცრემლებს არა სჯეროდა,
სჯეროდა სიყვარულის.

მზის ნაპერწკლისგან ანაზდად, უცებ
აღვინდა იანვარი
და ძველებურად ახრჩობდა რუსეთს
გრძნობების ნიაღვარი.

მიყვარდა ღამე ნამწამ-ჩეროთა,
ღამე ღვინის და რულის;
მოსკოვს ცრემლებს არა სჯეროდა,
სჯეროდა სიყვარულის.

2007

იანვრის მზიანი დღე

ეს სევდიანი იანვანა კოლხეთის მყვართა,
ქვეყანა, წყლიდან არეკლილი, მე რომ მიყვარდა...

არაფრის გამო სიხარული მასწავლე, ჩემო,
როს სიყმანვილის ნანგრევები ჰყრია გარშემო.

ჩამავალი მზე გაზაფხულის ვარდს დაემსგავსა,
მასწავლე, მზეო, ამ ქვეყნიდან ღამაზად წასვლა.

უცებ სიცოცხლის სულსწრაფობას დავაკვირდები:
პირველ სიყვარულს
აბოდებენ
ხეზე კვირტები.

2004

რისთვის?

სწუხს სანთელი ნება-ნება,
ყველგან ღამე, ყველგან ჩრდილი!
ცეცხლოვან გულს ენატრება
მინა გრილი.

ნეტავ იმ დროს: შეჰხაროდა ტრფობას პირველს
არემარე, ზამთრისაგან დაზაფრული;
ჩვენი სოფლის ამწვანებულ, მსუბუქ ფრინველს
ხიდან ხეზე გადაჰქონდა გაზაფხული.

აჩრდილების ჩუმი გლოვა,
ჟამი რისხვის!
გათენდება, მზე ამოვა,
მაგრამ რისთვის?

2005

მცხეთოვა

დაილოცოს ოქტომბერი,
მცხეთობა და ნანაობა,
სიყვარული ოქროსფერი,
ცის ლაჟვარდში ბანაობა.

თავს იწონებს თეთრი ქალი
ჰაეროვან მარმაშითა,
დაეჯახება არწივი
მძლავრი ფრთების ფარფაშითა.

ფიქრიც არ აქვს ღამაზ ქალსა
არწივის და ქორებისა...
უკუღმართია სოფელი,
გრეხა იცის ჭორებისა.

2008



რუსუდან ფეტვიაშვილი

ფიქრი

შეიშავს ჰინი — ცნობილი ირლანდიელი პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი, ესეისტი, ლექტორი და ნობელის პრემიის ლაურეატი. დაიბადა 1939 წელს, მოსბონში — ფერმაში, რომელიც კესლდოუსონსა და თუმერბრიჯს შორის მდებარეობს. ამ ნაწყვეტში სწორედ მოსბონი, ჰინის მშობლიური ადგილია აღწერილი არაჩვეულებრივი პოეტური ხატოვნებით.

გარდა ნობელის პრემიისა, ჰინი უამრავი პრესტიჟული ჯილდოს მფლობელია, რობერტ ლოუელი მას უწოდებს — „ირლანდიის საუკეთესო პოეტს იეიტის შემდეგ“. არაერთი ლიტერატორის აზრით, იგი მსოფლიოში უდიდესი თანამედროვე პოეტია. ამგვარი დეკლარირება ყოველთვის სადავოა, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ იგი ნამდვილად არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დამსახურებული და ნაყოფიერი მოღვაწე. მსცოვანი ნობელიანტი ამჟამად დუბლინში ცხოვრობს.

გთავაზობთ ნაწყვეტს შეიშავს ჰინის ლიტერატურულ წერილთა კრებულიდან „მკვინელები. შემნახველები“, რომელსაც მალე სრული სახით და „ნობელის პრემიის ლაურეატთა“ სერიით გამოცემლობა „ინტელექტი“ შემოგთავაზებთ.

შეიშავს ჰინი


მოსბონი

1. ომფალოს

პირველად იქნება ბერძნული სიტყვა „ომფალოს“, რომელიც „ჭიხად“ ითარგმნება, — სწორედ ასე უწოდებდნენ ქვას, სამყაროს ცენტრის მოსანიშნად რომ დაუდევთ¹ და მეც ვიმეორებ: „ომფალოს, ომფალოს, ომფალოს...“ ვიდრე ამ სიტყვის მდორე და მინავლული ჟღერადობა გადაიქცეოდეს ბუყბუყა მუსიკად, ჩვენი უკანა ეზოს წყალსაქაჩი ტუმბოდან რომ მოისმის. ეს ადრეული 1940-იანის დერის საგრაფოა. ამერიკული ბომბდამშენები თუმერბრიჯის აეროპორტისაკენ მიღრჭიალებენ, ამერიკელთა ქვეითი რაზმები გზისპირა მინდვრებში დაბანაკებულან. მაგრამ მთელი ეს დიდი ისტორიული აურზაური ძარღვსაც არ უტოკებს ჩვენი ეზოს ყოფას. აი, იქ ტუმბო დგას, რკინის ბომონი, მუზარადით, ონკანის დრუნჩით, ფართო სახელურით აღჭურვილი; მუქ მწვანედ შეღებილი და ბეტონის ფილებზე ნამომართული კიდევ ერთი აბრა — სამყაროს ცენტრის აღმნიშვნელი. ხუთ სახლელულს ამარაგებდა წყლით. ქალები მიდიოდნენ და მოდიოდნენ, მოსვლისას აქეთ-იქით მომინანქრებული სათლები უჩხარუნებდათ, უკან კი დადუმებული წყლის სიმძიმით უნებურად წელგამართულნი მიდიოდნენ. გაზაფხულის პირის ხანმომატებული მიმწუხრისას ცხენები ბრუნდებოდნენ შინ, ერთ ყლოუპად ცლიდნენ სათლებს და მერე ისევ წყლის მქაჩველის ხელის მოძრაობასთან ხმაშეწყობილი სატუმბის ლილინი ისმოდა: ომფალოს, ომფალოს, ომფალოს.

არ ვიცი, რამდენი წლისა ვიყავი, სახლის უკან, ყანაში, ბარდის კვლებში რომ დავიკარგე, სიზმარივით ბუნდოვნად მახსოვს, თანაც იმდენჯერ მიაბმეს შემდეგ, ეგებ უბრალოდ წარმოსახა კიდევ ჩემმა გონებამ. ასეა თუ ისე, ახლაც თვალწინ წარმომიდგება ხოლმე, ისე ხშირად და ისე ხანგრძლივად, რომ თვალნათლივ ვხედავ ყველა წვრილმანს: მწვანე აბლაბუდას, სინათლის ბადისებურ ქსელებს, ერთმანეთში ჩახლართულ წნელებსა და პარკებს, ღეროებსა და პნკალებს, მიწისა და ფოთლების სიმშვიდისმომგვრელი სურნელით გაჯერებულ მიდამოს, მზით განათებულ ნაკვეთს. ვიჯექი ისე, თითქოს ის-ის იყო ზამთრის ძილისაგან გამოვფხიზლებულიყავი და ნელ-ნელა აღწევდა ჩემს ცნობიერებამდე ხმები, რომლებიც მიახლოვდებოდნენ, ჩემს სახელს გაჰყვიროდნენ და უცებ — სრულიად უმიზეზოდ — ტირილი ამიტყდა. ყველა ბავშვს სჭირდება თავისი საი-

დუმლო ბუდე, რომელსაც თავს შეაფარებს. მე მიყვარდა ჩვენი ხეივნის თავში ნამომართული წყვილი წიფელი, ბზის ბურჩქთა ხშირი ტევრი, ჩვენს სახლს ღობედ რომ ერტყმოდა, თივის რბილი, ჩამოქცეული გროვა ბოსლის უკანა კუთხეში; მაგრამ განსაკუთრებით დიდ დროს ვატარებდი ჩვენი ფერმის განაპირას მდგარი ბებერი ტირიფის ფულუროში, ერთიანად გამოფუტურო-



ბული, დაკოჭრილი ხე იყო, ფესვები განგან გაედგა, რბილი მერქანი შემოლოპობოდა და შიგთავსი ნუჭრებით გამოვსებოდა. ფულუროს დაღებული პირი ცხენის ალვირზე დაჩნეულ მსხვილსა და დიდრონ ნახვრეტს მოგაგონებდათ და, თუკი ერთხელაც შიგ შეძვრებოდი, თავს ამოყოფდით სრულიად განსხვავებული სამყაროს შუაგულში, რომლიდანაც მშობლიური ეზო ისე მოჩანდა, თითქოს უეცარი სიცოცხალი ხე ჰყვაროდა და სუნთქავდა, შენ ტანს აყოლებდი ზროს ძლივსშესამჩნევ თრთოლვას და თუკი შუბლს ხეშემ გულგულებს მიადებდი, მიხვდებოდი, მალა, ცისაკენ როგორ ირხეოდა ტირიფის მოქნილი და მოშრიალე გვირგვინი. ამ მჭიდრო ნაპრალეებს შორის შეიგრძნობდი სინათლისა და რტოთა ალერსიან შეხებას. საკუთარი თავი უცებ მხრებზე ცარგვალშემოდგმულ ატლასად³ წარმოგესახებოდა, პატარა სერნიუნოსად², რომლის რქებზედაც მსოფლიო ტრიალებდა. სამყარო იზრდებოდა. მოსბონი, მშობლიური ადგილი, ფართოვდებოდა. აქვე იყო ჩვენ მიერ „ქვიშიან ზოლად“ ნოდებული ბილიკი, რომელიც გზისპირიდან იღებდა სათავეს, ძველ ღობეებს შორის მიიკლაკნებოდა, ჯერ ყანებზე გადაივლიდა, შემდეგ პატარა ჭაობს გადაკვეთდა და განცალკევებულად მდგარ ფერმას მიადგებოდა, სადაც აბრეშუმით სრიალა, სურნელოვანი სამყარო იწყებოდა, რომლის პირველი რამდენიმე ასეული იარდი საფრთხეს არ გიქადადა. ბილიკის კიდებზე მიწაყრილები ველური ცოცხითა და გვიმრით იყო მოფენილი, რომელთაც ლიანდაგივით გასდევდათ ხავსი და ფურისულები. ცოცხებს იქით, ბარაქიან მოლზე საქონელი არხეინად იცოხნებოდა. სამალავიდან მოულოდნელად გამოვარდნილი ბოცვერი ცხვირწინ ავიმტვერებდა მშრალ ქვიშას. იქაურობა სავსე იყო ჭინჭრაქებითა და ჩიტბატონებით. მაგ-

რამ თანდათანობით ამ უხვსა და ნათელ ადგილს უსახურ ქაჩქრობამდე მიჰყავდი. არყის ხეებს ფერმკრთალი წვივები ჭაობიან მიწაზე შემოედგათ, გვიმრები თვალდათვალ მსხვილდებოდნენ. ბებერი ფოთლების აყალმაყალი გულს გაგინყალებდათ და თავმოებზრებული გაბედავდი მაჩვის სოროსთვისაც ჩაგეარა — უზარმაზარ მიწაყრილს ახალ-თახალი ჭრილობასავით ეტყობოდა ის ადგილი, საიდანაც ბებერი მაჩვი ბუნაგში მიძვრებოდა.

მაჩვის სოროს გარშემო მეტად შიშისმომგვრელი სივრცე ერტყა. ეს ჭაობთა სამეფო გახლდათ. ბევრჯერ გვსმენია იდუმალი კაცის შესახებ, რომელიც ხშირად დაეხეტებოდა ჭაობებს შორის, ბევრჯერ გვისაუბრია ხავსბარტყებსა და კაცთათებზე — არსებებზე, რომელიც არცერთ ბუნებისმეტყველს არ აღუნუსხავს, მაგრამ ეს ჩვენს თვალში მათ არსებობას ეჭვქვეშ სულაც არ აყენებდა. განა ამ სიტყვების რბილი, ავბედი-თი ჟღერადობა, ჩამონგრეული სისინა ბგერები არ გაგინაპირებდნენ ბალახით, საფლობი ტალახითა და ქვიშით უმანკოდ დაფარული ღრმა ჭაობებისაკენ? ეს არსებანი მართლაც ცხოვრობდნენ იქ და დაბლობიან, არყის ხეთა წინსაფარაკურულ მიწას ლოფ ბეის სანაპიროებისაკენ მიუყვებოდნენ.

4.

ეს მოსი იყო, აკრძალული ადგილი. ორ ოჯახს ედო აქ ბინა და კიდევ ერთ — სამყაროსაგან განდგომილ — კაცს, რომელსაც ტომ ტიპიანი ერქვა და რომლისთვისაც თვალი არასოდეს მოგვიკრავს, მაგრამ დილაობით, სკოლისაკენ მიმავალნი, ვხედავდით კორომიდან როგორ ამოიზღაზნებოდა ბუნრის კვამლი, ხოლო მისი სახელი ჩვენს შორის იქცა იდუმალი არსების სინონიმად, უჩუმრად და მოულოდნელად რომ მოადგებოდა ლობეს და ღრმა კვალს ტოვებდა მაღალ ბალახებში. იმხანად ეს მწვანე, ნესტიანი მიდამოები, ეს დატბორილი უდაბნო, რბილი, ლერწმიანი დაბლობები, ამ წყლიანი ნიადაგისა და ტუნდრისთვის დამახასიათებელ მცენარეთა ხიბლი, თუნდაც ერთი წამით მანქანიდან მოგეკრათ თვალი, მყისიერ და უალრესად დამამშვიდებელ ლტოლვას ბადებდა. მე თითქოს დანიშნული ვიყავი იქაურობისა და მტკიცედ მწამს, რომ ჩემი ნიშნობა ზაფხულის ერთ საღამოს შედგა, 30 წლის წინათ, როდესაც მე და კიდევ ერთმა ბიჭმა სოფლურად თეთრი კანი გავიშვილეთ და მოსის ხავსიან გუბებში ვიბანავით, ფეხებს ვადგამდით ჩასქელებულ ტლაპოში, ფსკერზე დალექილი წუნწუხი ავამღვრიეთ და ერთიანად ამოთხუზნულები, სარეველებანებებულები და გაშავებულნი ამოვედით ხმელეთზე. შემდეგ ჩავიცვით და შინ სველტანსაცმლიანები დავბრუნდით, თან მიწისა და დამდგარი წყლის რალაც პირველყოფილი სუნი ავგდიოდა.

მოსს მიღმა ლოფ ბეის ვინრო სივრცე გადაჭიმულიყო, ხოლო ლოფ ბეის შუაგულში საეკლესიო კუნძული იყო, ურთხმელის ხეებს შორის ამომწვერილი ტაძრის წვეტი, ეს ადგილობრივი მექა გახლდათ. ამბობდნენ, ათასხუთასი წლის წინათ აქ წმინდა პატრიკი მარხულობდა და ლოცულობდაო. ძველი სასაფლაოს ეზოში მხრებამდე მოგწვდებოდათ ვარდკაჭაჭა და გარეული ოხრახუში, რომლებიც ურთხმელის მსხვილ, ხანდაზმულ ხეთა ჩრდილქვეშ იზრდებოდნენ — ეს ხეები ჩემში რატომღაც ეგინქორთისა და ქრესის ბრძოლათა ასოციაციას ბადებდნენ, რომლებშიც, რო-

გორც ცნობილია, ინგლისელი მეომრები ურთხელისაგან გამოჭრილი მშვილდებით იბრძოდნენ. მე კი უკეთესი ვერაფერი მომეხერხებინა და ჩვენ სათბობა მესრის იფნებისა და ტირიფთა ნანვეტებული ყლორტებისაგან ვიკეთებდი მშვილდ-ისრებს და მაშინაც ტოტის შეტევის ხმა საეკლესიო კუნძულზე გამეფებული დუმლის მიმართ გამოვლენილ საშინელ ძალადობად მეჩვენებოდა, ვერაგობად, რომლისთვისაც თვალი არავის უნდა მოეკრა. თუკი წარმოსახვის ამ სავანეს ერთი მხრიდან ლოფ ბეი უდებდა სამანს, მეორე მხრიდან სლივ გელონი ესაზღვრებოდა. სლივ გელონი პატარაა მთაა, რომელიც ჭაობების მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს, იქიდან შეგიძლიათ გადმოხედოთ მთელ ამ საძოვრებს, ნახნავებს, მოიოლა პარკის შორეულ ტყეებს, იმის იქით გროუვის ბორცვს, უკანა პარკსა და კესლდოუსონს. ეს ამ მხარის მჭიდროდ დასახლებული, ხალხმრავალი ადგილებია, თივის ზვინთა და სიმინდის კონების, ლობებისა და კუტიკართა, შუკის ბოლოში ჩამოდებული რძის ბიღონების, ჭიშკრის ბოძებზე გაკრული აუქციონის უწყისთა სამყარო. ყველა ფერმიდან ძაღლების ყეფა ისმის. გზის პირას საქონლის საკვებით გაძეგილ ფარდულებს დაუფრენიათ პირი. უბნის უკან და გასწვრივ კვინიგზა გადის და მთელს მოსბონს გამუდმებით აყრუებს კესლდოუსონის სადგურზე ჩამომდგარ მატარებელთა დგანდგარი.

როდესაც ყოველივე ამას ვიხსენებ, ვგრძნობ ჰაერს, სინათლესა და აღმაფრენას. ვხედავ შუქის თამაშს მდინარე მოიოლას მარჩხობებში, რომელსაც ალაგ-ალაგ მორევის მღვრიე ტალღები ენაცვლებიან. მთებზედაც სინათლის ათინათთა ცვალებადობა, თითქოს თვითონ მათივე გუნება-განწყობის შესაბამისია, ხან ლურჯსა და დაბურულს გვიჩენს მთების კალთებს, ხანაც — მწვანესა და თითქოს ხელის განვდენაზე მყოფთ. შუქი ადგას მეინგრავფელტის შორეულ სამრეკლოსაც. შუქი ეღვრება გროუვის ბორცვზე შეფენილ მაჩიტელას. და ჰაერის მოძრაობაც კი თავისი მძლავრი მუსიკით ეხმიანება. ეკლესიიდან გამომავალი ფსალმუნთა გალობის მგზნებარე და მელანქოლიური ზუნი ზაფხულის ღამის მინდვრებს ეფინება, და კუნელიც ყვავის და უკვე მიმჭკნარ ყვავილთა თეთრი და რბილი თავები ნაღვლიანად ჩამოკიდებულა ღეროებზე; ანდა ფორთოხლის ხის დოლების ბრაგაბრუგი, ოგრიმის გორაკიდან რომ მოისმის და მისი გაგონებისას გულში კურდღლისებური სიფხიზლე და სიმფრთხალი იბუდებს, რადგან ეს მხოლოდ ბედნიერი თანაცხოვრების ქვეყანა არაა, ეს განშორებათა სამეფოცაა. როგორც კურდღლის თათები გადაირბენენ შქერს და შეთვალული სიმინდის ქვეშ გათხრიან სოროს, ისე გასდევდა ამ მიწას სექტანტურ გაერთიანებათა და დაპირისპირებათა კვალი. აქაური მინდვრებისა და დასახლებათა ერთმანეთში არეული შოტლანდიური, ირლანდიური და ინგლისური წარმოშობის სახელწოდებანი მოწმობდა, როგორ გაჟღერდებოდა ეს მიწა მის მფლობელთა ისტორიის სურნელით — ბროა, ლონგ რიგისი, ბელზ ჰილი, ბრაიან ფილდსი, რაუნდ მედოუ, დიმენზი — ყველა სახელში იგრძნობოდა სიყვარული აქაურობის თითოეული აკრისა. და მათი თუნდაც სახელწოდებათა წარმოთქმა, ამ ადგილებსა და სივრცეებს, უორდსუორთის სიტყვით რომ ვთქვათ, აზროვნების წარმოსახვად აქცევდა. ისინი, ქვაზე ამოტიფრული წარწერასავით, სამუდამოდ და ღრმად ჩაებჭედებოდნენ ნერვულ სისტემას. ყოველთვის მემახსოვრება,

რამხელა სიამოვნებას მგვრიდა ჩვენი ბალის შავი მინის თხრა — ზედაპირიდან ერთი ფუტის სიღრმეზე ქვიშის მკრთალი ფენის გამოჩენა. მახსოვს ასევე კაცი, ჩვენი წყალსაქაჩი ტუმბოსთვის ბიჯგების გასამაგრებლად რომ მოდიოდა — ისე ღრმად ამოთხრიდა მინას, რომ ქვიშის ფენის მიღმა ხრეშის ბრინჯაოსფერი საბადოები გამოჩნდებოდა, რომელშიც ერთ წუთში სიღრმიდან ამოსული წყაროს წყალი იწყებდა დაგუბებას. წყალსაქაჩი ტუმბო პირველსაწყისის აღმნიშვნელად აღმართულიყო ამ მინაზე, ქვიშაზე, ხრეშსა და წყალზე. ის გახლდათ ყოველგვარი წარმოსახვის დედაბოძი და ცენტრი, მისი შექმნა ომფალოსის დადგმის დარი მოვლენა გახლდათ. ამიტომაც გულით მჯერა ძველისძველი ცრურწმენისა, რომელიც დაბეჯითებით გვიხსნის მოვლენათა დაფარულ მხარეს.

ცრურწმენა ჰინის საგვარეულოს უკავშირდება. გალების ხანაში ჰინთა ოჯახი დერის ეპარქიის საეკლესიო ავანჩავანში იყო ჩაბმული, ამ მხარის ჩრდილოეთით მდებარე ბენეგერის მონასტრის განმკარგულებელთა შორის მოიხსენიებოდა. ბენეგერის უძველესი ეკლესია კი წმინდა მურედაქ ჰინის სახელთანაა დაკავშირებული; არსებობს რწმენა, რომლის მიხედვითაც ბენეგერის მინიდან ამოჩიჩქნილი ქვიშა არათუ უბრალოდ სასარგებლო, არამედ სასწაულოქმედი ძალის მქონეა, თუკი მას იმ ნაწილში მოიპოვებთ, რომელსაც ოდესღაც ჰინთა საგვარეულო ფლობდა. მიაყარეთ ჰინის გვარის კაცის მიერ ამოთხრილი ქვიშა მის კვალს, ვინც სასამართლოში მიემართება და იგი საქმეს მოიგებს. მიაყარეთ თქვენი საყვარელი გუნდის ნაფეხურებს, როდესაც ის მოედანზე გადის და თამაშში გამარჯვება მას დარჩება.

**ინგლისურიდან თარგმნა
ანი კოპალიანმა**

1. ანტიკური მითის თანახმად, ზევსმა დედამიწის ორი კიდიდან გაგზავნა ორი არწივი, რათა ზუსტად დედამიწის შუაგულში შეხვედროდნენ ერთმანეთს. ასე „დაადგინა“ მან მსოფლიოს ცენტრი, სადაც გადმოცემის თანახმად რელიგიური ქვა, ომფალოსი (ძვ. ბერძ. „ჭიპი“) დადო.

2. ატლასი ანუ ატლანტი — ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ახალგაზრდა ტიტანი, რომელსაც ზევსმა მიუსაჯა მხრებზე შემოედგა სვეტები, რომელიც სამყაროს იმაგრებდა.

3. კელტური ღვთაება.

ეკა ბუჯიაშვილი

მარტოობის 2555 ღამე

მიქროდა მატარებელი და ფანჯარასთან მიყუჟული ექვსი წლის ბიჭი, პალტონაფარებული უბილეთო მგზავრი — წინ მთელი ცხოვრებაც შესაცნობი რომ ჰქონდა და საკუთარი თავიც — ჯერ მხოლოდ ცნობისმოყვარე მზერით ათვალეირებდა ლამპიონებით განათებულ გზებს. ორი მდინარის შესართავთან მდებარე ის პატარა ქალაქი კი, შესასვლელთან ციხესაც რომ მოკრავდა თვალს, **ზაურ ნაქაძეს** გამორჩეულად ჩარჩებოდა მესხიერებაში, წლების მერე კი სულაც სამუდამოდ დაუკავშირებდა თავის ცხოვრებას.

იმ დროს — იყო ასეთი დროც — მამების თაობა გორში სტალინის გამო სახლდებოდა, შვილები კი... ცხოვრებისათვის თვალი სულ ახლახან რომ გაესწორებინათ, ამ ქალაქში ოთარ ჩხეიძის გამო ჩადიოდნენ, რადგან მწერალი გორის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს და იქვე, მშობლიურ სოფელ ყელქცეულში ქმნიდა თავის რომანებს. ზაურ ნაქაძეც, ზესტაფონის რაიონში, სოფელ მეორე სვირში დაბადებული კაცი, სწორედ ოთარ ჩხეიძის გამო ჩავიდა გორში. მანამდე მხოლოდ შემოქმედებით იცნობდა ამ მწერალს და კიდევ იმ კრიტიკული წერილებითაც, მაშინდელ პრესაში რომ იბეჭდებოდა მის შესახებ. იცოდა ამ დიდი, უჩვეულო, მინის სურნელით გაჟღენთილი საინტერესო სამყაროს შესახებ, რომელსაც თავისი კარი ჰქონდა, თავისი გასაღები, და თუ მოარგებდი, ვეღარც დააღწევდი თავს იქაურობას. ეს კი იცოდა, ოღონდ უფრო მთავარი წინ ელოდა. ჯერ გორის თეატრში ერთი წელი სცენის მუშად უნდა ყოფილიყო და ასე აღმოეჩინა თავისთვის სამყარო, რომელსაც თეატრი ერქვა, მერე კი გორის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაბარებით ის სურვილიც აიხდინა — პირადად გაცნობა ოთარ ჩხეიძისა.

...და დაინყო საოცარი ხანა.

— ეს იყო წლები, რომელთა გახსენებაც ყოველთვის არ შეიძლება — განმარტოებული უნდა იყო, შენთვის უნდა სუნთქავდე, ფიქრის საშუალება გქონდეს, რომ დაბრუნდე იქ და... ასე ძვირფასი მოგონებანი წამოშალოო.

დიდი და საინტერესო შემოქმედის მიღმა სამაგალითო პიროვნებას აღმოაჩენდა, რომელთანაც ყოფით ურთიერთობებშიც ბევრს სწავლობდი, მასთან ყველაფერს თავისი ფერი და მნიშვნელობა ჰქონდა — იმ ქონგურებიან სახლს ყელქცეულის ეზოში; მოშირაღე ჭალას, მამა-პაპათა ხსოვნას რომ ინახავდა; მუხას, რომლის ქვეშაც დევების მაგიდასთან შეკრება კიდევ ერთ უნივერსიტეტს უდრიდა... იმასაც, როგორ შრომობდა ეს დიდი მწერალი თავის ბაღში, როგორ უფილია ხეხილსა თუ ვაზს შემოქმედი, რომელიც შორიდან შეიძლება გგონებოდათ, რომ მთელი დღე თავის ოთახში იჯდა და წერდა და წერდა მოთხრობებსა თუ რომანებს... „მატიანე ქართლისაის“ ციკლად რომ შეიკვროდა.

— თვითონაც თავიდან ბოლომდე მოთხრობა იყოო...

ამიტომაც უნდოდა, სულ უნდოდა, ერთ დღეს დამჯდარიყო და მოთხრობებად დაენერა მოგონებები ოთარ ჩხეიძეზე.

ისე გაიარა ცხოვრებამ, ვერ მოახერხა, და მხოლოდ 70 წელს მიღწეულმა შეძლო ამის გაკეთება.

ესეც ბედისწერა თუ იყო — გორის მაშინდელმა გუბერნატორმა გაზეთი „გორის მოამბე“ რომ დახურა და მის რედაქტორსაც ისლა დარჩენოდა, ფხვენიისათვის შეეფარებინა თავი.

მშობლიურ სოფელში, სვირში, სახლი რომ აეშენებინა, პირველად თავისი სამუშაო ოთახი მოეწყო, საკუთარი ყურე რომ ჰქონოდა, საკუთარი კერა, სადაც თავის შემოქმედებასთან განმარტოვდებოდა ხოლმე, მერე კი, ქართლში ჩასახლებული იმერელი კაცი, სოფლის მადლის გარეშე რომ ვერ წარმოედგინა თავისი ყოფა, ფხვენიისში იყიდა სახლს, თვითონ დაამთავრებდა, თვითონვე შეავლებდა ხელს, მერე მეურნეობასაც გაიჩენდა და ამ შვიდი წლის წინათ კი საერთოდაც იქ დასახლდებოდა.

ფხვენიისი სწორედ ის გარემო აღმოჩნდა მისთვის, სადაც შეიძლო განმარტოება, თავისთვის ფიქრი და თავისთვის სუნთქვა... მერე — წლებში დაბრუნებაც, მოგონებათა წამოშლაც და... ასე შეიქმნა წიგნი, რომლის დაწერაც დი-

დი ხნის წინათ ჩაეფიქრებინა: „შორია ოთარწმინდამდე, ოთარ!“

— 2555 ლამე გავატარე მარტოო...

ესეც ბედისწერა თუ იყო, „გორის მოამბე“ რომ დახურულიყო.

არადა, ბევრი კარგი საქმე გაეკეთებინა ამ გაზეთს. ჯერ მარტო ის რად ღირდა, ერთი გვერდი რუბრიკით — „ოსური ჩანგი“ — თარგმანებს რომ ეძღვნებოდა, ცხინვალშიც რომ იყიდებოდა, ბოლო ნომრები კი საერთოდაც უფასოდ რიგდებოდა და თავისებურად არეგულირებდა ქართულ-ოსურ დაძაბულ ურთიერთობებს. აკი აფასებდნენ კიდეც ამ ღვანლს იქაურები — ზაურ ნაქაძეს 65 წლის იუბილეს რომ მიულოცავს, ვლადიკავკაზის ერთ-ერთი ქართული სკოლის მასწავლებელი, წმინდა კელაპტარს შეადარებს „გორის მოამბეს“.

თუმცა ამ გაზეთს სხვა რამეებითაც დაემახსოვრებინა თავი საზოგადოებისთვის. აი, თუნდაც ჩეხი „მწერლის“ იან რუაზჩეკის გვერდი, იუმორისტული ჩანაწერები რომ იბეჭდებოდა, გამორჩეულად რომ შეიყვარა მკითხველმა და დღესაც არაფერ იცის, რომ პრადლეების საყვარელი გაზეთის „ნოვა მისლის“ ყოფილი თანამშრომელი, ახლა ერთ, პატარა ქვეყნის პროვინციული ქალაქის გაზეთშიც რომ აქვეყნებდა თავის ფიქრებს, არც მეტი, არც ნაკლები, რედაქტორის მისტიფიკაცია იყო და ის სახელიც „რუაზ“ პირიქით რომ ნაგეკითხათ, ადვილად მიხვდებოდით ამ ჩანაწერთა ავტორის ნამდვილ ვინაობას.

ბევრი კარგი საქმისთვისაც დაედა თავი ამ გაზეთს, თუნდაც ნიკო ლომოურის ძეგლის აღდგენა — ახალ ბაღში, მტკვრისა და ლიახვის შესართავთან რომ იდგა, მზის ამოსვლისას სპილენძი რომ აბრდღვიალდებოდა და თითქოს ახალი სხვივით გაბრწყინდებოდა ხოლმე ეს მწერალი თავისი შემოქმედებით. იმ მძიმე 90-იან წლებში გაეძარცვათ და რკინა-ბეტონის კონსტრუქციად დაეტოვებინათ.

1994 წელი იყო...

შიოდა, სწყუროდა, სციოდა და სტკიოდა საქართველოს... და სწორედ ასეთ დროს „გორის მოამბე“ აქვეყნებდა წერილს სახსრების მოსაძიებლად ნიკო ლომოურის ძეგლის აღდგენისათვის.

ვილაცები კიდეც მოინდომებდნენ დახმარებას.

ბამბულის კომბინატიდან სულაც გამოეხმაურებოდნენ.

კაპიკს კაპიკზე დაანებებდნენ და... აღადგენდნენ — ქვეყანაში, რომელსაც შიოდა, სწყუროდა, სციოდა და სტკიოდა, მაგრამ სულიერებისთვის მაინც გამოახავდნენ ძალებს.

ის კი არა, გორის ენციკლოპედიის გამოცემასაც მოინდომებდნენ. XX საუკუნის იმ სახელების შეკრებას, ვისაც თუნდაც პატარა რამ გაეკეთებინა ამ ქალაქისათვის, მაგრამ... თითქმის ბოლომდე მიყვანილი საქმე ჩაეშლებოდათ.

ასე ცხოვრობდა „გორის მოამბე“ ამ ქალაქთან ერთად, რომელმაც ოთარ ჩხეიძის რედაქტორობით გამოცემული

„კლდეკარიც“ იცოდა — პასუხისმგებელი მდივანი ზაურ ნაქაძე რომ იყო — ჟურნალი, იმდროინდელ ლიტერატურულ ყოფას რომ ასახავდა, ბევრ ახალგაზრდას რომ გაუკაფა გზა და თუკი ვინმე წერდა მაშინ იმ მხარეში, სწორედ ოთარ ჩხეიძის მიერ იყო ხელდასხმული.

აკი თვითონ ზაურ ნაქაძისთვისაც მას დაელოცა გზა, პირველი წიგნი „მამა“ 1981 წელს ოთარ ჩხეიძის ხელდასხმით გამოექვეყნებინა და ამ მადლითაც გაეგრძელებინა მუშაობა: „და ჰყვოდა ტყემლები იანვარში“, „სამგლეთს რა გინდა“, „გულყინულიან ქვეყანაში“, „გარეთუბანი“, „ათოვდა თერგს და ათოვდა თრუსოს“, „ცხრათავიანი რომანი სიზმრებით“, „საგაზაფხულო არდადეგები“, მერე იყო ბიოგრაფიული რომანი „ვაჟაფშაველიანა“, ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი წიგნიც მერე იყო, „აზმაზ ეზაზონიძის სანათესაოც“, ჯერ რომ არ გამოუქვეყნებია. ფხვენისში მარტობისას, აგვისტოს ომსაც იქ რომ გადაივლიდა, იმ ავბედით დღეებს უძღვნიდა რომანს „ელეთმელეთი“, მარტო მხატვრულ კი არა, დოკუმენტურ მნიშვნელობასაც რომ შეიძენდა და ასახავდა განცდებს კაცისა, რომელსაც „ესმის, თუ როგორ კენესის მშობლიური მინა, მაგრამ შველა არ შეუძლია...“ სულ ახლახან კი „ყაზბეგიანთ ზღაპარკობა“ მომზადდებოდა გამოსაცემად.

ესეც ფხვენისში გატარებული 2555 ლამის მარტობის შედეგი იყო.

მწერალი სოფელში უცხო და უცნაური არ გახლდათ მისთვის — ამის საუკეთესო მაგალითი ოთარ ჩხეიძეს ეჩვენებინა. თანაც საინტერესო თემა სოფელი მწერლისთვის, ის ხომ თავიდან ბოლომდე ამბავია — თავისი პერსონაჟებით, ხასიათებით, ისტორიებით... გამზადებული მოთხრობაა, შენ უბრალოდ უნდა დაწერო...

მთელი ცხოვრება კი ნატრობდა ადგილს, სადაც თავის ყურეს იპოვნიდა — სახლს მდინარესთან ახლოს — დაჯდებოდა და დაწერდა. ამ ნატრას ფხვენისში აისრულებდა. რალაცნაირად, სხვანაირად შეიყვარებდა იქაურობას, ოღონდ ეგ იყო, სიზმრად ყოველთვის მშობლიურ სოფელს ხედავდა — იმ სახლს, იმ ეზო-კარს, სადაც მინასაც სხვანაირი სურნელი ჰქონდა.

— მიჩვევა სცოდნია მარტობასაცო, — ამბობს და ელიმება, ელიმება... რალაცნაირი სევდით ელიმება ახლა „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში სტუმრად მყოფ ზაურ ნაქაძეს, აი იმას, წლების წინათ მატარებლიდან რომ აღმოაჩინა ქალაქი, რომელსაც მთელი ცხოვრება დაუკავშირა, გორში ოთარ ჩხეიძის გამო რომ დამკვიდრებულიყო, გორის უნივერსიტეტშიც ამიტომ რომ ჩაებარებინა, მთელი თავისი შემდგომი ცხოვრება და მოღვაწეობაც ამ მწერლისთვის რომ დაეკავშირებინა, ბოლო წლები სოფელში მარტოდმარტოს რომ გაეტარებინა და ახლა ამ ყველაფერს რომ იხსენებდა, ელიმებოდა, ელიმებოდა... რალაცნაირად სევდიანად ელიმებოდა და ასე ამბობდა:

— ისე სწრაფად მიჰქრის ის ჩვენი ცხოვრების მატარებელი, წუთისოფელს ვინ ჩივის, საკუთარი თავის შეცნობასაც ვერ ვასწრებთო.



ზაურ ნაქაძე

ოცნებად — ვაჟასეული გუნება

(მაკა ჯიბლაკის
ისაუბრაბა
ხათუნა გოგალაქი)

გარემოს დაცვა ყველა ქვეყნის მნიშვნელოვანი სფეროა. დღეს ყველას მოეხსენება ამ დარგში არსებული საკმაოდ მწვავე პრობლემები. სამინისტრო აქტიურად მუშაობს, რათა ნლო-ბით დაგროვილი პრობლემები დროზე აღმოფხვრას. გარემოს დაცვის მინისტრი ქალბატონი ხათუნა გოგალაქი ძალისხმევას არ იშურებს თანამშრომლებთან ერთად, რომ საქართველოს გარემო და ბუნება ევროპულ სტანდარტებს მიუახლოოს.

— ქალბატონო ხათუნა, ბევრი პრობლემები დაგხვდათ სამინისტროში?

— პრობლემა მართლაც ბევრი დამხვდა. ჩვენს სფეროში შეცდომებს შეიძლება შეუქცევადი ხასიათი ჰქონდეს და გამოსანორებლად წლები დაჭირდეს. ვერცერთ მიმართულებას ვერ დაგისახელებთ, რომ გამოსწორება არ ჭირდებოდეს. დიდი სურვილი მაქვს, ყველაფერი გავაკეთო, თუმცა მცდარი იქნება წარმოდგენა, რომ ერთ წელიწადში ყველაფერი გამოსწორდება, მთავარია სწორი გზით წავიდეთ. როდესაც ევროკავშირსა და საერთოდ დასავლეთთან მიახლოებაზე ვსაუბრობთ, ეს საკმაოდ რთული პროცესია. გარემოს დაცვა ერთ-ერთი მთავარი თემაა, რაზეც გადის გზა ევროკავშირისკენ. აქედან გამომდინარე ბევრი ქმედითი ღონისძიება საჭირო, რაც ნაბიჯ-ნაბიჯ ნაკვეთებს ჩვენი მიზნებისკენ. მიხდა დეკლარირებული ღირებულებანი ქმედებებში ავსახოთ. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ სფეროში სასიკეთო ცვლილებებს მივაღწევთ.

— როგორ იწყება მინისტრის სამუშაო დღე?

— ძალიან აქტიურად. თავდაპირველად როგორც დედა, შემდეგ მინისტრი და შემდეგ ისევ დედა. ერთი ჭიქა ყავა თუ მოვასწარი, კარგია. ხანდახან საყვედურებს ვლებულხარო როგორც დედა, რადგან შინ ძალიან ცოტა დროს ვატარებ. ადრე შაბათ-კვირას მაინც ვიყავი სახლში, ახლა ამის შესაძლებლობაც არ მაქვს. ჩემი პატარა შვილი მეკითხება, აღარ მოვა შაბათით?

— გარემო და ბუნება მჭიდრო კავშირშია პოეზიასა და პროზასთან, თითქმის ყველა ქართველი პოეტისა და პროზაიკოსის ნაწარმოებებში გვხვდება ბუნების აღწერა. რას ნიშნავს თქვენთვის პოეზია, რომელ ქართველ პოეტს გამოარჩევდით?

— პოეზიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში. სამწუხაროდ, დრომ მოიტანა და მოუცლელობის გამო ვეღარ ვკითხულობ. ძალიან მიყვარს გალაკტიონი, ტიცინიანი, ტერენტი გრანელი, ლადო ასათიანი, მუხრან მაჭავარიანი... ვაჟა-ფშაველა ჩემთვის მარტო პოეტი არ არის — მთელი ფილოსოფიაა, ვაჟასთან არაფერი არ არის უსულო. არ მბეზრდება მისი გადაკითხვა. ამერიკაში რომ წავიდი, 2 წლით, ვაჟა წავიღე მხოლოდ და როცა ძალიან მიჭირდა, ან ძალიან მენატრებოდა ჩემი სახლი, ხან მთის ვიწრო ბლიკებს მივუყვებოდი, ხან ნისლიან მთებს და სალ კლდეებს გავყურებდი... ეს ძალიან მენმარებოდა. მახსენდება უშუქობის ხანა, როდესაც არც ტელევიზორი იყო და არც რადიო, ერთ ოთახში ვთბებოდით და პოეზიის საღამოებს ვანწყობდით.

— საქართველოში ფართოდ გავრცელდა ტყეების გაჩეხვა, რას აპირებთ ამ პრობლემის მოსაგვარებლად?

— ტყის საკითხები, ალბათ იცით, ჯერჯერობით ჩვენს ფუნქციაში არ შედის, ენერგეტიკის სამინისტროს ეკუთვნის. თუმცა მომზადებულია და პარლამენტშია გადაგზავნილი საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც გარემოს დაცვის სამინისტროს დაუბრუნებს ბუნებრივი რესურსების, მათ შორის ტყის მართვის ფუნქციას. ცვლილებანი, სავარაუდოდ, ძალაში გაზაფხულზე შევა. 2011 წლის მარტში ტყე, გარემოს დაცვის ინსპექცია, ბუნებრივი რესურსები და რადიაციული უსაფრთხოების საკითხები გადავიდა ენერგეტიკის სამინისტროში. ლოგიკა ამაში არ არსებობს და ამიტომაც ხდება ჩვენს სამინისტროში დაბრუნება. არის ქვეყნები, სადაც სოფლის მეურნეობის და ტყის საკითხებს ერთი სამინისტრო მართავს. არის მოდელები, როცა ტყის მართვის სტრუქტურა ცალკეა, მაგრამ ტყის მართვის ენერგეტიკის სამინისტროს ქვეშ მოქცევა გაუგებარია, რადგანაც ტყე არ არის მხოლოდ ენერგეტიკული რესურსი, ის ეკო სისტემაა. ტყის მართვის ეფექტიანი სისტემის შემუშავების მიზნით კონსულტაციებს გავდივართ სხვადასხვა ადგილობრივ თუ უცხოელ ექსპერტებთან. ვითვალისწინებთ ჩვენ დასავლელ პარტნიორთა და ევროპის გამოცდილებას ამ კუთხით. წინა წლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო თუ ინსტიტუციურმა რეფორმებმა მნიშვნელოვანი რისკების ქვეშ დააყენა სატყეო სექტორი. აღსანიშნავია ისიც, რომ წინასაარჩევნო პერიოდში განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რამაც ხელი შეუწყო ტყეების უმონყალო ჩეხვას. ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსთა სამინისტროსთან კოორდინირებით დავიწყეთ ამ საკანონმდებლო ხარვეზთა აღმოფხვრაზე მუშაობა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

ტყის მართვის ფუნქციის დაბრუნების შემდეგ, პირველ რიგში მოხდება მისი ფიზიკური დაცვის გაუმჯობესება და გაცემულ ლიცენზიათა პირობების კონტროლი. ლიცენზიების მიხედვით ტყის მართვა არ არის სწორი პროცესი, არცერთ განვითარებულ ქვეყანაში არ ხდება ტყეების მართვა ამ მოდელით. გვინდა ტყის მართვის მოდელი მივუახლოოთ დასავლეთში დანერგულ და გამოცდილ მოდელს. განვითარებულმა ქვეყნებმა ჩვენთან პერიოდი დიდი ხნის წინათ გაიარეს. შედეგად, მაგალითად, გერმანიაში მხოლოდ ბუნებრივი ტყეების პროცენტული მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. მაგრამ იმავე გერმანიაში ტყის ფართობების მზარდი ტენდენცია შეიმჩნევა მიუხედავად იმისა, რომ ჭრები უფრო მეტია, ვიდრე ჩვენთან. ეს სწორი მართვის შედეგია. ჩვენ უნდა გავიზიაროთ დასავლეთის გამოცდილება, და ჩვენი და დასავლელი ექსპერტების ერთობლივი ძალისხმევით შევიმუშავოთ და დავნერგოთ ტყის მართვის მდგრადი მოდელი. ამ საკითხზე მუშაობა უკვე დაწყებული გვაქვს.

— ჩვენს ქალაქში ძალიან გახშირდა გამწვანებული ტერიტორიების სამშენებლო ზონებად გადაქცევა, თქვენ მიმართებ მერიას და მწვანე საფარის შენარჩუნება მოითხოვთ, შეჩერდება მსგავსი სამშენებლო პროექტები?

— ეს საკითხი ძალზედ პრობლემატურია. სამართლებრივად თბილისის განაშენიანება-გამწვანება არ შედის გარემოს დაცვის სამინისტროს ფუნქციებში. თუმცა ასეთი სტიქიური მშენებლობანი ყოველად გაუმართლებელია. ჩვენ შეხვედრად გვქონდა მერიის გამწვანების სამსახურის უფროსთან. ვფიქრობ, მერიამ უნდა იმუშაოს გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად ასეთ მნიშვნელოვან საკითხებზე. ახალ კორპუსებს შორის დაშორება ხშირ შემთხვევაში ძალიან მცირეა. ცენტრალურ-

რი რაიონები რთულ მდგომარეობაში იმყოფება. ევროპის ქვეყნებში, სადაც ვყოფილვარ, გამწვანების სტანდარტები ყველგან დაცულია. გამწვანება მარტო სილამაზე არ არის. მწვანე ზონებს აქვთ ხმაურის დამხშობი, ჟანგბადის გამოყოფი, მტვრისგან დაცვის ფუნქციებიც. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ფუნქციებში არ შედის ქალაქის გამწვანება, პასუხისმგებლობას მეც ვგრძნობ და ვფიქრობ, უნდა მოიძებნოს თბილისის მერიასთან კონსტრუქციული თანამშრომლობის გზები.

— გარემო მუსიკასთანაა კავშირში, რა როლს თამაშობს თქვენს ცხოვრებაში მუსიკა?

— მუსიკა ძალიან მიყვარს. ბავშვობაში დავდიოდი მუსიკაზე. ეს საკუთარი ინიციატივით დავინწყე, როცა მე-4 კლასში ვიყავი. ამ დროს ჩემი ხნის ბავშვები მუსიკალურში უკვე მე-3 კლასში იყვნენ. ოჯახში ამას არავინ მაძალბებდა. ბოლოსკენ ცოტა კი მეზარებოდა, მაგრამ ვფიქრობდი, რადგან დავინწყე, უნდა დამემთავრებინა კიდეც. მუსიკა გამოვინებასა და გარკვეულ ინტელექტსაც გიყალიბებს.

— უკრავთ ფორტეპიანოზე?

— მიყვარს კლასიკური მუსიკა და ჯაზი, თუმცა ფორტეპიანოზე დასაკრავად კი არაა, მუსიკის მოსასმენადაც აღარ მცალია... საერთოდ ჩვენს ოჯახში განათლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მამა ფიზიკოსი იყო, ჯერ განათლების სამინისტროში, შემდეგ 27 წელი სამედიცინო ინსტიტუტში იმუშავა. ჩვენს ოჯახში სულ განათლების პრობლემებზე იყო საუბარი. გახსოვთ ალბათ, იმხანად დიდი ნაკადი აბარებდა სამედიცინოზე, მამა ნუხდა: ნაღები კადრები მოდიან ჩვენთან, მაგრამ კარგი ექიმები ცოტა გვყავსო. ამას ისე განიცდიდა, რომ ჯერ კიდევ პატარა ვამბობდი, რომ გავიზრდები, მე უნდა ვუშველო უმაღლესი განათლების სისტემას-მეთქი.

— მოგზაურობა თუ გიყვართ?

— მიყვარს. უამრავ ახალს ეცნობი მოგზაურობის დროს და ეს ყოველთვის საინტერესოა.

— პატრიარქის კურთხევით, ყოველმა ადამიანმა წელიწადში თორმეტი მოციქულის სახელზე თორმეტი ხე უნდა დარგოს, თბილისი და თბილისის გარშემო მთები დაფარული უნდა იყოს მცენარეებით, ხეებითა და ბუჩქებით, როგორი ფორმით გაგრძელდება გამწვანების აქცია?

— ეს ძალიან კარგი ინიციატივაა. ჩვენც გვაქვს გარკვეული გეგმები ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ჯერ კარგად დამუშავება სჭირდება, რათა მხოლოდ პიარის ხასიათი არ მიიღოს და რეალური შედეგები გვქონდეს. დარგულ ხეს სწორად მოვლა სჭირდება.

— თქვენი შობი?

— შობი სტუდენტობის დროს მეგობრებთან ერთად ტყე-ღრეში ხეტიალი იყო. ჩვენი ინიციატივით დავდიოდი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მოვიარეთ ხევსურეთი, რაჭა, სვანეთი, ყაზბეგი. დღეს შობი საღამოს ოჯახში დაბრუნება და შეილებთან ყოფნაა.

— რა სიახლეებს ჰპირდება 2013 წლიდან გარემოს დაცვის სამინისტრო მოსახლეობას?

— ჩვენ სფეროს ერთ წელიწადში ვერ მოაწესრიგებ. მოსახლეობას ვპირდები სწორი მიმართულებით და კანონიერი ნაბიჯებით სვლას. წინასწარი დაპირებანი არ მიყვარს. ვნახოთ. ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ.

— საქართველოში დღეს ევროკავშირი რა პროექტებს ახორციელებს გარემოს დაცვაში?

— ევროკავშირთან დიდი ხნის თანამშრომლობა გვაკავშირებს. ევროკავშირისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი სფერო და, შესაბამისად, აქტიურად გვეხმარება არსებულ პრობლემათა მოგვარებასა და ქვეყანაში შესაძლებლობათა გაზრდისათვის. ამჟამად ევროკავშირის დახმარებით მიმდინარეობს პროექტები ნარჩენების მართვის და ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროებში. ევროკავშირის დახმარებით მიმდინარეობს ნარჩენების კანონპროექტის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. სტრატეგიისა და კანონპროექტის პირველი ვარიანტები უკვე მალე იქნება მზად და მოხდება მათი განხილვა სხვადასხვა დანიტერესებულ მხარეებთან. დიდი იმედი მაქვს ეს კანონი მალე შევა ძალაში, რაც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ნარჩენების მართვის სფეროში.

— მინისტრის ოცნება?

— შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ ეს ოცნება ტყის მართვის მონესრიგებაა. არ შეიძლება ტყის საკითხი არ გადადებდეს. ოჯახშიც კი ამაზე ვსაუბრობ. ოცნებობ ხოლმე: მივდივარ ტყეში და ისეთ

ტყეს ვათვალიერებ, როგორც ყველა ქართველის ნატურაა. ასეთია ჩემი — როგორც მინისტრის — ოცნება. როგორც მშობელი, ვოცნებობ ბედნიერი მომავალი ჰქონდეთ ჩემს შვილებს. ჩემი რაც არის, შვილი, სამინისტრო თუ ქვეყანა, ყველაფერი მინდა კარგი და საამაყო იყოს.

P.S. გარემოს დაცვის მინისტრი პირველ რიგში ქართული სულისკვეთებით გამოირჩევა. საქმის შესანიშნავი მცოდნე, თავმდაბალი და სათნო ლიმილით. ასეთია ქალბატონ სათუნა გოგალაძის პორტრეტი. მკითხველი დამეთანხმება: კარგა ხანია გარემოს დაცვის მინისტრებისგან არ გაგვიგონია, „ჩემი ოცნებაა ტყის აღორძინებაო“. მინისტრის ოცნება სწორედ საკუთარი ქვეყნის აღმშენებლობა და სწორი მიმართულებით წასვლაა. ჩემს ოცნებას მაინც არავინ დაიჯერებს და ნუ დანერო, მაგრამ ვფიქრობ საზოგადოებაში უნდა გაიგოს მისი სურვილი და დააფასოს. მე კი იმდენად მოვიხიბლე მინისტრის ოცნებით, რომ თვალწინ წარმომიდგა საქართველოს აყვავებული ბუნება ვაჟას მთა-ბარით, ილიას ყვარლის მთებით, გალაკტიონის იისფერი თოვლით გადაპნტილი არემარეთი, ლადო ასათიანის ყაყაჩოებით აბიბინებული უფლისციხეთი, ანა კალანდაძის სექტემბრის ქარებით, სადაც ამაყად დააბიჯებენ მუხრან მაჭავარიანის ლეილა, ლონდა, ვაჟა... და ვინ მოსთვლის კიდევ ქართველ პოეტებს, რომელთაც საქართველოს ბუნებას უმღერეს და სამშობლოს სიყვარულში დაიქარვდნენ.

ქალბატონ სათუნას ვუსურვებთ ვაჟასეული ბუნება აყვავებინოს საქართველოში.



სათუნა გოგალაძე და მაკა ჯიბლაძე

მერაბ გველესიანი

შტრიხი წმინდა სამების ბაგაბისათვის

ანუ

რა დავუპირისპიროთ შამოტყვას

ეს წერილი იმისათვის და იმ იმედით იწერება, რომ გამოხატოს ჩვენი ყველა იმ თანამემამულის გულისთქმა, რომლებიც ქართულ კულტურას არიან ნაზიარები — იმის მიუხედავად, რა აღმსარებლობის არიან ისინი ან საერთოდ არიან თუ არა მორწმუნენი. ქართული კულტურა ხომ ქრისტიანულია თავისი ძირებითა და თავისი არსებით. მაშ ჩვენი საერთო სურვილიც უწინარესად ის უნდა იყოს, რომ ძირებს მოვუფრთხილდეთ და რომ ეს — ჩვენი — კულტურა არ მოსწყდეს მათ, არ გაგვიუცხოვდეს, არ გადაგვარდეს; და, რაღა თქმა უნდა, — ამისთვის ქვეყანა კვლავაც და კვლავაც მართლმადიდებლურად დარჩეს აღმსარებლობის სრული თავისუფლებით, როგორც იყო იგი საუკუნეთა და საუკუნეთა მანძილზე.

იქნებ გაიკვირონ: განა ემუქრებაო ამას რაიმე რეალური? განა ძლიერება აკლდებაო ჩვენს მართლმადიდებლურ ეკლესიას?!

კი არ აკლდება, ემატება, ოღონდ, შემომტყვინიც მოუმრავლდნენ ჩვენსავე ქვეყანაში.

როგორ მომრავლდნენ — რა არის მიზეზი?

ისინი — „იეჰოვას მოწმენი“ — დაულალავად დადიან ქუჩა-ქუჩა და გვაჩერებენ, ხან კარსაც გვიკაკუნებენ. ცდილობენ შეგვიყოლიონ ტკბილ საუბარში მაღალ ღირებულებებზე — მშვიდობაზე, ბიბლიაზე — და ამასობაში თავიანთი მრწამსი გადაგვიშალონ. ეს დაჟინებული მცდელობა უთუოდ არის პირობა მათი წარმატებისა, ოღონდ არა — მიზეზი. არ ივლიდნენ, შედეგს რომ ვერ აღწევდნენ — თუნდაც მხოლოდ მათთვის დამაიმედებელ შედეგს. მიზეზი უნდა ვეძიოთ უწინარესად ჩვენს მხარეს, ჩვენი შეუვალობის სუსტ ნერტილებში, რომელთა შორის, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი წმინდა სამების გაგების უკმარობაა. ჩვენთან ისინი უფრო მეტად ქრისტეს მოძღვრებით მანიპულირებენ, ოღონდ ქრისტე მათთვის ღმერთი არ არის — მასწავლებელია მხოლოდ. ჩაეძიები და, გაიკვირებენ, ღმერთის ძე თვითონ როგორ იქნება ღმერთიო. ვინ იცის, რამდენი შეუქვებიათ და გადაუბირებიათ კიდეც ამ „საბუთით“. გადაუბირებიათ არა მხოლოდ უბირნი: შეუვალი ვერ იქნება ვერავინ, ვინც კი სამების იდუმალებაზე არ ჩაფიქრებულა ან ჩაფიქრებულა და უკმარობის შეგრძნება დარჩენია.

ცნობილი ფაქტია, რომ ისინიც ამ „სუსტ ნერტილს უმიზნებენ“. მათთან შეხვედრაზე წარმოთქმულ სიტყვაში — „ხართ კი თქვენ ქართველები?“ — რელიგიათმცოდნე თეიმურაზ ფანჯიკიძემ თქვა: „იეჰოველთა“ მოძღვრება კატეგორიულად ილაშქრებს სამების დოგმატის წინააღმდეგ. მათი თქმით, ეს

დოგმატი ბევრჯერ იყო ადამიანთა დაბნეულობისა და გაუგებრობის მიზეზი“... („სამი საუნჯე“. №2, 2012, გვ. 161).

ზოგნი მართლაც დაბნეულან და იბნევიან დღესაც, ოღონდ მიზეზი თვით დოგმატი კი არ არის — იგი უძლიერესია და უძლევი — მიზეზია მავანთა წარმოდგენა მასზე. ამიტომ ითხოვს იგი ახალსა და ახალ განმარტებას.

წმინდა სამების საიდუმლოს ბოლომდე წვდომა ადამიანს არ ხელეწიფება. მან იგი უნდა შეიგრძნოს. ოღონდ შეგრძნობა ცარიელ სიტყვით ვერ მოვა, იგი თვით იდუმალების გამონათებებმა უნდა გამოიწვიოს. მაშინ იქცევა იგი შეუვალობის საძირკვლად.

სამების გამონათება თვით სამყაროა. თვალსაჩინოება მასშია საძიებელი და, მეტად თუ ნაკლებად, მოძიებელიც. მიღებულია ღმერთის სამსახოვნების შედარება მზესთან, რომლის დისკოსგან (1) მომდინარეობს სინათლე (2) და სითბო (3). მასვე ადარებენ ნაკადულსაც, რომლის პირველწყარო ხილვადობისგან დაფარული მინისქვეშა წყალია (1), აქედან გამოედინება ნაკადი — ხილული წყარო (2), რომელიც, დიდ მანძილზე მოჩქრიალე, არწყულებს მწყურვალთ, მოაქვს სიცოცხლე (3). ჩინებული შედარებებია, ისინი მხოლოდ ერთარსის სამსახოვნების შესაძლებლობაში კი არ გვარწმუნებენ, არამედ მის ნამდვილობაშიც — მის ამქვეყნიურ არსებაში. უხილავი წყარო ამ ბოლო მაგალითში მამის სახის სიმბოლოა, მისგან შობილი ხილული წყარო — ძის სახისა, ხოლო დამარწყულებელი ნაკადი — სულიწმინდის სიმბოლო. ოღონდ ეს უფრო სიმბოლოებია, ვიდრე პარალელები და ისინი მაინც ტოვებენ თეთრ (უკმარობის) ლაქას, განსაკუთრებით იმათში, ვისი აზროვნებაც ლოგიკას უფრო მორჩილობს, ვიდრე შეგრძნებას.

შეიძლება კი, საერთოდ, ვეძიოთ რაიმე პარალელი წმინდა სამებასთან? შეიძლება! მივმართოთ ჯერ ისევ იმავე სიმბოლოებს: მზე თავადაა ვარვარა დისკო — დისკოს, სინათლის და სითბოს ერთიანობა, — ხოლო სინათლე ან/და სითბო ქვეყნიერებას ეფინება. ასევე ეფინება სულიწმინდა ქვეყნიერებას. დაეფინა დასაბამიდან, რათა ქვეყნიერება შემდგარიყო. წმინდა სამების პირველი გამონათება საოცარი გამოხატულებითაა აღწერილი ბიბლიაში. მივმართოთ მის თარგმანებს, თავდაპირველად — ბაქარისეულ გამოცემას, რომელიც ჯერ 1743 წელს დაისტამბა, შემდეგ კი, არარსებითი ცვლილებებით, 1884 წელს. ეს უკანასკნელი იწყება სიტყვებით: **დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქვეყანა. ხოლო ქვეყანა იყო უხილავ და განუმზადებელ: ბნელი იყო ზედა უფსკრულთა: და სული ღვთისა იქცეოდა ზედა წყალთა.**

ანუ უსახო, განუმზადებელ, თხევადსა და ბნელ ქვეყანაზე იქცეოდა სული ღვთისა. აქაც სამერთიანობას ვხედავთ: დამზადებელს (შემოქმედს), დასაბადებელსა (განუმზადებელსა) და დამზადებლის სულს. ცხადია, ეს სამერთიანობა აღარ გამოხატავს ღმერთის თვითარსს. იგი ასახავს შემოქმედის არსობრივ კავშირს და ერთიანობას განუმზადებელ შემოქმედებასთან.

რამდენიმე განმარტება ბიბლიის გვიანდელი (მათ შორის გამარტივებული) თარგმანების კომენტარის თანხლებით:

— რატომ — „უსახო“ (ქვეყანა)? იქნებ ეს სიტყვა არც ჯობს „უხილავს“, რომელიც მან გვიანდელ თარგმანებში შეცვალა — იქნებ უფრო ზუსტი „უხილავია“? მაინც ვფიქრობ, რომ „უსახო“ ერთდროულად შეიძლება გავიგოთ როგორც ჩამოუყალიბებელიც — თავისი სახის ჯერარმონეც

და როგორც ბნელით მოცულიც ანუ უჩინარია.

— გვიანდელ თარგმანში „განუმზადებელ“ შეცვლილია „უდაბურით“, რაც აბუნდოვანებს იმ აზრს, რომ ქვეყნიერება ჯერაც არ იყო მზად არსებობისათვის;

— უფრო დასანანი, რომ „სული ღვთისა იქცეოდა ზედა წყალთა“ შეცვლილია სიტყვებით „სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ“, ან — იძვროდა მათ „პირას“. ვექვობ, ეს შედარებით ახალი ვარიანტები იმავე სიღრმით, სიზუსტით, გამომსახველობითა და ძალით გამოხატავდნენ შემოქმედის კავშირურთიერთობასა და ერთიანობას ქმნადლობის მდგომარეობაში მყოფ თავის შემოქმედებასთან;

— შეიძლება კითხვები გამოიწვიოს ჩემი პერიფრაზის სიტყვებშიც — „თხევადი“ და „ბნელი“. ამ შესაძლო კითხვებზე პასუხს ბიბლიის მომდევნო წინადადებები გვაძლევს: და თქვა ღმერთმა, იქმენინ ნათელი, და იქმნა ნათელი, და გაჰყარა ღმერთმა ნათელი და ბნელი. ანუ მანამდე ნათელი არ არსებობდა. რაც შეეხება „თხევადს“, აქ ძირითადად ისევ 1884 წლის გამოცემას დავეყრდნობი: თქვა ღმერთმა, იქმენინ მყარი შორის წყლისა, და იყავნ განმყოფელ შორის წყლისა და წყლისა. და იქმნა ეგრეთ. ანუ მანამდე მყარი არ არსებობდა.

ჰომილიებში „ევექსთა დღეთათვის“ წმინდა ბასილი დიდი ჭეშმარიტების შესაფერად მიიჩნევს იმას, რომ სულიწმინდის დაქცევა წყალთა ზედა გავიგოთ როგორც განტფობა, განცხოვრება წყლის ბუნებისა, რომელიც ჯერ არ იყო გამჟღავნებული — წყალი არ იყო შეკრებილი და ქვეყნიერებას ფარავდა; ხოლო განტფობა გავიგოთ როგორც სასიცოცხლო ძალის მიცემა განტფობილისთვის.

ამ წიაღიდან, ამ წესით გამოსული ქვეყნიერება ყველგან და ყველაფერში ამავე წესს ემორჩილება. ამის მაგალითებიც, ცხადია, უამრავი შეიძლება იყოს. განა თვით ადამიანის ყოველი შემოქმედება არ წარმოადგენს სამთა ერთიანობას? და სანამ ეს შემოქმედება განუმზადებელია, განა სული შემოქმედისა — ამ ადამიანისა, — არ იქცევა მასზე? მაგრამ მაგალითების უსასრულო მოყვანას, სჯობს მივმართოთ ბუნების ქმნილებათა ქმნადობის უზოგადეს საყოველთაო კანონს, რომელიც სრულყოფილი სახით გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელმა ჩამოაყალიბა. უმარტივესი და ამიტომ იქნებ რამდენადმე გაუხუმებული სახით გამოითქმის ასე: **ყოველი საგანი და მოვლენა ამ სამყაროში ორადქცეული ერთისა და მის მხარეთა კავშირითიერთობის ერთიანობას წარმოადგენს.** მათი ეს შინაგანი კავშირი — კავშირის წესი — მათ მხოლოდ ერთ მთლიანობად კი არ ადულაბებს, არამედ უფრო მაღალ თვისებრიობად წარმოგვიდგენს მათ მთლიანობას, ვიდრე ისინი იქნებოდნენ ცალცალკე.

წარმოადგენს თუ არა ეს, ბუნებითი, კანონი (როგორც კანონი) სამის ერთარსობისა წმინდა სამების გამონათებას? ყველა შემთხვევაში, ეს პარალელი მეცნიერებასა და თეოლოგიას შორის ხიდების ძიებას ხდის შესაძლებელს. რელიგიისა და მეცნიერების დამორიშორებაზე ბევრი თქმულა და დანერჩილა კიდევ, მაგრამ არის კი ეს ორი მხარე ყოველთვის მიმართული და მოწინააღმდეგე ხიდების აგებაზე?

ილია ჭავჭავაძეს მოვეუსმინოთ. გაბრიელ ეპისკოპოსის ცხედართან წარმოთქმულ სიტყვაში იგი აცხადებდა: „მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, — საერო თუ სამღვდლო, — რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის-ყოფით... დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება... ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელი და მოუთავსებელი არიანო.

იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა.

...ერთი ბრძენისა არ იყოს, „ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, და ზოგი-კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ“. ბუნება ადამიანისა იმისთანაა, რომ სულთა-სწრაფვა ჩვენი ერთსაც ეტანება და მეორესაც საცნაურად ორისავე გზით, და მით უფრო, რაც ადამიანი თვალხილულია და გონება-გაღვიძებული. ნება-უნებლიედ ამ ორს სამფლობელოში დადის მოუსვენრად გონება და გული ადამიანისა, რომ იპოვოს ბინა...

ამ ორ სამფლობელოთა შორის შემაერთებელ ხიდსა სწნავს მარტო სიბრძნე, რომელიც ასე იშვიათია ამ წუთისოფელში... ამისთანა სიბრძნეს სწვდებოდნენ მარტო იმისთანა გენიოსები, როგორიც ნიუტონი და სხვები მისებრი, ერთსა და იმავე დროს ღვთისა და ბუნებისმეტყველნი“ (ილია ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებული ათ ტომად. ტ. IV. 1955, გვ. 252-253). ამრიგად: **სიბრძნე — ასე იშვიათი რამ ამ წუთისოფელში — სწნავს შემაერთებელ ხიდს მეცნიერებასა და რწმენას შორის.**

რატომ ჰგონია ბევრს, რომ მეცნიერება და სარწმუნოება მოურიგებელი არიან? იმიტომ, რომ მეცნიერების გზა დაეჭვებისა და ძიების გზაა, ბრმადმორწმუნეთათვის მიუღებელი გზა.

ჩინებული დასაწყისი აქვს როსტომ ჩხეიძის წიგნს „ამირანის თქმულება“ (ნაკადული. 1991).

„ეს ეჭვებით სავსე წიგნია, მკითხველო.

ანუ: გულწრფელი წიგნი.

...შინაგანად ეჭვებით სავსე უამრავი წიგნია, ერთი შეხედვით როგორი მტკიცე და დაბეჯითებულიც უნდა ჩანდეს მსჯელობის ლოგიკა და საბუთიანობა.

აქ ეს განცდა მხოლოდ ზედაპირზეა ამოტანილი.

ბოლოს და ბოლოს, რწმენის სიმტკიცესაც ხომ ეს ჰქმნის და ასულდგმულებს“.

ეჭვი თუ გულში ჩაიმარხე, მართლაც ვერ იქნები გულწრფელი. გულწრფელობის გარეშე კი, თუ ვაჟა-ფშაველას დავესესხებით, „შეიძლება მხოლოდ ფორმა შეათვისებინო ადამიანს, ფორმა სარწმუნოებისა“...

დილაექტიკის კანონებს ჰეგელი უთუოდ მეცნიერებისა და სარწმუნოების სწორედ იმ — შემაერთებელ — ხიდზე სწნავდა, რომელსაც დიდმა ილიამ სიბრძნის ხიდი უწოდა. ამ კანონებზე საუბრის გაგრძელება აქ უადგილო იქნებოდა, რადგან არაფილოსოფოსს მკითხველს მათზე მეტად მანინც შემოქმედისა და მისი შემოქმედების ბიბლიური კავშირის შეგრძნობა და შეთვისება გაუადვილდება.

ვფიქრობ, წმინდა სამების გაგებასთან მიახლოებას მას გაუადვილებს იმ მხატვრულ თხზულებათა გააზრებაც, რომლებშიც გამოკრთის სამსახოვანი ერთარსის იდეა. ამ მხრივ გამორჩეული ადგილი უჭირავს ვაჟა-ფშაველას ღრმა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური წვდომებით დატვირთულ პოემას „გველის-მჭამელი“. იგი ხოგაის მინდიას ხევესურულ მითზეა დაფუძნებული, მაგრამ გამდიდრებულია და უზადლო ლოგიკით შეკრული.

უნდა დავეთანხმოთ ვაჟას შემოქმედების გამორჩენილ მკვლევარს გრიგოლ კიკნაძეს, რომელმაც ამ პოემას უცნაური უწოდა. უნდა დავეთანხმოთ თუნდაც იმიტომ, რომ დღემდე „გველის-მჭამელის“ არაერთი საკვანძო საკითხი ბურუსითაა მოცული და სწორედ ამიტომ ჩანს უცნაურად. უწინარესად ეს ეხება გზას, რომლითაც **მინდია ყოველისმცოდნედ გადაიქცევა. ხევესურულსა და მსოფლიო ხალხების სხვა**

მითებში ეს ხდება გველის ხორცის გასინჯვით. ლიტერატურულ კრიტიკაში დღემდე ამაზე დაჰყავთ ამ საკითხის ვაჟასული (ს. დანელია, გრ. კიკნაძე, აკ. განერელია, თ. ჩხენკელი, აკ. ბაქრაძე, ჯ. კაშია და სხვანი) გადაწყვეტა და ამის მიზეზად უწინარესად სწორედ წმინდა სამების უცმარი გააზრება მიმაჩნია, შემდეგ კი — დიალექტიკისა საერთოდ. თვით ვაჟას მოვუსმინოთ:

აილო ერთი ნაჭერი,
ზიზლით, ქურდულად შეჭამა
და ამ დროს მოწყალეს თვალთ
ტყვეს გადმოჰხედდა ზეცამა:
ახალად სული ჩაედგა,
ახალად ხორცი აისხა;
გულის ხედვა და თვალების,
როგორც ბრმის და ყრუს, გაეხსნა.
ესმის დღეიდან ყოველი,
რასაც ფრინველნი გალობენ,
ან მცენარენი, ცხოველნი,
როდის ილხენენ, წვალბენ...

როგორც ჩანს, კრიტიკოსთა აზრით, სტრიქონები — „მოწყალეს თვალთ ტყვეს გადმოჰხედდა ზეცამა“ — მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ მინდიას ბედმა გაუღიმა. ვაჟა ასე უბრალო მიზეზით არ მიმართავდა ცას. გენიოსმა იგი კონცეფციური ტვირთით დატვირთა. ეს ჩანს მთელი თხზულებიდან, მათ შორის სტრიქონებიდან — „ფრიალო კლდის თავს სახლი დგა, ცას ებჯინება ბანითა...“ რით უნდა აიხსნას, რომ მკვლევარები ამ უკანასკნელ შემთხვევაში იჩენენ ცის მნიშვნელობის მიმართ ყურადღებას და საკვანძო ეპიზოდში კი — არა? ვფიქრობ, მხოლოდ ერთი მიზეზით, რომელზეც ზემოთ ვთქვი.

საკვანძო ეპიზოდში მინდიას სულში, მოხდა სიბრძნის მასალის (მხოლოდ წიაღისეული მასალის) შერწყმა ზეციურ მადლთან. სწორედ ამიტომ ჩაედგა მას ახლად სული და აესხა ახალი ხორცი, გაეხსნა გულის ხედვა და ა.შ. ხოლო ზეციური სხივის დაუფენლად სიბრძნის მასალა იყო „განუზადებელ“ (ან განა მთელი პოემა არ ადასტურებს, რომ მინდია ვალშია უფალთან, რომლისგანაც მიიღო ცოდნა?). ამიტომ უნდა ვავიგოთ მინდიას ხელახალი დაბადება, როგორც პარალელი ბიბლიური დაბადებისა.

ვფიქრობ, თქმულიდან ჩანდა, რომ წმინდა სამების საიდუმლოს გაგებასთან ყოველი თუნდ მცირედი მიახლოება უფრო და უფრო მეტად გვარწმუნებს ქრისტიანული რელიგიის სიმაღლეში. სხვა რელიგიებს მსგავსი „საიდუმლო“ არ გააჩნიათ. შეიძლება მითხრან, რომ სამებას — სამი ღმერთის ერთიანობას — სხვა რელიგიებშიც ჰქონია ადგილი, რომ მას ვხედავთ ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე ათასი წლით ადრე გაჩენილ ბრაჰმანიზმში (ინდოეთი), მაგრამ ეს იყო ოდენ ანიმისტურ რელიგიათა (მრავალღმერთიანობის) კვალი: ბრაჰმანიზმები აღიარებენ სამ სხვადასხვა ღმერთს, რომელთაც სამყაროს გამგებლობის სხვადასხვა ფუნქციები ჰქონდათ და რომელთა შორისაც არ იდგა მათი შემაკავშირებელი, მათი ერთიანობის

ბადრი დანელია

აღვილ ნუ იტყვი ვაჟაზე

ამ წერილში შევეხებით ვაჟა-ფშაველას პოემის „აღლუდა ქეთელაური“ ერთი სტროფის არასწორ გაგებას და ამ გაგებიდან გამომდინარე მცდარ დასკვნას.

აი ეს სტროფი:

ჩვენ ვიტყვი, კაცნი ჩვენა ვართ, მართოთ ჩვენ გვზიდან
დედანი;
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ კუბრში მიელის ქშენანი.
ამის თქმით ვწარა-მარაობთ, ღვთიშვილთ უკეთეს იციან,
ყველანი მართალს ამბობენ, განა ვინაცა ჰფიციან?!

და აი, დასკვნაც, რომელიც გააკეთა მანანა ყიფიანი: „ლიტერატურათმცოდნეობაში ტრადიციულად გაგებული აღლუდას პიროვნების ამაღლება ქრისტიანულ დოგმატიკაზე, სარწმუნოებრივი თვალსაზრისით, ქრისტიანობისაგან განდგომაა. ვაჟა აღლუდას სახით ეკუმენისტურ იდეებს ქადაგებს, ყველა რელიგიის თანასწორუფლებიანობას აღიარებს, ყველა რელიგიას მაცხოვრებლად მიიჩნევს, უარყოფს ქრისტეს გამომსყიდველ მისიას კაცობრიობის წინაშე, ეწინააღმდეგება საკუთარივე ლექსის „შობის“ (აღლუდა იგულისხმება შობის თემაზე შექმნილი ლექსი „ვარსკვლავი“) სარწმუნოებრივ სულისკვეთებას. ცხონება ქრისტეს გარეშე რელიგიური თვალსაზრისით ეს დევიზი სულის წარმწყმედი დევიზია და აღლუდასაც, როგორც კეთროვანს, როგორც სხვათა სულებისათვის საშიშ პიროვნებას, ისე მოიკვეთს ერი. ვაჟას ბიოგრაფიაში ზემოთაღნიშნული შემზარავი ფაქტი (იგულისხმება თედო სახოკიას მოგონება, თითქოს ვაჟამ წმიდა გიორგის ხატს ესროლა) „აღლუდა ქეთელაურში“ თითქოს ცოცხლდება, ახალ ძალას იძენს, როგორც ჩანს პოეტის ცნობიერებაში ერთხელ დაძრული ცდომილება უკვალოდ არ გამქრალა. ხე ნაყოფით იცნობა; სამწუხაროა, რომ დღეს ქრისტიანულ სარწმუნოებასთან, კერძოდ მართლმადიდებლობასთან, მეტრძოლი ძალები ვაჟას სწორედ ამ ცდომილებას აფრიალებენ ბაირალად ეროვნულ ტრადიციებს სწორედ ამ გადასახედიდან ებრძვიან („ვაჟა-ფშაველას რელიგიური მრწამსისათვის“ „ლიტერატურული წერილები“, 2006). ის რატომღაც გაყოფილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში დამონმებული სამართლიანი არგუმენტების ძალით ავტორი ვაჟა-ფშაველას მართლმადიდებელ მწერლად მიიჩნევს: „ვაჟა-ფშაველას მრავალი ნაწარმოებია შექმნილი რელიგიურ თემაზე. ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ სიუჟეტით განსხვავდებიან, რელიგიური მრწამსი კი მათი შემკვერელია, ერთ დიდ თხზულებად წარმოდგენილია. ყველა მათგანისათვის დამახასიათებელია თბილი რელიგიური გრძნობები. არცერთი მათგანი არ სცილდება სახარების სწავლებას, რითაც აშკარად ჩანს მართლმადიდებელი მწერლის მსოფლმხედველობა, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვეულ ეტაპზე ვაჟა ამ მსოფლმხედველობაში თანმიმდევრული აღარ არის. ეპოქის რევოლუციურმა განწყობილებებმა თავისი კვალი დაამჩნიეს მის სარწმუნოებრივ მრწამსსაც“.

ჩვენს წინაშეა ერთ წერილში არსებული ორი ურთიერთსაპირისპირო დასკვნა, მაგრამ მთავარი, როგორც ყველგან, აქაც ბოლო დასკვნაა (ანუ პირველი ციტატა), ვაჟას სიტყვებით რომ ვთქვათ: „საქმის ბოლოა სადარდო, ამატკივარი თავისა“. თუ დავუკვირდებით, პირველი დასკვნა (ანუ მეორე ციტატა) ისეა ჩამოყალიბებული, რომ უფრო მეორესთვის მზადებას ჰგავს, ამიტომ მოვიხმეთ ბოლო დასკვნა პირველ ციტატად და საუბარიც მხოლოდ მასზე გვექნება.

ახლა კითხვა მაქვს ავტორთან: რას ნიშნავს აქ ჩართული სიტყვები — „ხე ნაყოფით იცნობა“, იმას ხომ არა: ვაჟა არის ბოროტი ნაყოფის გამომღებელი ხე? ვაჟას ასეთ შეფასებაზე საუკეთესო პასუხი იქნებოდა ორი პნკარი ისევე ვაჟას პოემიდან „სისხლის ძიება“... ვინც ვაჟას პოეზიას კარგად იცნობს, ის ისედაც მიხვდება.

მოდით, ცოტა ხნით დავუშვათ, რომ ამ სტროფის მარქსისტულ-ლენინური გაგება, რასაც მკვლევარმა შეცდომით, ტრადიციული უწოდა და თავისი დასკვნით დაეთანხმა, არის სწორი, ე.ი: ვაჟა-ფშაველას ამ სტროფში უარყოფილი აქვს ნათლობის დოგმატი (ანუ, როგორც ამბობენ: ვაჟა-ფშაველა ამაღლდა ვინრო ქრისტიანულ დოგმატებზე) და განვიხილოთ, ერთი მხრივ: ამ შემთხვევაში აქვს თუ არა ვინმეს ასეთი მკაცრი დასკვნის გამოტანის უფლება და, მეორე მხრივ: თვით ვაჟა როგორ მოიქცეოდა ასეთი ცდომილებისას.

ზემოთ ციტირებულ დასკვნაში ვაჟა-ფშაველა ცალსახად შერაცხულია მწვალებლად, უბრალოდ, ეს სიტყვა არაა ნახმარი, ამას ვერ უარყოფს თვით ქ-ნი მანანაც თავისივე წერილის პირველი ნაწილითაც კი, სადაც ვაჟა-ფშაველას წარმოადგენს მართლმადიდებელ მწერლად, მაგრამ ადამიანის მწვალებლად შესარაცხად საჭიროა:

1. ჰქონდეს მწვალებლური აზრი,
2. ამ აზრს ქადაგებდეს
3. ამ აზრს იყენებდეს ეკლესიის წინააღმდეგ.


პირველი პუნქტი ჩვენ დავუშვით, მაგრამ არ სრულდება მეორე და მესამე: არსად სხვაგან ვაჟას შემოქმედებაში არ გვხვდება დოგმატური ცდომილება, მითუმეტეს იგი ასეთ ცდომილებას ეკლესიის წინააღმდეგ ვერ გამოიყენებდა. ე.ი კლასიკური გაგებით „ხე ნაყოფით“ იცნობა არ გამოდის.

ახლა, ვთქვათ, ეს იყო ვაჟას უნებლიე ცდომილება: როგორც ეკლესიის ისტორიიდანაც ცნობილი, უდიდეს წმინდანებსაც კი ჰქონდათ ცდომილებები, მაგრამ ეს ჩაითვალა მათ კერძო აზრად და მათზე არავის უთქვამს „ხე ნაყოფით იცნობაო“, იცით რატომ? მათი უდიდესი დამსახურების გამო. ესაა სწორედ ჭეშმარიტების ეკლესიური და არა პიროვნული დაცვის არსი. ვფიქრობ, ვაჟას დამსა-

ხურება ქართველი ერის წინაშე, როგორც მოაზროვნის, როგორც მამულიშვილის და როგორც „თბილი ქრისტიანული გრძნობების მქონე“ (სიტყვები ქ-მანანას ამავე წერილიდან) პოეტისა, სადავო არ უნდა იყოს არავისთვის, ამიტომ იქნებ ეს „ცდომილება“ გვეპატიებინა მისთვის? გარდა ამისა, ეკლესიის ისტორიიდან კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან, თუმცა არ მახსოვს სად წავიკითხე, ამიტომ წყაროს ვერ მივუთითებ და სიტყვა-სიტყვითაც ვერ გადმოგცემთ, მაგრამ, ალბათ არსი არ შემეშლება, არც იმაში მეპარება ეჭვი, ვინმემ ეს შემთხვევა მონაჭორად ჩათვალოს, რადგან მასში აღწერილი ამბავი სრულიად ეთანხმება ქრისტიანულ სწავლებას: მამები მდინარეზე მიცურავდნენ ნავით, მათ დაინახეს ნაპირზე მლოცველი ადამიანი, მიაყურადეს და ჩათვალეს, რომ იგი არასწორად ლოცულობდა, ამიტომ „მამაო ჩვენო“ ასწავლეს და თავად გზა განაგრძეს. რამდენიმე ხნის შემდეგ დაინახეს მდინარეზე მათკენ მორბენალი კაცი, რომელშიც ის მლოცველი შეიცნეს. მიუახლოვდნენ, მლოცველმა სთხოვა, ის საუცხოო ლოცვა დამავინცდა და გამახსენეთო. ამ სასწაულის მხილველმა მამებმა გულისხმაჰყვეს და მიუგეს: „ჩვენ შენ რა უნდა გასწავლოთ, შენი ლოცვა ღმერთამდე მიდის და ისე ილოცე, როგორც იცი და როგორც შეგიძლიაო“. როგორც ვხედავთ, მამებმა თავიდან ის, რასაც ვერ ჩასწვდნენ, შეცდომად ჩათვალეს, მაგრამ სასწაულის ძალას ენდნენ, კეთილგონიერება გამოიჩინეს და თავმდაბლობით აღიარეს ამ კაცის სიდიდე ღვთის წინაშე. ნუთუ ჩვენთვის ვაჟას შემოქმედება არაა სასწაული? არ ჰგავს ვაჟა იმ, მდინარეზე ფეხით მოსიარულე კაცს? ამიტომ იქნებ ამ შემოქმედების შემხედვარე, დავფიქრდეთ, კეთილგონიერება გამოვიჩინოთ, ეს სტროფი სხვანაირად გავიაზროთ და ერთი ხელის მოსმით ცდომილებად ნუ ჩავთვლით იმას, რაც შეიძლება არ გვესმოდეს.

ზემოთქმულიდან ჩანს: ასეთი მკაცრი დასკვნის გაკეთების უფლებას ქ-ნი მანანას ამ სტროფის მცდარი გაგებაც კი არ აძლევს.

მოდით ახლა ვნახოთ: თვით ვაჟა როგორ უნდა მოქცეულიყო ასეთი დოგმატური ცდომილების შემთხვევაში, ნებითი იქნებოდა თუ უნებლიე. თუ ეს ცდომილება იქნებოდა ნებითი და ამას არ უარყოფდა, მაშინ მას მოუწევდა ამ აზრის განმეორება შემდგომშიც. ყველასთვის ცნობილია, თუ როგორი მონდომებითა და შეუპოვრობით ცდილობს უბრალო ადამიანიც კი საკუთარი მრწამსისმიერი აზრის დამტკიცებას; მითუმეტეს ვაჟა, ვისაც გონებაც უჭრიდა, ენაც და კალამიც არ შეეცდებოდა საკუთარი შეხედულებ-



ლევან ცუცქერიძე
ილუსტრაცია ვაჟა-ფშაველას პოემისა
„ალუდა ქეთელაური“

ბის დასაბუთებას და მხოლოდ ამ ერთ სტროფს იკმარებდა? რა თქმა უნდა არა. არსებობს კიდევ ერთი გასათვალისწინებელი გარემოება: ეს სტროფი რომ ასეთნაირად ყოფილიყო გაგებულნი, მაშინ ვაჟას აუცილებლად გამოუჩნდებოდნენ მონინალმდეგეები მართლმორწმუნე მამულიშვილების სახით და სურვილიც რომ არ ჰქონოდა, იძულებული გახდებოდა პასუხი გაეცა მათთვის უფრო გაღრმავებული ახალ-ახალი ფორმებით. ხოლო თუ ეს ცდომილება იქნებოდა უნებლიე და ვაჟა აღიარებდა ამას, მაშინ მას შემდგომ ნაწარმოებებში უნდა უარეყო იგი. აქ შეიძლება გვითხრან, რომ მართლაც მის შემოქმედებაში მანამდეც და მერეც „არაფერი არასახარებისეული არ გვხვდება“ (ციტატა ქ-ნ მანანას ამავე წერილიდან) და იქნებ მართლაც მოინანიო? არა, ბატონებო, ეს რომ ასე იყოს, ვაჟა ამას გააკეთებდა აშკარად და არა შეფარვით (ცდომილების სიმძიმიდან გამომდინარე), რადგან მას კარგად ესმის, რომ საქვეყნო ცოდვას საქვეყნო სინანული სჭირდება. გახსოვთ ალბათ პავლე მოციქულის პასუხი, როცა მოედანზე უსამართლოდ ნაცემს და დატყვევებულს ჩუმად გათავისუფლება დაუპირეს: მოედანზე გვცემთ უდანაშაულოდ? თავად მოდით და საქვეყნოდ გაგვათავისუფლეთო.

როგორც ვნახეთ, არც ვაჟას საქციელი შეესაბამება იმ დაშვებას, რომ თითქოს ეს სტროფი დოგმატურ ცდომილებას შეიცავს.

ყურადღების ღირსია დასკვნაში არსებული მნიშვნელოვანი წინააღმდეგობაც, კერძოდ, ავტორი წერს: „ვაჟა ალუდას სახით ეკუმენისტურ იდეებს ქადაგებს“; და იქვე: „ალუდას, როგორც კეთროვანს, როგორც სხვისი სულეებისთვის საშიშ პიროვნებას, ისე მოიკვეთს თემი“. კი მაგრამ, ვინ განაგებს ალუდას ბედს? განა ალუდას ბედი ვაჟას ხელში არ იყო და თუ ვაჟას ალუდას პირით ეკუმენიზმის ქადაგება სურდა, რატომ მოაკვეთინა იგი თემს, როგორც „კეთროვანი და სხვისი სულებისათვის საშიში პიროვნება“? რომ მოაკვეთინა, ეს გასაგებია, რადგან იგი ასეთ ქარგას ხშირად იყენებს, მაგრამ რატომ, „როგორც კეთროვანი და სხვისი სულებისათვის საშიში პიროვნება“ და არა როგორც ფიზიკურ პლანში დამარცხებული სიმართლე? ე.ი. ვაჟა ალუდას პირით ან არ ქადაგებს ეკუმენიზმს, ან თემს ალუდა მოაკვეთინა არა „როგორც კეთროვანი და სხვისი სულებისათვის საშიში პიროვნება“. მე კი ვიტყვი: არც ერთი და არც მეორე, ანუ: არც ეკუმენიზმს ქადაგებს და არც „კეთროვან და სხვისი სულებისათვის საშიშ პიროვნებად“ დაუხატავს ვაჟას ალუდა.

შეიძლება ნერილის აქ დასრულება, მაგრამ დასკვნაში ხაზგასმულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: „სამწუხაროა, რომ დღეს ქრიტიანულ სარწმუნოებასთან, კერძოდ მართლმადიდებლობასთან მეზობლი ძალები ვაჟას სწორედ ამ ცდომილებას აფრიალებენ ბაირალად — ეროვნულ ტრადიციებს სწორედ ამ გადასახედიდან ებრძვიან“. თუ ეს მართლაც ასეა და ვინმე ამ სტროფის მცდარ გაგებას მზაკვრულად იყენებს, მაშინ საჭიროდ ვთვლი რამდენიმე სიტყვა ვთქვა ამ სტროფის და ზოგადად პოემის შესახებ, ასევე ქ-ნ მანანასაც ვთხოვ უფრო გულმოდგინედ მოეკიდოს ვაჟას შემოქმედებას და ვინც „ამ ცდომილებას ბაირალად აფრიალებს“, მას განუმარტოს ზოგი რამ.

განსახილველი სტროფის შესახებ არაა ცნობილი, მაგრამ ალაზას აღსარებაზე, — ზვიადური დავითიერი: „**იქნებ შენც გცოდე, ღმერთსაცა, მაგრამ ვიტირე, რა ვქნაო**“.

თუ რა პასუხი უნდა გაეცა ჯოკოლას, ვაჟას თურმე ორი თვე უფიქრია (ვაჟა-ფშაველას წერილი „კრიტიკა იპ. ვართაგავასი“) და ნახეთ, — პასუხიც მისი ორი თვის ნაფიქრის შესაბამისია: სცილდება ყველა მაშინდელ საზოგადოებრივ აზრს, მთაში (და არა მარტო მთაში) არსებულ წესს და გამომდინარეობს მხოლოდ მართლმადიდებლური კაცთმოყვარეობიდან: „**იტირე?! მადლი გიქნია, მე რა გამგე ვარ მაგისა, დიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟუკაცის კარგისა**“.

სავარაუდოდ, აქ განსახილველ სტროფზეც და უამრავ სხვა რამეზეც ბევრი აქვს ნაფიქრი ვაჟას და რადგან მან ასე დანერა, მოდით ნუ მივუდგებით მას მოკამათის პოზიციიდან, ჩვენც ვიფიქროთ და ჩავწვდეთ, რას გულისხმობდა იგი.

ახლა მინდა მკითხველს მოვახსენო ამ სტროფის ჩემი ული გაგება:

ალუდამ მოკლა მუცალი ბრძოლაში, სადაც შეიძლება და თავადაც დალუპულიყო. მუცალის ვაჟუკაცობამ შესძრა ალუდას სული და ბევრი რამ სხვაგვარად დაანახვა: მოდის ალუდა ბრძოლის ველიდან: „**ყმა მოდიოდა გორიგორ, არ ეწონება თავია; პირს დასწოლია ნისლები, გულით ნადენი, შავია**“.

უყურებს ბევრი სისხლის და მტრობის მნახველ ბუნებას, მას გულში ამ დროს სინანულის გრძნობა აქვს გამძაფრებული და არა გამარჯვებით აღძრული სიამაყისა. აი, რას ფიქრობს იგი:

ვისაც მტერობა მასწყურდეს, გააღოს სახლის კარია, სისხლ დაიგუბოს კერაში, თვითონაც შიგვე მდგარია. ღვინოდაც იმას დაჰლევედეს, პურადაც მოსახმარია...

შენ რომ სხვა მოჰქლა, შენც მოგკლენ, მკვლელს არ შაარჩენს გვარია.

სოფელში შემოსულს კი რა ხვდება: „...**მიულოციან ალუდას: — „სახელიანიმც ხარია!**“

ის კი თანასოფლელებთან ბრძოლის ამბავს ისე ჰყვება, რომ მუცალს აქებს და შენდობას უთვლის მის სულს: „...**იმ ცხონებულსა მუცალსა რკინა სდებიყო გულადა...**“

და აქ ხდება სწორედ პირველი შეპაექრება უშიშასა და ახალგაზრდებთან. განსახილველ სტროფსაც იგი უშიშას ბებერ ხევსურს, ეუბნება და არა ბერდიას, როგორც ამას ქ-ნი მანანა წერს. ეს სიტყვები განკუთვნილია ერისკაცებისთვის და არა ღვთისმსახურთათვის. ეს ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანია. პოემაში ალუდას ორ მხარესთან აქვს დავა, ერთს წარმოადგენს უშიშა — ერისკაცი და მასთან მყოფი ახალგაზრდები, მეორე მხარეს კი ბერდია, ღვთისმსახური. ახალგაზრდებისა და უშიშას პოზიცია ასეთია: „**მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ, უკან მისდევდი მა რადა?**“ ბერდიას კი ასეთი: „**როგორ ვახვეწო უფალსა, ძაღლი, ძაღლების ჯიშისა?**“

ეს ორი დავა განვიხილოთ ცალ-ცალკე.

თანასოფლელები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, რომელთა აღზრდა და სწორ გზაზე დაყენება საჭირო,

ალუდას სისასტიკისკენ მოუწოდებენ, რაც სულიერი თვალსაზრისით სრულიად გაუმართლებელია. მინდია ცკი, რომელმაც მორალურ დონეზე გაუგო ალუდას და ახალგაზრდებს მორალური, და არა სულიერი, გაკვეთილი ჩაუტარა, ამ სისასტიკის მომხრეა: „ნესი არ არის მტრის მოკვლა, თუ ხელ არ მასჭერ დანითა“.

სწორედ ამ მრწამსის წინააღმდეგ ამბობს ალუდა: „ჩვენ ვიტყვი კაცნი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვზრდინ დედანი, ჩვენა ვცხონდებით, ურჯულოთ კუპრში მივლით ქშენანი“.

და ამით ამხელს მათ და წრთენის ახალგაზრდებს: თქვენ გაუმართლებელ სისასტიკეს მაიძულებთ და ამავე დროს ცხონებაზე საუბრობთ?! „ამის თქმით ვნარამარაობთ“.

ხედავთ რას ამბობს ალუდა? ეს ხომ იგივე მესამე მცნებაა: „არ მოიხსენო სახელი უფლისა შენისა ამასა ზედა“, ანუ ტყუილად, ფარისევლურად, არასაჭირო ადგილას, ხიბლიდან გამომდინარე. თუ არა ხიბლი, აბა რა უნდა ეწოდოს ამ ორი ფრაზის ერთდროულად მიქმედი ადამიანების მდგომარეობას? „რას ამბობ? ქისტის ცხონება არ დანერილა რჯულადა“.

ვითომ რჯულის თავგამოდებული დამცველები არიან და იქვე ამბობენ: „მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ, უკან მისდევდი მა რადა?“

შემდეგი პნკარი განსახილველ სტროფში: „ღვთისშვილთ უკეთეს იციან“.

რას უნდა ნიშნავდეს ეს? როგორც ვნახეთ, ჯერჯერობით ალუდას არსად უარუყვია ნათლობის მაღლი და რასაც ის თანამომქმეებს ეუბნება, არის მხილება და მწარე მათრახი. რა თქმა უნდა, ცხონების გზა, რომელიც ადამიანებს ღვთისგან მოგვეცა, არის იესო ქრისტე და ეს გზა ნათლობაზე გადის, მაგრამ ამა თუ იმ პიროვნების ცხონება-წარწყმედას უფალი წყვეტს, რომელიც ხედავს გულებს. ჩვენ არ ვიცით თითოეული ადამიანი ბოლო წამს, სიკვდილის მიჯნაზე, უფლის პირისპირ რას ფიქრობდა და განიცდიდა, იქნებ იმ პირველი ცხონებული ავაზაკით იყო? ალბათ, ის ავაზაკი ავაზაკად დარჩა ქრისტეს არამიმდევარ თანამედროვეთათვის. ასევე, მისი ცხონების შესახებ ვერ გაიგებდა, ალბათ, მისი თანამედროვე ყველა ქრისტიანიც, ე.ი აქედან რა გამოდის? — მისი ავაზაკობის მცოდნეთაგან ბევრი ფიქრობდა, რომ ის წარწყმდა, სინამდვილეში კი — უკანასკნელ წამს უფლის პირისპირ მოხდა მისი განწმენდა. ასე ფიქრობდა ალუდაც, რომ კონკრეტული ადამიანის ცხონება ჩვენთვის დაფარულია (აქ არ იგულისხმება საქვეყნო ღვაწლის, ან საქვეყნოდ მოუწანიებელი ცოდვის ჩამდენი), ჩვენ ამისთვის ლოცვის ძალა და მაღლი მოგვეცა და ამასვე ნიშნავს ეს პნკარიც.

და სტროფის ბოლო ნაწილი: „ყველანი მართალს ამბობენ განა ვინცა პვიციან?“

აქ ისევ აშკარად ჩანს სარწმუნოებისადმი უსიყვარულო, ფარისევლური და, ასე ვთქვათ, „ბუკვადური“ მიდგომის გაკიცხვა.

ახლა განვიხილოთ ალუდას დავა მეორე მხარესთან — ღვთისმსახურ ბერდასთან: მარჯვენის მოჭრა და გალავანზე გაკვრა მტრის მოკვლით თავმოწონებას და კმაყოფილებას ნიშნავდა, ალუდამ კი მოძმეებს მტრის მკვლელობის შემდეგ სინანულისა და მტრის სულისათვის ლოცვის მაგალითი უჩვენა, როგორც ქრისტიანმა:

— ეგ სამხვენროა, ბერდაც, ძოლან მოკლულის ქისტისა მუცალს ეტყოდენ სახელად, —

მაუნათლავის შვილისა. კარგადაც დამინყალობნე, გამიმეტებავ მისთვინა, როგორც უნდომლად მოკლულის, თავის ლამაზის ძმისთვინა.

სწორედ ამ ლოცვას უკრძალავს ბერდა: „...გაურჯულელებლს არჯულეებ შენ ეგ არ შავიხდებისა“.

აი, ესაა ბერდას მუქარა-პასუხი, მისთვის უცხო აღმოჩნდა სულიერი განვითარების შესაძლებლობა, ანუ გარკვეული ცუდი საქმეების ჩადენის შემდეგ ამ საქმეებზე უარის თქმა და მათი სინანულით გამოსწორება: „რამდენ სხვა მაჰკალ, შენს ქაზეხ ხელეებ ჯღრდესავით ჰკივია. ზოგი ლეკისა, სხვა ქისტის, მარჯვენეების ხივია; ციკანიც არვის დაუკალ, განლამც კურატი დივია“.

ალუდას კი სხვა ხმაც ესმის: გიყვარდეს მტერი შენი. მან ამ ხმას მოუსმინა და ამიტომ აღარ ემორჩილება ბერდას. ალუდა მისწვდა ამ მცნების სიღრმეს: ხორციელი მტერიც ღვთის შვილია, ამიტომ არ უნდა დაისახო იგი სულიერ მტრად და არ უნდა გინდოდეს მისი სულიერი სიკვდილი, რადგან სახარების მიხედვით, მთავარი სულიერი სიკვდილია და „სულ არს ღმერთი, და თაყუანისმცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა-აც თაყუანისცემა“ (იოანე 4.24). ფიზიკური მტრობა იმდროინდელი ყოფიდან გამომდინარეობდა და მტრის მოკვლა ხშირად გარდაუვალი იყო, რასაც არც ალუდა უარყოფს: „მტერს მოკვლავ, კიდევ არ მოვსჭრი მარჯვენას მაგათ ჯაბრითა“.

მაგრამ რატომ უნდა უნდოდეს ალუდას ხორციელი მტრის წარწყმედა და რატომ არ შეიძლება მისი სულისთვის ლოცვა? — აი, ამ კითხვას არა აქვს დამაჯერებელი, — სარწმუნოებიდან გამომდინარე პასუხი.

აქვე ცალკე უნდა ითქვას ბერდას შესახებაც. ვაჟა-ფშაველას არ სჩვევია ბოლომდე განჩრვა, ყველა, ასე ვთქვათ, უარყოფით გმირს, რაც უნდა ცუდის მოქმედი იყოს, ერთ სიტყვას მაინც შეაშველებს სადმე, მითუმეტეს ბერდას, რომელიც დახატული ჰყავს, როგორც ერის მოყვარული და ღვთისმოშიში ადამიანი, რომელიც ერთგულად იცავს იმას რაც, მისი აზრით, მინდობილი აქვს. ეს ჩანს ბერდას სიტყვებიდან:

მამით არ მოდის ანდერძი, პაპით და პაპის-პაპითა გონს მოდი ქრისტიანი ხარ, ურჯულოვდები მაგითა;

მისთვის მთავარი აღმოჩნდა ფორმა და არა არსი, ამიტომ არ ეყო მას სულიერი ძალები გაეგო ის, რაც ალუდამ გაიგო და: „ფერი დელება ბერდას, ფერი სხვა რიგის შიშისა“.

მაგრამ ეს შიში, ალბათ, უფრო მონის და მსახურის შიშებს შორისაა და არაა მეგობრის შიში, მითუმეტეს არაა შიში შვილისა. ღვთისადმი ოთხივე სახის შიში არსებობს და ჩვენ უნდა ვცდილობდეთ მის აღყვანას პირველიდან მეოთხემდე: შიში სასჯელისა (მონა) უნდა ავამაღლოთ საზღაურის არ მიღების შიშამდე (მსახური), შემდეგ განშორების შიშამდე (მეგობარი) და ბოლოს უნდა მივაღწიოთ

შვილის შიშს: შიში მამის წყენინებისა, — რაც უკვე, სინამდვილეში სიყვარულია, ამაზე წერდა რუსთაველი: „შიში შეიქმს სიყვარულსა“, — მაგრამ ეს ცალკე, დიდი თემაა.

ალუდას შიში ღვთისადმი და მისი სინანული უფრო მაღლა დგას ბერდიას შიშზე, ამიტომ ვერ გაუგო მას ბერდიამ, ამიტომ განირა იგი. ამ ქვეყნად ხშირად ხდება მსგავსი შემთხვევები, როცა იერარქიული, ან სხვა ძალაუფლების მქონე პირი სულიერად უფრო დაბლა დგას ვინმე ერისკაცზე და იგი მას სწირავს ერისა და სარწმუნოების სახელით: ასეთ რამ ჩვენს თვალწინაც მოხდა 90-იან წლებში.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და ძლიერი საბუთი აქვს ალუდას ბერდიას გულის გასანედლებლად: **„მითომ ერთ-ნი ვართ ბერდიავე, მცხოვრებნი ერთის მთისაო“**.

მაგრამ არც ამან გასჭრა, შეუვალა ბერდია: **„ტყუილად სცდები, ალუდავე, ტყუილად იცვეთ პირსაო“**.

ეს ჩვენთვის, ქართველებისთვის უმნიშვნელოვანესი აზრი ვაჟას ძალიან კარგად, წინასწარმეტყველურად აქვს გაშლილი და განმარტებული „სტუმარ-მასპინძელში“, მაგრამ ესეც სხვა დიდი თემაა და ცალკე გამოყოფის ღირსი.

გავაგრძელოთ ალუდას განწყობასა და სულიერ ძვრებზე საუბარი. ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია ალუდას სიზმარი: მტრისთვის მარჯვენის მოჭრა რიტუალურად იყო დაყენებული: მტერი მოკლულად ითვლებოდა მხოლოდ მარჯვენის მოჭრის შემდეგ, გავიხსენოთ მინდიას სიტყვები: **„წესი არ არის მტრის მოკვლა თუ ხელ არ მასჭერ დანითა“**.

ეს რიტუალურობა აისახა სწორედ სიზმარში: ალუდას განგმირული გულით ეცხადება ცოცხალი მუცალი და ისიც მარჯვენის მოჭრას თხოულობს მისგან: **„...ერთს წამს ხელ ვინამ დამტაცა, ტარი ჩამიდვა ხანჯრისა. შავხედენ, მუცალი იყო, ტანთ ეცვა ჯაჭვი რვალისა, გულზედ ემჩნევა ნიშანი მე-დ იმის ბრძოლის წამისა, ეფინა ნატყვიარშია ლევა საფევი ბრძამისა...“** — **„მინდა სიკვდილი, არ ვკვდები, მომკალო, — მითხრა ხვეწნითა“**.

რითიღა უნდა მოკლას ალუდამ მუცალი, გული ხომ ტყვიით „გაუნადოდა?“ — ე.ი მარჯვენის მოჭრით. სიზმრის შემდეგი ზმანება კაცის ხორციით დამზადებული კერძებით განყობილი სუფრაა, სადაც ალუდაც ერთ-ერთი მენახეთაგანია. აქ სუფრა ამქვეყნიური ყოფაა, კაცის ხორცის ჭამა კი ცხოვრების წესი. სიზმარშიც ეწინააღმდეგება ალუდა უსულგულობას: **„რასა ვსჩადიო? — ვსჯავრობდი — უმსგავსი, შეჩვენებული“**.

მაგრამ აქაც გამოჩნდნენ უშიშები: **„ჭამეო, — რამამ მიძახა, — ნუ ჰხდები გამტყრებული, კიდევ მიმირთვით ალუდას წვენ-ხორცი ვაცხელებული“**.

პოემამი სხვებთან შედარებით მართალი და ნათელი პიროვნება მინდიაა, მან, როგორც უკვე აღვნიშნე, ღირსების დონეზე გაუგო ალუდას და მოძმეებიც დამოძღვრა: **„ნუ იტყვი ვაჟკაცის აუგს ენითა ქარიანითა“** და **„ადვილ ვერ იცნობთ ვაჟკაცსა, მის ვაჟკაცობის რჯულითა!“**

თუმცა ბოლომდე ვერც ის ჩასწვდა ალუდას წუხილს, ამიტომ არც მას ეყო სულიერი ძალა ალუდას დასაცავად და აცრემლებული — თანაგრძნობით გამსჭვალული — გვერდზე გადავა, არ დაიდო წილი უკეთურებაში.

ვერ გაიგო თემმა ალუდას გულისთქმა და სწორედ იმ მიზეზით მოიკვეთა, რისთვისაც თავად ალუდა იბრძოდა — სჯულის დასაცავად: **„გიყვარდეს მტერი შენი და ულოცევდით მაჭირებელთა თქვენთა“** (მათე 5.44.). ამგვარი უსულგულობის გასამართლებლად მოძალადეს მუდამ სჭირდება ცილისწამება, არც ალუდა იყო გამონაკლისი: სარწმუნოებისა და ქვეყნისთვის თავდადებულს ცილისწამებლური ბრალი წაუყენეს და სასტიკი განაჩენი გამოუტანეს: **„მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის ცა-ღრუბლის შანამზირები“**.

ასეთია ზოგადად ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანის ხვედრი, რადგან ასეთი იყო თვით ქრისტეს ხვედრიც: იგი ხომ რჯულის დარღვევისათვის აცვეს ჯვარს.

ალუდა ბოლომდე რჩება ქრისტიანად, ის ვერც ასეთმა უსამართლო და სასტიკმა მოპყრობამ გააბოროტა, — ესეც ხომ ჭეშმარიტი ქრისტიანის თვისებაა? გახსოვთ ალბათ, რას პასუხობს იგი თემის მიმართ გამოთქმულ დედის არც თუ ისე უსაფუძვლო საყვედურს: **„...ღიაცნო, ნუ ხართ ყბედადა! მოდით, მომყევით ვიდინოთ, ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა, ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ, ნუ გადიქცევით ცეცადა!“**

ვაჟას რომ მართლაც ბევრი აქვს ნაფიქრი ამ პოემაზე ამის დასტურად კიდევ ორ არგუმენტს მოვიშველიებ: პირველი, — რატომ მოსჭრა ალუდამ მუცალის ძმას მარჯვენა? ვაჟა-ფშაველა ღრმად მორწმუნე ადამიანია და კარგად იცის, რომ ცოდვა ასე, ერთი ხელის მოსმით არ იკურნება. ალუდა მარჯვენის მოჭრის წეს-ჩვეულების სისასტიკეს მუცალის პიროვნული ღირსებების დანახვის მერე ჩასწვდა და ამის შემდეგ პოემის მსვლელობისას, ჩვენს თვალწინ იბრძება იგი: ჯერ მხოლოდ მუცალს არ სჭრის მარჯვენას, შემდეგ: **„მტერს მოკვლავ, კიდევ არ მოვსჭრი მარჯვენას მაგათ ჯაბრითა“**.

და ბოლოს: **„ვაი, ეგეთას სამართალს, მონათლულს ცოდვა-ბრალითა“**.

ისედაც ცნობილია, რომ ყველა მოვლენას აქვს ინერცია, — შეხედულების ცვლილებასაც, მათ შორის. მეორე: სასტიკი და უსამართლო განაჩენის აღსრულებისას მსაჯულს ალგზნებული ბრბო სჭირდება და არა მოაზროვნე, განონასწორებულ ადამიანთა კრებული-თემი; არც ეს დეტალი გამოჩნენია ვაჟას: **„შასმულებმ ხევსურთ შვილებმა მაიმარჯვიან ფარები, უნდა სცან ქეთელაურსა, კაპასად ჟღერენ რვალები“**.

მოდით, ახლა დასკვნის სახით, გადავხედოთ რა დამოკიდებულება აქვს ალუდას მუცალისადმი:

— ...ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო...

— ...კარგი გყოლია გამდელი, ღმერთმ გიდლეგრძელოს გვარიო!..

— ...ამ ცხონებულსა მუცალსა, რკინა სდებიყო გულადა!..

— ...კაის ყმის მარჯვენა არი, გული მენვება ბრალითა...

— ...ეგ სამხვეწროა, ბერდიავე, ძოლან მოკლულის ქისცისა.

— მუცალს ეტყოდენ სახელად, მაუნათლავის შვილისა...

— თან შეხვეწენა ბატონსა: — თუ შამიცოდებ შვილსაო, — ალლადა ჰქონდეს მუცალსა, მაგ მოუნათლავ გმირსაო...

როგორც ვხედავთ, იგი მისთვის, მისი ცხოვრებისათვის ლოცულობს და თუ სადმე მის ნაკლს ახსენებს, ეს არის მხოლოდ მოუნათლავეობა, ანუ ეს მიაჩნია მუცალისათვის მთავარ დამაბრკოლებლად ცხოვრების გზაზე, ცხოვრებისათვის ლოცვა ცხომ სწორედ ასეა აგებული: „უფალო მიუტევე შეცოდებანი და დაუმკვიდრე სასუფეველი“. აი, ქ-ნო მანანა, მუცალის რომელი ცოდვის მიტევებისთვის ლოცულობს ალუდა. ვაჟა ალუდას პირით ნათლობას კი არ უარყოფს, არამედ პირიქით, მოუნათლავეობასთან შედარებით ის არც კი ახსენებს ისეთ ცოდვებს, როგორც მკვლელობა და ქურდობა, რაც უდავოდ ჰქონდა მუცალს, ხოლო, რაც შეეხება განსახილველ სტროფს: ეს არის ალუდას იმედი, რომ მისი ლოცვა შედეგს გამოიღებს.

აქაც შეიძლება ამ წერილის დასრულება, მაგრამ კიდევ ერთი სამწუხარო გარემოება უნდა აღვნიშნო: თედო სახოკიას მოგონება, ჩემი აზრით, ქ-ნ მანანას მოჰყავს, როგორც დამატებითი არგუმენტი თავისი შეხედულების დასამტკიცებლად, ანუ: „ვაჟა ალუდას პირით ეკუმენიზმს ქადაგებს“. თუმცა ერთი შეხედვით წერილის დასაწყისში თითქოს ეჭვით უყურებს მოგონებაში აღწერილი ფაქტის არსებობას, ამიტომ საჭიროა თვით ამ მოგონების უტყუარობაზეც ითქვას ორიოდ სიტყვა, კერძოდ: მოგონებაში აღწერილი შემთხვევის ნამდვილობა დიდ ეჭვს იწვევს სამი უდავო გარემოების გამო. პირველი ის, რომ თედო სახოკია თავად იყო რევოლუციონერი და ათეისტი, მისი მონაწილე ამ მოგონებაშიც კარგად ჩანს („...როგორც მონაფეებში, ისე ბნელში მყოფი გლეხებისთვის თვალზე გადაფარებული სარწმუნოებრივი ლიბრი მოეშორებინა და თვალები აეხილა...“ მეორე: ეს შემთხვევა სინამდვილეს რომ შეესაბამებოდეს, მაშინ ბოლშევიზმის 70-იან ხანაში მას ძალიან ეფექტურად გამოიყენებდნენ და არაერთხელ მოიხსენიებდნენ, თუნდაც ზემოხსენებულ სტროფთან ერთად იმის დასამტკიცებლად, რომ „ვაჟა ამაღლდა ვინრო ქრისტიანულ დოგმატებზე“. და მესამე: ეს ამბავი თუ გაეხარდებოდათ სოც-დემოკრატებს და სათავისოდ შეეცდებოდნენ მის გამოყენებას, სამაგიეროდ გულს მოუკლავდა და შეაშფოთებდა მამულიშვილებს როგორც ერისკაცებს, ისე სამღვდელთ (იმხანად არც ერთის ნაკლებობას არ განიცდიდა საქართველო) და აუცილებლად სადღაც ჰპოვებდა გამომხაურებას, თუნდაც ზეპირი გადმოცემის სახით...

მწერალ ცირა ყურაშვილს!

საამაყო, „ჩვენ მწერლობაში რომ შეყუჟულხარ; ბედნიერებაა, ქართულ სიტყვას რომ „მიჭელტვიხარ ხალისით, ალერსითა და სიყვარულით (საბა ორბელიანი) და „თავდადებით ჰმსახურებ(დავით ჩუბინაშვილი) სიტყვიერების ამ მეგანძურეთაგან ნასაზრდოები. შემწიერ თქმულს მეტაფრასტულად თუ გარდავთქვამ, „მიჭელტვაც ეს არის ალბათ, „ჩვენ მწერლობასთან ყოფნა რომ მოგანდომოს, რაც, ცხადია, როსტომ ჩხეიძისა (მთავარი რედაქტორი) და ივანე ამირხანაშვილის (პროზის რედაქტორი) უშურველი თანადგომის შედეგია.

რაკი ვაგვიმხილე შენი სიტკბოიანი და იმავდროულად სევდანარევი ხილვები „**ჟამსა თამაშობისასა**, ჩამოვჯექი **ბოკა სკამზე**, ავხედ-დავხედე **მკილისაგან** დაფქულ ქერსა და იატაკს და თვალწინ გადამეშალა რაჭული სოფლის იდილია: სარდაფში ჩამწკრივებული **კასრულები**, მინის **დერგები**, ძირმოჟანგული **ლაგვინი**, **ჯოხი-თითა**, **დანაკი**, კედელზე ჩამოკონწილებული **ნემსკავები**, რომელსაც სულხან-საბას მოშველიებით იქვე განგვიმარტავ: „**ამ ნემსკავებს** საბა **ანკასებს**, იგივე **ანკესებს**, უწოდებს. **ნილკავები** მათი ტარია. **სამჭედურია** მთელი ეს ასხმული გამართულობა. ამ „გამართულობით ალბათ არაერთხელ მოგიტევეზებია **ლორჯო**, **ტაფევა** თუ **ქაშაპი**.

ეზო-ყურეში **ხარდანებზე** აკრულ-მიკუნტული კიტრები იწონებდნენ თავს; გვერდითელი მსხლის ხე თავისკენ იხმობდა დედაშენს ვარლამ ბიძიას შეგულიანებით: „**შედი, გოგო, შედი, ზედ**. არადა, სხვა ვინ გაბედავს, თავზე ხელი აიღოს ამსიმაღლე **ხეზე შევიდეს**, თუ არა დედა, შიშისაგან თან **ხორთცვარი** რომ ასხამს, მაგრამ არ ეპუება, რათა ბალებს **ხილი-ხმილი-ტკბილი** არ მოგკლებოდათ.

...„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა? გულს გიმძიმებს **ნაბლარა ყანის თავზე** გაშლილი სასაფლაო, სადაც გეგულება **შესვენებულია რიგებში** გადასული მამა. მეც დამეუფლა თანაღმობის სევდა, ვინაიდან თურმე „არაფერი არ იცვლება ამ ცისქვეშეთში, ყველაფერი მხოლოდ მიმდებდა“; მაგრამ სულიერად არ უნდა დავეცეთ, „რადგან ცხოვრება განა მართო საწუხარია, ის **მანიჯარის დიდი მჭადიდან** მოტეხილი ტკბილი და მადლიანი ნატეხიც არის“. ამიტომაცაა, რომ ყველანი ჩვენ ჩვენს **გოჯილა ციხეს** ვიშენებთ და სიცოცხლე მაინც გრძელდება, ვინაიდან „ხილიონს ეყოლა ოლდა, ოლდას ეყოლა პავლე, პავლეს ეყოლა სოსო, თინა და მაჩანია. სამსონს ეყოლა ლევანი, ვარლამი, გივლა და სონია. აბესალოს ეყოლა ნინა, ანიკო, თამარი, დავითი, ნიკოლოზი...“

გუნებაში მართლაც ჩამელიმა, წმინდა ოთხთავის დასაწყისივით რომ გადაგვიშალე თქვენი გვარის შთამომავლობა და განავისი, მაგრამ იმავდროულად „მხნეობით ალტაცებულმა შევძახე: იმრავლონ, იმრავლონ, იმრავლონ!...“

ცირა, მართალია, ქვადქვევით დაასრულე ბავშვობა, გახდი ქვებური, კოხი ქვა და კაჟი, მაგრამ არ გატეხილხარ, „ქვებური ქალი კირქვასავით გამოიწვის საკუთარ ცეცხლში. ამასთან ერთად, რაც მთავარია, სიტყვიერების „**მწარე მუშა** ხარ, ისევე როგორც შენივე განმარტებით, დღესაც ეძახიან მინის მოყვარულ, მოჭირნახულე მუშაკს.

სიტყვიერების მოჭირნახულე მწარე მუშავ, ქართული სიტყვის ძალი და მადლი ცხადად იკვეთება შენს მოთხრობაში - „**ჟამსა თამაშობისასა**, ბავშვობის მოგონებებიდან რომ მოგძახიან. ეს კოლორიტული სიტყვიერი მარაგი პოვნიერდება ძველ ქართულში, ხალხურ სასაუბრო ენასა და შენს მშობლიურ რაჭულ დიალექტში. ამ ლექსიკურ ერთეულთაგან ნაწილი ჩვენს დიდ ლექსიკოგრაფებს შემოუნახავთ, ზოგი კი **ჯერჯერობით** თანამედროვე ლექსიკონებშიც არ ასახულა; იმედი, **ჯერჯერობით...**

პატივისცემით
როინ ჭიკაძე

თუთა ბებია

ეპროკული რანბის შემოქმედი

(თელავური დღიურიდან)

ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, **ოთარ ჩხეიძის** შემოქმედების პირველი მასშტაბური, მეცნიერული ანალიზის ცდა **შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში**, მწერლის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 2011 წელს ჩატარებული სამეცნიერო კონფერენცია გახლდათ. თანამედროვე ქართველ მეცნიერთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებმა, თავიანთ ნაშრომებში, ახალ ჭრილში, თანამედროვე სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის გათვალისწინებით გაიაზრეს ოთარ ჩხეიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რამაც კვლევების გაფართოების აუცილებლობა ცხადყო. იმავე წელს გამოიცა სამეცნიერო კონფერენციის კრებულიც.

2012 წლისათვის **თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა და ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოებამ** ცხრამეტწლიანი ტრადიციის გაგრძელება ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციით ჩაიფიქრეს. ამჯერად ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი რიგით მეორე სამეცნიერო კონფერენციის მასპინძლობა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტმა იკისრა.

კონფერენცია საკვლევ თემათა მრავალფეროვნების — მწერლის ენისა და სტილის თავსებურებების კვლევით, მისი შემოქმედების მხატვრული და პუბლიცისტური ასპექტების ანალიზით — გარდა, იმითაც გამოირჩეოდა, რომ მასში გასული წლის მომხსენებლები აღარ მონაწილეობდნენ.

კონფერენცია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, **თინათინ ჯავახიშვილმა** გახსნა, მონაწილეებს წარმატებული დღე უსურვა და **როსტომ ჩხეიძეს** თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან სამახსოვროდ კონფერენციის მონაწილეთა ხელმოწერით დამზავებული ჩხეიძეთა საგვარეულო გერბი მიართვა, რომელსაც ახლდა საინფორმაციო წიგნი უნივერსიტეტის შესახებ.

გიორგი გოგოლაშვილმა მოკლედ მიმოიხილა თელავის უნივერსიტეტში ტრადიციად დამკვიდრებულ კონფერენციათა ისტორია, რომელიც თითქმის ორი ათწლეულია ქართველ მწერალთა შემოქმედების კვლევასა და პოპულარიზაციას ცდილობს:

— ეს ჩვენი ლიტერატურის ისტორიიდან მეცხრამეტე მწერალია, რომელსაც ჩვენ კონფერენცია მიუძღვნით: საგაზაფხულო კონფერენციები 1991 წელს გალაკტიონ ტაბიძით დავიწყეთ. შემდეგ გვქონდა სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ილია, ვაჟა, იაკობი, გრიგოლ ორ-

ბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ალექსანდრე ყაზბეგი, დავით კლდიაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გიორგი ლეონიძე, რევაზ ინანიშვილი, ვასილ ბარნოვი... და დღეს ოთარ ჩხეიძის დღე გვაქვს თელავის უნივერსიტეტში. ვაპირებთ შევადგინოთ ბიბლიოგრაფია ყველა წაკითხული ნაშრომისა და უკეთ გამოჩნდება, რა საინტერესოა ეს ოცნლიანი ხანა თანამშრომლობისა.

როინ ჭიკაძემ, ვიდრე XX საუკუნის მემკვიდრის მონუსხველი სიტყვიერების ძალმოსილებაზე მიაქცევენება და მსმენელებს ყურადღებას, რომლის სიტყვა, მომხსენებლის აზრით, სამკაული კი არ არის, არამედ, ზოგჯერ შენიღბულ-შეფარული აზრის თავშესაფარია, ასე მიმართა დარბაზს:

— შემთხვევით არ მომხდარა, რომ ჩხეიძეთა საგვარეულო გერბში გავაერთიანეთ მათი დიდი მემკვიდრეობა. ვიცით, რომ 24 საათია დღე-ღამეში, მაგრამ ალბათ იმას იქითაც არსებობენ ძალები, სხვაგვარად ძნელი წარმოსადგენია როდის ასწრებს ბატონი როსტომი ამდენს. ილია ამბობდა, შვილმა უნდა იცოდეს, სად გაჩერდა მამაო: ბნმა როსტომმა რა შესანიშნავად იცის, სად გაჩერდა ოთარ ჩხეიძე, ეს უდიდესი მწერალი და პიროვნება და თვითონაც როგორ განაგრძო მის მიერ დაწყებული საქმეები!.. ამისათვის ქართველი ხალხი ბ-ნი როსტომის მაღლიერია.

შემთხვევითი არ არის, რომ დღეს აქ ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების წევრები არიან. როდესაც ბ-ნმა როსტომმა დააარსა ეს საზოგადოება, ერთ-ერთი პირველი რაც გააკეთა — თელავში ამ საზოგადოების წარმომადგენლობა შექმნა, რომელმაც ძალიან ბევრი საქმე გააკეთა. როცა დიდი მემკვიდრეობის გამგრძელებელი ხარ, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. გამოდის ბ-ნი ოთარის წიგნები და რედაქტორია როსტომ ჩხეიძე, გამოდის ნატო ჩხეიძის წიგნი და რედაქტორია როსტომ ჩხეიძეა. როცა ცოცხალი იყო ოთარ ჩხეიძე, გამოდიოდა ბ-ნი როსტომის წიგნები და რედაქტორი ოთარ ჩხეიძე გახლდათ — აი, ეს დიდი ოჯახი, ეს დიდი საგვარეულო, ერთად ყოფნის გარეშე, ცალ-ცალკე ვერ ასწევდნენ მართლაც დიდ ტვირთს. დღესაც ასე მხარდამხარ იბრძვიან ჩხეიძეები. ეს მამულიშვილობის მაგალითია ქვეყნისათვის.

თქვენს ნაწერებში მამათქვენის სტილი ჩამესმის. აი, მაგალითად: „რალა ცრუ კოსმოპოლიტობაო და რალა სამშობლოს მყიფე, გაუცნობიერებელი, მოჩვენებითი სიყვარულიო. ყოველ წამს რომ შეიძლება ხელში შემოგემსხვრეს“. ბ-ნი როსტომ, დარწმუნებული იყავით, რომ თუ თქვენი საქმეები ტრადიციად იქცევა და კვლავ გაგრძელდება, ხელში აღარ შემოგემსხვრევათ...

XX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა მწერალთა დიდი ნაწილი საბჭოური იდეოლოგიისაგან გათავისუფლებას ცდილობდა და ეროვნული თვითგამორკვევის პირობებში იმყოფებოდა, ოთარ ჩხეიძე იმთავითვე ეყრდნობოდა სინამდვილეზე ღრმა დაკვირვებასა და მის მხილვას. გამორჩეულია მწერლის მხატვრულ სახეთა სისტემა, ენობრივი და სტილური ინდივიდუალურობა, განცდის დინამიკა. **სალომე კაპანაძეს** სწორედ ოთარ ჩხეიძის მიერ ქართული მწერლობის განვითარებაში შეტანილი წვლილი უკვლევია ნაშრომში „**ოთარ ჩხეიძის კულტურულ-იდეოლოგიური პარადიგმების ადრეული თავისებურებანი**“.



თინათინ ჯავახიშვილი



როინ ჭიკაძე



ნუნუ გელდიაშვილი

ნუნუ გელდიაშვილიმა მოხსენებაში „ოთარ ჩხეიძის მხატვრული ენის ზმნური სამყარო“ ნათლად წარმოაჩინა, რომ მწერლის შემოქმედების მხატვრულ ენაში ზმნა სულაც ცალკე სამყაროს ქმნის.

იოსებ ჭუმბურიძე „ოთარ ჩხეიძის სახელმწიფოზე“ ესაუბრა საზოგადოებას და მწერლის მიერ პარლამენტური მონარქიის სოლომონ დოდაშვილისეული იდეის მიმხრობის მიზეზებიც გაუშუქა.

ოთარ ჩხეიძეს რომანში „ნაკრძალი“ სიკეთისა და ბოროტების მარადიული ჭიდილის ფონზე, გულგრილი ეგოისტი, უზნეო საზოგადოება გამოუკვეთავს. **ნინო ვახანიამ** ნაშრომით „ნაკრძალი“, როგორც ფაუსტური პარადიგმა“, სწორედ ამ ასპექტზე მიაქცევინა მსმენელს ყურადღება.

გიორგი ჯავახიშვილიმა ოთარ ჩხეიძის მოთხრობაში „დოქი“ წარმოდგენილი ფოლკლორულ-ეთნოლოგიური სამყარო წარმოგვისახა, სადაც, მომხსენებლის აზრით, მთავარი გმირი საკუთარი ზნეობრივი იდეალებით სააქაოსა და საიქიოს ეხმაურება.

მარინე ტურავამ ყურადღება მიაქცია რომანის „ტინის ხიდი“ სტილურსა და შინაარსობრივ თავისებურებებს, მის პრობლემატიკას, პერსონაჟთა გალერეას, მთავარ მესიჯს, რომელიც დღემდე ინტერესითა და ცნობისწაღილით აღიქმება და, საფიქრებელია, რომ ასეც გაგრძელდება.

პიესების „დედა“, „პანო“ და „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი“ მიხედვით **ნინო ჩხიკვიშვილი**მა ოთარ ჩხეიძის „აბსურდის თეატრი“ გააცნო მსმენელს. მსჯელობისას გამოიკვეთა მიზეზები, რისთვისაც თავის დროზე ბევრი თეატრის კარი დაიხურა ამ პიესებისათვის. გამონაკლისია ახმეტელის თეატრის სცენაზე ხორცმესხმული „ერთი მერცხლის ჭიკჭიკი“.

ნანა კუციამ სამ ესეისა და ერთ სატკივარს მოუყარა თავი: **ოთარ ჩხეიძე**, „სამშობლო ჯეიმზ ჯოისისა“, **როსტომ ჩხეიძე**, „ჩემი იეიტსი“ და **პაატა ჩხეიძე** „საით მიდის გებრიელ კონროი“. მკვლევარმა წარმოაჩინა, რომ მწერლისათვის უმთავრესი ყველგან და, ცხადია, ესეისტიკაშიც, ეროვნული სულის აღორძინებისათვის გამიზნულ პრინციპთა გამოკვეთაა.

ნიკოლოზ ოთანაშვილიმა და **თეონა შავლობაშვილი**მა მთელი რიგი ენობრივი საკითხებისა შეისწავლეს „ჩემს სავანეში“ და სხვადასხვა ენობრივ-სტილისტურ საკითხებზე ისაუბრეს. **თამარ ყალიჩავას** მოხსენებაში რომანის „მეჩეჩი“ ესთეტიკა და მასში ასახული წინაპართა, ადათ-წესების, ტრადიციული ქართული სოფლის, ზნეობრივ ღირებულებათა მარადიულობისათვის მწერლის უკომპრომისო ბრძოლა გამოიკვეთა. **ნინო გოგიაშვილი**მა რომანების „ბორიყი“ და „ცხრანყარო“ მიხედვით ხაზი გაუსვა ოთარ ჩხეიძის სტილურ ინდივიდუალიზმს, აღნიშნა, რომ ბალზაკის სამწერლო სისტემის მსგავსად, ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებებიც ერთი დიდი ისტორიის შემადგენელი ნაწილებია. რომ მწერალი გაბატონებული ცენზურის პირობებშიც მუდმივად ახერხებდა საღი აზრი მიეწოდებინა მართალ სიტყვას მოწყურებული მკითხველისათვის. **თამარ ლომთაძე** ოთარ ჩხეიძის სტილის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს, სახელთა ბრუნების თავისებურებას მიაქცევს ყურადღებას რომანის „ბორიყი“ მიხედვით.

ოთარ ჩხეიძის პროზა ფიქსირებული ფორმების რღვევას იცნობს, რომელიც შეიძლება აისახოს ენის ყველა დონეზე: ფონეტიკურსა, ლექსიკურსა, გრამატიკულსა თუ მთლიანი წინადადების რიტმულ-მელოდიკურ სტრუქტურაზე. მისი უმთავრესი ფუნქცია ნაწარმოებისადმი ინტერესის გამძაფრება, აზრის უნატიფეს ელფერთა გადმოცემაა და, **მაყვალა მიქელაძის** აზრით, სწორედ ეს ქმნის მწერლის სიტყვის უაღრესად საინტერესოსა და მრავალფეროვან პალიტრას.

ოთარ ჩხეიძის „ჩემი სოფლის ეტიუდებში“ **ნანა რჩეულიშვილი**მა სახე-ხასიათები გამოჰკვეთა. **ნინო საზაშვილი**მა ამ ნოველათა ფოლკლორული სამყარო განიხილა. **ლია ტალახაძემ** — თხზულებათა ერთ სტილურ თავისებურებაზე გაამახვილა ყურადღება.

„ოთარ ჩხეიძის დაღლარასათვის „ქვევრში გამომწყვდეული მზის თავდახსნის ხილვა“ ისეთივე აღმაფრენის მიმცემია, როგორც გრიგოლ რობაქიძისთვის მტევნის მწიფობის დროს ქართველი მევენახის ნათქვამი „თვალი ჩასულა მტევანში“, — აღნიშნავს **ნინო კოჭლოშვილი**

ნაშრომში „მუხასა და ქვევრში აბორგებულ მზეს შორის გავლებული სხივები“.

ნინო გიორგაძე ყურადღებას მწერლისა და მკითხველის დიალოგს მიაქცევს და აღნიშნავს, რომ ოთარ ჩხეიძე მკითხველს გონების მოდუნების საშუალებას არ აძლევს. იგი მთვლემარე მკითხველს აფხიზლებს და ნიგნში ცხოვრების უნარს ანიჭებს.

მარიამ ცისკარიშვილი ოთარ ჩხეიძის ნააზრევში ეროვნულ-კულტურულ კონცეპტებს იკვლევს, რადგანაც ენა და მისი განმარტებელი მწერლისეული დისკურსი კულტურულ კონსტრუქციას წარმოადგენს. ეროვნული სუბიექტის კულტურულ მენტალობაში არსებობს რაღაც საერთო, ზოგადი, რაც გლობალურ დროსა და სივრცეში ინახება. ეს „რალაც“ კულტურული ხასიათისაა და ეროვნული ერთობის ყოველ წევრს ეროვნული იდენტობის აუცილებელ თვისებას ანიჭებს.

ელენე ფილაშვილი ოთარ ჩხეიძის პროზის ენაში სინონიმური პარალელიზმების სტილური ფუნქცია გამოჰკვეთა.

გიორგი გოგოლაშვილი მწერლის ჯერ ისევე შეუსწავლელი ენობრივი და ზოგადსტილური სამყაროს კვლევის საკითხი დასვა, კრიტიკოს-მკვლევართა შეფასებანი შეაჯერა და მწერლის ენობრივი პოზიციის შესახებ ესაუბრა მსმენელს.

კონფერენციის დასასრულს, შემაჯამებელ სიტყვაში **გიორგი გოგოლაშვილი** ოთარ ჩხეიძის ბიოგრაფიიდან საგულისხმო დეტალს იხსენებს იმ ურთულესი გზის გამოსაკვეთად, რომელიც უკომპრომისო მწერალს სამაგალითოდ, თუმცა არცთუ უმტკივნეულოდ გაუვლია: ოთარ ჩხეიძეს რედაქციაში რომანი მიაქვს. რედაქტორი ეუბნება, — ნახე, რამდენი რომანი გვიდევს, ვერ დაგიბეჭდავთ... — ვისი რომანები? — იკითხავს მწერალი. ელგუჯა მალრადეს ძალიან მოსწონებოდა კლიმენტი გოგიავას რომანი ილია ჭავჭავაძეზე და საბუთად ამას მოიშველიებდა: ის უნდა დავბეჭდოთ, ამიტომაც თქვენ ვერ დაგიბეჭდავთ. გიორგი გოგოლაშვილს ღიმილს ჰგვრის რედაქციის ეს „წყალგაუვალი არგუმენტი“. ღიმილი მწარეა, რაღა თქმა უნდა.

მანამდე **ნატო ჩხეიძე** გამოხატავს მაღლიერებას კონფერენციის მონაწილეთა მიმართ. მისი აზრით, სიმართლისათვის დევნილის გზით მავალთ — ჯანსაღ საზოგადოებას — ერთგვარი პასუხისმგებლობა უჩნდებათ ოთარ ჩხეიძის შემოქმედების მიმართ და უადვილდებათ მის ღირსებებზე საუბარიც. ქ-ნი ნატო მიიჩნევს, რომ ოთარ ჩხეიძეზე საუბარი, დღესაც კი საკმაოდ რთულია არა იმიტომ, ვითომდა ძნელი გასაგები იყოს, არამედ იმიტომ, რომ არაპოპულარული მწერალია.

მამის არაპოპულარობის მიზეზებს კი ასე ახსნის:

— 50-იან წლებში „ნიანგი“ რომ გამოდიოდა, ერთი ასეთი კარიკატურას წავანყდი მამას არქივში: ქართველი მწერლები უსხედან სუფრას, იმდროინდელი პოპულარული სახეები, სუფრის ზევით არის ღრუბლები და ამ ღრუბლებშია ოთარ ჩხეიძის კარიკატურა თავისი დიდი სათვლით, უფრო დიდი ლინზებით და გრძელი თმით. თუ მაშინდელი მკითხველი შეხედავდა, იტყოდა ოთარ ჩხეიძე სადღაც ბურუსში იმყოფებაო, მაგრამ, ჩვენ ვხედავთ, რომ ოთარ ჩხეიძე ბურუსში სწორედაც რომ არ იყო. მაშინ „ბურუსის“ საბჭოური განხილვები იყო „მოდამი“, ყველას მოგესხენებოთ... მაგრამ ერთი სიმართლე მაინც წასცდა კარიკატურისტს — ყველა მწერალი ერთად იყო, ლალობდნენ და ოთარ ჩხეიძე მარტო იყო, ზევით და ალბათ იმ სილაუჯარდესა და იმ სიმალეზე, საიდანაც ადვილად შეიძლება სიმართლის დანახვა და იმ სიმართლის თქმა.

ალბათ ამიტომაც შეიქმნა მითი ოთარ ჩხეიძის სტილური სირთულის შესახებ, რაღაცნაირად რომ ჩაეხერხათ მკითხველის მისასვლელი გზა მასთან — ეს რთულია, ბუნდოვანია, ძნელია, გაუგებარია... მამას ასეთი ფრაზაც აქვს ნათქვამი, მაგათ რომ ჰკითხოთ, თომას მანი და ჯეიმს ჯოისი გადაბუღებული აქვთ და ოთარ ჩხეიძე რა გაუხდათო. გასაგებია, რომ ეს სირთულე მოდის არა ენობრივი სირთულიდან, არამედ იმ ნიაღვრებიდან, რაც ბ-ნმა გიორგი გოგოლაშვილმა ძალიან კარგად ახსნა.

მინდა ბ-ნ გოგის მაღლობა გადავუხადო ჩემი ერთადერთი წიგნის სანდო წყაროდ მოტანისათვის, ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დამაფიქრა იმ პასუხისმგებლობაზე, რაც გააჩნია დანერვილსა და დაბეჭდილ სიტყვას. ეს პასუხისმგებლობა ძალიან კარგად იცოდა ოთარ ჩხეიძემ, პასუხისმგებლობა შთამომავლობის წინაშე და ეს პასუხისმგებლობა გიჩნთ სურვილსა და ალბათ მოვალეობასაც, რომ დააფასოთ მწერალი, რომელიც ვთქვათ, რომ სიმართლისათვის იყო დევნილი.

გიორგი გოგოლაშვილი: — იაკობ გოგებაშვილს უთქვამს: რაც მე დრო და ენერგია დავხარჯე „დედაენის“ შექმნაზე, ათჯერ მეტი დამჭირდა მის დაცვაში. როცა ვკითხულობდი ოთარ ჩხეიძის დღიურებს „დროადრო“ და როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანს „ავისტოს შვილებს“, დავრწმუნდი, ამდენი ბრძოლა რომ არ დასჭირვებოდა რედაქციებსა და გამომცემლობებთან, ჩაფიქრებულ რომანთა რაოდენობას ბევრად გადააჭარბებდა.

როსტომ ჩხეიძე თავისი გამოსვლა დაიწყო თბილისში, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გამართული სამეცნიერო კონფერენციის გახსენებით — პირველი ცდით, ოთარ ჩხეიძის სახელზე გამართულიყო ლიტერატურათმცოდნეობითი თავყრილობა. პირველი და, ამავე დროს, წარმატებულიც, რომელმაც არსებითად განსაზღ-



ნინო გიორგაძე

ვრა ის დონე, რომლის შენარჩუნებაც აუცილებელია, როდესაც ოთარ ჩხეიძის სამწერლო მემკვიდრეობის ირგვლივ გაიმართება სამეცნიერო შეკრებანი.

მისი თქმით:

„მწერლის მდიდარი, მრავალფეროვანი, ქართული ლიტერატურის კლასიკად შერაცხილი შემოქმედება ის ამოუწურავი სფეროა, რომელიც სულ უფრო და უფრო მიიზიდავს მკვლევარებს, და არამარტო ლიტერატურისმცოდნეებს: ლინგვისტებსაც, ისტორიკოსებსაც, სოციოლოგებსაც, ფსიქოლოგებსაც, ფილოსოფოსებსაც და პირნიინდად პოლიტიკურ თავყრილობებსაც მისცემს საკმაოდ ნოყიერ საზრდოს საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების უკეთესი გზების ძიებისას.

ლიტერატურის ინსტიტუტის კონფერენცია არ ყოფილა შემოფარგლული პირნიინდად ლიტერატურათმცოდნეობითი განსჯით, თუმცა გარეგნულად მაინც ამ ფარგალში ტრიალებდა. და, აი, თელავში გამართული სამეცნიერო შეკრება გარეგნულადაც ამრავალფეროვნებს კვლევა-ძიების რკალს და შემოიმატებს ენათმეცნიერთა ნაკადსაც.

რაც მთავარია, ის გამოსვლები, რაც აქ მოვისმინეთ, თვალნათლივი დასტურია, თუ რაოდენ მაღალ დონეზე შეუძლიათ სამეცნიერო თავყრილობათა გამართვა ჩვენს თელაველ მეგობრებს, რომელნიც ამდენი წელია მიზანმიმართულად ამზადებენ ამა თუ იმ კლასიკოსისადმი მიძღვნილ კონფერენციებს და საკმაოდ მდიდარი მასალაც დაუგროვდათ..

ყველა გამოსვლა — ზოგი უფრო მასშტაბური და ზოგიც უფრო „შემოზღუდული“ — რაღაცით იყო საგულისხმო, და არამარტო ერთი, თუნდაც დიდი მწერლის შემოქმედების შესწავლის თვალსაზრისით, არამედ — ჩვენი ლიტერატურის მნიშვნელოვან პრობლემათა თუ „წვრილმანთა“ წარმოჩენა-გააზრებით.

ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი კრებული, რომელიც ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ეგიდით გამოიცა და ყველა თქვენგანს მიუწვდება ხელი, საერთო აღიარებით — მეცნიერული შენაძენია.

და, დარწმუნებული ვარ, ასეთივე შენაძენი იქნება ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი თელავური კრებულიც, რომელიც — ასე მგონია — ესტაფეტას გადასცემს გორს, ქუთაისს, ზუგდიდს, ახალციხეს, ბათუმს... ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო!..“

მანვე გაიხსენა ერთი-ორი სახალისო ეპიზოდიც ოთარ ჩხეიძის სტილთან დაკავშირებით, და ეს გარეგნულად მხიარული მონათხრობი მკაფიოდ ცხადყოფდა მის შინაგან დრამატიზმს — თუ როგორ უპირისპირდებოდა ჯერ მარტო თავისთავადი სტილი მწერლისა საბჭოურ რეჟიმს, სტილი, როგორც საყრდენი და საფუძველი მხატვრული აზროვნებისაც და მსოფლმხედველობისაც.



გიორგი ჯავახიშვილი

ოთარ ჩხეიძისადმი მიძღვნილი მეორე სამეცნიერო კონფერენციის დასრულების შემდეგ დარწმუნებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ მწერლის შემოქმედება უზღვევ საკვლევ მასალას აწვდის დაინტერესებულთა და თუნდაც ორი სამეცნიერო თავყრილობით მისი ამოწურვა შეუძლებელია. ცხადია, მწერლის სამშობლოში სრულფასოვანი შესწავლისა და კვლევის გარეშე წარმოუდგენელია მისი საერთაშორისო ლიტერატურულ პროცესში ჩართვა. ამიტომაც ამ ყაიდის კონფერენციებს განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ოთარ ჩხეიძის ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობის სათანადო აღქმისა, შეფასებისა და მის გასატანად საერთაშორისო ასპარეზზე. ევროპული რანგის შემოქმედი უშუალო მონაწილე უნდა გახდეს დასავლური სალიტერატურო პროცესებისა.

მეორე სამეცნიერო კონფერენციის მომხსენებელთა ნაშრომებს კრებულად ამჯერადაც ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება შემოგვთავაზებს, რაც ახალ-ახალ კონფერენციათა, ზოგადად კვლევა-ძიებისათვის საჭირო პრობლემემატიკას განსაზღვრავს და ჩასაღრმავებელი მასალის გამოკვეთას გაუადვილებს დაინტერესებულ საზოგადოებას.

**ლია გარათი
მანანა გაგაშვილს**

ქალბატონო მანანა, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მომეწონა თქვენი სტატია „ქართული მეცნიერების 20 წელი“ („ჩვენი მწერლობა“, 2013, №2, 3)! დღეს ინსტიტუტში ამოვბეჭდე და იქ ვკითხულობდი, თან დროდადრო ხმამაღლა გამოვხატავდი ემოციებს. ჩემი თანამშრომელიც დაინტერესდა, რამდენიმე ადგილი წავუკითხე და ისე მოეწონა, რომ მთხოვა, ეგვე გამატანო და მე და დედაჩემი დიდი ინტერესით გავეცნობითო. გარდა იმისა, რომ ძალიან კარგად იკითხება (თქვენი არაჩვეულებრივი იუმორიც, რასაკვირველია, თან სდევს), ასევე მე პირადად უამრავი რამე გავიგე ისეთი, რაც აქამდე არ ვიცოდი... ბევრი რამე სხვანაირად დავინახე... ინსტიტუტის მაგალითები რომ წავიკითხე, დავრწმუნდი, რომ არაჩვეულებრივი ფილმი გამოვა — „ცისფერი მთების“ გაგრძელება! ასე რომ, აზვნეთ ეს სტატია მსოფლიოს და ომი აღარ იქნება!

ნათია ღუნდუა
ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის
დოქტორანტი

მარინე ტურავა

სამშობლო არასოდეს არ არის ძველმოდური

(ნიწო გუგეშაშვილის პროზაული კრებულები „ფეისკონტროლი“ და „ცაცია“)

ამ სიმბათიური კრებულების ავტორი პოეტიც არის, მუსიკოსიც, თავისი როკ-ჯგუფიც კი ჰყავს. გასული საუკუნის 60-იან წლებში მამა მშობლიურ სოფელ მაყიეთს დაბრუნებია რაჭაში, ამიტომაც ნინო გუგეშაშვილს ბავშვობა და სიყრმე იქ გაუტარებია. არც ქალაქში გასჭირვებია თვითრეალიზაცია, ორჯერ გამხდარა „პენმართონის“ პრიზიორი, 2011 წლის ბოლოს ეს ორი პროზაული კრებულებიც გამოუცია.

გუგელიდან ამოწერილი ეს ინფორმაცია განსაკუთრებულად განგანყობს საინტერესო ავტორისადმი, მოლოდინს გიორკეცებს, თუმცა როკის მომღერლობა ცოტა უცნაურად გეჩვენება. ქალაქური სიმღერები, ფოლკლორი ან კლასიკური მუსიკა უფრო გასაგები იქნებოდა მწერალი ქალისათვის, ვიდრე როკი. თუმცა სტერეოტიპები სწორედ იმიტომ არსებობს, რომ დაიმსხვრეს.

ამ მოთხრობების ნაკითხვის შემდეგ სრულიად აშკარაა, რომ მათ განსაკუთრებულ ხიბლს სწორედ ავტორის მუსიკალური ინტერესები ანიჭებს, წერის აკადემიზმს აქ საოცარი იუმორი, ირონია, რიტმულობის შეგრძნება ენაცვლება. როკი კონცეპტუალური მუსიკაა, თავისუფლება და პროტესტი შეზღუდულობის, დაშტამპულობის წინააღმდეგ. როკისთვის მნიშვნელოვანია მუსიკალური ექსპრესია. იგი განსაკუთრებული სუბკულტურაა — სიმღერების შინაარსი ზოგჯერ ძალიან ღრმა და ფილოსოფიურია, ზოგჯერ ძალიან მსუბუქი და ბრუტალური. როკის მუსიკოსებისათვის ორგანულია თვითკმარობა, ისინი თვითვე უკრავენ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე და საკუთარ საავტორო სიმღერებსაც ასრულებენ. ამ სუბკულტურის საუკეთესო მომენტები ნინო გუგეშაშვილის პროზაშიც იკვეთება.

მოთხრობების მრავალფეროვანი თემატიკა და პრობლემემატიკა, ერთნაირი პროფსიონალიზმითა და გატაცებით წერა ქალაქსა და სოფელზე, კლასიკურ და სუპერთანამედროვე მოვლენებზე. თხრობის ექსპრესია, კალმის ისეთივე ოსტატური მორგება, როგორც მუსიკალური ინსტრუმენტისა, ააშკარავებს, რომ მუსიკა და ლიტერატურა ერთმანეთს ავსებს, სრულყოფს, თვითკმარობას უსვამს ხაზს...

დღევანდელ ლიტერატურულ სივრცეში ბევრი ახალგაზრდა და საინტერესო ავტორია, ბევრი წარმატებული დებიუტი, მაგრამ, წარსულისაგან განსხვავებით, ბევრად უფრო ძნელია ამ წარმატების შენარჩუნება, საკუთარი ადგილის პოვნა. თვითრეალიზაციისათვის საკმაოდ რთული და არაბუნებრივი გარემო მწერლისაგან არა მხოლოდ ნიჭს, არამედ ალღოსა და ბრძოლის უნარსაც მოითხოვს. ნინო გუგეშაშვილის მოთხრობების ნაკითხვის შემდეგ გიჩნდება იმედი, რომ ამ ცენტრმომხდელ, ორიენტირდაკარგულ სამყაროშიც კი შესაძლებელია იყო ნიჭიერი, გამორჩეული და მგლური წესების გარეშე შეძლო დამკვიდრება — საკუთარი ადგილის პოვნაც და შენარჩუნებაც.

ნინო გუგეშაშვილის მოთხრობებს კომპოზიციის მთლიანობა და საინტერესო სიუჟეტი აერთიანებთ, იქ, სა-

დაც ეს მომენტები მოიკოჭლებს, თხრობა მაინც საინტერესოა, მაგრამ საუკეთესო მოთხრობებში, პირველ რიგში, ფაბულაც გხიბლავს. მწერალს აქვს უნარი საინტერესო ამბავი საინტერესოდვე მოგიყვას, აქვს დახვეწილი იუმორი, სიცილი გიადვილებს ყველაზე მტკივნეული პრობლემების მოსმენასაც. ნამდვილ ხელოვანს ძირითადად ხომ ტკივილი აწერინებს. ამ აზრს ნინო გუგეშაშვილიც აღიარებს — „ვან გოგის ნახატები დახატული ტკივილებია, რაც ნაღდი, ტკივილით ვცნობ: თუ მეტიკნა, ესე იგი ნაღდია“.

„ფეისკონტროლი“ ნინო გუგეშაშვილის უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაა (კრებული „ფეისკონტროლი“, გამოცემლობა „დიოგენე“). აქ კარგად ჩანს მუსიკოსიც და მწერალიც, ორი მუხის მსახურება, კარგად ჩანს ჯაზისათვის დამახასიათებელი პროტესტი, რაც ავტორს ოსტატურად გადმოაქვს ლიტერატურაშიც. პრესტიჟულ და კოტირებულ ბარებში დაწესებულ ფეისკონტროლს, განსხვავებულის ვერ ატანას, ყველაფრის ერთ ქარგაზე მორგებას, უცხოელის გაქართველებასაც ავტორი მსუბუქი ირონიით, ტრაგიკომიკური ელემენტებით გვიხატავს. მეჯერაშვილებისა და მათი მსგავსი მედროვეების ხელშია ყველაფერი: მდიდრული ბარები, მდიდრული ცხოვრება, მაღალი, მაგრამ გამხდარი, უმკერდო და უტყინო მოდელები, ამქვეყნიური დიდება, თუმცა მათაც ნაღდი ურჩევნიათ: დამალული, მაგრამ ნამდვილი მკერდი, მთვრალი, მაგრამ მახვილგონიერი ქალი. ნინო გუგეშაშვილისთვის მთავარი სათქმელია, მესიჯი, რომელსაც მკითხველს უგზავნის, პერსონაჟთა ხატვაც ამ მესიჯის სრულყოფას ემსახურება. ყველა პერსონაჟი ინდივიდუალურია, გამოკვეთილი, ნაცნობი, ჩვენი ცხოვრების ამრეკლავი. განსაკუთრებულია მოჩხუბარი ტროტილას სახე, გულუბრყვილო და მიაშიტი გამომეტყველებით შეცდომაში რომ შეგიყვანს, ილიმება, ილიმება და მერე უცებ თავს კბილებში ურტყამს. „სულ ორი რეჟიმი აქვს: სიცილის და დარტყმის“. ბარის მცველი ტარიელი, რომელსაც, არქეტიპისაგან განსხვავებით, მხოლოდ ძალა შერჩენია, ჭკუა კი არა, და რომელიც კინგ-კონგს ჰვავს... შუშა-ქალი, რომელიც ცდილობს როგორმე ასიამოვნოს მეპატრონეს და ა.შ.

მეჯერაშვილთან დამეგობრება მუსიკოს ქალს ახალი ცხოვრების კარს უღებს, ოცნებების ასრულებასთან აახლოებს, მაგრამ მისი ოცნება ცხოვრების უთვალავკლიტულიანი ფეისკონტროლის გავლას, სადაც მთავარი არ არის, ჯინსი გაცვია თუ თეთრი კაბა, სადაც გასქელებული თავის ქერქით ვერ შეაღწევ, სადაც საკუთარი თავის გარდა ვერავის იმედი ვერ გექნება. გაუხსნელ შრეთა ცხრაკლიტულში შეღწევა იგივეა, რაც ფაუსტისათვის სამყაროს საიდუმლოების ბოლომდე წვდომა. როგორიც უნდა იყოს ცხოვრება, როგორი ერთფეროვანი, მოსაბეზრებელი და პრიმიტიულიც კი, დილა-საღამოს ადგომა-დანოლასა და დღეში სამჯერ კვებასთან ერთად ადამიანს ადამიანად დასარჩენად აუცილებლად სჭირდება მარადიულობაზე დაფიქრებაც.

თანამედროვე ტუსოვეებსა და ახალგაზრდობის ყოფა-ხეა საუბარი მოთხრობაში „ავთისებნიანი სამუალო“. გადაგვარების გზაზე დამდგარ, სქესარეულ სანკის, სინამდვილეში სანდროს, ნამდვილი ცხოვრებისაკენ ნაგვის ბუნკერში მქექავი ინტელექტუალური მათხოვარი მოაბრუნებს. სანკი თავის მეგობრებს მას ამერიკელ შოუმენ ჯორჯად გააცნობს, რის შემდეგაც გიორგი, როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე დღეს, მოთხოვნილი ხდება. მოთხრობის ფინალში ირკვევა, რომ დახვეწილი ინგლისურით მოსაუბრე მათხოვარი, რომელსაც ადვილად შეუძლია მასების აყოლიება და ქარიზმატ აქვს, ცნობილი მწერალია. მოთხრობის გამო ატარებს ექსპერიმენტს, ამიტომაც იქექება ბუნკერებში... სანკი ხვდება, რომ ქალსა და კაცს შორის, საშუალო სქესის ადამიანად ყოფნა, უაზრო ტუსოვეებზე სიარული სულაც არ არის წარმატების ან მოდურობის გასაღები, შეიძლება გიორგით ტრადიციულად, ძველებურად აღიქვა სამყარო და ძალიან თანამედროვე იყო.

გიორგი აღმოჩნდება ის ადამიანი, რომელიც მას ჭეშმარიტებას დაანახებს.

ნინო გუგუშაშვილს ანუ-ხებს თვითრეალიზაციის პრობლემა, რაც არაერთ მოთხრობაში იჩენს თავს, მაგრამ გამორჩეულია „პრომეთეს ბენზინი“. ახალგაზრდა ოპერატორი ამირანი, რომელსაც მეგობრები პრომეს ეძახიან, ყოველთვის ცხელ წერტილებში იყო თავისი კამერით. საინტერესო და მნიშვნელოვანი კადრისათვის თავის განწირვაკი შეეძლო, მაგრამ ახლა ბალერინა ოპერატორები უფრო სჭირდებათ, ამიტომ პრომე წლების მანძილზე ამაოდ ელოდება სამსახურს. ბოლოს სასონარკვეთილი გადაწყვეტს, სახალხოდ გადაისხას სანჯავი და ჟურნალისტების წინ, პროტესტის ნიშნად, თავი დაინჯას.

დაანონსების მიუხედავად, იგი სრულიად მარტო აღმოჩნდება მოედანზე, მეგობრებიც კი მიატოვებენ, მხოლოდ გულმამკინწყობის წყალობით გადარჩება — ასანთის ნალები დაავიწყდება. გადარჩენის შემდეგ სანჯავში გალუმპული უცხოეთში მყოფი მეგობრისაგან იგებს, რომ მისი ოპერატორული ნამუშევარი მოიწონეს და სამუშაოდ ეპატიჟებიან, პრომესთვის სიცოცხლე ისევ აზრს იძენს, ძვირფასი ხდება. ამიტომაც როცა შემთხვევით ცეცხლმოკიდებულ გამხმარ ფოთლებში ჩადგამს ფეხს და ააღდება, თავგანწირული ცდილობს საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას... იმავე გარემოში უნიჭოები უფრო ადვილად მკვიდრდებიან, მეტი ამბიციაც უჩნდებათ. მათი წარმატების ერთ-ერთი მიზეზი ალბათ თავხედობაცაა, რომელზეც ნიჭიერი და გონიერი ადამიანი ნაკლებად მიდის. ამ გარემოში საეჭვო წარმომავლობისა და შეხედულებების ადამიანები ძალიან კომფორტულად გრძნობენ თავს („თავი და ფეხები“).

ნინო გუგუშაშვილი ხშირად უჩივის ცხოვრების არაკანონზომიერებას და კარგ გამოსავალსაც პოულობს — მას უნდა სამყაროს უნივერსალურ ბანკში თავის ანგარიშზე ჰქონდეს ის თავისუფალი დრო, რომელიც ზოგჯერ თავზე-საყრელი აქვს და, არ იცის, სად წაიღოს, როცა ჰაერით

დასჭირდება ათი ან ერთი წუთი, მაშინ მოხსნას და სათავისოდ გამოიყენოს. ზაფხულში ზედმეტი სიცხე ისე შეინახოს, რომ ზამთარში ყოველდღიურად ათი გრადუსი მაინც მოიხმაროს, ზოგჯერ შენახული ხმაური აუტანელ, გაუსაძლის სიჩუმეში ჩართოს და ა.შ. („ხოლო“).

მწერალი გამუდმებით ფიქრშია, ფიქრის ბოლო სადგურებზე მკითხველებსაც გვეპატიჟება, მოთხრობის სიუჟეტიც ბლომად აქვს, იმდენად ბლომად, რომ გადაწყვეტს ახალი ბიზნესი წამოიწყოს და ეს სიუჟეტები გაყიდოს... (მოთხრობა „ვეიდი“, კრებული „ცაცია“, გამომცემლობა „მერიდიანი“).

და მაინც, ცალკე უნდა გამოვეყოთ მსოფიეთზე, ბავშვობასა და ყრმობაზე დაწერილი მოთხრობები, რომლებიც ნინო გუგუშაშვილის პირადი ცხოვრებით არის ინსპირირებული. დაცლილი სოფელი, მიტოვებული სახლები, სკოლა, სადაც პირველ კლასში ყველაზე მეტი — სამი მოსწავლეა, მეოთხეში კი — ერთადერთი,

ლამზირა მასწავლებლის შვილი, რომელიც იმიტომ წამოიყვანეს ქალაქიდან, მთავრად ცივილიზაციას, რომ სკოლა გაემაგრებინათ, მკითხველს ნამდვილად დააფიქრებს. ღია გაკვეთილი, რომელსაც ლამზირა თავის ვაჟს უტარებს და კომისიის შენიშვნა — მეთოდურ ლიტერატურას სისტემატურად გაეცანით, მეთოდები და ხერხები არ გივარგათო, და ლამზირას ტკივილიანი, ტრეგიკული რეპლიკაც: „რომელ მეთოდურ ლიტერატურაში წერია, ერთი ბოვში ორ რიგად როგორ მოვანყო“, — ერთდროულად გაცინებს და გატირებს კიდევ. ნინო გუგუშაშვილის ბავშვობის სურათები, სანდროს პაპას მიერ მოუყოლილი ამბების ხიბლი (აქვე არ შემიძლია არ

შევეხო მწერლის მიერ დახატულ რაჭველი ქალის პორტრეტს, რომელშიც დიდი მხატვრული ოსტატობა ვლინდება და რომელიც სამუდამოდ გამახსოვრდება), მამისეულ სახლში ჩატარებული საჭადრაკო თუ საახალწლო ტურნირები, სოფელი თავისი ცოცხალი იუმორით, ხალასი ადამიანებით, ცხოვრება თავისი საუკეთესო გამოვლინებით ნამდვილად დაგაფიქრებს იმაზე — რამდენად სწორად ვცხოვრობთ ყველანი ამ უსაშველოდ გაზრდილ და გაბერილ ქალაქში, იქ ბევრად უფრო საჭირო და სასურველები ხომ არ ვიქნებოდით? და საერთოდ — რა ეშველება მიტოვებულ და დაცლილ ქართულ სოფელს? რამდენად იცოცხლებს ჩვენი ქვეყანა მხოლოდ „მეტროპოლით“, რამდენ ხანს დასახლება ყველა მხოლოდ თბილისში?

ნინო გუგუშაშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ჟანრობრივი მრავალფეროვნება, დიდებისათვის დაწერილ ზღაპრითაც („არამგამა“) მულავნდება, რომლის მთავარი მესიჯიც ასე იკითხება: შეუძლებელია მიღება, გაცემის გარეშე. სიყვარულის, სიხარულის, კმაყოფილების ყველა წუთისათვის ადამიანმა თვითონაც უნდა გასცეს ყველაფერი. არამგამა დიდი წვალების შემდეგ მიდის იმ დასკვნამდე, რომ პირნათლად უნდა შეასრულო შენი ადამიანური მოვალეობა, რასაც მარტო სხვებისთვის კი არა, შენთვისაც ბედნიერება მოაქვს.



მწერალს სულ ანუხებს კითხვა — სად უნდა წაიღო საქართველოში, რამეს რომ დაწერ? დღეს არის ლიტერატურული ჟურნალები, პერიოდული გამოცემები, სადაც ბეჭდავენ უცნობ და ნიჭიერ ავტორებს, ახლა უფრო აქტიურია მეორე კითხვა — მერე რა, რომ დაბეჭდავ? რა იცვლება ამით? ოდნავ მაინც იცვლება ადამიანის ცხოვრება, მისი ტკივილი, ოდნავ უკეთესი ხდება მკითხველი? ჩემი პროფესიის ადამიანები იდეალისტები ვართ, მეც მათ შორის, ამიტომაც ყოველთვის მრჩება იმედი, რომ ამგვარი ტექსტის კითხვისას — სიამოვნების მიღებასთან ერთად — მკითხველი აუცილებლად დაფიქრდება, რაღაცას თავი-

დან, განსხვავებულად გაიაზრებს, რაღაცას სხვანაირად შეხედავს, თავისი ფუძე გაახსენდება, თავისი წინაპრები, გაახსენდება, რომ ადამიანმა ცხოვრების ფეისკონტროლი უნდა გაიაროს და არა სიმამლის, სნობიზმის, თვითკმაყოფილების, ამაოების...

პროფესიონალი მკითხველის კმაყოფილებას იწვევს წინო გუგუშაშვილის მხატვრული სტილი, მორგებული კალამი, კვიმატი ენა, მეტაფორული აზროვნება, მოქნილი ფრაზა, წინადადება, მწერლის პოზიცია — გტკიოდეს ადამიანების ტკივილი და წერდე იმ შეგრძნებით, რომ „სამშობლო არასოდეს არ არის ძველმოდური“.

ფიქრები

ჯარჯი ფხოველი

ხელის-გულის ანაბეჭდები

ასი დამკარ და ერთი მართალი მათქმევი: ეს უკვდავი ქართული ანდაზა დაივიწყეს საქართველოში: ასს დაგკრავენ და ერთ მართალს არ გათქმევენებენ! როგორც ჩანს, მათ უფრო დიდი სიმართლე ჰგონიათ კანტის შეგონება: სიმართლეს ამბობენ მხოლოდ ბავშვები და ბრიყვებიო... სიმართლეს თუ იტყვი, ნუ ბავშვობო, გეუბნებიან; ანდა ამგვარ უშელავათო რამეს დაგაჯახებენ: ბრიყვი ხარო... ხოლო დიდი შექსპირი ასე განსჯის: სიმართლის მთქმელს ხმალიც კარგად უჭრის!

ამ ბოლოხანს გამოსულ წიგნთაგან ერთ-ერთი „ფშაური პოეზია“ ჩემ სამაგიდო წიგნად იქცა: რა ვქნა, მიყვარს ეს პოეზია, ალბათ, უფრო იმის გამო, მეც იმისი პირმშო რომ ვარ, იმისი წმინდა ძუძუს მწველი! ჩემს მაგიდაზე ამ წიგნს დახვდა თედო რაზიკაშვილის „ხალხური პოეზია“, ალექსი ოჩიაურის „ფშავ-ხევსურული პოეზია“, მიხა ხელაშვილის „ლექსო ამოგთქომ, ოხერო“, მერცხალას და ხვარამზეს წიგნები, ნანული აზიკურის „მგოსანნი გლოვისანი“, ირაკლი გოგოლაურის „ფშაური ხმითნატირალები“, აკაკი შანიძის „ხევსურული პოეზია“, ვანო ხორნაულის და გიგი ხორნაულის ფოლკლორული კრებულები და სხვა და სხვა... „ფშაური პოეზია“, თამილა გოგოლაურის და ვანო ბერიძიშვილის ნაღვანი კრებულები, დიდი გულისხმიერებით და გულმოდგინებით ნარჩევი ხალხური პოეზიის შედევრები: ფშაური დიალექტის და ფშავლების აღმაფრენით, ძველისძველი სურნელით აღსავსე წიგნი, ჩემს სამაგიდო წიგნებს რომ შეემატა...

ჟამიჟამ მოენატრებოდა ჰემინგუეი: დაუბრუნდებოდა ისევ და ისევ... შედევრი „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“, ვახტანგ ჭელიძის ნათარგმანები. იფიქრებდა: ქართულად დაუწერიო დიდ ამერიკელს! ეს უკვდავი მოთხრობა და კი-

დევ სხვებიც, ასევე ვახტანგ ჭელიძის ნათარგმანები. ვიტყვი: დიდი მთარგმნელები ამშვენებდენ გასულ საუკუნეს: ესეც ჩვენი მწერლობის ნამდვილი ბედნიერება!

პატარა და დაჩაგრული ქვეყნის შვილის პატრიოტული ეგოიზმი: ესეც ხომ ადამიანური და მისაღებია: „თუ საქართველო არ მენახოს თავისუფალი, დასალუპავად გაინიროს მთელი სამყარო!..“ დამიჯერე: ყველა სხვა შემთხვევაში ეგოიზმი ამაზრზენი და შემზარავია!..

„დამპალი პოეზია“... ამას წერს ჰემინგუეი: პროზაიკოსი. ცუდი პოეზია ხომ ვაგიგონია: სუსტიც, ნაცრისფერიც, უსულოც... „დამპალი პოეზია“, ნეტავ, როგორია? უკვე ყარს, სუნი უდის! ცოტაც და, სულ მალე, ლუმიჭამია ფრინველები დაესევინან: დაფლეთენ, ნაწილ-ნაწილ წაიღებენ!

„შავი რვეული“: ჩემი ღამის ნიღაბი, შთამომავლობისათვის გაგზავნილ პოეტურ წერილებს რომ მოიცავს. ამ წიგნმა, შესაძლოა, კიდევ დაზაფროს მომავლის ქრელი ჯამაათი! თუმცა, ძნელია გამოცნობა! ეგებ, სულაც არ მოხდეს ასე! ვინ იცის!..

აი, ტექსტი: ბუნდოვანი და ძნელწასაკითხი რამ. ეს ხომ მსოფლიო ლიტერატურის კიდევ ერთი ჰიპოსტასია, კიდევ ერთი სახე: მრავალსახეობის კიდევ ერთი გამონათება, მკითხველს რომ ეუბნება, არ ჩათვლიმო, მოდი, შენც ჩემთან ერთად იდარდეო... მკითხველის თანამონაწილეობისათვის გულგახსნილი, მაგრამ ბუნდოვანი ტექსტი. რა დავარქვათ მას? ეგებ ბუნდოვანი ლიტერატურა, ეგებ რთული ქვეტექსტის ხლართებით დამძიმებული ტექსტი! მაგრამ ეს ხომ კონკრეტული, პირდაპირი სახელი არაა! ესეც ვთქვათ: ამქვეყნად უსახელო არაფერი არა რჩება!..ჩვენი ლიტერატურის გულმართალი მოღვაწის, ბიოგრაფიული რომანის დიდოსტატის როსტომ ჩხეიძის ერთ-ერთ საინტერესო ესეში, ბარათაშვილის დაუწერელ რომანს რომ ეძღვნება, მე ვიხილე რთული ლიტერატურის ამხსნელი ტერმინი: „საჭაპანწყვეტო ლიტერატურა“, „საჭაპანწყვეტო ტექსტი“ ... ვფიქრობ, ჩვენი ლიტერატურის განმსჯელმა კრიტიკამ ამგვარ ტერმინს კარი უნდა გაუღოს! აქვე იმასაც

ვიტყვი, რომ რთული, ბუნდოვანი ლიტერატურა შემოქმედების ველ-მინდვრებზე დღემდე უსახელოდ დააბიჯებდა...

წერტილის ფილოსოფია: ე.ი. რაღაც დამთავრდა, რაღაც დამთავრდა მცირე ხნით, ან საბოლოოდ. რაღაც დამთავრდა, ამოიწურა მთლიანად! აღარ გაგრძელდება... წერტილი რაღაცას ამოკლებს, შეკვეცავს, მოასწორებს დროის ნაპირებს. წერტილს ორი ბოლო არა აქვს... მოდი, ეს ჩანაწერიც შევკვეცოთ, მოკლედ დავამთავროთ. აჰა! წერტილი თავისთავსაც აბოლოებს და ამთავრებს. წერტილი.

აბა, დავაკვირდეთ: გონი ჩვენს წინ წარმოდგება ზამბარებიან ოჩოფეხებზე შემდგარ გიგანტურ არსებად, რომელსაც, სამყაროს შეცნობის კვალობაზე, ორიენტაციის უნარი დაკარგვია და თავის დაცემა-წამოდგომის გაუთავებელ პროცესს ცხოვრებად წარმოგვადგენინებს და იმასაც გვაჯერებს, ეს მუხთალი გზა ჩვენ რომ უეჭველად უნდა გავიაროთ, რომ ეს არის ბედისწერა და სხვა... აი, ამ ჩანაწერის ბოლოკუდა: ყოველივე ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ჩვენს, წინ თვით გონისავე კარნახით, თვით გონის უარყოფის უკვდავი და სანატრელი წამი არ აენტება, როცა გზა გაეხსნება უფრო საიმედო საყრდენებს: ყნოსვას და ღვთითობებულ ინტუიციას...

ასეა: სულის გრადაციის მიჯნა შედეგები, დედამიწაზე წარღვნის ბაღალი კვალი რომ დატოვებს!

პოლ ვალერი ამბობს: დიდი ადამიანები ორჯერ კვდებიანო... ერთხელ როდის კვდება და მეორეჯერ როდის კვდება? ფიქრობ, ასეა: ისინი კვდებიან ორჯერ და, ხანდახან, ორჯერვე ერთდროულად!

ჩიტების ბენდი ვალობას იწყებს დილით, როცა შუქრიდლის რიბირაბოა... ორკესტრი ჟიჟრბანდისა...

წერის სნეულებით პყრობილი...

და გულჩამჯიღვით მითხრა: თითქოს შემზარავი გმინვა გამოსცრა, კბილთა ღრჭიალში განურვილი ხმა: რას გეტყვი, იცი, ადამიანთა ხელახლა გაველურებამ, ღვთითობებული თანალმობის ნიველირებამ თითქმის გააქრო, აღგავა კაცის გულისგულიდან სულიერების განცდა, რაც ხელოვნებას, პოეზიას და, საერთოდ, სიყვარულს ესაძირკვლება... და, აი, რა მოხდა: ქვად იქცა გული ჩემი და მზად ვარ პირველშეხვედრისთანავე აკუნო ის პირუტყვადქცეული არარა ვინმე, ვინც არასრულწლოვან პატიმარს, ამ წამებულ პატარა ქართველს სცემს: ართმევს ადამიანად გახდომის უნარს, ართმევს სიამაყეს, ქართველობას! ო, ღმერთო, ეს პატარა ხომ ჩემი შვილია! ო, ღმერთო, ღმერთებო, გახსენით გული ჩემი!.. ო, ღმერთებო!..

ის სიტყვებს გაძლევს მევახშესავით: ერთ სიტყვას რომ მოგცემს, შენ რამდენიმე უნდა დაუბრუნო: თანაც, ეს სიტყვები ტრიალ, გაუვალ და ეკალ-ბარდით მოფენილ ველ-მინდვრებზე უნდა ეძებო!..

აი, კაცი, ვინც მრავალი საგულისხმო ეპითეტი გაითავისა: გულში ჩაიკრა ბევრი სახელი... და ესეც ხომ მისი ერთ-ერთი უპრეტენზიო და ბედისწერული ეპითეტია: ცოტა კაცი...

ესეც საყოველთაო რამ: კიდევ ერთი სიკვდილი სიკვდილის შემდეგ... და ეს მეორე სიკვდილი არავის არ აძრწუნებს ამქვეყანაზე!

ეს ჟამიც დგება, როცა ერი ბრმაედება, ყრუედება და ავ-კარგის განურჩეველი ხდება: ამგვარი რამ დაემართა საქართველოს ინტელიგენციას მეოცე საუკუნის დასაწყისში: მან უარყო ილია ჭავჭავაძე, მრავალჯერ ცილი დასწამა, განადგურა პრესით და ა.შ. უზომოდ გულნატკენი და გაკვირვებული ილია ჭავჭავაძე კითხულობდა: „ნუთუ?..“ მაგრამ დიდი მამულიშვილის აღარავის ესმოდა, აღარავის სჯეროდა... ცნობილია: ამგვარი სიბრმავე და სიყრუე ერს ემართება დიდი, შემზარავი მოვლენების წინააღმდეგ და ამ მოვლენებამაც არ დააყოვნეს!.. აი, რას წერს ძველი ქართველების ჯიშის მოღვანე, მწერალი სამსონ ფირცხალავა: „წინამურის ტრაგედიამდე ილიას გულში უკვე დატრიალდა სულიერი ტრაგედია; ეს არავინ დაინახა...“

„ვარსკვლავთა ორკესტრი“: ასე მოიხსენიებს ლამის ცას ფრიდრიხ ნიცშე. მას რაღაც ესმის ცის შორეთიდან: კოსმიური მუსიკა, რასაც ერევა, ვარსკვლავთა გზებზე გაბნეული ქვების ჩხრიალი და კოსმოსის უდაბნოთა ბოროტი სუნთქვა... ეს მუსიკაა ღამეული ვარსკვლავეთის იალკიალი. უკვდავმა ნიცშემ გაიგონა მნათობთა გმინვა და წაიკითხა ვარსკვლავთა ველზე გადაჭიმულ უცხო სხივებზე ნაწერი ტექსტი და გულით იცნო დიდმა გრძნეულმა საღვთო ანბანი, ცეცხლით ნაწერი და გულისფეთქვა ცისგადაღმური...

აი, ენა გარდასულისა: ის იბადება ძველისძველი ყორეების მახსოვრობიდან: იმ ლოდების ნამტვრევებიდან, რომ შერჩენია ძველისძველი დიდოსტატის ხელის სურნელი; ქვების ხავსიდან იბადება მისი სიტყვა, უჩუქურთმო, უსამოსო და ნაპირებჩამომტვრეული... რითმა, ხაოგაუცვეთელი, ბლავი... ყურისბიბილოზე რომ გეხლება და თმას აგომლის და ეკლებს გაყრის... იმის წიაღში ხმინარობს მივინყებული რამ ხმა: ჩურჩულის სიტყვა და ვალობა გარდასული საკრებულოსი... რაღაც შორეულს მოგაგონებს, დროის იქით გადავახედებს, ცისიქითურ სივრცეს გაჩვენებს... და შენ, როგორც პირველადმომჩენელი მავანის მოყურიადე, შეჰყურებ ამ ჯადოსნურ სახილველს, მიჰყვები სიტყვების ამ წამლეკავ ზეგას და ის გითრევს, გძირავს, გითავისებს სამარადისოდ...

* * *

სოფელმა ცივილიზაცია არ მიიკარა. ვთქვათ პირუკუ: ამ სოფელში თვით ცივილიზაცია არ შევიდა, უარი თქვა, უარყო... შედეგი კი ასეთი იყო: ბოლოს სოფელი აიყარა, თვითონ მივიდა ცივილიზაციასთან: გადასახლდა... ის სოფელი ეხლა ნასოფლარია: გზებზე, ნგრეულ კედლებზე და სასაფლაოს კორდებზე ჯოჯობა ტყემ გადაიარა, გადაფარა, ნაშალა ყოველივე, მიწასთან გაასწორა... სოფელმა თავისი წარსული დამარხა, დაასამარა... ხსოვნა დაიფარა ცივილიზაციის სქელი ღრუბლებით...

* * *

ამასაც გეტყვი: ჩვენ ვგავართ საიდუმლოებათა ოკეანეში გადაშვებულ აჩრდილებს და, სიმართლე რომ ვთქვა, ჩვენი ცხოვრებაც ამ საიდუმლოებების ახსნის მცდელობაა მხოლოდდამხოლოდ და, ბოლოს, ისე გადავეგებით, რომ არათუ ამ საიდუმლოებების ახსნას, მათ დათვლასაც კი ვერ ვასწრებთ და ამ საქმეს მომდევნო თაობებს გადავულოცავთ და ისინიც, თავის მხრივ, ამავე გზას გადიან და ამავე ოკეანეს გადაცურავენ... და ასე გრძელდება დასაბამიდან მოაქჟამამდე... და ასე გაგრძელდება კვლავაც ვიდრე ქვეყნის აღსასრულამდე...

* * *

აი, დანაშაულებრივი სიყვარული ავის ქმნისა!

* * *

ნიჭიერად, ჭკვიანურად შესრულებულმა და ადეკვატურმა თარგმანებმა დიდი გავლენა მოახდინეს ჩვენს ლიტერატურაზე. ძველისძველ თარგმანებზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენს დროშიც საჩინოა ორი ფაქტი: კონსტანტინე გამსახურდიას თარგმნილი უიტმენი და ვახტანგ ჭელიძის თარგმნილი ჰემინგუეი... გამსახურდიასეულმა უიტმენმა ახალი ფერი და სურნელი მისცა ქართულ წყობილიტყვას, ხოლო ჭელიძისეულმა ჰემინგუეიმ ახალ სტილსა და ახალ სიმაღლეს აზიარა ქართული პროზა...

* * *

დესპოტის ქვეშევრდომებს სამშობლო არა აქვთო, ეს მწარე სიტყვები გადმოისმის ევრაზიის ტრამალებიდან: ისე ცხადად გადმოისმის, თითქოს ეს სენტენცია ვინმე ფრანგმა ოდესღაც აქ ამოთქვა ჩვენს მშობლიურ ქართულ ენაზე!.. კვლავ და კვლავ ვილაც ჩაგვძახის: დესპოტის ქვეშევრდომებს სამშობლო არა აქვთო... გეყოფა, შე ფრანგო, უსამშობლოები ჩვენ არა ვართ, ოღონდ ასე არის: სილატაკის ქვეშევრდომები ვართ, ხოლო სილატაკეზე დიდი დესპოტი აქ არავინ გვეგულება!

* * *

პოეზია ღვთით არის განპირობებული... უტყუარია სარტრის აზრი. ხოლო, რაც ღვთით არის განპირობებული, ის ღვთიურად არის: ამას მტკიცება არა სჭირდება!.. ვირწმუნოთ, რომ ღვთიურ საქმეებს და ამ საქმეთა შედეგებს მტკიცება არა სჭირდება! ვირწმუნოთ: უღევია ღვთის ნება! უღევია ვარსკვლავები! უღევია მზე! უღევია დარდი! უღევია პოეზია! უღევია ენა ქართული!

* * *

ოსვენციმის შემდეგ ჩვენ პოეზიისა და მუსიკის შექმნის უფლება აღარა გვაქვსო, უთქვამს დიდ გერმანელს ტეოდორ

ადორნოს... ნამების შემზარავი ფაქტებით ოსვენციმს როდი ჩამორჩება ჩვენი გლდანის მერვე საპყრობილე! ოსვენციმში ბავშვებს ხოცავდნენ, მათი გვამებით საპონს ამზადებდნენ... ბავშვებს აქაც აწამებდნენ... და ყოველივე ამის შემდეგ, ადამიანთა ამ გაველურების მასურებლებს ნუთუ კიდევ გვაქვს პოეზიის და ღვთაებრივი მუსიკის შექმნის უფლება!.. ნუთუ?

* * *

ჩემს მკითხველს ვთხოვ, რომ წამით დაივიწყოს მისტიფიკაციისადმი ჩემი დაუოკარი მიდრეკილება... მერწმუნოს: ჭეშმარიტი პოეტური ნიჭი არ იკარგება; ის ამოხეთქავს ყველგან, სადაც არის, სადაც შესატყვისი გული და ფანტაზიის უნარია დაუშრეტელი... არავინაის ლექსებმა მე ამავსო შავი ნალველით და ერთგვარი კმაყოფილებაც მომიტანა. რადგან უმალ მივხვდი, რომ აღმოვაჩინე ძალზე საინტერესო პოეტი: უბრალო ხალხის მძლავრი წიაღიდან ამოხეთქილი პოეზიის შხეფი... აი, ერთი ლექსი, წამისოფლის სიმუხთლეზე ნათქვამი:

**რა ბევრი სისხლი მადინე,
რა ბევრი ცრემლი ვღვარეო!
ვერ გაგაქეცი, წყულო,
გულს შხამად მონანკარეო,
ოხერო წამისოფელო,
წამის მსწრობელო მწარეო!**

ამ თვითნაბადი სიტყვიერების წიაღში მე ვიგრძენი ერთგვარი ეკლექტიურობა: თვისობრივი გადადნობა ფოლკლორის და კლასიკური პოეზიის, ღვთაებრივი ერთიანობა, ორი ნაპირის ბუნებრივი დაახლოება...

**გული ცრემლებით ინამა,
მემრე თქვა არავინამა:
ოხერო წამისოფელო,
შენ ვერ გაგიძლო რკინამა,
ვერცარა რამან გაგიძლო,
ვერცარა — კიდევ ვინამა!
კლდე იყავ, ზვავად მოსული,
ჩამომკიოდი, თქვი რამა,
რაცა ვთქვი, ამამაშხამე:
გულ დარდით გადაილამა!**

არავინა ტიპური ფშაველი იყო: უყვარდა გაქილიკება, დაცინვა: თავისთავსაც დასცინოდა და სხვებსაც... მებრუვე ნარკომანები ასე გააპაირა: „**მოსვდა კომპარის ალყაში კაცი: მებრუვე, ალკაში... განა აქ ვერ იშოვიდა: კანაფზე მიდის ნალკაში!**“

არავინას მაჯამა უყვარდა, თუმცა სახელი არ მოსწონდა: მაჯამა რალა ჯანდაბა არისო, იტყოდა, მაშინ მკვლავჯამა დავარქვათო, უფრო ღონიერი გამოვავო. ფშაველი ლოთების მაჯამას იჩემებდა: „**კაცი უღვინო, უარყო მაშინვე უნდა უარყო!**“ ეგ ხო ჩვენია, ხალხის ლექსიაო, ეუბნებოდნენ... ჩემი ნათქვამი როა, ეს ქვებმაც კი იციან და ეხლა გინდა თქვენი იყოს და გინდაც შავი კლდის ყორნებისაო, თქვენ ლექსი რად გინდათ, თქვე ძარღვებო, თქვენ ერთი ყანნი ჟიპიტაურიც გეყოფათო!.. ამ ჩანანერის ბოლოკუდა: არავინაის რვეულეებს სულმაღლე გადავცემ ქართული ფოლკლორის მესვეურებს. ვფიქრობ: კარგი, გულითადი სამუშაო ელოდებათ!

„მე მჯესა დავულამდეჰი“

ათეულ ნელზე დიდი ხნის თანამშრომლობამ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის კვლევით ცენტრში, რომელსაც ბატონი რევაზ სირაძე ხელმძღვანელობდა, საშუალება მოგვცა მისი მუშაობის მანერასა და პრინციპებს დავკვირვებოდით.

ბატონი რეზო ხშირად აღნიშნავდა, რომ მეცნიერული ღირებულება აქვს იმ აზრს, რომელიც საკამათოა, რომელსაც ალტერნატივა გააჩნია, ამიტომაც მისთვის საინტერესო იყო განსხვავებული შეხედულებები ლიტერატურათმცოდნეობის ამათუ იმ სააკითხზე. ტოლერანტული მიდგომა ამ თვალსაზრისით, ცხადია, არ გულისხმობს პოზიციის კორექტირების აუცილებლობას, მაგრამ ხშირად ბიძგია ხოლმე შემდგომი ძიებებისთვის.

იგი ყოველთვის საზგასმული პატივისცემით მოიხსენიებდა თავის დიდ მასწავლებლებს: კორნელი კეკელიძეს, აკაკი შანიძეს და სხვათა და, ამავე დროს, ყურადღებით აკვირდებოდა მეცნიერთა ახალ თაობას.

„ხიბლი არაპოპულარობისა“, რომელიც ბატონმა რეზომ ჯემალ ქარჩხაძის შესახებ საუბრისას ახსენა, მასვე ამშვენებდა, რადგან ჭეშმარიტება და მშვენიერება, რომელთაც ის ლიტერატურაში ეძიებდა, დუმილისა და ფიქრის გზით შეიმეცნება და განერიდება ხმაურსა და უხვსიტყვაობას, თუმცა მისმა ნაღვანმა ბუნებრივად განაპირობა მისი პოპულარობა სამეცნიერო წრეებსა და სტუდენტთა შორის.

როდესაც ბატონი რეზოს ნიგნებს კითხულობ, იქნება ეს „სახისმეტყველება“ თუ სხვა, გიკვირს, როგორ შეიძლება ერთმა პიროვნებამ აღიქვას და დაიტოს ამხელა სილამაზე, შინაგანი, სიღრმისეული, რომელიც „სულითა ხოლო საცნაურ არს“, და შესაბამისი სიტყვიერი ფორმაც მონახოს მის გადმოსაცემად, რათა მკითხველიც აზიაროს ამ სიკეთეს. საგულისხმო იყო მისი დამოკიდებულება სიტყვისადმი, ერთი კარგი ფრაზა ან მახვილგონივრული მიგნება უქმნიდა ამაღლებულ განწყობას.

ლიტერატურათმცოდნეობაში ბატონი რეზოს მიერ დამკვიდრებული ჯვარსახოვნების ცნება კარგად გამოხატავს მისსავე მიმართებას გარესამყაროსადმი: ყველაფერი ერთი მთლიანობის ნაწილია, საფეხურია ან სახეა. ყოფიერების სახეობრივი კონცეფცია ბიბლიურია. ადამიანის შინა არსი განმსაზღვრელია მისივე გარე მოდუსისა, მისივე კულტურისა, რადგან კულტურა პიროვნების სულიერი ყოფიერებაა. ესაა შინაგანი სიკეთით ცხოვრების უნარი; პიროვნების შინასახე არა მეტაფორული, არამედ არსობრივი მნიშვნელობით.

მხოლოდ ღრმა ფიქრმა და გამოცდილებამ შეიძლება დაგანახოს ჭეშმარიტება, რომ კულტურის საფუძველია იმედი, დაძლევა პესიმიზმისა, რომელიც ედგარ პოს ლექსში ყორნის ხმად ისმის — „Nevermore“. იმედი ადამიანთა ზნეობრივი მოვალეობაა. სწორედ სასოებაა უმაღლესი სულიერი კულტურა, კულტურის სხვა ფორმათა საფუძველი.

ბატონი რეზოს ნააზრევში ძალზე ახლოა პოეზია და მეცნიერება, ისინი ერთმანეთს ავსებენ და აწონასწორებენ, როგორც გული და გონება. მისი აზროვნების წესი გულისხმობდა და ამკვიდრებდა ფიქრის კულტურას.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ სახისმეტყველების ნიმუშად ბატონი რეზო გამოარჩევდა ფრაზას — „მე დღესა დავულამდეჰი“. ამგვარ პიროვნებათა „დაღამება“ მარადიულ ნათელში დაბადებას გულისხმობს. მის ხსოვნას კი უკვდავყოფს ის დიდი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელიც მრავალ თაობას გაუნათებს გზას და დაეხმარება მშვენიერების შემეცნებაში.

ლია კარიჭაშვილი

მზისა და ვაზის ქალით აღვსილი

(როსტომ ჩხაიძის რეცენზიის — „ჩამავალი მჯე კავკასიონზე“ — გამომქასილი)

როცა ოქტომბრის დამლევს ქარსაყოლილ, ქარვამამდგარ, ვეება ჭადრის ფოთოლში მთელი სამყაროს სილამაზეს ამოიკითხავ, ალბათ მართლა ხარ უფაქიზესი და უნატიფესი სულის ესთეტი, უბადლო მჭვრეტელი შორსმიკარგული და სხვათათვის დფარული მშვენიერებისა.

უბრალოებით აღბეჭდილი გენიალურობა, — ეს ფრაზა ზუსტად მიესადაგებოდა ჩვენ შორის უხმოდ და გამორჩეული თავმდაბლობით მოსიარულე პიროვნებას, რომელმაც გრიგოლ ხანძთელის მსგავსად, „სრბაი აღასრულა“, განვლო გზა და აღბეჭდა ნავალი. მასვე გადაუჭარბებლად, სრული შეგნებით შეეძლო ეთქვა: „ვიცი, რაისათვის ვარ“. ამქვეყნიური ცოდვებითა და ცდუნებებით საცვ ცხოვრებაში, სულიერი სინათლითა და ამ ნათლის სინმინდით გასხვივოსნებული გზა უთუოდ სასუფეველისაკენ წარუძღვებოდა მის მაღალ სულსა და წრფელ არსებას. მის ლექსიკაში ერთ-ერთი ხშირად გამოყენებული სიტყვა იყო — ნაღდი. ესეც მრავალმხრივ მახასიათებელია მისი პიროვნებისა. თვითონაც ასეთივე ნაღდი იყო მეცნიერებაში, ადამიანობაში, კაცობაში. ღირსება დაიკარგა, — ამ სიტყვებით გამოხატავდა თავის უმტკივნეულეს განცდას თანამედროვე ყოფის მიმართ. ღირსებააყრილ ქვეყანაში არც სურდა ჩაბმა იმ ყოველდღიურ პროცესებში, რომლებიც ასე გულისმომწყველი იყო მისთვის. დედაუნივერსიტეტი და მისი სათაყვანებელი მეცნიერ-კორიფეები — ეს იყო მისი პიროვნების თვითგამოხატულება, ანი და ჰოე, ის საოკარი ჯადოსნური წრე, რომლის გარეთაც საკუთარი არსებობა ვერ წარმოედგინა.

ერთმანეთისგან შორიშორს მდგარი, რტოებდაჭდობილი ხეების შუასივრციდან აღიქვამდა მთელი სამყაროს მშვენიერებას და თვითონაც ამ მშვენიერების ძიებას შეალია სიჭაბუკეც და ხანდაზმულობაც. თუმც ნაპერწკალი არც ხანდაზმულობაში ჩაქრობია. განსაცვიფრებელი იყო მისი შინაგანი თავისუფლება, — უსაზღვროების საზღვრით შემოზღულდული. მისი ესთეტიკური სამყაროული ხედვა ალბათ კიდევ უფრო გათვალსაწინოვდება, თუ ვიხილავთ იოანე პეტრინის მისეულ გრაფიკულ ჩანახატს, ან პეტრინონის მონასტრის კედლიდან ფილიგრანული სიზუსტით შესრულებულ ძველი ქართული წარწერის ფრაგმენტს. მათში ცხადად საცნაურდება ის სულიერი მონუმენტურობა და უნივერსალიზმი, რასაც, ერთი შეხედვით, ასე მსუბუქად და ლაღად დაატარებდა თვითონ.

ჯვარსახოვანი ცხოვრების სახე-სიმბოლოდ წარმოგვიდგება მისი პიროვნება — ჭეშმარიტად ქრისტიანული სულის მტვირთველი, რომლისთვისაც უმაღლესი ფასეულობა იყო სხვისი სიხარულით გახარების უნარი. არ არის შემთხვევითი მისი ფრაზა-ქალაქთა

შორის ყველაზე მეტად მიყვარს მცხეთა. მცხეთაში მიმავალი ისეთ ადგილს მიესწრაფოდა, საიდანაც ერთდროულად მოჩანდა ჯვარიც, სამთავროც და სვეტიცხოველიც. ღვთაებრივი სულიერი სინმინდით აღსავსე, თავისი საყვარელი წმინდა ნინოს პირველ საბრძანისს უსათუთესი გრძნობით ელაციცებოდა და ბოდბის მიწაში სამუდამოდ დავანებულ ქართველთა დედა-დედოფალს სრულიად საქართველოს ავედ-

რებდა. თქვენ მიერ მრავალგზის განმეორებული წმ. ნინოს ფრაზით მინდა დავასრულო: თქვენ მზესა დაულამდით, მაგრამ მზესავით ანათებთ ჩვენს გულებში; ბატონო რეზო, და კვლავაც მრავალ თაობას გაუნათებთ თქვენი მეცნიერული და პიროვნული ღვანლით.

ყოფნა-არყოფნის საიდუმლო არის აღბათ ის მოვლენა, რომელიც ყველაზე მძაფრად გვაგრძნობინებს ადამიანობის მაღალ შინაარსსა და მოვალეობას სიცოცხლის, ყოფნის, არსებობის წინაშე.

რევაზ სირაძე ტრაგიკულად წავიდა ამქვეყნიდან. უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. იმდენად მოულოდნელი იყო ამ სიცოცხლით აღსავსე ადამიანის აღსასრული, რომ რალაცნაირი, სინდისის ქენჯნასავით გრძნობა გამიჩნდა.

ტრაგედიამდე სამი დღით ადრე ვიყავი მასთან. ეს რეცენზია გამომატანა. ორივემ უნდა მოვანეროთ ხელი, წყალი არ გაუყვა, ოღონდ შენი აზრიც გამოთქვი, ასე მიჩვენიაო.

ქალბატონი ლაურას წინაშე ვალში ვართ, მისი შესანიშნავი შრომა დავით აღმაშენებლის „გალობანზე“ თავის დროზე ისე ვერ დავაფასეთ, როგორც საჭირო იყო, მაგრამ ახლა გვეძლევა საშუალება და მგონი ღირსეული პუბლიკაცია უნდა გამოგვივიდესო.

თითქოს ჩქარობდა. თითქოს აგვიანდებოდა. თითქოს ვერ ასწრებდა.

ქარი ქროდა. დამშვიდობებისას კარი ზომაზე მეტად გამოჯახუნდა. უსიამო ხმა ჰქონდა. ამას მერე მივაქციე ყურადღება, თითქოს შედისწერის განჩინებას მიანიშნებდა.

კიდევ ერთხელ ვუხრი ქედს დიდი მოაზროვნის, პედაგოგისა და მოქალაქის ხსოვნას და ვაქვეყნებ წერილს ისე, იმ სახით, როგორც თვითონ სურდა.



რევაზ სირაძე ივანე ამირხანაშვილი

სიბრძნე და სიკეთე სინანულისანი

1. ჟამი რაე წულილთა და ხმელთა, აღმოფშვინვათაა წარმოდგეს,

ზარი მეფობისაე წარხდეს და დიდებაე დაშრტეს, შევბანი უქმ იქმნენ, ყუავილოვნებაე დაჭნეს, სხუამან მიილოს სკიპტრაე სხუასა შეუდგენ სპანი, მაშინ შემინყალე, მსაჯულო ჩემო!

2. გან-რაე-ელის წიგნი დღესა შინა სასჯელისასა, და მე ქედ-დადრეკილი წამოვდგე განკითხვად,

მსაჯული მართლ სჯიდე, მსახურთა რისხვაე ქროდის, მართალნი ნეტარებდენ, ცოდვილთა ჰგუმედეს ცეცხლი, მაშინ შემინყალე, იესუ ჩემო!

ასე იწყება დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ ბოლო, მეცხრე გალობა, და ამ სიტყვებშია გამოხატული ძირითადი არის ადამიანური ყოფიერებისა, რადგან ადამიანურ ყოფიერებას შეადგენს არა მხოლოდ მისი სიცოცხლე, ცხოვრება, არამედ მისივე აღსასრული, გარდაცვალება, განკითხვის დღე.

დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ სულიერი კულტურის განსაკუთრებული სახეა, რომლის შესახებ

ბევრი საყურადღებო რამ დაწერილა (კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ს. ყაუხჩიშვილი, გ. თევზაძე, მ. კაკაბაძე, ზ. ჭავჭავაძე და სხვანი) და თვით ამ ფონზე სრულიად განსაკუთრებულია ლაურა გრიგოლაშვილის მონოგრაფია — „დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, თსუ გამომცემლობა, 2005.

ფორმა, როგორც ასეთი, უთუოდ არის როგორც სამეცნიერო კვლევის აუცილებელი ელემენტი, ისე ინტელექტუალური სიმალლის ნიშანი. ნიჭი და გამოცდილება თავისთავად გულისხმობს შინაგან წესრიგსა და მასშტაბურობას.

აქაა ფრიად მრავალმხრივი ძიებანი, ყველა ცნობილი ხელნაწერის და არსებულ გამოცემათა ავ-კარგის გათვალისწინებით აკადემიურად დადგენილი ტექსტი, ვარიანტებითა და ვრცელი კომენტარებით (სადაც გააზრებულია ტექსტის ყოველი სიტყვა), სიმფონია-ლექსიკონი, ტექსტში დამონმებულ საკუთარ სახელთა საძიებელი; ერთვის რუსული და გერმანული რეზიუმეები. ერთი სიტყვით, ესაა ნამდვილი აკადემიური გამოცემა. მიუხედავად ამისა, ლ. გრიგოლაშვილი გვიჩვენებს, რომ ამით კი არ ამონურულა ყოველივე, არამედ აქ იქმნება არაერთი საფუძველი სამომავლო ძიებათათვის. ასე რომ, ესაა განვითარებადი მონოგრაფია.

ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ ლაურა გრიგოლაშვილის წიგნმა დროს არათუ გაუძლო, არამედ გაუსწრო კიდევ. აღნიშნულ სამეცნიერო ღირებულებებთან ერთად, დღეს, როგორც არასოდეს, აქტუალურია ის მორალურ-ზნეობრივი მოტივაციები, რასაც გულისხმობს მონანული ადამიანის სიბრძნე და სიკეთე.

საინტერესოა ცალკეულ ხელნაწერთა თუ გამოცემათა დახასიათებანი, ზოგჯერ ეს ტექსტის ისტორიის, ანდა მკითხველის ისტორიის მნიშვნელობას იძენს; ერთ-ერთ ხელნაწერს დართული ჰქონია ნევმური (სამუსიკო) ნიშნები; ერთ-ერთი ხელნაწერი გადაწერილი ყოფილა მეფის, თეიმურაზ მეორის მიერ.

მონოგრაფიის საერთო მიზანდასახულობას ავტორი ასე აყალიბებს: „ჩვენი მიზანია გამოავლინოს „გალობანი სინანულისანი“ მხატვრული ღირებულება, რადგან ლიტერატურათმცოდნეობისათვის, პირველ რიგში, ეს ძეგლი საინტერესოა როგორც მხატვრული სინამდვილე; რა განსაზღვრავს „გალობანის“ ემოციური ზემოქმედების ძალას, რა შეადგენს მისი მხატვრული სახის სპეციფიკას? ასეთი კითხვები არ დასმულა დავითის საგალობლის შესწავლის დასაწყის ეტაპზე“ (გვ. 11).

ეს არის დინჯი, განონასწორებული ანალიზი ტექსტის დადგენიდან დაწყებული მსოფლმხედველობითი საკითხებით დამთავრებული. თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები დავითის, როგორც ლექსის ლირიკული გმირის, შინაგანი განვითარების ქრისტიანული გზა.

სხვაგან, ერთ-ერთ სტატიაში, ლ. გრიგოლაშვილი აღნიშნავდა: „საეკლესიო ლიტერატურის — ავიოგრაფიის, ჰიმნოგრაფიის მხატვრულ-ესთეტიკურ ბუნებაზე საუბარი მეცნიერთა მიერ ლამის ამ ლიტერატურის დაკნინებად აღიქმებოდა. არ ითვალისწინებდნენ, რომ ბიბლიური ტექსტების სიმბოლურ-ალეგორიულ ბუნებაზე, მისი ანტინომიური აზროვნების სპეციფიკაზე, მშვენიერებისა და ამაღლებულობის კატეგორიებზე, ნათლისა და ფერის ესთეტიკაზე და მსგავს საკითხებზე, ჯერ კიდევ ფილონ ალექსანდრიელი მსჯელობდა და მის შეხედულებებს არათუ იზიარებდნენ შემდგომ ეპოქებში, არამედ შუა საუკუნეების კულტურის ესთეტიკური ბუნების შესაცნობად სწორედ ამ კატეგორიებით ხელმძღვანელობდნენ. დღეს მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ესთეტიკური ტკბობა გულისხმობს სუბიექტისა და ობიექტის ღრმა კონტაქტს, სუბიექტის მიერ არსიესული საფუძვლების ჭვრეტას ესთეტიკურ ობიექტში, სიცოცხლისა და ყოფის მოუხელთებელი კანონების აღმოჩენას მათ მთლიანობასა და ჰარმონიაში, სულიერ კონტაქტს ღმერთთან, დროის კავშირების გარღვევას და გაჭრას მარადისობაში; თუნდაც წამიერად, საკუთარი თავის მარადისობის ღვთაებრივი სფეროს ნაწილად განცდას. საეკლესიო მწერლობის ანალოგიური (ზეადყვანებითი) ფუნქცია სწორედ მის ამ სპეციფიკაზე მიგვანიშნებს.“

„გალობანი სინანულისანი“ იწყება სიტყვით — „რომლისაცა...“ ესაა ღვთის ნაცვალსიტყვა და, როგორც ლ. გრიგოლაშვილი აღნიშნავს, ნაირსახეობა სიტყვისა — „რომელმან“ (გვ. 142). ამ სიტყვით იწყება „ვეფხისტყაოსანიც“. მოხმობილია გაიოზ იმედაშვილის დაკვირვება, რომ ამითვე იწყება X ს.-ის საგალობლები. ეს სიტყვა ღმერთს აღნიშნავს ისე, რომ მასზე არაფერი არ ითქვას, ე.ი. მიანიშნებს ღვთის გამოუთქმელობას. ამით ტექსტებში დასაწყისიდანვე შემოდის მისტიკური ცნობიერება, იდუმალთმეტყველება. ყურადსაღები ვითარება იქმნება: „სინანულის გალობათა“ წარმმართველია განკითხვის დღე, რომელიც არის დიდი საიდუმლო. საამისო განწყობას (მზაობას) ქმნის ტექსტის დასაწყისი და გამჭოლი მისტიკური ცნობიერება, რომლის ძირთაძირია ფსალმუნები და არეოპაგიტის საგანგებო თავი — „საიდუმლო ღვთისმეტყველებითათვის“. ყურადსაღებია, რომ ცნობილი სომეხი მეცნიერის მანუკ აბელიანის მინიშნებით, გრიგოლ ნარეკაცი (X ს.) „სინა-



ნულის საგალობელთა წიგნში“ მისტიკურ ცნობიერებას ლირიკული ნაკადი შეაქვს (ძვ. სომხური ლიტერატურის ისტორია, რუსულად, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ერევანი, 1975 წ. გვ. 303). მსგავსი თვალთახედვანია ს. ავერინცევის შესავალ სტატიაში, რომელიც წამძღვარებული აქვს გ. ნარეკაციის ნაწარმოების აკადემიურ რუსულ თარგმანს. ასეთივე ცნობიერება მსჭვალავს ანდრია კრეტელის „დიდ კანონს“ (ე.წ. აკათისტო, „დაუფჯდომელი“).

ლ. გრიგოლაშვილი გვიჩვენებს, რომ არსი სინანულისა, როგორც ძველად იტყოდნენ, „სულითა-ხოლო საცნაურია“. ცნებათმეტყველება მას ბოლომდე ვერ სწვდება, მისკენ მიემართება იდუმალთმეტყველება (ვთქვათ, „მისტაგოგია“ მაქსიმე აღმსარებლისა, მარტივი საბანძინდელისა („სინანულისათვისა და სიმდაბლისა“), ეფრემ ასურისა თუ იოანე ოქროპირისა და სხვა ეგზეგეტიკოსებისა. გასახსენებელია გრიგოლ ნოსელის სიტყვებიც: „ვნებანი კერპებს ქმნიან, მხოლოდ განცვიფრებით შეიცნობაო ყოვლადშეუცნობი რამ).

გარდა ამისა, მართებულად არის შენიშნული ისიც, რომ დავითის სინანული, მისი თხზულება, ეთიკური სიმაღლის მაჩვენებელია და არა ცოდვათა ემანაცია.

„სინანულის არსს კი ადამიანის შინაგანი, ღრმად ინტიმური სულიერი მდგომარეობა განსაზღვრავს. ჭეშმარიტი სინანულის გრძნობა ადამიანს ეუფლება მხოლოდ მაშინ, როდესაც თვით პიროვნებაში იღვიძებს მისი წამდვილი „მე“, როდესაც ადამიანს იდეალისაგან დაშორებას აგრძნობინებს არა გარედან მოცემული კანონი, არამედ შინაგანი ხმა“ (გვ. 118).

სინანული თვითგანმენდაა, სულიერი ძალაა, პიროვნების უმაღლესი ნებელობის (ნების) ცხადყოფაა. ასეთი განწყობა (მზაობა), როგორც ლ. გრიგოლაშვილის სიტყვებდაცაა ჩანს, პიროვნების მთლიანობას გულისხმობს, როცა „მეში“ მთლიანდება „გული, გრძნობა და გონება“. ყოველნაირი სიბრძნე (თვით „სიბრძნე მალალობელი“) სიკეთისაკენ წარიმართება. პიროვნების შინაგან თვისებად იქცევა ის, რაზედაც ი. პეტრინი ამბობდა: „სინანული ძალააო სულისა“ (გვ. 120).

„გალობანში“ ორი მიმართვაა „შენ“ და მეორეა — „მე“, ოღონდ ეს არაა მხოლოდ პირად-ინდივიდუალური რამ, როგორც ზოგჯერ ფიქრობდნენ ხოლმე; და იმასაც კი ეძიებდნენ, თუ რა პირადი ცოდვანი იყო, რამაც დავით მეფის ეგრერიგი სინანული აღძრაო. ლ. გრიგოლაშვილმა ცხადყო, რომ „გალობანის“ „მე“ ზოგადადამიანურია, ცოდვანიც ზოგადადამიანურია, საყოველთაოა და საყოველთაოა აღსარებანიც. ყოველივე ეს თავისთავზე იტვირთა დავით აღმაშენებელმა, ე.ი. იტვირთა მთელი საკაცობრიო ცოდვა და ამით დიდი სულიერი ტოლერანტობაც გამოხატა. თანაც გვიჩვენა, რომ ასეთი განწყობა (მზაობა) უნდა ჰქონდეს ყველას — იქნება ეს მე — პიროვნული, მე — ეროვნული, თუ მე — ზოგადადამიანური.

ამით გახდა დავით მეფე „აღმაშენებელი“, სულიერად აღმაშენებელი, სიკეთით აღმავსებული (ძველი ქართული მასალების შესწავლა გვიჩვენებს, რომ „აღმაშენებელი“ არ ნიშნავდა მშენებელს, თუმცა ზოგჯერ შეიძლება მოიცავდეს კიდევაც ასეთ შინაარსს. მშენებელს მაშინ ნიშნავდა „მაშენებელი“. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშია“: საბა, „იშხნის მეორედ მაშენებელი“. ის ძველი მნიშვნელობა ენამ

დღემდე შემოინახა გამოთქმაში — „აგაშენა ღმერთმაო“ (რ. სირაძე, „აღმაშენებელი“, — რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, 1992, გვ. 92-96).

ქვეყნის მრავალმხრივ „სიკეთით აღმავსებელი“ იყო დავით აღმაშენებელი. გაეხსენებთ ერთს: სვიმეონ ბედიელ-ალავერ-დელი, ვითარცა გამომხატველი საქართველოს მთლიანობისა. იგი შემდეგ ჭყონდიდელი გახდა (ვ. სილოგავა. ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი, „ნეკერი“, 2003, გვ. 181-182).

მონოგრაფიაში (გვ. 111) მოხმობილია ათანასე ალექ-სანდრიელის (IV ს.) „გამოკვლევაჲ ძველისა ფსალმუნთაჲ-საჲ“, სადაც აღნიშნულია, რომ ფსალმუნთა კითხვისას მისი სიტყვები ჩვენეულად უნდა მივიჩნიოთ და არა სხვის ნათქ-ვამად (გამოდის, რომ ასევე შეგვიძლია აღვიქვათ „გალო-ბანი სინანულისანიც“). ამისი პირდაპირი განხორციელებაა დავითანის“ სიტყვები, როცა დავით გურამიშვილი ამბობს:

ღმერთო, მისმინე დავითის საგალობელი, მინყაღე დიდის ნყალობით საწყალობელი, უსჯულოება აღმხოცე, უფროს განმბანე, და ეს სიმღერა მის თქმას, მოძახილს აბანე.

„ამ წიგნის გამლექსავის სულის მოხსენიება“. დ. გურა-მიშვილი ევედრება ღმერთს, ჩემგან მოისმინეო დავითის, ფსალმუნთმეტყველის თქმული და ამის მომდევნო მე-2 და მე-3 სტრიქონი თითქმის პირდაპირ იმეორებს 50-ე ფსალმუნის დასაწყის სიტყვებს.

ასე პირდაპირ არა, მაგრამ არსებითად სინანულის მო-ტივის სეკულარიზებით (საეროდქმნილი სახისმეტყველე-ბით) მიჰყვება ქართული ლირიკა. ვაჟა-ფშაველა წერდა („ჩემი ვედრება“):

მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შენუხებული, როცა გულს ცეცხლი მედება, გონება მსჯელობს საღადა, — მაშინ ვარ თავისუფალი, თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა.

„გალობანი სინანულისანი“ არაა მხოლოდ წარსული. ჩვენს დროს განსაკუთრებით მართებს სინანული და სიმ-დაბლე „მეს“ გაცნობიერებისას. სინანულის სიღრმისეული განცდა გულის სიღრმეში აღმოაცენებს ნათელს და იმედი-სეულ სიხარულს. ლ. გრიგოლაშვილმა დ. აღმაშენებლის „გალობათა“ შესწავლისას მრავალმხრივ წარმოაჩინა ქარ-თული შუასაუკუნეების ღვთისმეტყველური, ეთიკური თუ ესთეტიკური და ენობრივი კულტურის ღირსებანი. აქ მი-ზანშენონილად გვესახება მოვიხმოთ უმბერტო ეკოს პოზი-ცია, რომლის მიხედვით, დღევანდელი ესთეტიკის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი შუასაუკუნეებშია „თავისი უნი-ვერსალიზმისა და მკაცრ ფორმულირებათა ნყალობით“.

„მისი ესთეტიკა ფლობდა დიდებულად მწყობრ კატეგო-რიებს, რომელთაც დღესაც ძალუძთ იქცნენ ახალ გასხი-ვოსნებად... ბერძნულ ტრადიციებთან ერთად შუა საუკუნე-ების ესთეტიკას შეუძლია შემოგვთავაზოს ახალი იდეალი — Kalokagathia-სი — „მშენიერება სიკეთისა“ (უ. ეკო, შუასა-უკუნეობრივი ესთეტიკის ევოლუცია, ს.-პ.-ბ., 2004, გვ. 243).

ეს სიტყვები შეიძლება მიესადაგოს „გალობანი სინანუ-ლისანის“ სულისკვეთებას, როგორც ეს მრავალმხრივ წარ-მოაჩინა ლაურა გრიგოლაშვილმა.

როსტომ ჩხეიძე

რობერტ ფიშერის უსამუოხოლა

ესეც რა რობერტ ფიშერის ბედი იყო, მისი ცხოვრების ქრონიკის კომპოზიციური ქარგა მაინცდამაინც „იაპონუ-რი ტრაგედიით“ ანუ ამ ქვეყნის ციხეში გატარებული ცხრა თვით რომ უნდა შემოკალულიყო?!

შემთხვევითობით მოხვედრილიყო ციხეში?

თუ მისი ბოხოქარი, თავისუფლებისმადიებელი სული, ბევრგვარ სკანდალში მოყოლილი, უამფათერაკოდაც ვე-ღარ უნდა გადარჩენილიყო და ამ ეპიზოდში მისი ბიოგრა-ფიის დრამატიზმი თავისებური კანონზომიერებით უნდა დაგვირგვინებულიყო?

აკი მას მერე დიდხანს აღარც უცოცხლია.

ისე მთლად შემთხვევითობა ეგებ კალიფორნიის შტატ-ში გადახდენილი ის მწარე თავგადასავალიც არ ყოფილი-ყო, თოთხმეტგვერდიან ბროშურას რომ დაანერინებდა: „როგორ მანამებდნენ პასადენას ციხეში“.

განდგომოდა ყველასა და ყველაფერს, თვით მდევერე-ბივით კვალში ჩამდგარ ჟურნალისტებსაც დასხტომო-და ხელიდან და ეგონა, მგონი ამოვისუნთქეო, მოულოდ-ნელად რომ დააკავებდა საპოლიციო პატრული 1981 წლის 26 მაისს, რადგანაც ფოტორობოტს მას მიამსგავ-სებდნენ. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ აღმოაჩნდებოდა, თანაც თავის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს პოლიციელებს არ დაუსახელებდა.

რაკილა ერთიდაერთი ყველასთან ასაიდუმლოებდა თა-ვის ადგილსამყოფელს, ამჯერადაც ვერ დააცდენინებდნენ.

რას წარმოიდგენდა, რომ არამარტო წინასწარი პატიმრო-ბის ნესტიან და ცივ საკანში მოათავსებდნენ, არამედ ერთი დღე-ღამის განმავლობაში არც საკვებს მისცემდნენ და არც ადვოკატის აყვანის ნებას დართავდნენ. ეს პიროვნული დამ-ცირებანი კიდევ ცალკე — გააშიშვლებდნენ და კარცერში ასე შიშველს ამყოფებდნენ, ლამის დაახრჩობდნენ. სიტყვიერი შეურაცხყოფა ხომ არ მოაკლდებოდა და არა. კიდევ კარგი ეს ყოველივე ორ დღეზე მეტს არ გასტანდა, რაკილა პოლიცია გამოარკვევდა, რომ ბოროტმოქმედს მიმსგავსებული ეს ადა-მიანი თურმე სახელგანთქმული მოჭადრაკე გახლდათ.

არამცთუ მობოდიშებით არ მოუბოდიშებდნენ, პოლი-ციის პრესტიჟის გადასარჩენად ბრალად დასდებდნენ ცი-ხის ინვენტარის ხელყოფას (რაკილა კარცერში შეგდებუ-ლიც, როგორმე გავთბეო, ციხის ლეიბში შემძვრალიყო), პოლიციის ოფიცრების მიმართ დაუმორჩილებლობასაც დაუმატებდნენ და... ათასი დოლარით დააჯარიმებდნენ.

რარიგ მწარედ დაამახსოვრებოდა ის დღეები და... თურმე ამას რა უშავდა, როდესაც აგერ სულაც თვეობით გამოკეტავდნენ ციხის კედლებში და, ისლანდიის თავგა-მოდება რომ არა, წლობითაც, მოუნევდა იქ ყურყუტი.

არადა, ეს ხომ ის კაცი გახლდათ, ვინც მარტოდენ სპორტული გამარჯვებით კი არ განადიდებდა ამერიკის

შეერთებული შტატების სახელს, არამედ ცივი ომის პირობებში მძიმე დარტყმას მიაყენებდა საბჭოთა კავშირის პრესტიჟს, ეს უშვებელი ურჩხული რომ აღმართოდა წინ მის სწრაფვას მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. აღმართოდა სწორედაც სახელმწიფო მანქანა საიდუმლო სამსახურითაც კი, თორემ დაქირავებული ჟურნალისტები ხომ მიესია მის გასაგლეჯად — როგორ დაემცირებინათ, როგორ გაეტეხათ სახელი, რათა ეგებ მორალურად მოეხდინათ ზეგავლენა და ამ მეთოდით ჩამოემორებინათ გზიდან ის ერთადერთი დასავლელი დიდოსტატი, ვისაც შეეძლო საბჭოთა საჭადრაკო სკოლის დამხობა.

სურდა თუ არა რობერტ ფიშერს, პოლიტიკური სარჩული ამოკერებოდა მის საჭადრაკო მოღვაწეობას და გადაწყვეტი ტრიუმფი ამ ასპარეზზე ძალდაუტანებლად ნიშნავდა ამერიკის მიერ წარმატებით გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს ცივ ომში.

და ახალ მსოფლიო ჩემპიონს ძალიან ეამაყებოდა, რომ „პრავდის“ ფურცლებზე ამ საჭადრაკო ბატალიას ძალზე ძუნწად და მგლოვიარედ გამოეხმაურებოდნენ.

აბა, საერთაშორისო ასპარეზზე ასეთ მორალურ მარცხს საბჭოთა ხელისუფლება და ოფიციალური გულმშვიდად ხომ ვერ შეხვდებოდა.

და თუმც მას შემდეგ ლამის ნახევარი საუკუნეც გადაკეცილიყო, ამერიკის შეერთებულ შტატებს ვინ გაუბედა მათი ტრიუმფატორის დატყვევება?

იაპონელთა ამ მოქმედებას შესაძლოა ომიც კი გამოენვია ამ ორ ქვეყანას შორის და რისთვის იგდებდა თავს საფრთხეში ამომავალი მზის მხარე?


მაგრამ საქმეც ისაა, რომ არამცთუ საფრთხეში არ იგდებდა თავს, სულაც საკუთარ კეთილგანწყობას უდასტურებდა ამერიკის შეერთებულ შტატებს, რადგანაც სწორედ ამ ქვეყნის ხელისუფალთა და მართლმსაჯულების თავგადაკლებული ჩარევის გამოისობით გაუმზადდნენ რობერტ ფიშერს ციხის კედლებს.

ამისთანა განა რა დაეშავებინა ყველა დროის უძლიერეს მოჭადრაკედ აღიარებულ პიროვნებას თავისი სამშობლოსათვის, რომ მიტევება არ შეიძლებოდა და, ნაცვლად დატუსაღებისა, პირობითი სასჯელით ვერ გადარჩებოდა?

საქმეში ჩაუხედავი ადამიანი, ცხადია, წარმოიდგენს ყველაზე მძიმე დანაშაულებს, რომელთა გულისთვისაც თვით გამარჯვებულებსაც ასამართლებენ.

არადა, 1992 წელს ფიშერს არაფრად ჩაეგდო ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დადგენილება, რომელიც ამ ქვეყნის მოქალაქეებს უკრძალავდა იუგოსლავიის ტერიტორიაზე სპორტულ თუ სხვა ღონისძიებათა გამართვას. ეგაა და ეგ, რომ ბორის სპასკისთან მატჩ-რევანშსაც ამ ქვეყანაში ითამაშებდა და მოგებული საპრიზო თანხიდან სახელმწიფოს არ გადაუხდიდა ბეგარას.

არა, თავისთავად ეს არ ყოფილა მთლად უწყინარი საქციელი, ხელისუფალთა გაღიზიანება რომ არ გამოენვია, მაგრამ ხომ არსებობდა გარემოებანი, რომელთა



ფონზეც ეს სასჯელი გადამეტებულ სიმკაცრედ, სულაც ძალმომრეობად მოჩანს.

ჯერ ერთი — უკვე ამდენი წელი გასულიყო;

მეორეც — ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მიმდინარე საომარი მოქმედებანი არანაირად არ ემუქრებოდა შეერთებული შტატების უსაფრთხოებას, რათა ამის საფუძველზე ამერიკის მოქალაქე დაედანაშაულებინათ;

მესამეც — შეერთებულ შტატებში კონფისკაციას დაქვემდებარებული ფიშერის ქონება ყველა გადაუხდელ გადასახადსა და ყველა სასამართლო დანახარჯსაც ორმაგად აანაზღაურებდა;

და მეოთხეც — 1992 წლის მატჩ-რევანში მხოლოდ დიდი მონდომების ფასად შეიძლებოდა მიჩნეულიყო კომერციულ

ღონისძიებად — ეს ხომ იარაღით ან სხვა ნივთებით ვაჭრობა არა ყოფილა, არც — ომში ჩაბმული რომელიმე მხარისათვის ფინანსური დახმარების აღმოჩენა. სპორტული ორთაბრძოლის გასამართად ფული გაიღო მილიონერმა, რომელსაც შეეძლო სულაც არ გადაეხადა ეს თანხა, ეს ხომ მისი პირადი საქმე გახლდათ.

სავსებით დამაჯერებელი არგუმენტებია, რომელიც მოხმობილია ვლადიმერ პაკისა და ანდრეი ბარანიუკის ბიოგრაფიულ რომანში „რობერტ ფიშერი“ (ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2012) და ამერიკის ხელისუფალთა ცივილიზაციური შეეძლოთ გაეთვალისწინებინათ, მონდომებულნი რომ არა ყოფილიყვნენ ფიშერისათვის სამაგიეროს გადახდას, როგორ თუ უარი განაცხადე თეთრ სახლში სტუმრობაზე, როდესაც შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ასერიგად დაგაფასა მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებისათვის და ამ უმაღლეს სახელმწიფო დანესებულებაში მისვლის პატივი გარგუნაო.

მაგრამ ის, რასაც პატივად აღიქვამდა უამრავი გამოჩენილი ადამიანი და სატრიაბახოდაც ექნებოდა, არაფრად უღირდა რობერტ ფიშერს და ჟურნალისტები ტყუილბრალოდ ლამობდნენ ეს გადაწყვეტილება სენსაციისა და სკანდალისადმი ფიშერის მიდრეკილებით აეხსნათ.

თვითონვე შეუთხზავდნენ ამ იმიჯს და მერე თვითონვე გაიხდიდნენ მისი ყოველი მოქმედებისა და ნალაპარაკის საზომად იმ თვისებებს, რაც სინამდვილეში დიდად არ გამოხატულიყო რობერტ ფიშერის პიროვნულ ხასიათში — ყოველ შემთხვევაში, უფრო მეტად არა, ვიდრე ამას ჩვეულებრივი ადამიანური ბუნება გულისხმობს.

სხვა მისი მსგავსი ხასიათის პიროვნებებზე სულაც არავინ ამტკიცებდა, სენსაციებისა და სკანდალებისა თვით ცხოვრობენო.

ამჯერად ასე დაეაჭიროებინათ დასავლელ ჟურნალისტებს, ხოლო საბჭოთა პროპაგანდა ისე გაბუქავდა და გააზვიადებდა, ლამის დემონისაგან აღარც განირჩეოდა ფიშერის სახება.

იუმორი მთლად უცხო არა ყოფილა ამ პიროვნებისათვის, მაგრამ ისეც არ მომადლებოდა, თავდასაცავად და თავშესაფრად ის დაეგულებინა ფსევდოჟურნალისტური

შემოტყვევებისაგან. მის ფაქიზ, მგრძობიარე ბუნებას ალამფოთებდა ყოველგვარი ძალდატანება და უკმაყოფილებასა თუ გაღიზიანებას საკმაოდ მკვეთრად გამოხატავდა. ყალბ პროპაგანდისტებსაც მეტი რა უნდოდათ — ატრიალებდნენ და აფრიალებდნენ მისი გაღიზიანების გამოხატველ სიტყვასა თუ საქციელს და დემონურ პორტრეტს ახალ-ახალი მასალებითა და შტრიხებით ავსებდნენ.

ფიშერს მიხეილ ტალივით რომ მომადლებოდა უზღვა-ვი იუმორი, ჯერ მაშინაც, კაცმა არ იცის, რას აღარ მია-წერდნენ, და ახლა ხომ საკუთარ ნებაზე დაჯირობდნენ მის ყველაზე ინტიმურ სამყაროშიც, ვითომდაც მათთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყოს ეს დაფარული, დახშული სა-მეუფო — პიროვნული ავტონომია.

ხშირად გაუხსენებიათ, როგორ ამტკიცებდა პოლ ბენ-კო, ტალი ჰიპნოზს მიკეთებსო, და პრეტენდენტთა ტურ-ნირის ერთ-ერთი პარტიის სათამაშოდ... შავი სათვალთ გამოცხადებულა, მისი შემხედვარე ტალი კი მხიარულ გუნებაზე დამდგარა, თვითონაც ამოუძრია შავი სათვალე და მოურგია.

ფიშერის წინაშე რომ დამჯდარიყო ვინმე შავი სათვა-ლით, ის მაშინვე პროტესტს განუცხადებდა მსაჯსაც და ორგანიზატორებსაც და დაიმუქრებოდა ტურნირის მი-ტოვებით. და არც მოერიდებოდა მიტოვებას, თუ მის მოთხოვნას არ გაითვალისწინებდნენ, თუნდაც დიდი უპი-რატესობით ყოფილიყო მოქცეული სატურნირო ცხრი-ლის სათავეში.

დასავლელ ჟურნალისტებსაც ხომ მეტი არაფერი უნ-დოდათ!..

და თქვენ საბჭოთა პრესის ფურცლები უნდა გენახათ, როგორ ნაილეკებოდა გამოჩენილი მოჭადრაკის ყვედრე-ბითა და ძრახვით.

ის, რომ ფიშერი თავის თავში ჩაკეტილი პიროვნება გახლდათ, გულდახურული და გაურბოდა საზოგადოება-ში ტრიალსა და ახალ-ახალი ნაცნობობის ძიებას, ხასია-თის ნაკლოვანებად რატომ უნდა ჩამორთმეოდა?

განა, ვთქვათ, უილიამ ფოლკენერი ნაკლებ გულდახშუ-ლი და ჩაკეტილი პიროვნება გახლდათ, ძალიან რომ უძ-ნელდებოდა ახალი ნაცნობობის გაბმა? და ამას მისი ხა-სიათის ნაკლოვანებად არავინ მიიჩნევს. მაინცდამაინც ფოლკენერი იმიტომაც წამომავინდა, რომ თავის დროზე ისიც უარს განაცხადებდა შეერთებული შტატების პრე-ზიდენტთან სტუმრობაზე, არაფრად ჩააგებდა ნობელის პრემიის მინიჭების გამო მის მიწვევას თეთრ სახლში და ამ განწყობილებას ირონიულადაც გამოხატავდა: უკვე საკ-მაოდ ხანდაზმული ვარ (რა ხანდაზმული — 50 წლისა გახ-ლდათ) საიმისოდ, რომ ამხელა მანძილი ერთი სადილის გულისათვის გავიარო.

ირონია არც ფიშერის უარს აკლდა — თუ ფულს გადა-მიხდია, რატომაც არ ვესტუმრები, ისე კი ტყუილურა-ლოდ ვერ მოცდებო.

უამრავი საქმე ეყარა თავზე და მოცდენას ვერ შეეგუ-ებოდა.

შეიცვლებოდნენ პრეზიდენტები, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონის ეს უარი სილის განვნასავით დარჩებოდა ამე-რიკული ხელისუფლების ისტორიაში და ადრე თუ გვიან მიზეზს მაინც უკრეფავდნენ.

თანაც, იმ იაპონიაში, რომელთან პოლიტიკური ურთი-ერთობაც კარგა ხანს ექნებოდა გართულებული შეერთე-ბულ შტატებს ჰიროსიმიისა და ნაგასაკის დაბომბვის გამო, მსოფლიო ომის ჩამთავრებისას ამ ორ ქალაქს რომ აღუგ-ვიდნენ პირისაგან მიწისა; და განყვეტილი ძაფების აღდ-გენას რომ მოინდომებდა, დასაწყისისათვის კულტურული კავშირის გაბმას შეეცდებოდნენ და უილიამ ფოლკენერს ლიტერატურული შეხვედრების გასამართად რომ მიავ-ლენდნენ, მის მოგზაურობას იაპონიის უნივერსიტეტებში პირწმინდად პოლიტიკურ მისიასაც დააკისრებდნენ.

მწერალს უნდა გაეხსნა ჩახერგილი გზა. და კიდევ გახ-სნიდა, იაპონელი მკითხველის დიდ სიმპათიასა და სიყვა-რულს რომ მოიხვეჭდა თავისი იმ პიროვნული ღირსებების წყალობით, მის მარტოსულობას რომ გადაფარავდა.

ისე იაპონიასთან კეთილი ურთიერთობის აღდგენა რომ არა, შეერთებული შტატები ვერაფერს დააკლებდა რო-ბერტ ფიშერს, ვისაც ისლანდიაზე ადრე სწორედაც იაპო-ნია მოველინებოდა მფარველად — ამერიკის ჯიბრზე.

ახლა კი თავსაც გამოიდებდნენ შეერთებული შტატე-ბისათვის მეგობრობის დასამტკიცებლად.

კიდევ კარგი ისლანდიელები დიდად ემადლიერებოდ-ნენ რობერტ ფიშერს, მსოფლიო ჩემპიონობის მოსაპოვე-ბელი მატჩის ადგილად რეიკიავიკი რომ აირჩია და ამით ისლანდია თითქოს ხელახლა აღმოუჩინა კაცობრიობას.

ამ თანადგომის საზღაურად ისლანდიელები არამარ-ტო გამოიტაცებდნენ ფიშერს იაპონიის ცხრაკლიტული-დან, უარს განუცხადებდნენ შეერთებულ შტატებს — ეც-ნობებიანთ უცხოეთში ამ პიროვნების ყველა მოგზაურო-ბის თაობაზე, და უკანასკნელ განსასვენებლადაც თავის მიწას მოუზომავდნენ — რეიკიავიკიდან 60 კილომეტრით დაშორებული პატარა ქალაქ სელფოსის კათოლიკური სამწყსოს სასაფლაოს.

გამოთხოვების რიტუალი ისეთი იქნებოდა, ფიშერის ცხოვრების სტილს რომ შეჰფეროდა — ის დაიხურებოდა ჟურნალისტებისა და პაპარაცებისათვის და დაესწრებო-და მხოლოდ რამდენიმე მისი უახლოესი მეგობარი-მო-ჭადრაკე და იაპონელი მიოკო ვატაი — მისი ცხოვრების მრავალწლიანი თანამგზავრი.

ეგაა, მისი გარდაცვალების შემდგომ გენეტიკური ექ-სპერტიზის მეშვეობით ფარდა აეხდებოდა იმ საიდუმ-ლოს, რომ გოგონა, ვინც ფიშერს საკუთარ შვილად მიაჩნ-და... მისი არ აღმოჩნდებოდა.

მის დრამატიზმით აღსავსე ბიოგრაფიას ესლა აკლდა!..

კიდევ კარგი, დიდხანს აღარ მოუწევდა ფიშერის სა-ხელს გახვევა ცრუჟურნალისტურ საბურველში, რაკილა მალევე გამოიციემოდა ვლადიმერ პაკისა და ანდრეი ბარა-ნიუკის ბიოგრაფიული რომანი და უკვე მოინიშნებოდა ის სივრცე, სადაც ამიერიდან უნდა იტრიალონ ამ დიდებუ-ლი მოჭადრაკის ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვა-ნეობის მკვლევარებმა თუ ბიოგრაფოსებმა.

ამ წიგნში ისე დამაჯერებლადაა გაბათილებული ფიშე-რის ირგვლივ შემოქსოვილი ყალბი და ხელოვნური შეხე-დულებანი და ისე კანთიელად და ხელშესახებადაა წარმო-ჩენილი მისი პიროვნული ხასიათი — წრფელი, უანგარო, დაუმომინებელი, რომ უკვე გაუძნელდებათ ამ ხასიათზე ძალდატანება და თავის გუნებისად განმარტება მსოფლიო

მეთერთმეტე, თუმცა რა მეთერთმეტე — ყველა დროის ჩემპიონის ცალკეული მოქმედებისა თუ გამონათქვამისა.

კაცისა, ვინც შორეულ ქალაქშიც გადაფრინდებოდა ათასი დოლარის გულისათვის, მაგრამ უყოყმანოდ განაცხადებდა უარს, რეკლამებზე გამოხატული მისი სახის სანაცვლოდ მილიონები რომ წამოეხვეჭა.

ეგაა, თუკი შემდგომ მისი ბიოგრაფიის აღმოჩნდება მწერალი, იგი ფიშერის ხასიათზე ფსიქოლოგიური დაკვირვებისა და ანალიტიკური განსჯისას აუცილებლად მოიხმობს ჯერომ სელინჯერის პიროვნულ ხასიათსა და ბიოგრაფიას — აკი უკვე სახელგანთქმულმა მწერალმა თვალთმაქცურ სინამდვილეში კეთილდღეობას ყველასაგან განრიდებდა ამჯობინა და ისევე დარჩა საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში განდევნილად, როგორც მოგვიანებით ფიშერი, ვინც უნებურად დაემსგავსებოდა სელინჯერის პერსონაჟებს — ჰოლდენ კოლფოდსა თუ სიმორ გლასს, და მათი ფსიქიკის შესწავლა თავისებურ გზამკვლევადა ამიტომაც გამოგვადგება არამარტო სელინჯერის, არამედ ფიშერის სულში ჩასახედადაც.

არამარტო თავის სამშობლოსაგან განიცდიდა დევნას, არამედ რუსული საიდუმლო სამსახურის მხრივაც. იმათ რაღა უნდოდათ, საბჭოთა კავშირი ხომ უკვე ისტორიას ჩაბარებოდა?.. რუსეთის იმპერიის ის სახესხვაობა კი გარდასულიყო, მაგრამ არ დაოკებულიყო მათი სწრაფვა ახალი იმპერიის შესაქმნელად, ახალ იმპერიას კი რუსული თავმოყვარეობის შელახული პრესტიჟის აღდგენა ესაჭიროებოდა. შელახვით ვისაც შეეღახა, ვითომ რატომ უნდა შერჩენოდა? სადაც მიწვდებოდნენ, არ გაახარებდნენ. ასეთ დროს პოლიტიკოსებზე ძიობენ შურს, მწერლებზე, ჟურნალისტებზე, მაგრამ... მოჭადრაკეზე? ასეთი რამ სხვა არ ახსოვს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიას. თუმცა რა გვიკვირს — უჩვეულობით აღბეჭდილი ბიოგრაფია რობერტ ფიშერისა ძალაუნებურად გამოიწვევდა რუსულ სპეცსამსახურთა ისეთ გულისწყრომას, ამდენი წლის შემდგომაც რომ არ მოასვენებდნენ, თორემ საჭადრაკო ბატალიების ჟამს რა ხაფანგს აღარ დაუგებდნენ, ოღონდაც როგორმე ჩამოეცილებინათ.

თუმცა როდის ყოფილა, რომ ზვავი ვინმეს დაეოკებინოს?!

საგულისხმოა ის დეტალი, სპასკისთან მატჩის დროს გამარჯვების სასწორი მკვეთრად რომ გადაიხრებოდა ფიშერის სასარგებლოდ, იგი ალაპარაკდებოდა რუს ჩეკისტთა ფარულ მცდელობებზე.

ბიოგრაფიის ავტორები მის ამ პროტესტს რომ აღნიშნავენ, თავიანთი მხრივ თითქოს არც უარყოფენ და არც ადასტურებენ ფიშერის ეჭვებს, თუმცა ვაკვრით აღნიშნავენ, რომ: იმხანად რეიკიავიკში ძალზე იმატებდა რუს ტურისტთა რაოდენობა.

გამჭვირვალე ქვეტექსტით ყველაფერი ნათქვამია.

გერმანელ, ფრანგ, ინგლისელ, ამერიკელ ან სხვა ქვეყნის ტურისტთა რიცხვი თუ იმატებს ამა თუ იმ ჟამს, ეს აიხსნება ცნობისწადილის გამძაფრებითა და აჟიოტაჟური განწყობილებით, მაგრამ ეს კანონი ვერ გავრცელდებოდა საბჭოთა ტურისტებზე — ვინ დართავდა ნებას ადამიანებს თავიანთ გუნებისად მოქცეულიყვნენ და ინტერესის კარნახით გამგზავრებულიყვნენ სადმე, ამჯერად — ისლანდიის მიწაზე.

მაშ იმ დღეებში როგორღა იმატებდნენ?

ცხადია, ტურისტთა სახელით საიდუმლო სამსახურების თანამშრომლები მიეზღვავებინათ.

ბორის სპასკის ციხე-სიმაგრეს რობერტ ფიშერის ტალანტი და ნებისყოფა რომ გასტეხდა, უკვე ექს-ჩემპიონს... ჩეკაში დაიბარებდნენ და პასუხს ისე მოსთხოვდნენ საჭადრაკო ტახტის დათმობისათვის, თითქოს სპასკის მათზე ნაკლებად ენადა მეფის გვირგვინის შენარჩუნება და ბრძოლა საკუთარი ნებით დაეთმო.

მანამდე მარკ ტაიმანოვი კიდევ უარეს დღეში ჩაედოთ: როგორ თუ სენსაციური გამარჯვების უფლება მიეცა პრეტენდენტთა მატჩში, რაღაც სულ სხვა, არასაჭადრაკო მიზეზები რომ არა, ერთ დიდოსტატს მეორე დიდოსტატი მშრალი ანგარიშით — 6:0 — როგორ შეიძლება დაემარცხებინათ!..

ტაიმანოვი ბოროტ ბედისწერას მიაწერდა ასეთ უჩვეულო მარცხს, ფიშერი კი, თავმდაბალი პიროვნების კვალობაზე, განაცხადებდა: ეს შედეგი ნაკლებად გამოხატავს საქმის არსს. ბრძოლა იმაზე ბევრად რთული იყო, ვიდრე საერთო ანგარიში გვიჩვენებსო, — და დასძენდა: უფრო იოლია ჯენტლმენობა, როდესაც მოგებულნი ხარ, ვიდრე მაშინ, როდესაც მარცხდები, ამიტომაც ჩემს პარტნიორს მივესალმებო.

ჰოი, რარიც განურისხდებოდა ხელისუფლება ტაიმანოვს — უმონყალო კრიტიკის ქარცეცხლს ვინ ჩივის, ჩამოართმევდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო ნოდებს, დაატოვებინებდნენ ქვეყნის საჭადრაკო ნაკრებს, შეუწყვეტდნენ სპორტულ სტიპენდიას და ორი წლით აუკრძალავდნენ საზღვარგარეთ ტურნირებში მონაწილეობას. საბაჟოზე რომ გაჩხრეკდნენ და ალექსანდრ სოლჟენიცინის მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებას — „პირველი წრე“ — აღმოუჩინდნენ, რას გაიხარებდნენ და რა დღეს დააყრიდნენ!.. არადა, ასეთი სასტიკი მარცხი რომ არ ეწვნია, ან ვინ გაჩხრეკდა ან ვინ არ მოუხუჭავდა თვალს... ის კი არა, ფიდე-ს პრეზიდენტის მაქს ეივსს მიერ სალო ფლორთან გამოტანებული ჰონორარიც სახათაბალო გაუხდებოდა, თუმცა ჰონორარს ბარათიც ახლად, თუ ვინ ვის უგზავნიდა ამ ფულს ტაიმანოვის ხელით და რატომ...
ვერა და ვერ დაშოშმინდებოდა ხელისუფლება და ტაიმანოვი უკვე ხელს ჩაიქნევდა: მორჩა, საბოლოოდ განწირული ვარო, — უნებლიეთ თვით ფიშერი რომ არ მოვლენოდა მხსნელად: შემდგომ საპრეტენდენტო მატჩში ასეთივე გამანადგურებელი ანგარიშით — 6:0 — რომ სძლევადა ბენტ ლარსენსაც.

ამან ჩემზე მონადირეთა ცხელი თავები ოდნავ გააგრილაო, — შვებით გაიხსენებდა იმ წუთებს რუსი გროსმაისტერი, — დანიელ დიდოსტატსაც ხომ ვეღარ დასდებდნენ ბრალად კაპიტალიზმთან ფარულ გარიგებასო.

ამან ჩემზე მონადირეთა ცხელი თავები ოდნავ გააგრილაო, — შვებით გაიხსენებდა იმ წუთებს რუსი გროსმაისტერი, — დანიელ დიდოსტატსაც ხომ ვეღარ დასდებდნენ ბრალად კაპიტალიზმთან ფარულ გარიგებასო.

აქ ერთი „წვრილმანი“ ნუ გამოგვარჩება, თავის დროზე საგანგებოდ რომ აღნიშნავდნენ საჭადრაკო მიმომხილველები, ამ ჩინებულ წიგნში კი ყურადღების მიღმა დარჩენილი — მეექვსე პარტიაში ფიშერი ორჯერ არ აარიდებდა თავს ყაიმს, თუმცა მის ადგილას სხვა ნებისმიერი დიდოსტატი ეცდებოდა აუცილებლად გაემარჯვა და მატჩი სწორედაც მშრალი ანგარიშით დაესრულებინა. მაგრამ ფიშერი, როგორც ნამდვილ მოჭადრაკეს შეჰყვრის და არა ქუ-

ლებს გამოკიდებულ სპორტსმენს, იმოქმედებდა პოზიციონის ლოგიკის მიხედვით, ძალას არ დაატანდა პარტიის მსვლელობას და... დაჯილდოვებოდა გამარჯვებით, რაკილა დანიელი გროსმაისტერი თავგადაკლული მიისწრაფოდა მოგებისაკენ და ამასობაში ყაიმსაც დაჰკარგავდა.

ფიშერი არამარტო სპორტულ წარმატებებს მოიხვეჭდა და ძალიან გადააჭარბებდა თავის თანამედროვეთ, არამედ მორალურადაც აღემატებოდა სხვებს, რაკილა ანტიკური გმირის თავგანწირვით დაუპირისპირდებოდა სპორტში შემოჭრილ ყოველგვარ უმსგავსობასა და ზნედაცემულობას — მისთვის ყოვლად მიუღებელი, დანაშაულებრივი მოვლენა გახლდათ კორუფციული გარიგებანი, რაც თავის ჭაობში ჩაითრევა სპორტის ყველა სახეობას და სკანდალი სკანდალს მოჰყვებოდა, როდესაც ცალკეული გარიგებანი გამჟღავნდებოდა ანდა წინასწარი შეთანხმებანი იმ უკიდურესობას მიაღწევდა, დაფარვას არავითარი აზრი რომ აღარ ჰქონდა.

ფიშერი ლამობდა ჭადრაკი მაინც გამოეტაცა ამ მოჯადოებული წრიდან.

და რაკილა ეს თვით მისთვისაც შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, გარიგებით გაერიდებოდა და დარჩებოდა ზნეობრივ საზომად, უანგარობის, სისპეტაკის ნიმუშად, ვინც ამ გადმოსახედიდან დაბეჯითებით მოიხსენიებდა ანატოლი კარპოვსა და გარი კასპაროვს შორის გამართულ მატჩებს მსოფლიო პირველობაზე სკკპ-ისა და სუკ-ის მიერ ინსცენირებულად და, ამდენად, გაუქმებულად ცნობდა მათ შედეგებს. და სასაცილოდაც არა ჰყოფნიდა ფიდეს მიერ მისი გამოცხადება ექს-ჩემპიონად: ნამდვილი ჩემპიონი მე ვარო.

ეს ბობოქარი სულიც მოიღლებოდა უთანასწორო ბრძოლებითა და დაპირისპირებებით და... სიმშვიდესა და სინყნარეს მიეღტვოდა, უბრალო, უხმაურო ყოფას ისლანდიის მიწაზეც და ხანგამოშვებითი მოგზაურობების დროსაც, ასერიგად რომ უყვარდა, ჩაიღდ ჰპაროლდისა არ იყოს, ლორდ ბაირონი საკუთარ ხასიათს რომ გამოჰხვევდა ამ გმირში და, უამრავი პოეტის წინამორბედიც შეიქნებოდა თავის პერსონაჟიანად.

და თურმე საჭადრაკო რომანტიკოსის თავისებური არქეტაიპიც უნდა გამხდარიყო — მოგზაურობით გატაცება მოგზაურობით გატაცებად და აკი არც იმას დაედგომებოდა თავის სამშობლოში, დაუნანებლად რომ გამოაძევებდნენ იქიდან და საბერძნეთში აპოვნინებდნენ უკანასკნელ ძვალშესალაგს.

გამეორებით არ გაიმეორებდა რომზე შემომწყრალი სციპიონ აფრიკელის სიტყვებს ლორდ ბაირონი, თუმც მისი ცხოვრების გეზი და სტილი ამას და მხოლოდ ამას ღალადებდა: უმადურო სამშობლოვ, შენ ვერ ეღირსები ჩემს ძვლებსო!..

არც რობერტ ფიშერს გაუმეორებია, თუმც რა გამეორება უნდოდა, როდესაც მისი ბიოგრაფიაც თვითვე მეტყველებს ამ ტრაგიკული სულისკვეთებით.

და თვითვეც გიწვევს ქრონიკის შესადგენად.

საჭადრაკო ლიტერატურას ამშვენებს თუნდაც მიხაილ ბოტვინიკის ავტობიოგრაფიული რომანი, ევგენი ზაგორიანსკის ბიოგრაფიული რომანი „მოთხრობა პოლ მორფიზე“, ვიქტორ ვასილევის საჭადრაკო ნარკვევების

მთელი სერია, „მეშვიდე რიდედ“ გამთლიანებული, ისევე, როგორც გივი გამრეკელის ასეთივე ნარკვევების წყება და მონოგრაფია „ჩემპიონები და პრეტენდენტები“ — მწერლური ოსატობით აღბეჭდილნი... და ამ ჩინებულ წიგნებს ასე შთამბეჭდავად შემატებია ვლადიმერ პაკისა და ანდრეი ბარანიუკის „რობერტ ფიშერიც“, რომლის მოხსენიებაც ბიოგრაფიულ რომანად არავის მოჭრის ყურს, ვინც კი ამ ლალ, ძალდაუტანებელ, ექსპრესიულ თხრობას გაჰყვება და ერთი რჩეული პიროვნების მიღმა მთელ ეპოქასაც გაადევნებს თვალს — საჭადრაკო ცხოვრებაში ჩანსულ პოლიტიკურ ჭიდილსაც.

ასეთი ყაიდის წიგნების თარგმნას ეგებ რაღაც განსაკუთრებული არტისტიზმი არა სჭირდებოდეს, მაგრამ ის კამერტონი კი არის მისაგნები, თხრობის სილაღესა და ექსპრესიულობას რომ შეგანარჩუნებინებს. და დათო ბარბაქაძე სწორედ ამ კამერტონს შეუხამებდა რობერტ ფიშერის ცხოვრების ქრონიკის ქართულ ვერსიას, იმ მხრივაც მახლობელს ჩვენთვის, რომ რუსული იმპერიალიზმის ბუნებას ხელშესახებად გადმოგვიშლიდა და კიდევ ერთხელ დაგვიდასტურებდა, რომ მარტოკაცის კვეთება ტირანსულ სახელმწიფოსთან სულაც არ არის ამოო სწრაფვა.

უმადურო სამშობლოვ...

შენ ვერ ეღირსები ჩემს ძვლებსო...

ბაირონი ბაირონად და ფიშერის ტრაგიკული ხვედრი ფილიპ ნოლანის სახებასაც ამოატივტივებს, ედუარდ ჰეილის მოთხრობის „უსამშობლო კაცი“ მთავარი გმირის, ამერიკის შეერთებული შტატების მიწაზე ფეხის დადგმა კი არა, მისი ხსენებაც რომ აეკრძალებოდა, და ისიც ისეთი უდრტივინველობით მიიღებდა სასამართლოს მიერ გამოტანილ ამ უცნაურ განაჩენს, თითქოს ეოცნებებოდა მშობლიური მხარის დატოვება... და ასეც გაღევედა წუთისოფელს, ამერიკას სრულიად მოწყვეტილი, ვიდრე უკანასკნელ ამოსუნთქვას ამ სანუკვარ გულისთქმას არ ამოაყოლებდა: განა მე ოდესმე მიმიტოვებია ჩემი სამშობლო!..

ამ თვალთახედვითაც უთუოდ გაიაზრება რობერტ ფიშერის, რომანტიკოსისა და განდეგილის, ცხოვრების მატინე, თავგადასავალი კაცისა, ვისაც სწორუპოვარი გამარჯვება უნდა მოეპოვებინა თვალთმაქც, ანგარებიან, ფარი-სეველურ, დასნეულებულ გარემოზე და დაემტკიცებინა, რომ ღმერთსმოკლებულ სინამდვილეშიც, ყირაზე დამდგარ რეალობაშიც არ ჩამრეტილიყო სული ღირსებისა და თავისუფლებისა, სული ჰეროიკული გაბრძოლებისა, სახელმწიფოებრივ ძალმომრეობასაც რომ არ შეეპუებოდა ყველაზე სასტიკი რეჟიმისა და აგრძობინებდა, შორს არ არის შენი მოჩვენებითი ძლევამოსილების დასასრულიო.

ერთი წყნარი ამოსუნთქვაც რომ არ დასცალდებოდა.

უდრტივინველი გარინდება.

მშვიდი მიხედ-მოხედვა.

თუმც... რომ დასცლოდა, მაშინ ხომ რობერტ ფიშერი აღარც იქნებოდა.



იოსებ ბროდსკი

თარგმანი თუ ენის სიზმარია, მაშინ ბათუ დანელიას ნანახი აქვს ეს სიზმარი, არაჩვენებური, თავისებური, თავისთავადი.

მიჩვეული ვართ, რომ იოსებ ბროდსკი თარგმნება ისე, როგორც არის ორიგინალის კამერტონი — თავისუფლად, თავისუფლების სულისკვეთებით (ვახუშტი კოტეტიშვილი, გია ჯოხაძე და სხვები). ამავე დროს, მთარგმნელს აქვს თავისი ხედვა, სტილი, მანერა, წესი, რაც საბოლოო ჯამში ხელნერად, თარგმანის სპეციფიკურ ნიშნად ფორმდება.

ბათუ დანელიას, როგორც პოეტს, აქვს გამოკვეთილი მსოფლმხედველობა და ორიგინალური ხელნერა. ეს მთარგმნელისათვის შეიძლება ხელისშემშლელ ფაქტორად იქცეს, თუ იგი არ გამოვიდა საკუთარი პოეტური ველიდან, თუ არ გადაერთო „ტრანსლირების“ რეჟიმზე.

პოეტური ტექნიკის ვირტუოზული ფლობა და დიდი გამოცდილება ბათუ დანელიას საშუალებას აძლევს უპრობლემოდ გადაენწყოს შუამავლად ორიგინალსა და თარგმანს შორის და გადმოიტანოს მთავარი, არსებითი, მნიშვნელოვანი — სულისკვეთება უცხოენოვანი პოეტისა, მოგვანოდოს ლექსის სული და არა გრამატიკა, სინთეზი და არა სქემა.

მართლაც, იოლი არ არის ამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ოპტავეზისა და კატრენების, მსუბუქი რითმებისა და ლირიკულ-ფილოსოფიური განწყობილებების გადმოღება, მაგრამ ამას ახერხებს მთარგმნელი, უბრალოდ, ძალდაუტანებლად, პროფესიონალის თავდაჯერებით.

ჩრდილში მჯდომარა

I
ზაფხულის დღეა, ქარი...
და ხე და ჩრდილი მომცრო
კედელს მიკრული არი,
მე ჩრდილი უფრო მომწონს.
ბილიკი შოლტთა ტყლაშუნს
ვერ უძლებს, გარბის ტბისკენ,
მე ბავშვებს ვუცქერ ბაღში
და მათ ჟრიაშულს ვისმენ.

II
როცა თამაში ნერვებს
აუშლით, მათი გულის
ხმა შეარცხვენდა მერმისს,
რომ იყოს თვალხილული,
მაგრამ სიბრმავეს ნაკლი
დრომ შეიძინა ისე,
როგორც თამაშმა, რაკი
მასში გვიმართლებს ისევ.

III
აგურის ნაცვლად — შუშა
ლილისფერ გუმბათს ფხაჭნის,
როგორც ალადგენს მფუშავ
სივრცეს, მარცხნივ და მარჯვნივ,
ჩვენი ოცნების დამბლა...
და ცათამბჯენებს, უინით,
ძალუძთ გაგსრისოთ, ანდა
დაგიშამათოთ ტვინი.

IV
ახლადნაყარი ფუტკრის
თავს შეაფარებს ამ სკებს
და ელექტრონულ, უტკებს
თაფლს დაამზადებს წამსვე...
და გამოგვყრიან მალე
ბავშვები ბაღთა ფერად
ხსოვნაში — გვიტკბოს თვალი
სიცარიელის ცქერამ.

V
მას შეასწავლის მაგათ
ბუნება, რასაც დღემდე
თვითონ სწავლობდა ლალად:
დროებს და ასე შემდეგ.
მომარაგება „100“-ის
სუროს სიმწვანით უნდათ,
თუ არა — მარადისის,
მუდმივის ძებნით თუნდაც.

VI
ყოველდღიური ჩმახი,
ზუზუნ-ბზუილი ბუზთა —
მათ მოთმინებას დახვეს,
ყურს უმახვილებს ზუსტად

და მათ განურჩევს ეშვი
სპილენძს ვერცხლისგან ჩქარა,
ხმაურს ასწავლის ნეშო,
უმრავლესობის დარად...

VII
ჩვენს შემდეგ — არა წარდგნა
და ნავ-ნიჩაბთა ტვერი,
მაგრამ იქნება ხალხთა
ღვარცოფი ბევრზე ბევრი.
ქვირითმა განა სცოდა,
თევზს რომ აჯობა წელან!..
ციერნი მუმლნი როდი
არიან — ყველას ეყონ...

VIII
ქარი დღეს უცვლის სამანს
და სიმყრალენი ისევ
სჯაბნიან ისამანს,
მე კი ვბუზღუნებ მისებრ,
ვინაც მიუსწრო ბნელში
მავალ მსოფლიოს, სადაც
ვიცოდით, რატომ ვხვენდით,
ვისთვის ავვობდით ცხადად.

IX
ქარიც კი ველარ ახშობს
და — პოლიციის დიდხანს
ისმის სირენა ბაღში,
როგორც მომავლის სიტყვა.
ბელღებს კი არა — ჩიტი
სარჩოს ნაგვის ყუთს ართმევს,
თავი მოუცავს ტკივილს,
როგორც სატურნი სალტეს.

X
რაც უფრო არის წრფელი —
სიმღერა ჩემი გრძნობის,
ეჟვანიც უწინდელი
ჟღერს უფრო ნაკლებ ტრფობით...
ხელს თუკი ცეცხლსაც ახლებ,
ხელს თუკი დაღლით ცუდით,
სულ გაოფლილი — ნაკლებ
ჩეჩს ქოჩორს ხელისგული.

XI
ეს როდი არი დანის,
ანდა — ხაფანგის შიში,
ესაა შიში ხანის,
რის მიღმაც ველარ ვიშვით.
მთვარისა ასე ფასობს
ფოტო, მძაბავი სმენის...
და ძალუძს რომელ საზომს —
ზომოს სიცოცხლე ჩვენი?!

XII
თვითონ მიელტვის დროთა
გზა — დასასრულს და ბოლოს,

რომ არ დასჭირდეს ბომბთან
მირბენა ჭკუის კოლოფს...
განა მრავალთა საქმეს
ლუპავს მახვილი ბასრი,
ჩვენ თვითონ გვინდა გავქრეთ
ვილაცის ჩახდილ აზრით.

XIII

მერმისი შავად ჟამობს
ხალხის რისხვით და დავით
და არა იმის გამო,
მე რომ მგონია შავი.
ბავშვებს აქვთ, თითქოს, ვალი
და — რაც ჩანს ჩვენთვის თუნდაც,
მას არ ჭკრეტს მათი თვალი
და არც ჩვენ, რა თქმა უნდა.

XIV

მათ მზერას ველარ ვუჭერთ.
ზოგი — ცელქობით შეგმლის,
ქერუბიშია ქუჩის,
დადის შურდულით ხელში
და ჩიტს ესროდეს ვიდრე,
მანამდე ამბობს „ჰოპლას“,
არ ფიქრობს — „მოვახვედრებ“,
მაგრამ სჯერა, რომ მოკლავს...

XV

გამჭრიახოზა არსის —
საგანთ ობლობას უნდა
უძუძურობის კარზე...
აპოთეოზიც მუნთა
აღჭურვილია იქვე
იმ გუგით, რომლის წრენის
სამყარო ხედავს პირქვე
მნოლიც და მდგომიც — ბეცი.

XVI

ეს ავნებს სივრცეს მარტო,
მაგრამ ერთ ბლუჯა ბალახს —
არგებს და კიდევ ართობს,
ასე ჭერს შესცქერს ძალად
ის, ვინც მიეგდო ტახტზე,
ვისაც აკლია ძილი,
თუმცა ვერაფერს აღწევს
და ჭერზე ადის დილით...

XVII

ამ საგალობელს, ამოს,
ქმნიდნენ გრძნობები სუფთა,
სერენადაა მამის,
არია — მცირე ჯგუფთა,
ნამღერი სხეულთ ჯამში,
ჟარგონით რეტის დასხმა,
რომელიც პარტერს აშლის
დასასრულამდე და სხვა.

XVIII

დღეა ზაფხულის, ქარი.
ბავშვების რბოლას გავმზერ
და ჩრდილი ხისა არი
მზედ, რომ დამეცეს თავზე.
ვხედავ ღრუბლების ნაჭრებს.
ჩქეფს, სილის განენით, ტბორი.
სხივი ჰგავს ბუზის დამჭერს —
შვეულია და სწორი...

XIX

კუთვნილ წვეს წოვენ ტკბილად,
თხუნიან ბუჩქს და ქალაღს,
მრავლობენ, როგორც სილა,
სად ხტუნვა ძალუძთ ლალად,
ბავშვებს შორს უყვართ ჭკრეტა,
სად, როგორ კაპიკს მუჭში,
სარკეს, რომელიც სტენდალს
დაჰქონდა, შესვლა უჭირს...

XX

გაგვინაზებენ ნაკვთებს
და მიხრა-მოხრას, ჩვევებს —
ბავშვები, მაგრამ, მათვე,
ნელ-ნელა დაგვინგრევენ...
ნინ გამოშვერილ ყბებით,
ჩიყვით გახდიან უგვანს,
რათა განვლილი გზებით
არ დაიხიონ უკან...

XXI

ასე არღვევენ არის
ზღვარს წინსვლით დროის გზაზე
და, გაგრძელებით გვარის,
გადავგვარდებით ასე.
ლეიკოციტის შიშველ
ლაფში, ხიფათის პირას,
სისხლი თავს, თრომბის შიშით,
ასე გასცემს და წირავს.

XXII

ჩანს, ნივთის როლი, მძაფრი,
ისაა დროში, სივრცეს,
სახელით **ალარაფრის,**
ყველაფერი რომ მისცეს,
რომ დაასახლოს, ლალად,
ოცნების ბაღი ძველი,
თავის ნაკვთებზე **ალარ** —
აფრის მხურდავებელი.

XXIII

კარავი ასე ღიად
უსმენს ტამბურინს დამკვრელს,
ხიზილალასაც ყრიან
ულტრამარინში — აგრე.

აგრე ქალაღდსაც, ბოლოს,
სვრის სიტყვით კალმის წვერი.
ასე წართქვამენ „მხოლოდ
შენ ერთს“ — სახეში ცქერით.

პიაცა მათი

I
მე შემისვამს ამ შადრევნის წყალი
ხეობაში რომის,
ხოლო ახლა ხიფთანიც კი მშრალი
დამრჩა, განზე ძრომით.
ამ ჩემ დაქალ მიქელინას ნებავეს —
ცეკვებსა და ვალსებს
ვამჯობინო ფარშევანგის კვება
გრაფის მიწა-წყალზე.

II
არსებითად, არ საძაგლობს გრაფი,
ჭალარა და კოხტა,
მე ვთავხედობ — ვარ რუსულად სწრაფი,
თითქოს რამე მოხდა.
სლავისათვის რაც ვაებად, ანდა
პირშავობად ითქმის —
ჯენტლმენისთვის ჩმახია და ლანდვა,
თანაც — თავადისთვის.

III
გრაფი იგებს — დახარბდება ხენდროს...
ჰგავს თამაში კონცერტს:
მიქელინას, ისე, როგორც ერთ დროს,
დააყენებს ოთხზე.
არც მე ვაგებ: ვაგნებ რომში ალაგს,
სადაც ძალმის ერთობ
დავიყვირო „თქვე ბოზებო!“ მწყრალად
და აღმოხდეს „ღმერთო!“

IV
გუთნისდედას როდი უჯობს ხნულებს
ნაყოფები მდარე...
ვით შინაურ ცხოველს, ისე უვლის
ხსოვნას მომთაბარე... —
სხვა გზით რომი იქნებოდა: გიდი,
მუზეუმთა დვრიტა,
ავტობუსი, ოტელი და კიდევე
კოლიზეუმი და...

V
დღეს ბარების ადგილია ღია,
დახრილ ქედთა მზეა...
და დაკეტილ კარებისა — ვია
დელი ფუნარზე ან...
ზიხარ, სტრიქონს უკირკიტებ მდარეს
და გაჰყურებ, ნაღვლით,
ერთ უხილავ წერტილს, თითქოს არის
სიჭაბუკის სახლი.

VI
განადიდეს საქმე როგორ სწრაფად!
სევდას წამში აფენ,
გავიწყდება სხეულიც და კაბაც,
სად რას მორჩნენ რაფერ.
ვთქვათ და ჰგავხარ ძველმანების ძონძებს,
ან მტვრის ნადებს საწყალს, —
ჯენტლმენსა და თავადიშვილს მოსცხებ,
მოსაცხები რაც გაქვს.

VII
არა, გეტყვით: უიღბლობას, ვნებებს
და ჩახერგილ მიზანს
თქვენგან უნდათ შექმნან სული, მჩქეფი,
არისტოკრატისა.
დავივინყოთ, მოდით, გრაფიც, ლაყე,
წარბი გავხსნათ თანაც,
ჩვენ გვაქვს ნება, ავიმალლოთ ლალი
სისხლი პრინციანად...

VIII
შადრევანი ჟღერს ზამთარში ბროლად.
ცა ფერს იღვრის ფრთებზე.
ტრამონტანა ჯერაც ითვლის მხოლოდ
პინიების ნემსებს.
რაც თებერვალს წასჭრა წელმა უმალ —
იყო თრთოლვა სულის...
და ტოგაში თრთის ცეზარი ჩუმად
(უფრო — მოციქული).

IX
იშვიათად მჭვირვალე და გამჭოლ
ცივ ჰაერში, ფერად
სიმკვეთრიდან, უნებურად გამჩნევთ
მე და ჩემი მზერა —
ჩრდილოეთით, სადაც კვამლში დრეკით,
თუმნიანებს ჭედავს
მოღუშული ეს ევროპა, მე კი
რომს მინათებს მზე და...

X
მე, ველური სახელმწიფოს, ცხვირპირ
გახეთქილის — გერი,
სხვისი, ნაკლებ რომ არ ელტვის გვირგვინს,
ნაშვილები — ვმლერი,
ვიხდენ მუზის, სიმართლის და მდიდარ
გრაციების აკვანს,
სადაც მღერდა ვერგილიუსი და
რამდენიმეც აჰყვა...

XI
ავიცილოთ, ან ბრჭყალებში ჩავსვათ
საუკუნე, მოდით! —
ჩემ ფურცლებშიც, იქნებ, როგორც მაგათ
ფირფიტებში ოდით,
ჩაიხედოს იმ ევტერპემ შიგნით,
ზენაარის ძალით,
როგორ მაშინ — არ შეზიზღდეს წიგნი,
არ იტკინოს თვალი.

XII

დღეკეთილი აღარაა ნაღდად —
მეფის კოშკში თუნდაც.
გიჯობს მაჯა დაინიშნოს ქვაბთან
შვეიცარიულთან...
ტერაკოტამ, ჩვენ კი არა, თვითონ
მკვდარ ხორციით და ჟინით,
ჩაიბარა ბუონაროტი და
კიდევ — ბორომინი.

XIII

მაშ, მადლობა პარკებს, იღბალს მდორეს,
ძმაცაც-გამომცემელს,
გადმორიცხულ ფულისათვის სწორედ.
მომტანს-პატივმცემელს,
დასამოძღვრად მომავლისა, უსვამს
ჩიკოლატა ეშხით
პანას კონის სამყაროს და უძრავ
ციფერბლატის ცენტრში.

XIV

გორაკიდან, სად მჭევრობდა წყნარად,
სხვანაირად, ტასი,
ვჭვრეტ ლამაზ ხედს — ჩემ წინ არი არა
დამხობილი თასი
გუმბათისა, არც კრამიტი ძველი,
წმინდანებით, ღმერთით, —
წევს სამყაროს გამომზრდელი მგელი
ცისკენ ყველა კერტით.

XV

მის ბუნაგში თავი შინ რომ ვიგრძენ,
პირს — დაფრენა მეტი,
პირისათვის ნაცნობია, მზისებრ,
ნანგრევების ბედი.
კეისრისა და ათლეტის ნაღრღნი,
მომღერლისა — მეტად,
ავტოპორტრეტს მახატვინებს ფანქრით,
დავხატავდე, ნეტავ!

XVI

გადალლილმა მონამ, ჯიშით უკვე
ხილვადი რომ ხდება,
ბოლოს ყლაპა ნაღდ ცხოვრების ყლუპი,
რასაც მეტი შვება
აქვს ნდობის და სიყვარულის, ჯვრისა
და მომავლის ვიზის,
რამდენადაც ჩვენს ერამდეც მიზანს
მიელტვოდნენ მისით.

XVII

სიჯიუტეც არის მასში უხვად,
რადგან ჟამი, წესით,
არ შტერდება სივრცესავით, წუხვით,
ხოლო საღი თესლი
თავისუფლებისა — არის მუდამ
ეკლებში და გვიტევს,
ნებისმიერ პეიზაჟზე, მხუთავ
ხანის შტოდ და კიდევ...

XVIII

რომც ჩამოწყდეს ვარსკვლავების წყვილი,
მხარეც ჰგავდეს ხიზანს,
მაინც რჩება სიტყვა — ქალიშვილი
თავისუფლებისა,
მას აქვს ბინა, ვიდრე ვიცხრობ ვნებებს,
მაშ, გაფრინდი, წამო,
შენც, კალამო, ქალაღები ღებე
ამ ყველაფრის გამო!

კუნძული პროჩიდა

მიყრუებული ყურე ზღვისა, ანძა ოციოდ...
და მზე ბადეებს აშრობს, როგორც ზენრების მძახლებს,
კაფეში ფეხბურთს უყურებენ მოხუცები და
მზე ჩადის, ყურე უღურჯესად ქცევაზე ნაღვლობს.

თოლია სერავს თვალსანიერს, ვიდრე გამყარდა.
ცარიელდება სანაპირო — სალამოს რვაზე.
და სილაჟვარდის შემოჭრაა იმ მკრთალ საზღვართან,
რის მიღმა უნდათ ვარსკვლავებს ცა სხივებით ხაზონ.

გაქცევა ეპიკტეტი

არავინ იცის — თუ საიდან გაჩნდა მდევარი.

ცისგან შერჩეულ უდაბნოში ღამის მთევარი,
სასწაულისთვის რომ მოვიდა, კოცონს ანთებდა
მღვიმეში, სადაც შესცვიოდა თოვა ფანტელთა
და სადაც ჯერაც თავის როლს არ გრძნობდა წინასწარ,
თვლემდა ყრმა ოქროს შარავანდში და უბრწყინავდა
თმა, რაც იძენდა ჩვეულებებს, მადლის მფარავებს,
მხოლოდ შავთმიანთ ქვეყნისათვის არა, არამედ
მიესწრაფოდა ვარსკვლავისას სრულად მსგავსებას
მანამდე, ვიდრე დედამინა ყველგან არსებობს.

გაქცევა ეპიკტეტი (2)

მღვიმე (რაც უნდა ყოფილიყო) ვარგოდა ჭერად,
სწორ კუთხეების წყალობით და — თბებოდა მზერა
სამთა — ისინი სამნი იყვნენ, სუნთქავდნენ შვებით,
სურნელს აფრქვევდა, თბილ მღვიმეში, ჩალა და ჩვრები...

ჩალისა იყო ქვეშაგები, გარეთ კი ქვიშას
ფქვავდა ქარბუქი სიხარულის თუ რამის ნიშნად,
ქარის დაფქულის გახსენებით, ფშვინვით და ზმორვით,
ნამძინარევი, გვერდს იცვლიდნენ ხარი და ჯორი.

და მარიამი ლოცულობდა ტკაცუნზე ცეცხლის,
ცეცხლს შესცქეროდა იოსები, ფიფქების შეცვლით,
ყრმა კი პატარა იყო ისე, დანარჩენ სხვებთან,
რომ ველარაფერს ვერ იზამდა, ამიტომ თვლემდა.

კიდევ ერთი დღე განვლეს, მაგრამ ჰეროდე ლოდინს
უფრთხობდა შიშით და მუქარით და „ო-ჰო-ჰო“-თი,
ვინაც ლაშქარი გამოგზავნა და კიდევ ერთი
დღით მოახლოვდნენ ასნლეულნი, უხილავ ღმერთით.

იმ ღამით მართლა მშვიდად იყვნენ ისინი — სამნი. მიისწრაფოდა გარეთ, კარის ლიობში კვამლი, რომ მათ თვალები არ დასწვოდათ. არ გრძნობდნენ შიმშილს. ამოიხვნეშა მხოლოდ ჯორმა (ან ხარმა) ძილში.

ვარსკვლავი, მზერით, ღიობიდან თბილ ჰაერს სვამდა და ერთადერთი სულიერი — შორის იმ სამთა, ვინაც უწყოდა — თუ რას ნიშნავს ვარსკვლავის მზერა, იყო ჩვილი ყრმა, მაგრამ იგი ყუჩობდა ჯერაც...

შვიდი წლის შემდეგ

მ.პ.

ერთად ვიცხოვრეთ ისე დიდხანს — იანვრის ორი ისევე სამშაბათ დღეს დაემთხვა ხსოვნად ყოფილის, წარბი, ცდუნებით ანეული ნელ-ნელა, მდორედ, როგორც შუშაზე მეეზოვე ავტომობილის, მიგერიებდა რა სახიდან ბუნდოვან სევდას, შორეთს ტოვებდა აუმიღვრეველს და ფიქრში მხვევდა.

ერთად ვიცხოვრეთ ისე დიდხანს — ზეცის სფეროდან თუ თოვდა, თოვდა სამუდამოდ, არა დროებით... და რომ თვალელებში ფანტელეები არ ჩაგვცვენოდა — მათ ვაფარებდი ხელისგულს და ქუთუთოები, არა სწამდათ რა, რომ ვიცავდი, შფოთავდნენ ისე, როგორც შფოთავენ ფარვანები მუჭაში სხვისებრ...

ისევე დავშორდით სიახლეებს, მისაჩვევს ძნელად, რომ ჩახუტება სიზმრად სახელს უტეხდა ყველა ფსიქონალიზს — ვერთგულებდით ჩვევას ეგოდენ... და ბაგეები, სუსტი ბერვით ჩამქრობნი სანთლის, სხვა საქმეების რაკი აღარ მოჩანდა ლანდიც, ლავინის კოცნით შენს ბაგეებს უერთდებოდნენ.

ერთად ვიცხოვრეთ ისე დიდხანს — დაფხრენილ შპალერს არყის კორომად მოუჩანდა ოჯახი ვარდთა... ფული გაგვიჩნდა ორივეს და ძალიან მალე გაუქმდა ჩვენ წინ ბარიერი, გაიხსნა ფარდა და ჩვენ თურქეთში, მოლაქლაქე დაისი, ზღვიდან, მთელი თვე ცეცხლის წაქიდანების მუქარით გვღლიდა. ერთად ვიცხოვრეთ ისე დიდხანს, უნიგნ-უჭურჭლოდ და უავეჯოდ — ერთურთისკენ ორი სხეულის ლტოლვით მორყეულ ძველ დივანზე, რაც, უეჭველად, ვიდრე შექმნიდნენ, სამკუთხედი იყო შვეული, შემაერთებულ ორ ნერტილის თავზემთ, დროზე დაყუდებული ჩვეულებრივ, ნაცნობი პოზით.

ერთად ვიცხოვრეთ ისე დიდხანს — შევძელით კარის კეთება ჩვენი ჩრდილებისგან და გაჩნდა შარიც — არ ელებოდა საგდულები მაგ კარს სრულებით და ვერ ვხედავდით, გვეძინა თუ ოცნება გვღლიდა, და გაულებლად გავიარეთ იმ კარში ნაღდად და მომავალში ფარულ ხვრელით ვართ გასულები.

**რუსულიდან თარგმნა
ბათუ დანელიამ**

**„ჩვენი მწერლობის“ მთავარ რედაქტორს
ბ-ნ როსტომ ჩხეიძეს**

ძვირფასო როსტომ, გეხმანები იმიტომ, რომ ამ ჩვენს აბურდულ-დაბურდულ თანამედროვეობაში არ მეგულება სხვა კაცი, სხვა პიროვნება, სხვა მწერალი, სხვა საზოგადო მოღვაწე, ასე გულთან ახლოს მიჰქონდეს ჩვენი ლიტერატურისა და ჩვენი სვე-გამწარებული ამერ-იმერის ავან-ჩავანი.

შენ იმდენად ხარ ქართული („გორო ქართლის შუაგული, მეთაურო ქართლისაო“), რამდენადაც ხარ იმერელი, იმდენად — მეგრელი, რამდენადაც — გურული. იმდენად გურული, რამდენადაც — კახელი, იმდენად კახელი, რამდენადაც — აჭარელი ანუ — რაჭველი, სვანი, ანუ მესხი, ანუ ხევსური, ანუ ფშაველი, ანუ თუში, ანუ მოხვევე, ანუ მთიული, ანუ აფხაზი, ანუ სამაჩაბლოელი...

„ჩვენი მწერლობა“ — მრავალსარკმლიანი სახლია, რაც მოიცავს ამერ-იმერის კედელ-კუთხე-კუნჭულს, სადაც თავს იყრინა ამ გრძელ ღამეში დიდი და პატარა სანთლები, სადაც ორად ორი სარკმელია დღესდღეობით ჩამუქებული, რაც ადრე თუ მალე ავი დედაბრის ჯადოქრობას გამოეტყვა და განათდება-გაბრწყინდება-იკელაპტარებს.

ისევე, როგორც ზღვა არის დიდი და პატარა მდინარეების დედა-ქალაქი, ასევე არის „ჩვენი მწერლობა“ ჩინიანი და უჩინო შესიტყვების სახლი და სავანი.

ერთხელ აღვნიშნე, ცოტას ვასცავა, რომ ცხოვრებული მავსტრო აკაკი განერელია, ჰა და ჰა, ნიგნი გამხდარიყო, რომლის ნათელი მაგალითი ხარ შენ ჩვენს თანამედროვე ყოფიერებაში, ერთი შენი სიტყვა და საქმე, რაც ჩვენთა დიდთა წინაპართა შრომა-მოღვაწეობას ენათესავება, თუმცა უახლოესი დამრიგებელი და მაგალითი და მოძღვარი თავად მამაა შენი, მთელი თავისი ცხოვრება-შემოქმედება-მოღვაწეობა რომ ქართულისა და ქართველის დაცვა-აღორძინებას შეაღია.

ძვირფასო როსტომ, ვიგულისხმობ, რაც მე აქ შენს გარშემო გამოვთქვი და საკუთარ თავზეც ვიტყვი, იმაზე მეტი არაა, „ზოგჯერ თქმა სჯობსო“, რომ შეგვაგონა მარადმა პოეტმა.

გემოვნებაზე არ კამათობენო, თუმცა, მე რომ მეკითხებოდეს, სწორედ რომ გემოვნებაა საკამათო. რა არის ცუდი და რა არის კარგის გარჩევა, მიაკოვსკის ცნობილი გამონათქვამი რომ მოვიშველიოთ, არც ისე იოლია, როგორც ეს შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს.

ამიტომ გავბედე, პირადად შენთვის, და შენი (ჩვენი) ჟურნალისთვის წარმედეგინა ჩემი ასი ლექსი.

თუმცა, რატომ ჟურნალი, როცა არსებობს გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ წამოწყებული შესანიშნავი პროექტი პოეტის „ასი ლექსი“.

არ ვიცი, აქვს თუ არა ნაგულისხმევი პროექტის ავტორს, ბატონ კახმე კუდავას ჩემი „ასი ლექსის“ გამოცემაც, თუმცა მე სავსებით ვენდობი მის ლიტერატურულ გემოვნებას და თუკი ღირსად მიიჩნევს ამ პროექტში ჩემს მონაწილეობასაც, ალბათ კიდევ მიუჩენს სათანადო ადგილს.

ერთხელ მოხდა და ასეთი რამ იკისრა შორეულ წარსულში, როგორც ყველამ ვიცით, ჟურნალმა „მნათობმა“, გალაკტიონის ასი ლექსი რომ გამოაქვეყნა. ამჟამად ჩვენი ლიტერატურის ყოფილი დიდი სამეული: „მნათობი“, „ცისკარი“ და „ლიტერატურული საქართველო“ „ჩვენი მწერლობის“ სავანეშია ცხად-სიზმრიანად გადაბარგებული.

„ნეტა, ამ ნავში დამაძინა და გამომავლია ასი წლის გარეთ“ (გალაკტიონი).

P.S. მიმდინარე წლის ივნისის თვეში მისრულდება დაბადებიდან 75 წელი.

მურმან ჯგუჯურია

ალექსანდრე დესნა

საკონტროლო ფსიქოლოგიაში

ხანდახან რა არ ხდება ამქვეყნად! ცხოვრობდა თავის-თვის ადამიანი, მშვიდად, წყნარად, უნივერსიტეტში სწავლობდა, ლექციებს უსმენდა, გამოცდებს აბარებდა, კურსიდან კურსზე გადადიოდა, აწყობდა მომავლის სასიამოვნო გეგმებს... უცებ — მზერა, გაღიება, ოქროსფერი კულუღი, წყვილი ფეხი მინის ქვეშ, — და ყველაფერი ყირამალა დატრიალდა: უნივერსიტეტი ყელში ამოუვიდა, ლექციები შეზიზღდა, ძველი მშვიდი და მოზომილი ცხოვრება კი სულელური და მოსაწყენი გახდა.

ამისთანა რა მოხდა? არაფერი განსაკუთრებული! უბრალოდ გაზაფხული მოვიდა, და როგორც ყოველთვის, მისი დადგომისთანავე უცებ წარმოუდგენელი ძალით ყველას ვილაცისკენ გაუნია გულმა: კატებს — კატებისკენ, ქმრებს — ცოლებისკენ (უფრო ხშირად — სხვების), ცოლებს — ქმრებისკენ (როგორც წესი, ისევ სხვისი), ლიტერატურული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტ ვიქტორ ცაპლინს კი მომხიბვლელ და ცისფერთვალეა თანაკურსელ ოლია მოროზოვასკენ.

ვიქტორი მოულოდნელ სიყვარულს უფრო მწარედ და მძიმედ იტანდა, ვიდრე ყველაზე საშიშ და საშინელ გამოცდისთვის მზადებას. ურთიერთობა ყველასთან განწყვიტა, არაფერი ახარებდა, დღედაღამ ოლიას სურათს მიმტერებოდა და უაზრო ლექსებს წერდა, ღამით უძილობა სტანჯავდა, იჯდა სამზარეულოში, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და დაუოკებელ ვნებას ღვინით იქარვებდა...

ვიქტორი უნივერსიტეტში ოლიას გარდა ვერავის ხედავდა და არავისი ესმოდა. შინ და გარეთ კი საერთოდ ვერავის ამჩნევდა და ესმოდა, რის გამოც ხშირად ვარდებოდა სხვადასხვა უსიამოვნო სიტუაციაში. თუმცა უსიამოვნებანი ნაკლებ ალღევდა: ვიქტორის აზრები მხოლოდ ოლიას გარშემო ტრიალებდა — მისი ნათელი ცისფერი თვალების, მომხიბვლელი ღიმილის, ოქროსფერი კულუღების, ულამაზესი, მაღალი ფეხებისა და საერთოდ ყველაფრის...

ოლია კი თითქოს ვერაფერს ამჩნევდა. არადა, როგორ უნდა შეემჩნია, როცა ვიქტორი არათუ სიტყვიერად, მზერითაც კი ვერ ბედავდა საკუთარი გრძნობა გაემხილა? მშობარა არ იყო, არც გამოცდების, არც მკაცრი გამოცდების, არც მოჭრილელი ლიფტების, არც მთვრალი მოზარდებისა არ ეშინოდა. თავისი გაუმართავმუნრუჭებიანი მოტოციკლიც არ აშინებდა, არც მეზობლის ავბულდოგს უფრთხოდა! აი, ქალებისა კი ეშინოდა. განსაკუთრებით — ახალგაზრდების. და განსაკუთრებით — ძალიან ლამაზების...

გადიოდა კვრები. ვიქტორი ჩუმად გახლდათ, ოლიას დანახვაზე თავს ხრიდა და მზერას არიდებდა. სულ უფრო მძიმე სანახავი იყო ვიქტორის ოხვრის მოსმენა.

დედა გაკვირვებული გახლდათ შვილის საქციელით და არ იცოდა, რა ეფიქრა. კარგად ხედავდა, ღამეებს რომ ათენებდა და არაფერს ჭამდა. პედაგოგებიც ხელებს შლიდნენ: სად გაქრა ის ბეჯითი ვიქტორი, რატომ არის ასეთი გაფანტული ლექციებზე? ვიქტორი კი თავს იქეჩავდა იმის იმედით, რომ ამ გზით იპოვიდა პასუხს კითხვაზე — ახლა რა ვიღონო?

ბოლოს, როცა ტანჯვა აუტანელი გახდა, ვიქტორმა გადანყვიტა ბედი ეცადა.

„რაც იქნება, იქნება! — გაიფიქრა მან. — საპასუხო გრძნობაზე ფიქრიც კი სისულელეა, სასაცილოდ ამიგდებს, მაგრამ... მაგრამ გაურკვევლობას ისევ ეს მირჩევნია!“

და ერთხელ, საღამოს, გამოპრანჭული, შოკოლადის კოლოფითა და არაჩვეულებრივი ვარდებით ხელში ოლიას სახლისაკენ გაემართა. თან საკუთარ თავს პირობა მისცა, დღესვე გავუმხელ ჩემს გრძნობასო.

ოლია შორს, ქალაქის მეორე ბოლოში ცხოვრობდა. ვიდრე მის სახლამდე მიაღწევდა, შემართებიდან თითქმის აღარაფერი დარჩა და ოლიას სადარბაზოში შესულს ვილაცის წრიპინა, მშობარა ხმამ ჩასძახა: „ვიტია, ეს საშინია! სანამ დროა, მოკურცხლე აქედან!“

„არა! — შეენინაალმდეგა უფრო მტკიცე ხმა. — შიში უნდა დაძლიო. ვერ დაძლეე და გაიქცევი — სარკეში საკუთარ თავს როგორ შეხედავ? ნინ, ვიტია! მხოლოდ ნინ! მოიქციე ისე, როგორც ნამდვილ მამაკაცს შეეფერება!“

— კარგი, — ამოიოხრა ვიქტორმა — ვცდი.

და ოლიას ბინის კარს ფეხის წვერზე მიუახლოვდა. საჩვენებელი თითი ზარისკენ გაემართა, რამდენიმე წამით გაშეშდა — და უცებ შარვლის ჯიბეში გაუჩინარდა. ვიქტორი კიბეზე დაეშვა.

„ყოჩაღ!“ — გახარებულმა ჩასძახა წრიპინა ხმამ.

„უკან, ბედოვლათო!“ — უყვირა მეტალისებურმა მტკიცე ხმამ.

— ნუ ნერვიულობთ, აუცილებლად დავბრუნდები, — დაარწმუნა თავისი მამაკაცური სიამაყის ახალგამოზრდილი ყლორტები, — უბრალოდ ... უხერხულია, პირველად ვენვიე სტუმრად და უკვე ყვავილებით...

ნაგავსაყრელთან დაამუხრუჭა და ჯერ ყვავილები გადაუძახა, მერე, კანფეტებიც მიაყოლა.

— ჯანდაბას... მე მგონი, ხელცარიელი მისვლაც უხერხულია..

„რასაკვირველია, უხერხულია! -დაეთანხმა წრიპინა ხმა. — სხვა გზა არა გაქვს, შინისკენ უნდა მოუსვა!“

„აბა, ერთი გაბედე!“ — დამეუქრა მეტალისებური ხმა.



ვიქტორმა ვარცხნილობა გაისწორა, ღრმად ჩაისუნთქა და კიბეს აუყვია.

„ნუ კანკალებ! — ელაპარაკებოდა საკუთარ თავს. — გამოიჩინე მამაკაცობა! გამოიჩინე?“

— გამოვიჩინე! — დარწმუნებით თქვა და თითო ზარის ღილაკი კინალამ გახვრიტა.

კარი ისე ჩქარა გაიღო, ვიქტორს გაქცევაც რომ სდომებოდა, ვერ მოასწრებდა. კარის ზღურბლზე აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი ოლია იდგა და თვალებს გაკვირვებისგან ახამხამებდა.

— ამას ვის ვხედავ? ვიტია? რა ქარმა გადმოგაგდო?

— აი.. ის... როგორ გითხრა... მოკლედ... — ვიქტორმა იგრძნო, რომ მთელი სხეულით კანკალებდა, თვალები დახარა, სახეზე ალმური მოედო, მოიხარა, თავი მხრებში ჩარგო, უკან დაინია, მაგრამ უცებ შეჩერდა, თავი ასწია და წამოიძახა:

„მოვედი. უნდა დაგელაპარაკო“.

— კარგი. ვილაპარაკოთ. — თავი დაუქნია ოლიამ. — შემოდი. შემოდი, შემოდი, ნუ გერიდებ! — დაინახა, რომ ვიქტორი ყოყმანობდა, ხელი ჩასჭიდა და შინ შეიყვანა.

— გაიხადე და სამზარეულოში შემოდი. ჩაიდანს დავადგამ...

— რას დალევ? — გამოსძახა სამზარეულოდან. — ჩაის თუ ყავას?

— რამეს... — ჩაილულულა ვიქტორმა.

— რამეში მაგარს გულისხმობ? კონიაკი მაქვს. დალევ?

— დავლევ... ცოტას.

ვიქტორი სამზარეულოში შევიდა.

ოლია გაზქურასთან იდგა და დაბრანულ ლორის ნაჭრებს დასტრიალებდა.

ისე, რომ მისი ზურგისთვის თვალი არ მოუშორებია, ქურდული მოძრაობით სტაცა ხელი მაგიდაზე მდგარ ბოთლს, და იმ იმედით, გამბედაობას მომმატებსო, ჭიქა ბოლომდე გაავსო და სულმოუთქმელად გადაჰკრა.

— რას აკეთებ?! — წამოიძახა შემობრუნებულმა ოლიამ.

— მაპატიე, რა... — ვიქტორმა არ იცოდა, სირცხვილისგან სად წაეღო თვალები და ხელები. — პატიოსან სიტყვას გაძლევ... ლოთი არა ვარ! უბრალოდ... — ენა დაეხრა, საცოდავად მიმოიხედა და სკამზე დაეშვა. — მაპატიე. დღესვე გიყიდი ახალ ბოთლს.

— რას ამბობ, ვიტია, კი არ მენანება! — ეწყინა ოლიას. — მაგრამ ვერ მიხვდი? ვერაფერი იგრძენი?.. შენ ხომ კონიაკი არ დაგილევია.

სამზარეულოს კარადის კარი გამოალო და მაგიდაზე კონიაკის ბოთლი დადგა. ის ბოთლი კი, საიდანაც ვიქტორმა დალია, სასწრაფოდ კარადაში შეინახა.

ვიქტორი სერიოზულად აფორიაქდა.

— მისმინე, ოლია! შემთხვევით რამე შხამიანი ხომ არ დავლიე?

— დანყნარდი, არა, ჩვეულებრივი ზეთია, რაფინირებული...

ოლია სიცილს ძლივს იკავებდა, თან სუფრას შლიდა. კიბორჩხალასავით განითლებული თავჩაქინდრული ვიქტორი მოწყენილი სახით იჯდა.

— მე მგონი, არაფერი დამვიწყებია, — თქვა ოლიამ და სტუმრის წინ დაჯდა. — კონიაკი დაგისხა? იქნებ ჯერ საქმეზე გველაპარაკა? შენ ხომ რალაცაზე გინდოდა საუბარი, — შეახსენა ოლიამ.

— საუბარი? — შეშინდა ვიქტორი. — ჰოო.. მინდოდა.

— რის შესახებ?

— აი.. — დაიწყო ვიქტორმა და დადუმდა.

მის აჭარხლებულ შუბლზე ოფლის ნვეთები გამორჩნდა, ყურები უფრო გაუწითლდა, მაგიდის ქვეშ დამალული ხელები აუკანკალდა.

— იქნებ სწავლა გაგიძნელდა? — ჰკითხა ოლიამ და თან ცდილობდა ღიმილი შეეკავებინა.

— ოო... არა, სწავლის მხრივ არა... უფრო სწორად, სულ სხვა... — ვიქტორმა თავბრუსხვევა იგრძნო და

თავაზუნველად გაბედა ერთი ხელის დადება მაგიდაზე და ამიტომაც ხელი ჩაყო სამურაბეში, თუმცა ვერც შეამჩნია.

ოლიამ კი ისევ შეიკავა თავი. — ჩემი პრობლემა უფრო სხვა სახისაა..

— უფრო ზუსტად ვერ მეტყვი?

— აი.. როგორ გითხრა...

„არანაირად არ უთხრა! — უყვიროდა შიგნიდან წრინა ხმა. — ბოდიში მოიხადე, დაემშვიდობე და შინისაკენ გაეშურე!“

„მე შენ მოგიბოდიშებ! — ემუქრებოდა მეტალის ხმა — მე შენ დაგამშვიდობებ! პირდაპირ უთხარი: მე შენ მიყვარხარ! — და მორჩა! ნუთუ ასე ძნელია?“

„უთხარი, რომ ხვალ უნივერსიტეტში დაელაპარაკები!“

„ახლავე აუხსენი სიყვარული! ბოლოს და ბოლოს მაშაკაცი ხარ თუ არა!“

— მოდი ჯერ თითო ჭიქა დავლიოთ, — შესთავაზა ოლიამ.

— მოდი! — სიხარულით დაეთანხმა ვიქტორი, მაგრამ მაშინვე გაუფუჭდა გუნება. ჭიქების შევსება ხომ მას



მხატვარი ცირა პაპინაშვილი

მოუნევედა აკანკალებული ხელებით და გაშეშებული თითებით.

— არა, — თავი გაიქნია. — რალაც არ მინდა...

— რა, ზეთი გირჩევნია? — გაეცინა ოლიას. — არ გენყინოს, ვიხუმრე.

„რაც იქნება, იქნება! — გაიფიქრა ვიქტორმა. — ვცდი დასხმას! შეიძლება გამომივიდეს... ალბათ გადამესხმება, მაგრამ... ერთი-ორი ჭიქის შემდეგ ეგებ სითამამე მომემატოს!“

როგორც იქნა თავი ასწია, მაგიდაზე მარჯვენა ხელი მოძებნა და აღმოაჩინა სამურაბეში.

— არაუშავს! — დაანყნარა ოლიამ. — მთავარია, პერანგი არ დაგესვარა.

ხელსახოცი გაუნოდა და, ვიდრე ლამის ატირებული ვიქტორი ხელს ინმენდდა, კონიაკი ჩამოასხა — იქნებ დაგელია ჩემთან ერთად? — გაუღიმა ოლიამ.

ვიქტორმა თავი დაუქნია და მონყურებულივით გადაკრა. ოლიამ მაშინვე მეორე დაუსხა.

— ჭიქის მოჭახუნება ვერ მოვასწარი, — და ჭიქა ასწია.

ვიქტორს შეეშინდა, აკანკალებული ხელით ლამაზ კაბაზე კონიაკი არ გადავასხაო, და გვერდზე გაიწია.

— გამდლობ... მაგრამ... მეტი აღარ მინდა, — უთხრა მან. — თან... ჩემი წასვლის დროც მოვიდა...

— როგორ? უკვე მიდიხარ? — გაუკვირდა ოლიას. — ჯერ ხომ ისიც არ გითქვამს, თუ რისთვის მოხვედი...

— რა, არ გითხარი?

„ან ახლა, ან არასდროს!“ — შესძახა მეტალის ხმამ.

„არასოდეს“ — შეევედრა წრიპინა.

„მშიშარა! ბოთელ! ბრიყვო!“

„არაუშავს!“

„სირცხვილია!“

„გადავიტანთ როგორმე! მთავარია ხმა არ ამოიღო, თორემ უკვე მეშინია!“

„ბურბურბურ!“ — მოულოდნელად მესამე ხმამ ისე შემოსძახა, რომ ოლიამაც კი გაიგო.

ვიქტორი მთელი სხეულით შესტა.

ეს ზეთით უხვად „მორწყული“ მისი შინაგანი ორგანოების ხმა იყო. ძალიან ხმამაღალი...

— უნდა გავიქცე! — აჩქარდა ვიქტორი. — არ ვიცი. სულ ამომივარდა თავიდან... სერიოზული შეხვედრა მაქვს!

— მესმის, — ამოიოხრა ოლიამ. — მაგრამ იქნებ მაინც მითხრა, რატომ მოხვედი?

— ო, რასაკვირველია... — ვიქტორი უკვე შემოსასვლელში იდგა და ოლიას დაჟინებული მზერა უფრო ანითლებდა. — იცი... შენთვის მინდოდა მეთხოვნა... ფსიქოლოგიის საკონტროლოს გადაწერა.

„უუუ, შე მამაძაღლო! და არ გრცხვენია?“

„მრცხვენია, მაგრამ რა ვქნა?“

„სიმართლე უთხარი!“

„მეშინია!“

„გეშინია? ღმერთო ჩემო, რისი გეშინია?! სასაცილო არ გამოჩნდე? მაგრამ მთელი საათი შენი საქციელით სწორედაც რომ აცინებ! დამიჯერე, ვიტია, ამაზე სასაცილოს უკვე ველარაფერს იზამ!“

„მაინც არ შემიძლია!“

„გაბედე! სანამ გვიანი არ არის, გაბედე!“

„უკვე გვიანია!“

„არა!“

„კი!“

— ახლავე მოგიტან, — უთხრა ოლიამ და თავისი ოთახისაკენ გაემართა.

დაბრუნებულმა ვიქტორს რვეული გაუნოდა და მორცხვი ღიმილით რატომღაც ჩურჩულით უთხრა:

— იმედია, ხელნაწერს გააჩრევ?

ვიქტორმა პირი გააღო სათქმელად: „ვეცდები“ და „დიდი მადლობაო“ — და კიდევ შეძლება რალაც ეთქვა, მაგრამ შინაგანმა ხმამ დაასწრო.

— ბურბურბურ! — და სასონარკვეთილი ვიქტორი გარეთ გავარდა.

...სადარბაზოდან გამოვარდნილი კინალამ მეეზოვეს დაეჯახა. მეეზოვე კიბეზე იჯდა და აღშფოთებული უყვებოდა მეზობლებს:

— წარმოგიდგენიათ, ეს ახალი რუსები როგორ გაღორდნენ! ხან ახალთახალ სოსისებს ყრიან, ხან მაგნიტოფონსა და ტელევიზორს, ხან ტანსაცმელს, ჩასაცმელად რომ გამოდგება... დღეს კი, გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, გამოვაგორე კონტეინერი და რას ვხედავ — შოკოლადის კოლოფი. სავესე. გაუხსნელი. მის ქვეშ კი ულამაზესი ვარდები, თან ძვირადღირებული შეფუთვით! წარმოგიდგენიათ?

— სკდებიან ეს ღორები! — დაეთანხმა ერთ-ერთი.

მეორე დაინტერესდა:

— სად წაიღე ის კანფეტები და ყვავილები?

— როგორ თუ სად? — გაუკვირდა მეეზოვეს. — ვარდები ცოლს მივართვი, კანფეტები ქალიშვილს.

„ძალიანაც კარგი. ტყუილა არ მიყიდა“ — გაიფიქრა ვიქტორმა და შინისაკენ მოქუსლა.

შინ მისვლისთანავე ყურებჩამოყრილმა პორტვინი დაისხა და დალია. ნახევარ ბოთლამდე დაცალა, ბევრი სიგარეტიც მიაყოლა და ოთახისკენ გაემართა. სარკეს რომ ჩაუარა, თავის გამოსახულებას მუშტი მოუღერა.

— კარგად მისმინე, ვიტია! არა, არ გაბეღო გვერდზე გახედვა!.. ნამდვილი დედალი ხარ! გაიგე? ახლა მისმინე. ან ხვალვე, დიახ, ხვალვე აუხსნი სიყვარულს, შე ბრიყვო და მხდალო, ან ზეგ ფანჯრიდან გისვრი!

სარკეში სახემ სანყალი გამომეტყველება მიიღო, გვერდზე გაიხედა და ჩაისრუტუნა.

— ფანჯარაში... — ამოიოხრა და სკამზე დაეშვა.

გვერდით, მაგიდაზე ოლიას რვეული იდო.

სათუთად, თითქოს უძვირფასესი ნივთიანო, ვიქტორმა აიღო და გადაშალა...

რა ხდება? ეს რა არის?

სუფთა ფურცლები და არავითარი საკონტროლო — არც ფსიქოლოგიაში და არც არაფერში...

მხოლოდ პირველ გვერდზე იყო ნაჩქარევი ნაწერი:

„ვიტია, მეც მომწონხარ, უკვე დიდი ხანია. თუ გინდა, ხვალ ლექციების შემდეგ სადმე წავიდეთ. ოლია.“

* * *

დიდოსტატი მეჩუქურთმენიო, — ასე მოიხსენიებდა ოთარ ჩხეიძე ამ ადამიანებს „ჩემი სოფლის ეტიუდებში“.

ვის გულისხმობდა?

ასი წელიც რომ იფიქროთ (ნეტა კი მართლა!), ვერ ამოცნობთ, ის კი არა, ოდნავადაც ვერ მიუახლოვებთ გუმანს. ყველა ხელობას წარმოიდგენთ, გარდა....

დიახ, გარდა....

ნოველა „მაგლოს ქმარი“ იმით იწყება, ამ პიროვნების, მაგლოს ქმრის, გარეგნული სიფაქიზითა და ზრდილობით ძალიან რომ მოხიბლულან უბნის ქალები, ეხარებათ, ცოლსაც რომ აღმერთებს, და ნიშნს უგებდნენ საკუთარ თანამეცხედრებს: არა ჰგავხართ მაგლოს ქმარსაო.

ისინი კი, პასუხად:

— არც აიღებდნენ, არც დაიღებდნენ, არც აციებდნენ, არც აცხებდნენ, ერთი იმისი ასე და ისეცაო, ისე ხატოვნად მოაყოლებდნენ, ტყუილია, ამაოდ ეძებთ, ვერ იპოვნით თედო სახოკიას ლექსიკონშიცა. ქალები ქოქოლას მიაყრიდნენ, კაცები მოხატავდნენ, მოახარატებდნენ, აფსუსს, იმისი ჩანერაც რო არ შეიძლება, ისიც ჰონიმუზია სიტყვის ხელოვნებისა.... ოღონდ იმხანად შინ არ გახლდნენ დიდოსტატი მეჩუქურთმენი.

აი, თურმე ვინა ყოფილან!...

რა — მიატანდით გუმანს დიდოსტატ მეჩუქურთმეთა ვინაობას?!

ისე გინებაც ხატოვანი აზროვნების თავისებური ნიმუშია, მართლაც შეიძლება ისეთნაირად მოიხატოს და მოხარატდეს, გული დაგწყდეს, აფსუსს, ჩანერა რომ არ შეიძლებაო.

არა, ჩანერა შეიძლება, რატომაც არა, ოღონდ.... ძლევა-მოსილსა და დაღვინებულ ქვეყნებში, სადაც სხვა ყველაფერი მოუგვარებიათ, სიტყვიერი ხელოვნებისთვისაც შესაფერისად მიუხედავთ და, ცხადია, არც ეს მარგინალური ნაკადი გამორჩებათ ჩაუნერლად და შეუსწავლელად.

შენ მარგინალური ეძახე!..

განა ხელსაყრელი მასალა არ არის ლინგვისტიკისთვისაც, სოციოლოგებისთვისაც, ფსიქოლოგებისთვისაც, ფილოსოფოსებისთვისაც, თორემ მხატვრული აზროვნების თავისებურებაზე დაკვირვებისათვის ხომ იძლევა და იძლევა მდიდარ საშუალებებს.

აფსუსო, — ნუხდა მთხრობელი.

ასევე დაენანებოდა თავის დროზე მიხილ ჯავახიშვილს, ვინც გინების პოეტიკასაც და სართულსაც საგანგებოდ უკვირდებოდა და როდესაც პერსონაჟს, გინების ოსტატ კაზაკს, ალტაცებით აღავსებდა ქართველი

„დიდოსტატი მეჩუქურთმის“ მიერ გამოთქმული შეიღწეული გინების გამო, ამით შეფარულად საკუთარ მოწონებასაც გამოხატავდა. ეგაა, ეს „შეიღწეული გინები“ „არსენა მარაბდელის“ ფურცლებზე უშუალოდ არ გადავიდოდა და მწერალს სიტყვაზე უნდა ვნდობოდით.

ტარიელ ჭანტურიას ლექსებში ასეთი ჰიპერბოლიზებულ გამოთქმასაც ნაანყდებით: „გინება — ათასი სართული“.

და თუ ვინმეს ეაფსუსებოდა, სიტყვის ხელოვნების ეს ნიმუშები ასე იოლად რომ იფანტებოდა და ჩამწერი არავინ გამოუჩნდებოდა, უთუოდ ვახუშტი კოტეტიშვილსაც, ვინც მთელი ცხოვრება იმეორებდა: ეჰ, რა იქნებოდა, ერთი კარგი გინების ლექსიკონი შეგვედგინაო, — მაგრამ წუთისოფლის კარს ისე გაიხურავდა, ეს სწრაფვა თვითონაც ალუსრულელები დარჩებოდა და ვერც სხვის მიერ შედგენილ გინების ლექსიკონს იხილავდა.

ლევან ბრეგვაძის მიერ ნამოღვანევი „ქართული ჟარგონის ლექსიკონი“ ცოტას კი გამოუკეთებდა გუნებას, მაგრამ ეს ის მაინც არ იყო, გინებას თავისი შნო და ლაზათი დასდევდა, თავისი ეფექტი მოჰყვებოდა და მათ შეკრებას არა და არ ადგებოდა საშველი.

მთლად ის თუ ვერა, ეგებ ხალხური სკაპრეზული პოეზიის ნიმუშები მაინც ექცია კრებულად?

ცალკე კრებულად, თორემ დამოუკიდებელ რკალად მურმან ლებანიძეც უტრიალებდა, როდესაც ქართული ხალხური პოეზიის მარგალიტებს გამოარჩევდა.

აბა?! — მარგალიტები!

დიდ დავთარში ხუთ გვერდზე ჩამოწერდა — „უნმანურები (კაფიები საერთოდ)“. ალექსი ჭინჭარაულისთვისაც ეთხოვა დახმარება და იმას ცხრა ნიმუში გამოეგზავნა. მურმან ლებანიძეს მათგან შვიდი მოსწონებოდა და ოთხი კი ამოწერა. საბოლოოდ თაბახის სამ ფურცელზე 18 ნიმუშს ჩამოწერდა ორ სვეტად.

ხალხური პოეზიის შედევრების გამოცემა აღარ დასცალდებოდა და ვახტანგ ჯავახიძე გამოცემისას უნმანურების ციკლს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდა და განსაკუთრებულ სიფრთხილესაც გამოიჩინდა.

— რაკი გადწერილები აღარ თუ ვეღარ გადაუბეჭდავს, ჩვენთვის უცნობია საბოლოო გადწყვეტილება. და თუმცა ტექსტზე დასრულებული არ ჰქონდა და თვით სასტამბო პროცესშიც გააგრძელებდა, — საკამო ყოყმანის შემდეგ რამდენიმე უკიდურესი მაინც გავიმეტეთ, შედარებით უწყინარები კი საღალაბოთა შორის შევაპარეთ.

რამდენიმე უკიდურესი მაინც გავიმეტეთო...



მხატვარი მალხაზ კუხაშვილი

არადა ვახუშტი კოტეტიშვილს სწორედ ეს „უკიდურესე-
ბი“ მიაჩნდა თავისი გამოცემის ქვაკუთხედად და გვირგვინად.
ბლომად დაგროვებოდა, რაკილა მოსწონდა სიტყვიე-
რი ხელოვნების ეს თავისებური რკალი, ზოგიერთი ნიმუ-
ში მაინც განსაკუთრებულ ალტაცებას ჰგვირდა და გუ-
ლის ჭიას ჯერჯერობით იმით იკლავდა, რომ სუფრებზე
წარმოთქვამდა ხოლმე მოუწყინრად და არტისტიზმით.

ერთადერთს რევაზ თვარაძეს ერიდებოდა, მის გულა-
ზიზობას ბილწისტიყვაობისა და სკაბრეზის მიმართ, იმ
სუფრაზე გატვინდებოდა, ჩაყურდებოდა და ისეთ მახ-
ვილსიტყვაობებსა და კაფიებს არჩევდა წარმოსათქმე-
ლად, ყურს რომ არაფერი გჭრიდა. სხვაგან კი გაილაღებ-
და და რას გაილაღებდა — სილაღე მისი ბუნება გახლდათ
და ამ ბუნებას უშურველად გადმოშლიდა ხოლმე ყველგან
და ყოველთვის და.... დაე ის ჭიაც არ ჩაეტოვებინა გულში.

გავიდოდა დრო და.... აი — გამომცემლობა „დიო-
გენეს“ მონდომებით — გაჩნდებოდა საშუალება სკაბრე-
ზული პოეტური კრებულის გამოცემისა, რომლისთვისაც
ვახუშტი კოტეტიშვილი საგულდაგულოდ გადასინჯავდა
თავის უზღვავე ფოლკლორულ კოლექციას და უკეთეს ნი-
მუშებს შეარჩევდა ამ ჟანრის ხელოვნებისა.

წინასწარვე იცოდა, რომ დიდი ხმაური მოჰყვებოდა ამ
გამოცემას და ქვა და გუნდასაც უხვად მიაყრიდნენ შემდ-
გენელსაც და გამომცემლობასაც, რომელიც ასერიგად
მონადინებულიყო ამ ყაიდის წიგნის გამოქვეყნებას და
შესაფერისი საბუთიც მოემარჯვებინათ — დასავლეთში
ეს ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა და ჩვენ ამ მხრივ მაინც
რატომ უნდა ჩამოვრჩებოდეთ ევროპასო!...

კიდევ გამოსცემდნენ და წარდგინებასაც გამართავდ-
ნენ ვაკის თეატრალურ სარდაფში, მსახიობებიც რომ მიი-
ღებდნენ მონაწილეობას და ტელეკომპანია „რუსთავი 2“
იმხელა სიუჟეტს დაუთმობდა გასაშუქებლად, ერთად
ეყოფოდა რამდენიმე დიდებულ, ერისათვის ლამის სასი-
ცოცხლოდ აუცილებელ წიგნს.

იმათ თავიანთი ინტერესი ამოქმედებდათ!...

ვახუშტი კოტეტიშვილს — თავისი.... და ხარობდა მო-
ხატული და მოხარატებული გამოთქმებითა და ფრაზე-
ებით, იუმორი რომ ერთგვარად ანელებდა სიმძაფრეს და
სხვა სადინარში მიუშვებდა.... ხარობდა და უკვე ხელის-
განვდენაზე დაიგულებდა „ქართული გინების ლექსიკონ-
საც“ და ფიქრიც გაიტაცებდა: მე მარტო ვეღარ გავწვდე-
ბი და ვინ შემოვიშველო, რათა ამ უჩვეულო ლექსიკონის
სრულყოფილებას არაფერი მოაკლდესო.

იცოდა, დიდი ხმაური მოჰყვებოდაო....

მაგრამ ასეთს ეგებ არც ელოდა.

თვით ალექსი ჭინჭარაულიც ვეღარ დაუდგებოდა
გვერდით ამ საქმეში — მისი განუყრელი მეგობარი და თა-
ნამზრახველი ყველა იმ წამოწყებაში, ქართული ფოლკ-
ლორის გადარჩენა-პოპულარიზაციას რომ ეხებოდა,
და.... შეურიგებელი მეტოქე კაფია-გალექსებისას.

მდუმარებას ამჯობინებდა ლექსო პაპა, გაერიდებოდა
კრებულის გამოცემასაც და იმ სალამოსაც და ბარემ ერ-
ჩინა, საერთოდაც მორიდებოდა საკუთარი აზრის გამო-
ხატვას, მაგრამ შეუჩნდებოდა ტრისტან მახაური, იცოდა,
როგორ გამოეწვია კაფიის ეს დიდებული ოსტატი და სწო-
რედ ლექსით დაუვლიდა თავს, აბა, ახლაც გამიყურდესო.

**მოუკრეფავში შესულა
გუშინ ბატონი ვახუშტი,
ყველა იქ შეუკრებია —
ჭკუამრთელი და ჭკვასუსტი,
შენ გელი, ძია ალექსი,
კაფია მითხარ, რას უცდი!**

და ალექსი ჭინჭარაულიც იძულებით გამოჰყვებოდა
„ხმალში“:

**სხვა საქმე გამოელია,
მიჰმართა კაპრეზულებსა,
აქეთ ჩვენ გვიშლის ნერვებსა,
იქით — წინაპართ სულებსა.
ვახუშტის ყველაყისამა,
მაგით იშოვის ფულებსა.**

„კაპრეზულს“ რომ იტყოდა „სკაბრეზულს“ ნაცე-
ლად, სიტყვის ეს განგებითი გადასხვაფერება უკვე მია-
ნიშნებდა მის დამოკიდებულებას ამ გამოცემის მიმართ,
მერე კი ეს „ყველაყისამა“ სულ მოუთავებდა ხელს ვახუშ-
ტი კოტეტიშვილის ამ წამოწყებას.

ბატონ ვახუშტიმდე ვერ მიაღწევდა ეს კაფია, თო-
რემ.... თორემ აუცილებლად გამოეპასუხებოდა და კაპრე-
ზული სიტყვის ხელოვნებას აჩვენებდა თავის მეგობარს,
ეგებ სართულებიც შიგ რომ მოექცია, მთელ თავის უნარს
მოიშველიებდა მოხატვისა და მოხარატებისა, რათა პაექ-
რობის ხალისი დაეკარგვინებინა კაფია-ეპიგრამის ხელო-
ვანისათვის, თორემ თუკი გაგრძელდებოდა გალექსება,
ვინ იცის, ისე ჩაფუშვოდა ეს წამოწყება, მხნეობა აღარ
მიჰყოლოდა არც უფრო მოზრდილი კრებულის გამოსა-
ცემად და არც გინების ლექსიკონის შესადგენად.

ფულის ხსენებას კი იწყებდა: რა ფული, რომელი ფული,
ალექსიმ ხომ მაინც იცის, გულით და მხოლოდ გულით რომ შე-
მიგროვებია ეს ნიმუშები და სხვა არც არაფერი მამოძრავებს,
გარდა იმ სურვილისა, არ დაიკარგოს ხალხური პოეტური აზ-
როვნების ეს თავისებური და დიდადაც ეფექტური ნაკადიო.

იუმორად ვეღარ ჩამოართმევდა ამ სიტყვას, ვერ იცი-
ნებდა ჩვეული როხროხით.

...აფსუსს, ამის ჩანერა რომ არ შეიძლებაო, — ნუხილს
გამოთქვამდა სიტყვიერი ხელოვნების ამ ნაკადის ყოვე-
ლი ქომაგი, დიდოსტატ მეჩუქურთმეთა მარილისა და
მადლის შემტყობი, ვახუშტი კოტეტიშვილი კი არა და არ
გაიზიარებდა ამ ნუხილს და: ნეტა ჩემი ახალგაზრდობი-
სას ყოფილიყო საამისო საშუალებაო, ამჟამად რომ დაგვ-
დგომიაო, — იმ სალამოს შთავაგონებით აღფრთოვანებული
მჯილსაც ჩაიკრავდა მკერდში.

ეგაა, ალექსი ჭინჭარაული ვერა და ვერ დაეჯერებინა.
აქეთ ჩვენ გვიშლის ნერვებსა, იქით — წინაპართ სუ-
ლებსაო....

სნეულებას დაერია ხელი ვახუშტი კოტეტიშვილისათ-
ვის და ეს პროექტი განუხორციელებელი რჩებოდა.

და ქარს მიჰქონდა სიტყვიერი ხელოვნების ეს უცნაუ-
რი გამომჟღავნებანი, დიდოსტატ მეჩუქურთმეთა მხატვ-
რული წარმოსახვანი, და სინანულსა თუ მიაღვენებდი:
აფსუსს, აფსუსო!..

ნაჯახითაც ვიღარ ნაშლიო

ერთხელ დაინერა და, ქართული ტრადიციის მიხედვით, საშვილიშვილოდ დამკვიდრდა. მართალია უაღრესად ავტორიტეტულმა ავტორმა დაწერა, მაგრამ როგორც ბრძნული ქართული ანდაზა ბრძანებს, ზოგჯერ ბრძენიც შეცდებოა. მიუხედავად ამისა, იმეორებენ და იმეორებენ როგორც აქსიომას. ნუთუ სხვა ანდაზა უნდა გამართლდეს — რაც კალმით დაინერა, ნაჯახითაც ვეღარ ნაშლიო?

მსოფლიო ისტორიის გრანდიოზული კოლიზიების ფონზე და თუნდაც საქართველოს ისტორიის არცთუ მაინცდამაინც გრანდიოზულ მოვლენათა ფონზე, ალბათ, წვრილმან ამბად მოგეჩვენებათ და თქვენც დაიმონმებთ ბრძნულ ქართულ ანდაზას — ჩიტი ბღღენად არა ღირსო.

და მაინც... როგორც იტყვიან, ცდა ბედის მონახევრეა.

XVII ს. სომეხი მემატინის ზაქარია ქანაქერცის თხზულებაში მოთხრობილია შემდეგი ამბავი:

როდესაც შაჰ-აბასმა აიღო განჯა, იქ გამგებლად დანიშნა დაუდ-ხანი, კაცი ამაყი და მუხანათი, კადნიერი და მედიდური, ქედს რომ არავის უხრიდა. შემდგომში შაჰმა მიაშველა იგი საქართველოს დასაპყრობად წარგზავნილ ყარჩილა-ხანს და ასე დაარია: „ყურად იღე, რასაც ყარჩილა-ხანი გეტყვის და უსიტყვოდ დაემორჩილე!“ მაგრამ დაუდ-ხანმა ყარჩილა-ხანს მოურავი არჩია და მისი გულითადი თანამეინახე გახდა. დაუდ-ხანი უდიერად იხსენიებდა ყარჩილა-ხანს და იმუქრებოდა, სულ ნაკუნ-ნაკუნ ავჩხავო. როდესაც მოურავს შემთხვევით ხელში ჩაუვარდა შაჰ-აბასის ნერილი ყარჩილა-ხანისადმი, სადაც მოურავის მოკვლა იყო ნაბრძანები, ამ უკანასკნელმა დაუდ-ხანს აჩვენა შაჰის ბრძანება. დაუდ-ხანმა ურჩია მოურავს, აჯანყდო და იმანაც ზუსტად შეასრულა მეგობრის რჩევა. მერე შაჰმა მოურავის წინააღმდეგ ყორჩილაში წარგზავნა და დაუდ-ხანს შეუთვალა: ყორჩილაშის ლაშქარს შეუერთდო. მაგრამ დაუდ-ხანმა ყური არ ათხოვა ხელმწიფის ბრძანებას და განჯიდან ფეხი არ მოუცვლია. მოიმიზეზა, დაჭრილი ვარ და საომრად წასვლა არ ძალმიძსო. ომი რომ დამთავრდა და დამარცხებული მოურავი ოსმალეთში გაიქცა, დაუდ-ხანმაც გაქცევით უშველა თავს. ჩავიდა ოსმალეთში, სადაც შეხვდა მოურავს, ერთხანს იქ იმყოფებოდა და ცოტა ხნის შემდეგ დაიღუპა.

ზაქარია ქანაქერცის მონათხრობში მოხსენიებული დაუდ-ხანი გახლავთ წარმოშობით ქართველი დიდმოხელე შაჰ-აბასისა — დაუდ-ხან უნდილაძე, ხოლო მოურავი — გამოჩენილი ქართველი მხედართმთავარი გიორგი სააკაძე. აღნიშნული აჯანყება — მარტყოფის აჯანყება (1625 წლის მარტი) და ომი — მარაბდის ომი (1625 წლის ივნისი).

ზემოთქმულ ინფორმაციაში შეინიშნება ზოგიერთი უზუსტობა. ასე მაგალითად, მცდარია ცნობა განჯის გამგებლად დაუდ-ხანის დანიშვნაზე შაჰ-აბასის მიერ განჯის ალბისას (1606 წ.); სინამდვილეში, სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის მიხედვით, მაშინ განჯის გამგებლად დანიშნულ იქნა მოჰამედ-ხან ზიად ოლლი, რომელიც დაიღუპა 1615 წელს (თეიმურაზ მეფესთან ბრძოლაში), შემდგომში, კერძოდ — მარტყოფის აჯანყების ფაშს ამ თანამდებობაზე იმყოფებოდა მოჰამედ-ყული-ხან ზიად ოლლი.

ასევე მცდარია ცნობა დაუდ-ხანისა და მოურავის შეხვედრაზე ოსმალეთში. დაუდ-ხანი ოსმალეთში ჩავიდა 1633 წელს, ხოლო გიორგი სააკაძე იმავე ოსმალეთში დაიღუპა, ოღონდ — ოთხი წლით ადრე (1629 წელს). ისინი ვერაფრით ვერ შეხვედებოდნენ ერთმანეთს ოსმალეთში.

ამასთან ერთად, არავითარი საბუთი არ არსებობს დაუდ-ხანის ყოფნაზე საქართველოში მარტყოფის აჯანყების წინარე ხანებში.

სამაგიეროდ არსებობს უტყუარი ცნობა ზემოხსენებული ისქანდერ მუნშის თხზულებაში, რომ დაუდ-ხანი დანიშნულ იქნა განჯის გამგებლად 1626 წელს. იგი, შაჰ-აბასის დავალებით, დიპ-

ლომატიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა თეიმურაზ მეფესთან, რომელიც შეარიგა სეფიანთა სამეფო კარს (მარტყოფ-მარაბდის მერე!) და სწორედ განუული სამსახურის საზღაურად ებოძა განჯის გამგებლობა.

თუნდაც დავუშვათ, რომ დაუდ-ხანი მართლაც იმყოფებოდა საქართველოში მარტყოფის აჯანყებამდე, ექიშებოდა ყარჩილა-ხანს და ეძმაკაცებოდა გიორგი სააკაძეს, საკითხავია, ყოველივე ეს როგორ გამოეპარებოდა უკიდურესად ეჭვიანსა და მიუნდობელ შაჰ-აბასს? ვთქვათ, ვერ იმარჯვეს შაჰის მსტოვრებმა და არ მოახსენეს ზემოთქმული, აპკარა ურჩობაზე (მარაბდის ომში მონაწილეობიდან თავის დაძვრენა) თვალს რატომ დახუჭავდა და ნაცვლად სასჯელისა — მაღალ თანამდებობას უწყალობებდა?

როგორ უნდა შეუთავსდეს ზაქარია ქანაქერცის თხზულებაში მოქმედი დაუდ-ხანი ისქანდერ მუნშის თხზულებაში მოქმედი იმავე დაუდ-ხანს? პირველი დაუდ-ხანი მარტყოფის აჯანყებაზე აქვეყნებს გიორგი სააკაძეს, შეგნებულად თავს არიდებს მონაწილეობას მარაბდის ომში და შაჰის სასჯელისგან თავის გადასარჩენად ოსმალეთში გარბის, ხოლო მეორე დაუდ-ხანი დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებს თეიმურაზ მეფესთან (მარაბდის ომის შემდეგ), წარმატებით ასრულებს დავალებულ მისიას და 1626 წელს განჯის გამგებლად ნიშნავს.

რას უნდა გამოენჯია სომეხი მემატინის აპკარა შეცდომა?

საქმე ის გახლავთ, რომ მარტყოფის აჯანყებამდე საქართველოში, ყარჩილა-ხანსა და გიორგი სააკაძესთან ერთად, მართლაც იმყოფებოდა განჯის გამგებელი, რომელსაც დაუდ-ხანი კი არ ერქვა, არამედ მოჰამედ-ყული-ხან ზიად ოლლი. და როდესაც მოხდა მარტყოფის აჯანყება, მან გაქცევით უშველა თავს.

გარდა ამისა, 1625 წლის ზაფხულში საქართველოსკენ დაძრულ ყიზილბაშთა ლაშქარში იმყოფებოდნენ საქართველოს მეზობელი პროვინციების — შირვანის, ერევნისა და აზერბაიჯანის გამგებლები. სად იყო მოჰამედ-ყული-ხან ზიად ოლლი? აი, ვის უნდა ეხებოდეს ზაქარია ქანაქერცის ცნობა: განჯის გამგებელმა ავადმყოფობა მოიმიზეზა და განჯაში დარჩაო.

ისქანდერ მუნში წერს, რომ განჯის გამგებელი მოჰამედ-ყული-ხან ზიად ოლლი „ქართველი მოურავის საქმესთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულისათვის“ გადაყენებულ იქნა თავისი თანამდებობიდან. „დანაშაულებად“, ალბათ, ყოველივე ზემოთქმული იგულისხმება (არც ის არის გამორიცხული, რომ ზემოხსენებული დიდმოხელე, საქართველოში ყოფნისას, მართლაც ექიშებოდა ყარჩილა-ხანს და ეძმაკაცებოდა გიორგი სააკაძეს).

ასე რომ, ზაქარია ქანაქერცის ცნობაში მოხსენიებული განჯის გამგებელი უფრო ყიზილბაშ მოჰამედ-ყული-ხან ზიად ოლლის წააგავს, ვიდრე წარმოშობით ქართველ დაუდ-ხან უნდილაძეს. საფიქრებელია, რომ სომეხი მემატინის თხრობაში თავისებურად შერწყმულა ორი მოვლენა, რომელთა შორის ექვსწლიანი ინტერვალია: პირველი — განჯის გამგებლის მოჰამედ-ყული-ხან ზიად ოლლის დანაშაული მარტყოფ-მარაბდის ამბებთან დაკავშირებით და მისი გადაყენება თანამდებობიდან (1625-1626); მეორე — განჯის გამგებლის დაუდ-ხან უნდილაძის ამბობება შაჰ-სეფის წინააღმდეგ და გაქცევა ოსმალეთში (1632-1633).

ასე გაჩნდა ზაქარია ქანაქერცის თხზულებაში მომხიბლავი თხრობა ორი ქართველი დიდკაცის — დაუდ-ხანისა და გიორგი სააკაძის მეგობრობის შესახებ, რასაც არც ერთი სხვა წყარო არ ადასტურებს და რაც ეწინააღმდეგება როგორც სხვა წყაროთა ინფორმაციას, ასევე — სეფიანთა ირანში მიმდინარე მოვლენების ლოგიკას.

მარტყოფის აჯანყების დროს ზაქარია დაბადებულიც კი არ იყო და ზემოთ მოთხრობილი ამბავი, ალბათ, ზეპირი გადმოცემით ექნებოდა გავრცელებული.

თავად მემატინე გულწრფელად გვაუწყებს: მე ვიამბებ ყველაფერი, რაც მსმენია, არაკი და მართალი თქვენ თვითონ გაარჩიეთ... ჰოდა, უნდა გავარჩიოთ!

პიეტრო, ლაურა და თინიკო

პიეტრო დელა ვალე (1586-1652) ნარჩინებული ოჯახიშვილი იყო და, რასაკვირველია, საუცხოო განათლებაც მიიღო. ჩინებულად დაეუფლა ბერძნულ და ლათინურ ენებს, ზედმინევიტო შეისწავლა ისტორია, გეოგრაფია და ასტრონომია. ხარკი გადაუხადა სიტყვაკაზმულ მწერლობასაც. სიტყბუკეში წერდა ლექსებს, მოგვიანებით — პროზას. შემდგომში მუსიკამ გაიტაცა, გვარიანად უკრავდა სხვადასხვა ინსტრუმენტებზე. დაწერა ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევა „ჩვენი დროის მუსიკა“.

პოეზიისა და მუსიკის სიყვარულს ხელი არ შეუშლია მისთვის, რომ სამხედრო საქმეშიც გამოეჩინა თავი, ფარიკაობასა და ცხენზე ჯირითში კარგად იყო განვრთნილი. მაჰმადიანებთან საზღვაო ბრძოლებში (ტუნისის ნაპირებთან) უვნებლად გადარჩენილი უეცრად „ამურის ისრით“ დაიკოდა და მელანქოლიის კლანჭებში მოექცა.

თავდავინეყებით გამიჯნურებულ პიეტროს თავისი უმნიშვარი ლექსები ერთობ ჩლუნგ იარაღად ეჩვენებოდა სატრფოს გულის მოსანადირებლად. და სხვა რა გზა ჰქონდა, სახელოვანი იტალიელი პოეტის ფრანჩესკო პეტრარკას სონეტებს დაეწავა, ყოველი მათგანი ზეპირად იცოდა და თავისი გულის სწორისადმი მიძღვნილი ეგონა. ყოველ მათგანში თავის გრძნობათა ჯადოსნურ ამტყველებას ხედავდა და უკვე სახელიც ერეოდა სატრფოსი.

პეტრარკას კალმით სამარადისო უკვდავებას ნაზიარები ლაურა თითქოსდა გადმოსახლებულიყო ახალ სხეულში და ხელახლა ესმოდა ერთხელ უკვე მოსმენილი ლაღადი მალაღი პოეზიისა. პიეტროს დიხაც გულით ეწადა, რომ ახლებურად შეემკო სიყვარული, რათა გაეღვიძებინა საპასუხო გრძნობა, ასევე მომწუსხველი და მათობელა, ხოლო სუსხიანი გულის მდუმარება ეგებ გადაეცია ტიტინად და ტიკტიკად, მაგრამ, ვაგლახ, ვერა სწვდებოდა პეტრარკას სიმაღლებს და ისევ მისგან სესხულობდა ლექსს, ვინძლო განაზებულებო მკაცრი მზერა და ფერმკრთალი სახეც განათებულებო მომსკდარი ვნებით.

გაუსაძლისი სიყვარული მხოლოდ ტკივილს უწყალობებდა. ბეჯითად ითვლიდა იმ დაკარგულ დღეებს, როდესაც ვერ მოუწევდა მისი ნახვა, მასთან საუბარი, მისი წყნარი ხმითა და სათნო იერით ტკბობა. ალბათ ასეთი არიან ანგელოზებო, ფიქრობდა პიეტრო და უკვირდა, რომ მისი სატრფო ჩვეულებრივ სიტყვებს ამბობდა, უბრალო ყოფა-ცხოვრებით თემებზე ბაასს არ გაუზროდა.

პიეტრო უბედნიერეს ადამიანად მიიჩნევდა თავს, ვინაიდან მხოლოდ მან განჭვრიტა მისი ზეციური წარმომავლობა, მხოლოდ ის მიხვდა, რომ თითქმის სამი საუკუნის შემდეგ ახალი ლაურა მოეკლინა იტალიას და, ცხადია, განსხვავდებოდა ათასთაგან, ყველაზე მაღლა იდგა, ყველაზე მშვენიერი, ყველაზე სათნო, ყველაზე გონიერი და, ვი რომ, ყველაზე ქედმაღალი და გულცივი. მისი გულისა და სულის ცინხ-სიმაგრე აულებელი რჩებოდა პიეტროს. ვერც თავისი ლექსები გამოადგა ბასრ იარაღად და ვერც გენიალური ქმნილებანი დიდი ნინამორბედისა.

და მაინც სიმწარეზე მეტი სიტკბო ახლდა ამ უკვდავსა და უბერებელ გრძნობას, მხოლოდ თავისი რომანტიკული ბუნების გამოსარჩევი ნიშანი რომ ეგონა პიეტროს, ყოველმხრივ განათლებულ-განსწავლულს, მაგრამ სიყვარულით დაბრმავებულს. მაღლიერებით ლოცავდა იმ დღეს, იმ წუთს, იმ ნამებს, წელიწადის დროს, თვესა და წელს, და იმ საარაკო ადგილსაც, სადაც თვალბნეციანმა სატრფომ სამუდამო ტყვეობა მიუსაჯა. ლოცავდა იმ პირველი ტკივილის სიტკბობასაც, ამურის ისრის მიზანსწრაფულ გაფრენას და ხელოვანი მშვილდოსნის ნებას დამორჩილებულ მშვილდსაც. ლოცავდა სახელს, სახელთაგან სახელმობვეცილს და უკვე მერამდენედ ლოცვასავით წარმოთქვამდა: კურთხეულ იყოს შენი ქმნილებანი, დიდო ოსტატო, ლაურას სადიდებლად რომ გითქვამს, კურთხეულ იყოს შენი ყოველი ნაფიქრალი — ლაურას სამფლობელოდ რომ გადაქცეულა.

სახელოვან ფლორენციელთან შედარებით პიეტროს ერთადერთი უპირატესობა გააჩნდა — თავის ლაურას კარგად იცნობდა. ათასჯერ ჰქონდა მოსმენილი მისი ხმა და ათასჯერვე ახლო ყოფილა მისი ბაგენი პიეტროს მწყურვალე ვნებასთან, მაგრამ შორს რჩებოდა ნეტარების ბურუსი, რჩებოდა სიზმარშივე შეწყვეტილ და ცხადში აუხდენელ ოცნებად და კიდევ უფრო მწარე ნაღველს თესავდა გულში. პიეტროს ძალზე უჭირდა შერიგება გარდუვალ მარცხთან, რომელიც დღითიდღე მნიფდებოდა და ნაბიჯ-ნაბიჯ უკანდახევას აიძულებდა.

ქალი, რომელიც გაგიჟებით უყვარდა და თავისი ცხოვრების განუყრელ თანამგზავრად ეგულებოდა, მოულოდნელად სხვას გაჰყვა ცოლად და პიეტრომ გადაწყვიტა მიეტოვებინა რომი, დღენიადავ რომ აგონებდა მარცხიან სამიჯნურო რომანს, და რამენაირად მოეშუშებინა ჭრილობა გულისა, დაეძლია სულიერი დეპრესია. მისმა მეგობარმა მარიო სკიპანომ, მედიცინის პროფესორმა, შერყეული ჯანმრთელობის უებარ წამლად ხანგრძლივი მოგზაურობა ურჩია.

ნეაპოლის ერთ ეკლესიაში ჩატარდა წირვა-ლოცვა პიეტრო დელა ვალეს მოგზაურობის კეთილად მსვლელობისათვის. საზეიმოდ აკურთხეს მისი მოსასხამი პილიგრიმისა და ყელსაბაში პატარა ოქროს კვერთხი. 1614 წლის 8 ივნისს, ოცდარვა წლის პიეტრო გემით გაემშურა წმ. მიწისკენ.

და ჯერ არ იცოდა, რომ მოგზაურობა თითქმის თორმეტ წელიწადს გასტანდა. და, რასაკვირველია, არც ის იცოდა, რომ თორმეტწლიანი თავგადასავლების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ცოლად შეირთავდა ქართველ ქალს, რომელიც დაავინყებდა ყველა ლაურას და ყველა ბეატრიჩეს... და, ყველა სიყვარულსთან ერთად, 14 შვილს აჩუქებდა, თოთხმეტ შვილს!

დიახ, დიახ, ქართველმა თინიკომ, ჩვენმა თინიკომ, ვისიც მხოლოდ სახელი ვიცით და გვარი დღემდე ვერ გავკვირკვევია, გადაუჯოკრა იტალიელ ლაურებს, გადაუჯოკრა!

ქარი გიმღერის ნანასა, ზღაპარს გაიამობს ჭადარი, ძენნამ

ქრისტიანული პოეზიის III ფესტივალი „წმინდა ნინოს ჯვარი“

ფესტივალი ჩატარდება 2013 წლის ივნისს — თბილისში. თითოეული ავტორისაგან მიიღება ერთი გამოუქვეყნებელი ლექსი 2013 წლის 10 აპრილის ჩათვლით ელექტრონულ მისამართზე: festivali2011@yahoo.com festivali2011@mail.ru ლექსს თან უნდა ერთვოდეს ავტორის ტელეფონის ნომერი. საფესტივალოდ დაიბეჭდება საუკეთესო 50 ლექსისგან შედგენილი კრებული. 3 გამარჯვებულს გადაეცემა ფესტივალის მთავარი პრიზი — წმინდა ნინოს ჯვარი. ფესტივალის 5 მონაწილე დაჯილდოვდება პრიზით — წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი.

ტელეფონი: 555 46 44 29 გისურვებთ წარმატებებს!

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი